

ირაკლი დვალისა, გიორგი თუმანიშვილი,
ნინო გვენეტაძე

**კაზუსის ამოხსნის მეთოდისა
სისხლის სამართალში
თანდართული კაზუსის ნიმუშებით**

რედაქტორები: ირაკლი დვალისა,
მერაბ ტურავა

თბილისი
2015

წინამდებარე წიგნი გამოცემულია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით.

Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) გერმანიის ფედერალური მთავრობის დავალებით მუშაობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იგი მხარს უჭერს გერმანიის ფედერალურ მთავრობას, განახორციელოს სხვადასხვა პროექტი საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

1993 წლიდან GIZ-ი ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმების გატარებას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. მისი მიზანია სამართლებრივი სახელმწიფოს საკითხებზე ტრანსნაციონალური დიალოგის წარმართვა და კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მყოფი სამართლებრივი სისტემის განმტკიცება. სხვა ღონისძიებებთან ერთად, ადგილობრივი და გერმანელი ექსპერტების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით ხორციელდება საკანონმდებლო კონსულტაციები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები და გამოცდილების გაზიარება. გარდა ამისა, GIZ-ი ხელს უწყობს იურიდიული ლიტერატურის შექმნას და სამართლის პოპულარიზაციას.

GIZ-ის სამართლის პროგრამის პუბლიკაციების ელექტრონული ვერსიების ჩამოტვირთვა შესაძლებელია ვებ გვერდიდან: www.giz.de/law-caucasus

GIZ არ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე გამოცემის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.



Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung und Garant, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzulegen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit der IRZ mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwältern.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საზოგადოება (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. სამართლებრივი სახელმწიფო და დემოკრატია არის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, სტაბილური სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება-გამყარების და ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წინაპირობა და იმავროულად გარანტი. სწორედ განვითარების ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება ასევე შესაბამისი პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოსა და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. ამასთან, თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის საართალში და სასჯელალსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განგრძობითი იურიდიული განათლება.

იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი 2005 წელს საიას იურიდიული სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრის ბაზაზე დაფუძნდა და მისი ერთადერთი დამფუძნებელი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაა.

სამართლებრივი განათლების მიღების ალტერნატიული საშუალებების შექმნა, იურისტების პროფესიული ზრდის, საზოგადოების სამართლებრივი განათლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში იურიდიული განათლების ხელშეწყობა, იურიდიული განათლების თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრება საქართველოში – ეს ის სანესდებო მიზნებია, რომელთა მისაღწევად ფონდი ხელს უწყობს:

- საგანმანათლებლო-შემეცნებით საქმიანობას იურისტთა პროფესიული დაოსტატებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად;
- იურიდიული ბიბლიოთეკებისა და ელექტრონული საინფორმაციო ცენტრების შექმნას;
- დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემას უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების სტუდენტებისათვის;
- სასწავლო, სამეცნიერო, საგამომცემლო და მთარგმნელობით საქმიანობას;
- მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში სამართლებრივი ინფორმაციისა და ლიტერატურის გავრცელებას;
- სტუდენტთა და პედაგოგთა გაცვლითი პროგრამების განვითარებას;
- სტუდენტთა მოტივაციისა და წახალისების ეფექტური სისტემის შექმნას;
- ეფექტური საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორმირებას.

ფონდი, ნ-თვიანი სასწავლო კურსების სახით, ალტერნატიულ იურიდიულ განათლებას სთავაზობს იურიდიული პროფესიით დაინტერესებულ პირებს. კურსებზე ყოველწლიურად 150-მდე სტუდენტი გადის მომზადებას. ფონდი ორგანიზებას უწევს მიზნობრივ ტრენინგებსა და საჯარო დისკუსიებს; სკოლის მაღალი კლასის 250-მდე მოსწავლეს ყოველწლიურად შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს დამატებითი ცოდნა ფონდის სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლაში როგორც თბილისის, ასევე ბათუმისა და ქუთაისის მასშტაბით; ორგანიზებას უწევს საპარლამენტო დებატების შიდა და ეროვნულ ტურნირებს, რომელშიც მონაწილეობენ თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის და გორის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები; ორგანიზებას უწევს საკონსტიტუციო ოლიმპიადას და იმიტირებულ სასამართლო პროცესებს, რომელშიც მონაწილეობის შესაძლებლობა აქვთ სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს მთელი საქართველოს მასშტაბით; საქმიანობს უცხოური იურიდიული ლიტერატურის თარგმნის მიმართულებით და ქართველი ავტორების მონაწილეობით გამოსცემს სახელმძღვანელოებს.

სარჩევი

Vorwort	9
წინასიტყვაობა	12
I ნაწილი	
I თავი. კაზუსის ამოხსნის მეთოდის დანიშნულება და მსჯელობის სტრუქტურირება	17
§ 1. დასკვნის სტილი კაზუსის დამუშავების დროს	17
1.1. შესავალი	17
1.2. დასკვნის სტილი და განაჩენის სტილი.	17
§ 2. კაზუსის ფაბულა და შეკითხვის არსი.	21
§ 3. კაზუსის ამოხსნის დროს გასათვალისწინებელი საკითხები.	25
3.1 შესავალი.	25
3.2. კაზუსის ამოხსნის ზოგადი მოთხოვნები	28
3.3. ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა	33
3.4. კაზუსის ამოხსნისას სამართლებრივი საკითხების კვლევა.	34
3.5. ლოგიკის წესები	34
3.6. მიზანშეწონილობის წესები.	35
§ 4. შემთხვევის ამოხსნის წინასწარი სქემა (მონახაზი)	37
II თავი. მსჯელობის თანმიმდევრობა კაზუსის ამოხსნისას	41
§ 1. დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემა და მსჯელობის თანმიმდევრობა	41
§ 2. მსჯელობის თანმიმდევრობა ე. წ. „პოსტკრიმინალური წამახალისებელი“ ნორმის მქონე დანაშაულისთვის	42
§ 3. მსჯელობის თანმიმდევრობა ნორმათა კონკურენციისას	43
3.1. შესავალი	43
3. 2. მსჯელობის თანმიმდევრობა ზოგად და სპეციალურ ნორმათა კონკურენციისას	43
3.3. მსჯელობის თანმიმდევრობა დანაშაულის ძირითადი, კვალიფიციური და პრივილეგიური შემადგენლობების არსებობისას	44
§ 4. მსჯელობის თანმიმდევრობა დაუმთავრებელი დანაშაულის დროს.	45
§ 5. მსჯელობის თანმიმდევრობა რამდენიმე ქმედების არსებობისას	46

5.1. შესავალი	46
5.2. კაზუსის განხილვის თანმიმდევრობა ქრონოლოგიურ საფუძველზე	47
5.3. კაზუსის განხილვის თანმიმდევრობა უმართლობის სიმძიმის მიხედვით	47
5.4. მსჯელობის თანმიმდევრობა ქმედებათა კომპლექსის მიხედვით	48
5.5. კაზუსის განხილვის თანმიმდევრობა უმართლობასთან ახლოს მდგომი სუბიექტის მიხედვით	49
5.5.1. მსჯელობის თანმიმდევრობა თანაამსრულებლობისა და შუალობითი ამსრულებლობისას	50
5.5.2. მსჯელობის თანმიმდევრობა თანამონაწილეობისას	51
III თავი. პიპოთეზის დაყენების წესი	52
§ 1. პიპოთეზის არსი და სახეები	52
§ 2. პიპოთეზის ჩამოყალიბების ზოგადი მოთხოვნები	56
IV თავი. სუბსუმცია და კვალიფიკაცია.	61
§ 1. სუბსუმციისა და კვალიფიკაციის არსი	61
§ 2. სუბსუმცია და ნორმის გამოყენება კონკრეტულ ცხოვრებისეულ მოვლენაზე	64
§ 3. სუბსუმცია და სამართლებრივი პრობლემები	65
§ 4. სუბსუმციის ეტაპები და დანაშაულის ელემენტებისთვის დამახასიათებელი ცალკეული ნიშნები	67
V თავი. ნორმის განმარტება	76
§ 1. ნორმის განმარტების არსი	76
§ 2. ნორმის განმარტების ხერხები	80
§ 3. ნორმის განმარტების სახეები მოცულობის მიხედვით.	88
§ 4. ნორმის განმარტება და ნორმის ანალოგია	91
II ნაწილი	
I თავი. მოქმედებით ჩადენილი განზრახი დამთავრებული დანაშაული	96
§ 1. ზოგადი დებულებანი	96
§ 2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა	96
§ 3. სუბიექტური შერაცხვა. ქმედების სუბიექტური შემადგენლობისა და ბრალის ნიშნები	101

II თავი. მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი	103
§ 1. ზოგადი დებულებანი	103
§ 2. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი.	103
§ 3. ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი.	106
III თავი. დანაშაულის გამოვლინების ფორმები	108
§ 1. ზოგადი დებულებანი დანაშაულის ამსრულებლობას და დანაშაულში თანამონაწილეობაზე	108
1.1. თანამსრულებლობა და შუალობითი ამსრულებლობა	108
1.2. თანამონაწილეობა დანაშაულში	110
§ 2. მოქმედებით ჩადენილი დაუშთაერებელი დანაშაული	113
§ 3. მოქმედებით ჩადენილი გაუფრთხილებლობითი დანაშაული	116
§ 4. თანმდევი მძიმე შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაული.	120
§ 5. უმოქმედობით ჩადენილი დანაშაული	122
III ნაწილი. კაზუსის ამოხსნის ნიმუშები	
ქმედების შემადგენლობა	129
1-ლი კაზუსი: მიზეზობრიობა, ობიექტური შერაცხვა და განზრახვა. „აღამიანი მხოლოდ ერთხელ კვდება“	129
მე-2 კაზუსი: რეგრესის აკრძალვა. „თავდაპირველი მოქმედების ჩამდენს შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება“	139
მე-3 კაზუსი: „საბედისწერო შეცდომა“	152
მე-4 კაზუსი: დანაშაულზე უშედეგო ხელის აღება. „როცა სიბრალული გვიანია“	157
მე-5 კაზუსი: შეცდომა პიროვნებაში. „მსხვერპლის პიროვნებაში დაშვებული შეცდომა დანაშაულის კვალიფიკაციაზე ზეგავლენას არ ახდენს“.	160
მე-6 კაზუსი: შეცდომა პიროვნებაში. „ზედმეტი მსხვერპლი“	162
მე-7 კაზუსი: მიზნის აცდენა და გაუთვალისწინებელი ობიექტის ხელყოფა. „მიზანს აცდენილი ისარი“.	175
მე-8 კაზუსი: მიზანს აცდენილი ისარი. „სხვისი მისამართით გასროლილი ტყვიით დამდგარი სხვა ადამიანის სიკვდილი არ წარმოადგენს დამთავრებულ განზრახ მკვლევლობას“.	181

მართლწინააღმდეგობა, ბრალი	183
მე-9 კაზუსი: მოჩვენებითი მოგერიება. „მეგობრის შეშინება ტრაგიკულად დასრულდა“	183
მე-10 კაზუსი: საპატიებელი იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა. „იძულებით მდგომარეობაში სამართლებრივი სიკეთის დაზიანება საპატიებელია“	188
მე-11 კაზუსი: სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაული. „სიმთვრალით პასუხისმგებლობას ვერ გაექცევი“	193
მე-12 კაზუსი: დანაშაულის შეუტყობინებლობა და აკრძალვაში შეცდომა. „კანონის არცოდნა, როგორც წესი, პირს არ ათავისუფლებს დანაშაულისგან“	198
დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა	201
მე-13 კაზუსი: ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა და ქმედებაზე ბატონობა შუალობითი ამსრულებლობის დროს. „დანაშაულის ჩადენა „ცოცხალი იარაღის“ გამოყენებითაც შეიძლება“	201
მე-14 კაზუსი: აუცილებელი მოგერიება და თანამონაწილეობა. „მოლაღატე ცოლი“	205
მე-15 კაზუსი: თანაამსრულებლობა. „კრიმინალთა ძალაც ერთობაშია“	220
მე-16 კაზუსი: ქურდობა და დანაშაულის პროვოკაცია. „ქურდი და ქურდის პროვოკატორი ორივე დამნაშავეა“	228
დაუმთავრებელი დანაშაული	239
მე-17 კაზუსი: დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება. „დაზარალებული სიკვდილს გადაურჩა“	239
უმოქმედობა	246
მე-18 კაზუსი: უმოქმედობით ჩადენილი მკვლელობა. „ადამიანი უმოქმედობითაც შეიძლება მოკლა“	246
ნორმათა კონკურენცია	250
მე-19 კაზუსი: უმოქმედობა და შეცდომა გარანტორულ მოვალეობაში. „სასიყვარულო ურთიერთობა პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს“	251

VORWORT

Die juristische Arbeitsmethodik ist seit vielen Jahren ein Schwerpunkt der georgisch-deutschen juristischen Zusammenarbeit, anfangs noch gemeinsam mit den Richterakademien für die Fortbildung von Richtern, später aber auch zunehmend mit den Rechtsexperten der Universitäten für die juristische Ausbildung. In diesem Kontext befasst sich das vorliegende Skript mit dem wichtigsten Handwerkszeug des Juristen, nämlich der Methode der schrittweisen Anwendung abstrakter Normen auf einen konkreten Sachverhalt im Leben. Es ist daher von zentraler Bedeutung für die methodische Ausbildung, aber auch als Grundlage für weitere wichtige Themen wie zum Beispiel die Argumentations- und Begründungstechnik für gerichtliche Entscheidungen, die Relationsmethode, die das richterliche Beweisverfahren vorbereitet, oder die – auch für Studierende besonders wichtige – Normauslegung. All diese speziellen Arbeitstechniken bleiben ohne methodisches Fundament wirkungslos.

Obersatz, Definition, Subsumtion, Ergebnis – seit Jahrzehnten lernen Jurastudierende in Deutschland vom ersten Semester an den sogenannten Gutachtenstil. Das Fachwissen in den einzelnen Rechtsbereichen, sei es Schuldrecht, Strafrecht, Baurecht oder Familienrecht, wird von Beginn an in Klausuren, die aus juristischen Fällen bestehen, abgefragt, so dass eine Lösung der Klausurfälle ohne dieses Handwerkszeug schlicht nicht möglich ist.

An georgischen Hochschulen ist eine einheitliche Methodik zur Lösung juristischer Sachverhalte bislang nicht vorgeschrieben, das Interesse an einem weniger theoretischen, sondern fallorientierten Ansatz ist in den vergangenen Jahren jedoch sehr gewachsen. Wegen der zahlreichen und langjährigen Verbindungen der georgischen Rechtswissenschaft und Rechtslehre zur deutschen Rechtstradition kann die

in Deutschland entwickelte Herangehensweise gewissermaßen als Vorbild oder zumindest als Grundlage einer eigenen Methodik dienen.

Auf Initiative der georgischen Vereinigung junger Juristen starteten GIZ und IRZ im Jahre 2010 ein gemeinsames Projekt, um eine solche Unterrichts- und Falllösungsmethodik für das Jurastudium in Georgien zu entwickeln. Unterstützt durch Professoren und Lehrkräfte der Rechtsfakultät der Universität Bonn erarbeiteten drei Arbeitsgruppen für die Oberbereiche Strafrecht, Zivilrecht und Verwaltungsrecht eine georgische Falllösungsmethodik. Besetzt waren diese Arbeitsgruppen mit georgischen Rechtswissenschaftlern verschiedener renommierter Rechtsfakultäten: Ivane Javakhishvili Staatliche Universität Tiflis, Georgisch-Amerikanische Universität, University of Georgia, Caucasus School of Law sowie Technische Universität Georgien. Dass viele Arbeitsgruppenmitglieder mit der in Deutschland verbreiteten Arbeitsweise bereits vertraut waren, erleichterte diesen Arbeitsprozess erheblich.

Das vorliegende Handbuch stellt diese Methodik im Bereich des Strafrechts vor und demonstriert vor allem deren Anwendung auf juristische Sachverhalte. Das Werk enthält daher zunächst allgemeine Einführungen zu Sinn und Zweck einer solchen Falllösungsmethode und erläutert den systematischen Unterschied zwischen der Abfassung eines Gutachtens im Vergleich zu einem Urteil. Der Schwerpunkt besteht sodann in praktischen Hilfestellungen für die Bearbeitung von juristischen Fällen – etwa in dem es erklärt, wie man am besten einen Sachverhalt herangeht, wie man eine Rechtsnorm anwendet und auslegt oder wie man den Meinungsstreit zu einem juristischen Problem korrekt darstellt und entscheidet. Daneben gibt es Prüfungsraster vor, wie die Drei-Stufen-Prüfung im Strafrecht. Vor allem aber enthält es eine Reihe von Beispielsfällen mit Musterlösungen, die in Lehrveranstaltungen gemeinsam erarbeitet und nachvollzogen werden können. Diese Beispielsfälle waren bereits Gegenstand von intensiven Fallbesprechungen unter den beteiligten Wissenschaftlern und weiteren

Trainern, im Austausch mit deutschen Lehrkräften. Wir hoffen, dass sie Ihnen Freude bereiten. Dankbar nehmen wir Rückmeldungen und Anregungen zur Methode und zu den Falllösungen entgegen.

Dieses Buch ist das Ergebnis eines besonders wichtigen, intensiven und erfreulichen Projekts. Mit Freude und auch ein wenig Stolz legen es die Autorinnen und Autoren sowie die Vereinigung junger Juristen und die beiden im Auftrag der Bundesregierung im georgischen Rechtsreformprozess aktiven deutschen Organisationen GIZ und IRZ vor. Alle Beteiligten hoffen und wünschen sich, dass es an den Universitäten Georgiens umfassende Verwendung findet, dass es eines von vielen zukünftig noch erscheinenden georgischen Falllösungsbüchern wird, und dass sich nach und nach immer mehr Lehrende von der Notwendigkeit einer Falllösungsmethode überzeugen lassen – zugunsten einer lebensnahen und verbesserten Ausbildung junger Juristinnen und Juristen in Georgien.

Dr. Jens Deppe

Teamleiter

GIZ Rechtsprogramm

Frau Teresa Thalhammer

Leiterin des Projektbereichs Südkaukasus

IRZ

წინასიტყვაობა

იურიდიული სამუშაო მეთოდოლოგია წარმოადგენს მრავალი წლის განმავლობაში ქართულ-გერმანული სამართლებრივი თანამშრომლობის ერთ-ერთ ძირითად ასპექტს, რომელიც სანაყის ეტაპზე განიხილებოდა და ისწავლებოდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფარგლებში მოსამართლეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. დროთა განმავლობაში კი მეთოდოლოგიის სწავლების პროცესში ჩაერთვნენ ასევე აკადემიური წრეები. აღნიშნულ კონტექსტში წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს და განიხილავს იურისტებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, კერძოდ, აბსტრაქტული ნორმების კონკრეტულ ფაქტებთან სტრუქტურირებული მისადაგების მეთოდს, რომელსაც ასევე კაზუსის ამოხსნის მეთოდი ეწოდება. განათლებას, რომელიც უზრუნველყოფს მეთოდური მიდგომებისა და უნარ-ჩვევების შესწავლასა და განვითარებას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მეთოდური მიდგომა წარმოადგენს ისეთი მნიშვნელოვანი უნარების საფუძველს, როგორცაა, სასამართლო გადაწყვეტილებების არგუმენტაციისა და დასაბუთების ტექნიკა, რელაციის მეთოდი, პრობლემაზე ორიენტირებული ხედვა და აზროვნება. ამ კუთხით ის უზრუნველყოფს მტკიცებულებების წარდგენის პროცედურის მომზადებას და აგრეთვე გამოიყენება სტუდენტებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ნორმის განმარტებისას. იურიდიული მუშაობის ცალკეული ტექნიკა გამოუსადეგარია მეთოდური მიდგომის გარეშე.

ჰიპოთეზა, დეფინიცია, სუბსუმცია, დასკვნა – ათწლეულების განმავლობაში გერმანიის იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტები პირველი სემესტრიდან მოყოლებული ეუფლებიან ე.წ. დასკვნის სტილს. დარგობრივი ცოდნის გამოკითხვა სამართლის ცალკეულ სფეროებში – ვალდებულებით სამართალში, სისხლის სამართალში, სამშენებლო სამართალსა თუ საოჯახო სამართალში თავიდანვე წე-

რითი გამოცდების მეშვეობით ხორციელდება, რომლებიც მოიცავს იურიდიულ კაზუსებს, ისე რომ, ამ გამოცდებისას კაზუსების ამოხსნა ფაქტიურად შეუძლებელი იქნებოდა აღნიშნული ინსტრუმენტის გარეშე.

საქართველოში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში კაზუსების ამოხსნისთვის არ არის სავალდებულო ერთგვაროვანი მეთოდით ხელმძღვანელობა, თუმცა, ინტერესი უფრო მეტად პრაქტიკულ შემთხვევებზე ორიენტირებული და ნაკლებად თეორიული მიდგომის მიმართ ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო მატულობს. გერმანული სამართლის ტრადიციებთან ქართული სამართლის მეცნიერებისა და სამართალმცოდნეობის მრავალწლიანი კავშირებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გერმანიაში განვითარებული მიდგომების გარკვეულწილად მაგალითად აღება, ან, სულ მცირე, საკუთარი მეთოდოლოგიის შემუშავებისთვის საფუძვლად დადება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინიციატივით GIZ-მა და IRZ-მა 2010 წ. წამოიწყო ერთობლივი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში იურიდიული სწავლებისთვის მსგავსი სასწავლო მეთოდების შემუშავება-დანერგვას. ბონის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორებისა და სხვა აკადემიური პერსონალის დახმარებით სამმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სამი ძირითადი სამართლის სფეროსთვის – სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლისთვის, კაზუსის ამოხსნის ქართული მეთოდოლოგია. ეს სამუშაო ჯგუფები დაკომპლექტებული იყო ქართველი სამართლის სპეციალისტებით, რომლებიც წარმოადგენდნენ სხვადასხვა რენომირებულ სამართლის ფაკულტეტებს შემდეგი უმაღლესი სასწავლებლებიდან: ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი და კავკასიის სამართლი სკოლა. იმ ფაქტმა, რომ სამუშაო ჯგუფების წევრების უმრავლესობა იცნობდა კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიასთან

დაკავშირებით გერმანიაში დამკვიდრებულ მიდგომებს, სამუშაო პროცესი მნიშვნელოვნად შეამსუბუქა.

ამრიგად, წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს კანონის პრაქტიკულ შემთხვევებზე გამოყენებისა და მორგების მეთოდოლოგიას სისხლის სამართალში და ხაზს უსვამს უპირველეს ყოვლისა ამ მეთოდოლოგიის გამოყენებას იურიდიული კაზუსების განხილვისას. დასაწყისში წარმოდგენილია შესავალი კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიის არსსა და მიზანში, ასევე განმარტებები იურიდიულ დასკვნასა და გადაწყვეტილებას შორის არსებული სისტემური განსხვავების შესახებ. ძირითადი აქცენტი დასმულია პრაქტიკულ მითითებებზე იურიდიული კაზუსების დამუშავებისას – რომელშიც ახსნილია, თუ როგორ უნდა მოხდეს საწყის ეტაპზე ფაბულის დამუშავება, როგორ უნდა იქნეს გამოყენებული და განმარტებული სამართლის ნორმა, ან როგორ უნდა მოხდეს იურიდიული პრობლემის ირგვლივ არსებული დაპირისპირების სწორად წარმოდგენა და გადაწყვეტა. ამასთან, მოცემულია საკითხის განხილვის სტრუქტურა და მექანიზმი, როგორიცაა, სამსაფეხურიანი შემოწმება სისხლის სამართალში.

მეორე ნაწილში კი სახელმძღვანელო შეიცავს მთელ რიგ კაზუსებს მაგალითის სახით და მათ ამოხსნებს, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სწავლებისას მოხდეს მათი ერთობლივად განხილვა და გააზრება. აღნიშნული კაზუსები წარმოადგენდა ამ სახელმძღვანელოზე მომუშავე მეცნიერებსა და ტრენერებს შორის ინტენსიური განხილვის საგანს გერმანულ აკადემიურ პერსონალთან აზრთა მუდმივი გაცვლის პირობებში. ვიმედოვნებთ, რომ სიამოვნებას მიიღებთ წიგნით მუშაობისას. მოხარული ვიქნებით, თუ მოვისმენთ გამოხმაურებასა და ინიციატივებს მეთოდოლოგიასა და კაზუსის ამოხსნასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პრაქტიკული სახელმძღვანელო წარმოადგენს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ინტენსიური და სასიამოვნო მუშაობის შედეგს. მას სიხარულითა და ზომიერი სიამაყით წარმოად-

გენენ მასზე მომუშავე ავტორები, ისევე როგორც, იურიდიული-განათლების ხელშეწყობის ფონდი და გერმანიის ფედერალური მთავრობის დაკვეთით საქართველოში სამართლის რეფორმის პროცესში ჩართული ორივე გერმანული ორგანიზაცია GIZ-ი და IRZ-ი. ყველა ამ სახელმძღვანელოს შექმნაში მონაწილე პირი იმედოვნებს და სურვილი აქვს, რომ ის სრულად იქნება გამოყენებული საქართველოს უნივერსიტეტებში და რომ დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტი აკადემიური პერსონალი დარწმუნდება კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიის საჭიროებაში, რაც, თავის მხრივ, ემსახურება საქართველოში ახალგაზრდა იურისტების პრაქტიკაზე ორიენტირებულ და უკეთეს განათლებას.

დოქტ. იენს დეპე
გუნდის ხელმძღვანელი
GIZ-ის სამართლის პროგრამა

ქ-ნი ტერეზა ტალჰამერი
სამხრეთ-კავკასიის სექტორის ხელმძღვანელი
IRZ

I ნაწილი

I თავი. კაზუსის ამოხსნის მეთოდის დანიშნულება და მსჯელობის სტრუქტურირება

§ 1. დასკვნის სტილი კაზუსის დამუშავების დროს

1.1. შესავალი

სამართალმცოდნეობის საუნივერსიტეტო სწავლება, უმეტეს-ნილად, თეორიული საგნების გავლას გულისხმობს, ხოლო პრაქტიკასთან სტუდენტს იშვიათად აქვს შემხებლობა. ზოგჯერ იგი ისე ამთავრებს უნივერსიტეტს, რომ ერთხელაც კი არ არის ნამყოფი სასამართლო სხდომის დარბაზში, სადაც მართლმსაჯულება აღსრულდება. უმაღლეს სასწავლებლებში თეორიულად ისწავლება პროცესის თუ რომელ მხარეს არის სიმართლე, ხოლო პრაქტიკა გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა მოხდეს თეორიულად დასაბუთებული ჭეშმარიტების დადგენის უნარ-ჩვევების გამყარება.

კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა უკვე სტუდენტობის პერიოდიდან უწყობს ხელს ყველა იურისტისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მისი დანიშნულება სისხლის სამართალში კონკრეტული და მიზანმიმართულია. კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა ეფუძნება დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის შესაბამისად წარმართულ ლოგიკურ მსჯელობას.

კაზუსის ამოხსნის მეთოდიკის მიხედვით კონკრეტული შემთხვევების ინტენსიური დამუშავება სტუდენტს იცავს ზედაპირულობისგან, ხშირად გაცემული პასუხის დაუსაბუთებლობისა და წინასწარ ჩამოყალიბებული საკუთარი არასწორი იდეების ზეგავლენით გამოწვეული ცდუნებისგან.

1.2. დასკვნის სტილი და განაჩენის სტილი

დიდაქტიკური თვალსაზრისით, ვიდრე კაზუსის ამოხსნის ძირითად მოთხოვნების შევსებით, სტუდენტისთვის განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია თავიდანვე იცოდეს თუ რა მსგავსება და განსხვავებაა განაჩენის სტილსა (რომელსაც სასამართლო მიმართავს კონკრეტული შემთხვევის სამართლებრივი შეფასებისას) და დასკვნის სტილს (რომელსაც სტუდენტი იყენებს კონკრეტული შემთხვევის სამართლებრივი შეფასებისას) შორის.

მსგავსება:

I. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, „სასამართლოს განაჩენი შეიძლება იყოს გამამტყუნებელი ან გამამართლებელი,“ ხოლო მეორე ნაწილის მიხედვით, „სასამართლოს განაჩენი შეიძლება ბრალდების ზოგ ეპიზოდში გამამტყუნებელი იყოს, ხოლო ბრალდების სხვა ეპიზოდში – გამამართლებელი.“

სტუდენტისთვის შეთავაზებული კაზუსის დასკვნის სტილით ამოხსნისას, დასკვნა შეიძლება იყოს დასჯადობაზე, როგორც დადებითი (გამამტყუნებელი), ისე უარყოფითი (გამამართლებელი). თუკი კაზუსში რამდენიმე ქმედებაა შესაფასებელი, განაჩენის მსგავსად, საბოლოო დასკვნაში შეიძლება მივიღოთ შერეული ტიპის ანუ დასჯადობაზე დადებითი (ანუ გამამტყუნებელი) და უარყოფითი (გამამართლებელი) პასუხი.

II. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „არ შეიძლება გამამტყუნებელ განაჩენს საფუძვლად დაედოს ვარაუდი,“ ხოლო სსკ-ის 270-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით „გამამართლებელი განაჩენი არ უნდა შეიცავდეს გამართლებულის უდანაშაულობის გამომრიცხავ ან მისი სახელის გამტყვ ფორმულირებებს.“ როგორც ვხედავთ, განაჩენში ბრალდებულის გამტყუნების ან გამართლების შესახებ დასკვნა კატეგორიული ბუნებისაა და არანაირ ვარაუდს არ შეიცავს. ასევეა დასკვნის სტილით კაზუსის ამოხსნის ბოლოს წარმოდგენილ დასკვნაში მოცემული წინადადების ფორმაც, ესე იგი აკრძალულია დასკვნაში გადმოცემული პასუხი მტკიცებით ფორმას არ ატარებდეს.

III. გარკვეული მსგავსებაა როგორც გამამტყუნებელი, ისე გამამართლებელი განაჩენის აღწერის საფუძველზე-სამოტივაციო ნაწილსა და კაზუსის ამოხსნისას ჰიპოთეზის შემდეგ დასკვნამდე წარმოებულ მსჯელობას შორის, რადგან ორივეგან წარმოდგენილია ჩადენილი დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებების აღწერა, რაც ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციას ედება საფუძველად.

IV. კაზუსის ამოხსნის დროს, დასკვნის ავტორი შეიძლება სწორედ შემდეგამდე მივიდეს არასწორი დასაბუთების გზით. ასეთ შემთხვევაში მის მიერ შედგენილი დასკვნა ჩაითვლება არასწორად. ასევე განაჩენის დროსაც, რომელიც განსხვავებულია დასკვნის სტილისგან. განაჩენი უნდა იყოს არა მარტო კანონიერი, არამედ სწორად დასაბუთებულიც. ასე, მაგალითად, თუ დასკვნის ავტორი მოჩვენებითი მოგერიების დროს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას დაასაბუთებს იმით, რომ მისი მოქმედება უნდა ჩაითვალოს აუცილებელ მოგერიებად (სსკ-ის 28-ე მუხლი), მის მიერ კაზუსის ამოხსნა ჩაითვლება დაუსაბუთებლად, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო ჯამში მის მიერ გაკეთებული დასკვნა იმის შესახებ, რომ პირს არ უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, შეიძლება სწორი იყოს. ამ შემთხვევაში, დასკვნის ავტორს მოეთხოვება არა მარტო ის, რომ სწორი პასუხი გასცეს კაზუსში დასმულ შეკითხვას, არამედ სწორად დაასაბუთოს იგი. არგუმენტი იმის შესახებ, რომ პირს მოჩვენებითი მოგერიების დროს, კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე, არ შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ მასზე განხორციელებული თავდასხმა არ იყო მართლსაწინააღმდეგო (რეალური), ობიექტურად საშიში, არამედ მიზნად ისახავდა მხოლოდ მის შეშინებას, არ შეიძლება ჩაითვალოს დასაბუთებულად ქმედების, აუცილებელი მოგერიების, მდგომარეობად შესაფასებლად. სწორი დასაბუთება იქნება ის, რომ ასეთი ქმედება ჩაითვალოს მართლსაწინააღმდეგოდ, მაგრამ ბრალი გამოირიცხოს, ხოლო დადგება თუ არა გაუფრთხილებლობისთვის პასუხისმგებლობა, იმის მიხედვით უნდა გადაწყდეს, თუ რამ-

დენად იყო შესაძლებელი დაშვებული შეცდომის თავიდან აცილება. ამდენად, ასეთ შემთხვევაში დასკვნის ავტორმა ბრალის ეტაპზე დასაბუთებათა მთელ არგუმენტაციას უნდა მოუხმოს, ხოლო მართლწინააღმდეგობის გამორიცხვის თაობაზე გაკეთებული მთელი არგუმენტაცია იქნება ფუჭი და არასწორი.

განსხვავება:

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, „განაჩენი შედგება შესავალი, აღწერილობით-სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისგან.“ განაჩენში მოსამართლის მიერ თავიდანვე ავტორიტარულად არის გადმოცემული შედეგი, ვერცერთ ნაწილში ვერ ვნახავთ ვარაუდის დონეზე წარმართულ მსჯელობას. შესაბამისად, განაჩენის სტილი ყოველთვის მტკიცებითია.

განაჩენისგან განსხვავებით, დასკვნაში ავტორი თავიდანვე ცდილობს მკითხველი დაარწმუნოს საკუთარი პოზიციის სისწორეში სხვადასხვა შეხედულებებზე დაყრდნობით წარმართული მსჯელობის საფუძველზე.

დასკვნის სტილი ყოველთვის გულისხმობს საკითხის დასმას, საკუთრივ დასმული კითხვის შემონიშნებას და დასკვნის გაკეთებას. მხოლოდ დასკვნაშია მოცემული მტკიცებითი ფორმის წინადადება.

სისხლის სამართალში კაზუსის ამოხსნის გზით კოლოქვიუმისა თუ საშინაო დავალების შესრულება უნდა მოხდეს დასკვნის შედგენის ფორმით. დასკვნაში განხილული უნდა იყოს კაზუსში მოცემული ფაბულისთვის მნიშვნელოვანი ყველა სამართლებრივი პრობლემა. დასკვნამ მის მკითხველს უნდა მისცეს შესაძლებლობა, სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნას მოცემული საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე, სისხლისსამართლებრივ პრობლემებსა და ამოხსნის ვარიანტებზე, ისე რომ მას არ დასჭირდეს დამატებითი საშუალებების გამოყენება. დასკვნა მეთოდურად ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ ის იძლეოდეს სრულყოფილ სურათს ამოხს-

ნის სხვადასხვა ვარიანტზე და უნდა ასაბუთებდეს ამოხსნის იმ ვარიანტის უპირატესობას და კანონთან შესაბამისობას, რომელსაც დასკვნის ავტორი დაეყრდნო. მაგალითად, როდესაც კაზუსი ეხება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ფაქტობრივ გარემოებაში შეცდომას, კერძოდ, ე. წ. მოჩვენებით მოგერიებას, კაზუსის დამუშავებისას ამომხსნელს შეუძლია ყურადღება გაამახვილოს სხვადასხვა თეორიებზე: ჯერ იგი ეხება ე. წ. განზრახვის თეორიას, შემდეგ ე. წ. ბრალის თანმიმდევრულ თეორიას, ხოლო ბოლოს ეხება ე. წ. ბრალის შეზღუდულ თეორიას. ის საბოლოოდ თავის პოზიციას აყალიბებს იმ თეორიის მიხედვით, რომელიც უფრო მიესადაგება სისხლის სამართლის კანონმდებლობას.

§ 2. კაზუსის ფაბულა და შეკითხვის არსი

კაზუსის ამოხსნისას სტუდენტს, ბუნებრივია, მიცემული აქვს ფაქტობრივი გარემოებებით გაჯერებული კონკრეტული შემთხვევის ფაბულა და მან სისხლის სამართალში ძირითადად უნდა უპასუხოს კითხვაზე, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ბრალდებულის დასჯადობის საკითხი. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა სათანადო სამართლებრივი ცოდნის მომარჯვება. მაგალითად, *aberratio ictus*-ის დროს საჭიროა ამ საკითხთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობის წარმოჩენა, მაგრამ ეს ცოდნა არ არის შედეგის მომტანი, თუ საქმის ფაბულაში სიტუაცია სწორად ვერ იქნება ამოცნობილი ან სხვა მსგავს შემთხვევებთან (მაგალითად, *error in persona*) იქნება არეული. იმის მოთხოვნა, რომ სამართლებრივი ცოდნა გამოყენებულ იქნას კონკრეტული ფაქტობრივი საქმის გარემოების მიმართ, წარმოადგენს თეორიის პრაქტიკასთან პირველი კავშირების გაბმის მცდელობას.

სისხლის სამართლის შესწავლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება ის არის, რომ სტუდენტმა დაგროვილი ცოდნით შეძლოს ამოხსნას და დაასაბუთოს კონკრეტული კაზუსი სამართლებრივი დასკვნის ფორმით.

კაზუსის ამოხსნის დროს თავდაპირველად უნდა მოხდეს ტექსტის რამდენჯერმე ყურადღებით წაკითხვა და ძირითადი და მეორეხარისხოვანი საკითხების ურთიერთგამიჯვნა. ფაქტობრივი გარემოებები მიღებული უნდა იქნას როგორც დადგენილი, პროცესუალურსამართლებრივი პრობლემების დაყენების გარეშე. მატერიალურ სისხლის სამართალში არ არის მნიშვნელოვანი, თუ რა მტკიცებულებებით დასტურდება დანაშაულის ჩადენის ფაქტი. ასევე კაზუსის ამოხსნისა და დამუშავების დროს არ შეიძლება მისი შინაარსის შეცვლა. თუ კაზუსში არ არის დაკონკრეტებული ესა თუ ის გარემოება, იგულისხმება, რომ სახეზეა „ნორმალური“ შემთხვევა. მაგალითად, თუ მითითებული არ არის პირის ასაკი ან ყურადღება არ არის გამახვილებული მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე, იგულისხმება, რომ ქმედების ჩადენის დროს ის იყო სრულწლოვანი და ფსიქიკურად ჯანმრთელი. ფაბულის ბუნდოვანების დროს უნდა ვივარაუდოთ, რომ სახეზეა „ნორმალური“ შემთხვევა, რადგან ატიპური მომენტები ფაბულაში ნათლად უნდა იყოს მითითებული.

ხშირად კაზუსში მითითებულია ისეთ გარემოებებზე, რომელთაც განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭებათ კაზუსის ამოხსნისა და დასაბუთების დროს, მაგრამ კაზუსის ავტორი ფიქრობს, რომ ამ გარემოებაზე განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით „დააბნიოს," შეამოწმოს არამყარი ცოდნის მქონე სტუდენტი. მაგალითად, ხშირად შეიძლება ასაკზე, მოქალაქეობაზე, დანაშაულის ჩადენის ადგილზე მითითებას არ ჰქონდეს არავითარი გადამწყვეტი მნიშვნელობა კონკრეტულ შემთხვევაში კაზუსის ამოხსნის დროს, მაგრამ მაინც მითითებული იყოს ფაბულაში. პირიქით, ზოგჯერ შეიძლება ამა თუ იმ კონკრეტულ სიტყვას ან წინადადებას ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა კაზუსის ამოხსნისა და სწორი დასკვნის ჩამოყალიბებისთვის. მაგალითად, 17 წლის ჩიბურდანიძემ დაამყარა ნებაყოფლობითი სქესობრივი კავშირი 16 წლის ასაკს მიუღწეველ გოგონასთან. ამ შემთხვევაში სსკ-ის 140-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის გადამწყვეტია დამნაშავის ასაკი (მისი

სრულწლოვანება). ამიტომ კაზუსის ამოხსნისა და დასაბუთების დროს ერთ-ერთი ფუძემდებლური მოთხოვნაა არა მარტო ფაბულის გულდასმით და დეტალურად შესწავლა, არამედ ასევე კანონის გულდასმით გადაკითხვა, მიუხედავად იმისა, რომ მკითხველმა შეიძლება ზედმინევნით კარგად იცოდეს კანონი. სწორედ ამიტომ, წერიტი გამოცდისას, როცა სტუდენტი ამზადებს წერილობით დასკვნას კაზუსის ამოხსნის მეთოდის გამოყენებით, შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს კოდექსი. უფრო მეტიც, მას ევალება ჰქონდეს კანონის აქტუალური ანუ მოქმედი ვერსია. თუ სტუდენტი შეცდომას დაუშვებს იმის გამო, რომ მან არ გამოიყენა კანონის აქტუალური ვერსია, ეს შეცდომა მას არ ეთვლება საპატიოდ.

სისხლისსამართლებრივი კაზუსის ნაკითხვისას ყოველთვის ჩნდება დაუკმაყოფილებლობის გრძნობა სამართლებრივი მნიშვნელოვანი ამა თუ იმ გარემოების მიმართ. იგი შეიძლება ეხებოდეს განხორციელებული ქმედების ობიექტურ ან სუბიექტურ ნიშნებს, ქმედების მართლზომიერების ნიშნებს და ა. შ. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემია განზრახვასთან, მოქმედი პირის ქცევის მოტივსა და მიზანთან მიმართებით. როგორც წესი, კაზუსში პირდაპირ არ არის საუბარი სუბიექტურ ელემენტებზე, თუმცა მათი გამოცნობა შესაძლებელია კაზუსში აღწერილი გარემოებების დეტალური შესწავლით. ამისთვის საჭიროა ყურადღება მივაქციოთ დანაშაულის ჩადენამდე პირის სამოქმედო გეგმას, დანაშაულის ჩადენის დროს, ადგილს, დანაშაულის განხორციელების მომენტში გამოყენებულ იარაღს და დანაშაულის შემდგომ ქცევას და ა. შ.

კაზუსში მოცემული ქმედებები სრულყოფილი სამართლებრივი ანალიზისთვის უნდა დაიშალოს ცალკეულ მოქმედებებად, თუ ამის შესაძლებლობა არსებობს. თუ ბუნებრივად გაგებულ რამდენიმე ქმედება იურიდიული გაგებით ერთ მთლიან ქმედებას ქმნის, მაშინ ქმედებათა ცალ-ცალკე განხილვა არაა რეკომენდებული. მაგალითად, თუ განხორციელებულია ქურდობა ბინაში უკანონო შეღწევით, ბინაში შეღწევასა და ქურდობას შორის ზღვარი არ უნდა გაივლოს.

მატერიალურ სისხლის სამართალში შედგენილი კაზუსის თან-მხლები შეკითხვა ძირითადად მონაწილე პირთა დასჯადობის სა-კითხს ეხება. მაგალითად, დაისჯება თუ არა ბ.? როგორ შეფასდება ა-ს და ბ-ს მოქმედება სისხლისსამართლებრივად? შეაფასეთ სისხ-ლისსამართლებრივად მონაწილე პირთა ქმედებები; მართებულია თუ არა სასამართლოს გადანყევტილება? (იგულისხმება კაზუსში მოცემული სასამართლოს მიერ პირის ქმედების კვალიფიკაციის სისწორე) და ა. შ.

დასმული კითხვები, თავისი მოცულობის მიხედვით, შეიძლე-ბა კაზუსში მოცემული სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი ქმედებების ამომწურავი ანუ სრული შეფასების ან არასრული შე-ფასების შესაძლებლობას იძლეოდეს. შეკითხვის მოცულობის შეზ-ღუდვა შეიძლება განისაზღვროს:

1. მონაწილე პირთა წრის შეზღუდვით. მაგალითად, კაზუსში ერთ-ზე მეტი მონაწილე პირია, თუმცა შეკითხვა მხოლოდ ერთ-ერთი პირის დასჯადობის საკითხის განსაზღვრას ეხება.
2. განხორციელებულ ქმედებათა წრის შეზღუდვით. შესაძლებე-ლია, კაზუსში რამდენიმე დანაშაულებრივ ქმედებას ჰქონდეს ადგილი, თუმცა შეკითხვა მხოლოდ რომელიმე ქმედებას ეხებო-დეს. მაგალითად, ჩადენილია იარაღის უკანონო დაუფლება, ყა-ჩაღობა და მკვლელობა, ხოლო შეკითხვა მხოლოდ მკვლელობის სამართლებრივ შეფასებას მოითხოვს.
3. განზრახ განხორციელებული ქმედების სტადიის შეზღუდვით. მაგალითად, შესაძლებელია, სასიკვდილო შედეგი სახეზეა, მაგ-რამ ვერ ხდება შედეგის ობიექტური შერაცხვა და კვალიფიკა-ცია მკვლელობის მცდელობად შეფასებას მოითხოვს, თუმცა შეკითხვა დასმულია მხოლოდ განზრახ დამთავრებული მკვლე-ლობის არსებობის შემოწმებაზე.

დასმული შეკითხვის მოცულობის განვრცობა ან შეზღუდვა დაუშვებელია. მსჯელობა უნდა წარიმართოს მხოლოდ დასმული შეკითხვის ფარგლებში. დასმულ შეკითხვასა და საბოლოოდ დად-

გენილ დასკვნას ანუ დადგენილ კვალიფიკაციას შორის განუყოფელი კავშირი უნდა არსებობდეს. საბოლოო დასკვნაში მოცემული პასუხი შეკითხვის ფარგლებს არ უნდა გასცდეს. იგი ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს შეკითხვას.

დასასრულ, მიცემულ დავალებაში წარმართული კაზუსის განხილვის ეტაპები ერთმანეთთან საფეხურებრივ დამოკიდებულებაშია. ერთი ეტაპის არასწორად გადალახვა გავლენას ახდენს შემდგომ ეტაპებზეც. ეს ეტაპები ასე წარმოჩინდება:

- კაზუსის გააზრება;
- შეკითხვის გააზრება;
- ჰიპოთეზის შედგენა;
- უშუალოდ მსჯელობის წარმართვა (სუბსუმციის ეტაპი);
- საბოლოო დასკვნის შედგენა (კვალიფიკაციის ეტაპი).

ვინაიდან ამ ეტაპებს შორის განუყოფელი საფეხურებრივი დამოკიდებულება არსებობს, თითოეული ეტაპის მართებულად გადალახვა სწორი კვალიფიკაციის საწინდარია. მაგალითად, შეკითხვის არასწორი გააზრება, ჰიპოთეზის მცდარად შედგენის საფუძველი ხდება, რაც მთელ დანარჩენ საქმიანობაზეც ახდენს გავლენას.

§ 3. კაზუსის ამოხსნის დროს გასათვალისწინებელი საკითხები

3.1 შესავალი

კაზუსის ამოხსნის დროს სტუდენტი მეთოდოლოგიურად უნდა გამოვიდეს იმ მოსაზრებიდან, რომ მხოლოდ კანონის ცოდნა არ არის საკმარისი კაზუსის ამოსახსნელად. ავტორი შორს უნდა იყოს იმ აზრისგან, რომ სამართალი შედგება (ან უნდა შედგებოდეს!) მხოლოდ კანონის მუხლებისგან და ყველა სამართლებრივ კითხვაზე პასუხი შეიძლება ამოიკითხო (ან უნდა იკითხებოდეს!) მხოლოდ კანონში. კაზუსის ამოხსნას უნდა მივუდგეთ იმ პოზიციიდან, რომ სისხლის სამართალში შემთხვევის ამოხსნა და დასაბუთება, მართა-

ლია, უნდა ეფუძნებოდეს პოზიტიურ სამართალს, მაგრამ გადამწყვეტია ნორმის გონივრული განმარტება და მისი მისადაგება კონკრეტულ შემთხვევაზე.

სისხლის სამართალში კაზუსის ამოხსნის დროს ავტორმა, კანონის გამოყენებასთან ერთად, უნდა გამოიყენოს ნორმის ინტერპრეტაცია. იქ, სადაც კანონი საკითხს ზუსტად არ არეგულირებს, უნდა შეეძლოს კანონისა და სამართლის ანალოგიის პრინციპის გამოყენება. როგორც მატერიალურ, ასევე საპროცესო სისხლის სამართალში გამოიყენება ანალოგია ბრალდებულის სასარგებლოდ. სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში, განსაკუთრებით სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის დაკისრებისა და მისგან გათავისუფლების საფუძვლების გამოყენების დროს, ავტორმა უნდა გამოიყენოს სამოსამართლო სამართლის საფუძვლები. მაგალითად, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი ამომწურავად არ იძლევა მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ გარემოებათა კატალოგს. კაზუსის ამოხსნის დროს ავტორმა უნდა შეეძლოს მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველ ზეკანონურ გარემოებათა გამოყენება.

კაზუსის ამოხსნის მეთოდის შესაძლებლობას იძლევა, რომ სტუდენტმა აითვისოს სისტემური აზროვნება, განსაკუთრებით დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემა. დანაშაულის სისტემის ცოდნა სტუდენტს ეხმარება კონკრეტული შემთხვევის ამოხსნა-დამუშავებაში. მას ეძლევა შესაძლებლობა, კონკრეტულ შემთხვევას პასუხი გასცეს არა ინტუიციით, არამედ ცოდნით – რომელ პრობლემას რა ადგილი მიუჩინოს დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაში. ამით მას აქვს ფორმულა, რომლითაც შეუძლია ნებისმიერ კონკრეტულ შემთხვევას ადვილად მოუძებნოს გასაღები და დასაბუთებულად გასცეს პასუხი მის წინაშე დასმულ კითხვებს.

მაშასადამე, სწავლების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოვიყენოთ ინდუქციური მეთოდი. ეს იმას ნიშნავს, რომ შემთხვევები (კაზუსები) უნდა დამუშავდეს და შესწავლილი იქნას მათი

სწორი ახსნა, ე. ი. მოხდეს სისხლის სამართლის ე. წ. ინდუქციური ანალიზი. ამ მეთოდს აქვს ის უპირატესობა, რომ შეუძლია განსაკუთრებული თვალსაჩინოებით წარმოაჩინოს პრობლემატიკა და შეიმუშავოს შემთხვევის ამოხსნის გონივრული ტექნიკა. იგი საკითხის მარტივად ასათვისებლად კარგ დიდაქტიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რაც განსაკუთრებით სჭირდება სისხლის სამართლის შემსწავლელ სტუდენტს. შემთხვევის დამუშავების მეთოდი უაღრესად აუცილებელია სისხლის სამართლის ზოგადი და კერძო ნაწილების შესასწავლად, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამის შედგენისას. თუმცა, უფრო გვიანი იურიდიული პრაქტიკაც კონკრეტული შემთხვევის ამოხსნას წარმოადგენს. შესაბამისად, ძნელია იურისტმა სწორად გადანყვიტოს კონკრეტული პრაქტიკული შემთხვევა, თუ იგი კარგად არ შეისწავლის სისხლისსამართლებრივი კაზუსის სუბსუმციის ტექნიკას და წერიტი გამოცდის თუ საშინაო დავალების სახით არ ამოხსნის კონკრეტულ შემთხვევას.

სისხლის სამართლის სასწავლო კურსის გავლის დროს სტუდენტმა უნდა ისწავლოს სისტემური აზროვნება, რაც მას გაუადვილებს ქმედების სამართლებრივ შეფასებას შემდეგი ლოგიკური თანმიმდევრობით:

- I. ქმედების შემადგენლობა;
- II. მართლწინააღმდეგობა;
- III. ბრალი.

კონკრეტული შემთხვევის ამოხსნის ტექნიკის დაუფლების გარდა, სტუდენტმა უნდა მიიღოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ცნებებისა და ინსტიტუტების კარგი თეორიული ცოდნა. მაშასადამე, საქმე ეხება სისხლის სამართლის დოგმატიკის შესწავლას. იგი ემსახურება მაღალკვალიფიციურ იურისტად ჩამოყალიბებას. მაგალითად, კაზუსის ამოხსნისა და დასაბუთების დროს პირმა არ უნდა დაუშვას შეცდომა და ბრალის არსებობის შემოწმებისა და დადგენის საკითხი ქმედების მართლწინააღმდეგობის შემოწმების

სა და დადგენის წინ არ უნდა დააყენოს, რადგან ამგვარი მიდგომა მიუთითებს დანაშაულის სისტემის პრაქტიკული დანიშნულების არასრულყოფილ ცოდნაზე.

დანაშაულის სისტემისა და მისი ცალკეული ელემენტების საფუძვლიანი ცოდნა შესაძლებლობას იძლევა, თითოეული პრობლემა პრაქტიკაში, რაზედაც ორიენტირებულია მთელი საუნივერსიტეტო იურიდიული განათლება, ლოგიკურად თანმიმდევრულად და შინაარსობრივად სწორად იქნას ამოხსნილი.

სისხლის სამართლის მასალის ინდუქციური მეთოდის გამოყენებით შესწავლა სტუდენტს და შემდგომ პრაქტიკოს იურისტს დაეხმარება სისტემური ცოდნიდან დედუქციური დასკვნების გაკეთებაში.

კაზუსის ამოხსნის პროცესში, შეძლებისდაგვარად, გამოყენებული უნდა იქნას სასამართლო პრაქტიკა. სასამართლო გადაწყვეტილებების ანალიზი სტუდენტს დაეხმარება პრაქტიკული უნარჩვევების გამომუშავებაში და შესაძლებლობას მისცემს სასწავლო დანესებულებაში მიღებული ცოდნა გამოიყენოს მომავალ საქმიანობაში. სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნა-განათლებისა და უნარ-ჩვევების შემონახვა წერიტი ნაშრომის (კოლოქვიუმისა) და საშინაო დავალების ფორმით, კაზუსის (შემთხვევის) ამოხსნისა და დასაბუთების მეთოდის გამოყენებით, იურიდიული განათლების პროცესში აპრობირებული მეთოდია მსოფლიოს მრავალ წამყვან უნივერსიტეტში. იგი არც ქართული იურიდიული განათლებისთვის არის უცხო და მიუღებელი, რის გამოც, ბოლო წლებში უკვე გამოიყენება სისხლის სამართლის სასწავლო კურსის შესწავლისა და მიღებული ცოდნის შემონახვისას.

3.2. კაზუსის ამოხსნის ზოგადი მოთხოვნები

კაზუსის ამოხსნა მატერიალურ სისხლის სამართალში, ისევე როგორც სამართლის სხვა დარგში, ითვალისწინებს გარკვეული მოთხოვნების დაცვას, რომელიც სხვადასხვა ხასიათისაა. აღნიშნული მოთხოვნების ცოდნა გაუადვილებს კაზუსის ამომხსნელს

ყურადღება გაამახვილოს კაზუსის დასამუშავებლად აუცილებელ გარემოებებზე, რაც მას კაზუსის ამოხსნის სავალდებულო უნარჩვევებს განუფითარებს. კაზუსის ამოსახსნელად არსებული მოთხოვნებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

1. კაზუსის ამომხსნელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს გამოსაყენებელი კანონის მოქმედი, აქტუალური ვერსია. ბუნებრივია, მას ეკრძალება გამოიყენოს ძალადაკარგული ნორმა. ამ მოთხოვნის შესასრულებლად მან თვალყური უნდა ადევნოს ქვეყანაში მიმდინარე საკანონმდებლო პროცესს.
2. კაზუსი უნდა წავიკითხოთ რამდენიმეჯერ, რაც აუცილებელია კაზუსში მოცემული ფაქტობრივი მონაცემების კარგად შესწავლისთვის.
3. კაზუსის ამოსახსნელად აუცილებელია, ამომხსნელს ჰქონდეს კარგი თეორიული მომზადება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ გაართმევს თავს სუბსუმციისა და კვალიფიკაციის პრობლემატურ საკითხებს.
4. დაუშვებელია კაზუსის ფაბულის შინაარსის შეცვლა საკუთარი ვერსიებით. კაზუსი ისე უნდა გავიგოთ, როგორც არის გადმოცემული. არ შეიძლება კაზუსის განვრცობა ან შევიწროება.
5. ფაქტობრივი მონაცემებიდან უნდა გამოვარჩიოთ სამართლებრივად მნიშვნელოვანი საკითხები. ნორმისგან განსხვავებით, სადაც ფაქტობრივი მონაცემები აბსტრაქტულად, განზოგადებული ნიშნებითაა მოცემული, კაზუსში სამართლებრივად საინტერესო კონკრეტული ფაქტები მოცემულია სხვა, სამართლებრივად უმნიშვნელო ფაქტებთან ერთად, წმინდა ცხოვრებისეული სიუჟეტის აღწერით. ზოგიერთ ფაქტს, შეიძლება კრიმინალისტიკური კუთხით, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდეს, მაგრამ ქმედების კვალიფიკაციის დროს არანაირი დანიშნულება არ ჰქონდეს. მაგალითად, კაზუსში მოცემულია, რომ პირი, რომელიც შავი ფერის ავტომობილს მართავდა, ფეხით მოსიარულეს დაეჯახა და ამის შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ავ-

ტომობილის ფერს არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია მძღოლის ქმედების კვალიფიკაციისთვის, თუმცა გამოძიებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა.

კაზუსის ამოხსნისას აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები იმის გასარჩევად, თუ რომელი ფაქტია სამართლებრივად მნიშვნელოვანი და რომელი არა, არ არსებობს. კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, ესა თუ ის ფაქტი შეიძლება არ იყოს მნიშვნელოვანი, მაგრამ სხვა კაზუსში სანინაალმდეგო მნიშვნელობა შეიძინოს. მაგალითად, არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია კვალიფიკაციისთვის დოკუმენტს მთვრალი (იგულისხმება ისეთი სიმთვრალე, რომელიც ფსიქიკურ შერაცხადობას არ იწვევს) ადამიანი გააყალბებს თუ ფხიზელი, მაგრამ ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევისას (სსკ-ის 276-ე მუხლი) დამამძიმებელ გარემოებად გვევლინება.

6. კაზუსში გადმოცემული ფაქტობრივი მონაცემების მიმართ არ უნდა იქნას დაშვებული ეჭვი პროცესუალურ-სამართლებრივად დადასტურებულობის თვალსაზრისით. მატერიალურ სისხლის სამართალში შედგენილი კაზუსის ამოხსნისას, კაზუსის ამომხსნელმა უნდა ირწმუნოს, რომ რაც კაზუსშია გადმოცემული დავას არ იწვევს პროცესუალური კუთხით.

მაგალითი: სამმა შეიარაღებულმა ახალგაზრდამ ერთდროულად ესროლა მინდორში მიმავალ კაცს. სამი ტყვიიდან ერთ-ერთი მოხვდა კაცს, თუმცა გამოძიებით ვერ დადგინდა, უშუალოდ ვისი ნასროლი ტყვია მოხვდა მსხვერპლს.

კითხვა: დააკვალიფიცირეთ ახალგაზრდების მოქმედებები.

კაზუსის ამომხსნელის მხრიდან შეცდომა იქნება, თუ იგი დაიწყებს მსჯელობას ტყვიის კუთვნილების დადგენის შეუძლებლობის აბსურდულობის თაობაზე, დღევანდელი ტექნიკური საშუალებების განვითარების მაღალი დონიდან გამომდინარე.

7. კაზუსის ამოხსნისას ყურადღება უნდა გამახვილდეს მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე. კაზუსის ამოხსნა დიდ დროს, ენერგიას და განათლებას მოითხოვს. რასაკვირველია, მათი ხარისხი და რაოდენობა კაზუსის სირთულეზეა დამოკიდებული. ამოხსნილი კაზუსის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ის ფაქტიც, თუ რამდენად კარგად დაინახა ამომხსნელმა კაზუსში გადმოცემული სამართლებრივად მნიშვნელოვანი საკითხები და რამდენად გაამახვილა ყურადღება აღნიშნული პრობლემის დამუშავებაზე. თუ კაზუსის ამოხსნისას ისეთ საკითხებზეა სიღრმისეული კვლევა გადმოცემული, რომელიც სირთულეს არ წარმოადგენს, ეს შეცდომად უნდა ჩაითვალოს, თუნდაც საკითხი სწორად იყოს განხილული. მაგალითად, თუ კაზუსში, მიზეზობრიობა და შედეგის ობიექტური შერაცხვა ეჭვს არ იწვევს, გაუმართლებელია ამ საკითხებზე დეტალური კვლევის განხორციელება. მსგავს სიტუაციებში ელემენტარულად დადასტურების დონეზე უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის ესა თუ ის ელემენტი თუ ნიშანი სახეზეა.
8. კაზუსის გაცნობის შემდეგ კარგად უნდა დაუკვირდეთ შეკითხვის არსს და ამის შესაბამისად უნდა შევარჩიოთ ჰიპოთეზა. ხშირია სტუდენტთა „ცდუნება“ ზუსტად არ უპასუხონ შეკითხვას და კვალიფიკაციისთვის აირჩიონ მოკლე გზა. საბოლოო დასკვნაში დანერილი მათი პასუხი, კვალიფიკაციის თვალსაზრისით, შესაძლებელია, ზოგადად სწორი იყოს (ჩადენილია განზრახ მკვლელობა), მაგრამ ზუსტად არ პასუხობდეს შეკითხვას (ჩადენილია წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობა).
9. ჰიპოთეზაში ვარაუდი ყოველთვის უნდა დავაყენოთ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კონკრეტული ქმედების შემადგენლობის შესახებ, თუნდაც მაშინ, როდესაც აშკარაა, რომ ადგილი აქვს მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველ გარემოებას ან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას.

მაგალითი: ა-მ საშუალება არ მისცა გ-ს გაქცეულიყო, რომელმაც ყაჩაღური თავდასხმა განახორციელა. გ-მ სცადა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მის მიმართ. თუმცა, ა-მ დაასწრო მას და ადგილზე მოკლა.

კითხვა: დაისჯება თუ არა ა.?

აღნიშნულ კაზუსში ადგილი აქვს აუცილებელ მოგერიებას, თუმცა შეცდომა იქნება, თუ ჰიპოთეზას აუცილებელი მოგერიების შესახებ დეაყენებთ, რადგან ქმედების მართლწინააღმდეგობაზე გადასვლა შეუძლებელია, თუ ჯერ არ დადგინდა ქმედების შემადგენლობის არსებობა.

10. დასკვნაში პასუხი უნდა ხსნიდეს ჰიპოთეზაში გადმოცემულ პრობლემას. თუ ჰიპოთეზა დაყენებულია, მაგალითად, ქურდობის შესახებ, არ შეიძლება იმავე ჰიპოთეზისთვის განკუთვნილ დასკვნაში დავენეროთ, რომ ადგილი ჰქონდა არა ქურდობას, არამედ ძარცვას. ასეთ ვითარებაში კაზუსის ამოხსნა ქურდობისთვის დასჯადობის არსებობაზე უარყოფითი დასკვნით უნდა დამთავრდეს, ხოლო ახალი ჰიპოთეზის წამოყენებით უნდა წარმართოს მსჯელობა ძარცვის არსებობის შესახებ, რომელიც შეიძლება ასევე დამთავრდეს დადებითი ან უარყოფითი შედეგით.
11. დასკვნაში პასუხი უნდა იყოს კატეგორიული: დადასტურების ან უარყოფის ფორმით. დასკვნაში არ დაიშვება ისეთი სიტყვების გამოყენება, რომელიც არ მიუთითებს აზრის კატეგორიულობაზე. მაგალითად, „ჩემი აზრით,“ „სავარაუდოა,“ „მე მიმაჩნია,“ „ალბათ“ და ა. შ. კაზუსის ამოხსნა უნდა დასრულდეს ისეთი შედეგით, სადაც ცალსახად უარყოფილია ან დადასტურებულია ჰიპოთეზაში დაყენებული ვარაუდი.
12. კვალიფიკაცია უნდა იყოს ამომწურავი. ამომწურავი კვალიფიკაცია გვექნება მაშინ, როდესაც დასმულ შეკითხვაზე ყოველმხრივ არის გაცემული პასუხი. საბოლოო დასკვნაში მითითებული

უნდა იყოს სსკ-ის მუხლი (თუ მუხლს გააჩნია ნაწილი და ქვეკუნქტი, აუცილებელია ამ უკანასკნელთა აღნიშვნაც), მცდელობაა თუ მომზადება, დახმარებაა თუ ნამქეზებლობა და ა. შ.

3.3. ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა

ამოსახსნელი კაზუსი ყოველთვის ცხოვრებისეული სიტუაციების მიხედვით არის ჩამოყალიბებული, სადაც მრავალი ფაქტობრივი გარემოებაა მოცემული. მიღებული სამართლებრივი ცოდნის საფუძველზე ფაქტობრივი გარემოებების გულდასმით შესწავლა საშუალებას იძლევა ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივი კუთხით სწორად შევაფასოთ. სწორედ ამიტომ, მეთოდურად გამართული მსჯელობის განხორციელების უპირველეს პირობას ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევა წარმოადგენს.¹ ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი იმ სამართლებრივი ნორმების მოძიების წინაპირობაა, რომლის საფუძველზეც უნდა შედგეს სათანადო დასკვნა.

„თავიდან უნდა ავიცილოთ ამოცანის ყოველგვარი თვითნებური ცვლილება და ხელოვნური ინტერპრეტაცია. საექსპოზიციო შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებები ისე უნდა გავიგოთ, როგორც ეს სინამდვილესთან ახლოს მდგომ თვალთახედვას, ზოგად ცხოვრებისეულ გამოცდილებას და მოვლენათა ჩვეულებრივ განვითარებას შეესაბამება.“² თუ, მაგალითად, დანაშაულის ჩადენის დროისა და ადგილის ან ამსრულებლის ასაკის, მოქალაქეობისა და სულიერი მდგომარეობის შესახებ დანვრილებითი მონაცემები გვაკლია, მაშინ უნდა ვიხელმძღვანელოთ ვარაუდით, რომ „კაზუსი“ აქ და ამ წუთში ანუ ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში მოხდა, ნაციონალური სამართალი გამოიყენება და მოქმედი პირი შერაც-

¹ იხ. ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება (გერმანულიდან თარგმნა ზ. არსენიშვილმა, ქართული თარგმანის სამეცნ. რედ. ი. დვალიძე), 2010, გვ. 524.

² იქვე, გვ. 525.

ხადი ადამიანია.³ კაზუსის ასეთი კანონზომიერი კონსტრუირებისგან გამონაკლისი შემთხვევების არსებობა მხოლოდ მაშინ დაიშვება, როდესაც დავალების ტექსტი ამის შესახებ არაორაზროვნად მიუთითებს.⁴

3.4. კაზუსის ამოხსნისას სამართლებრივი საკითხების კვლევა

კაზუსის ამოხსნა, ბუნებრივია, ყოველთვის ფაქტობრივი გარემოებების დაწვრილებითი შესწავლით იწყება, რომელსაც სამართლებრივი საკითხების გამოკვლევის ფაზა მოსდევს. კაზუსის ამომხსნელმა ამ ეტაპზე უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს იძლევა წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებები და ქმედების განხორციელების რომელი ფორმა უნდა გახდეს განსჯის საგანი (მაგალითად, მოქმედება თუ უმოქმედობა, განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა).⁵

„მუშაობის მეთოდურად უნაკლო და გონივრული ფორმის ამორჩევის საუკეთესო გარანტიას გეთავაზობს შესაბამის ვითარებაზე მორგებული, კონკრეტული „კონსტრუირების წესების“ დაცვა, რა დროსაც, ერთმანეთისგან განასხვავებენ კანონს, ლოგიკასა და უბრალო მიზანშეწონილობის წესებს.“⁶

3.5. ლოგიკის წესები

კაზუსის ამოხსნის დროს ლოგიკის კანონები სავალდებულო ხასიათს ატარებს, ანუ ისინი ყველა შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ.⁷ კაზუსის ამოხსნისას მოქმედებს ისეთი წესები, რომელთა დაცვა გარდაუვალია. მაგალითად, დაუმთავრებელი დანაშაულის

³ იხ. იქვე, გვ. 525.

⁴ იხ. იქვე, გვ. 525.

⁵ იხ. *ი. ვესელსი, ვ. ბოილკე*, დასახ. ნაშრ. გვ. 525-526.

⁶ იქვე, გვ. 526.

⁷ იქვე, გვ. 526.

განხილვას ყოველთვის წინ უნდა უსწრებდეს მსჯელობა დანაშაულის დაუმთავრებლობის შესახებ; თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, კაზუსის ამოხსნა ყოველთვის ამსრულებლის ქმედების სამართლებრივი შეფასებით უნდა დავიწყოთ. თუ ქმედების მართლწინააღმდეგობა არ დადასტურდა, მაშინ განსახილველი ქმედების განსჯა უნდა დავასრულოთ, რადგან ჩადენილი ქმედება მართლზომიერია და ასეთ დროს ქმედების ბრალეულობის შემონმება არაა საჭირო.

3.6. მიზანშეწონილობის წესები

კაზუსის ამოხსნის ლოგიკური წესებისგან განსხვავებით, მიზანშეწონილობის წესებს სავალდებულო ხასიათი არ აქვს.⁸ კაზუსის ამოხსნისას დროის ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ფაქტობრივად არსებული მონაცემებისთვის სწრაფი სამართლებრივი შეფასების მიცემას არა მხოლოდ სასწავლო დანესებულებებში აქვს მნიშვნელობა, არამედ პრაქტიკაშიც სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელება პრინციპულ ხასიათს ატარებს. სწორედ ამიტომაც, რომ კაზუსის ამოხსნისას, ლოგიკური წესების გამოყენების საფუძველზე, უნდა ავირჩიოთ ეფექტური და მოკლე გზა. კაზუსის ამოხსნის დროს უნდა მოვერიდოთ დროის ფუჭ ხარჯვას. კაზუსის ამოხსნის თანმიმდევრობა განხილული იქნება ქვემოთ, აქ კი ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე საკითხზე:

(ა) თუ კაზუსში მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიდან ამოკრეფილი ქმედების შემადგენლობის ნიშნები სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების ზოგად და სპეციალურ შემადგენლობებში მოცემულ საკანონმდებლო ნიშნებს ემთხვევა, ასეთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, თავიდანვე ქმედების სპეციალური შემადგენლობით დავიწყოთ კაზუსის ამოხსნა.⁹ მაგალითად, თუ კაზუსი მოხელის მიერ დოკუმენტის გაყალბებას ეხება, განხილ-

⁸ იხ. იქვე, გვ. 528.

⁹ იხ. ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, დასახ. ნაშრ. გვ. 528.

ვა უნდა დაინყოს სსკ-ის 341-ე მუხლით (სამსახურებრივი სიყალბე) და არა სსკ-ის 362-ე მუხლით (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება).

(ბ) თუ შემთხვევა ერთდროულად ეხება ქმედების ძირითად შემადგენლობასა და ამ ქმედების კვალიფიციურ ან პრივილეგიურ შემადგენლობას, მაშინ მსჯელობის წარმართვა, როგორც წესი, ქმედების ძირითადი შემადგენლობით უნდა დაინყოს. თუ კაზუსიდან გამომდინარე, საკმაოდ ნათელია, რომ ქმედების ძირითადი შემადგენლობა არ არის პრობლემატური, მაშინ ჰიპოთეზას პირდაპირ ვაყენებთ ქმედების კვალიფიციურ ან პრივილეგიურ შემადგენლობაზე.¹⁰

მაგალითად, თუ პირი ფარულად მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლა 11000 ლარის ღირებულების ძვირფას ნივთებს მისაკუთრების მიზნით, ზედმეტია საწყის ეტაპზე ქურდობის ძირითადი შემადგენლობის (სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) ცალკე განხილვა და შემდეგ ცალკე დიდი ოდენობით ქურდობის შემადგენლობის (სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი) გამოკვლევა.

(გ) მართებულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, „მიზანშეწონილი არაა სამართლებრივი გამოკვლევებისა და დანაშაულის ისეთი შემადგენლობით დანყება, რომელიც სუბსიდიარულობის ან შთანთქმის გამო უკან იხევს პირდაპირ მოქმედი სისხლისსამართლებრივი ნორმების წინაშე.“¹¹ მაგალითად, თუ კაზუსში მითითებულია რაიმე ნივთის ბინაში შელწევით ფარულ დაუფლებაზე, მიზანშეწონილია, ბინის მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევამდე (სსკ-ის 160-ე მუხლი), განხილვა ბინაში უკანონო შელწევით ქურდობის შემადგენლობით დაინყოს (სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

¹⁰ იხ. იქვე, გვ. 528.

¹¹ იქვე, გვ. 527-528.

§ 4. შემთხვევის ამოხსნის წინასწარი სქემა (მონახაზი)

ვიდრე სტუდენტი კაზუსის ამოხსნას დაიწყებს, მან უნდა გააკეთოს შემთხვევის (კაზუსის) ამოხსნის წინასწარი სქემა (მონახაზი)¹² ცალკე ფურცელზე (ე. წ. შავ ფურცელზე), რომელიც არ ბარდება გამომცდელს. ეს არის ერთგვარი მონახაზი, რომელიც სტუდენტს თავიდან აარიდებს არათანმიმდევრულობასა და მცდარი დასკვნის დანერას.

დანაშაულის სამსაფეხურიან მოდელზე აგებული შემთხვევის ამოხსნის სქემა ერთგვარი ხერხემალია, სადაც არ არის წარმოდგენილი მსჯელობები გაშლილი სახით. დანაშაულის ცალკეულ ელემენტზე კეთდება მხოლოდ დადასტურება ან უარყოფა (პლუსით ან მინუსით). პრობლემატურ და ისეთ საკითხზე, რომელიც არ დასტურდება, იწერება მინუსი, რომელზეც სტუდენტი წარმართავს მსჯელობას საგამოცდო ფურცელზე, ხოლო პლუსს დაწერს დანაშაულის იმ ნიშანზე, რომელიც განსჯას არ ექვემდებარება. სანიმუშოდ შეიძლება განვიხილოთ კაზუსი, რომელსაც ხშირად სთავაზობენ სტუდენტებს შედეგის ობიექტური შერაცხვის პრობლემატიკის სწორად გააზრებისთვის:

ტ-ს სურს მის დაუძინებელ მტერ ე-ს მიზანმიმართულად ესროლოს ცეცხლსაროლი იარაღიდან და საბოლოოდ ჩამოიშოროს გზიდან. ტ-მ ე-ს მოარტყა, თუმცა მხოლოდ დაჭრა და სასწრაფო დახმარების მანქანით საავადმყოფოში გაამგზავრეს. სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლი ც. სიმთვრალის გამო ღამე გადაიღალა და საჭესთან ჩამოეძინა. მან ვერ შენიშნა ნითელი შუქნიშანი, სასწრაფო დახმარების მანქანას გზაჯვარედინზე სატვირთო მანქანა დაეჯახა და გადააბრუნა, რის შედეგადაც ე. შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

¹² გერმანულად: Lösungsskizze Fall.

კითხვა: დაისჯება თუ არა ტ. აღნიშნულის გამო სსკ-ის 108-ე მუხლით დამთავრებული განზრახი მკვლელობისთვის?¹³

ნათელია, რომ კაზუსი შედეგის ობიექტური შერაცხვის პრობლემატიკას ეხება. თავიდანვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტი კარგად უნდა დააკვირდეს შეკითხვას, რადგან სწორედ შეკითხვა განსაზღვრავს პასუხის მოცულობას. მსგავსი კაზუსი პრაქტიკაში აუცილებლად უნდა დასრულდეს მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაციით, ხოლო სააუდიტორიო მეცადინეობისას, შეკითხვიდან გამომდინარე, არაა აუცილებელი საბოლოო დასკვნა მკვლელობის მცდელობის კვალიფიკაციით დასრულდეს, არამედ უნდა დაედასტუროდ, რომ ტ. არ დაისჯება სსკ-ის 108-ე დამთავრებული განზრახი მკვლელობისთვის. უფრო მეტიც მსჯელობის გაგრძელება და საბოლოო დასკვნის გაკეთება მკვლელობის მცდელობაზე, სტუდენტს შეცდომად ჩაეთვლება, რადგან ეს მიუთითებს მის უყურადღებობაზე. შესაბამისად, შემთხვევის ამოხსნის სქემა „შავ ფურცელზე“ ასე წარმოგვიდგება:

– ტ-ს დასჯადობა სსკ-ის 108-ე მუხლის მიხედვით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

- ა) მოქმედება (+);
- ბ) შედეგი (+);
- გ) მიზეზობრივი კავშირი (+);
- დ) ობიექტური შერაცხვა (-);

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა განზრახვა (+).

II. მართლწინააღმდეგობა (+).

III. ბრალი (+).

¹³ იხ. *Thomas Dräger, Egbert Rumpf/Rometsch, Die Fälle, Strafrecht AT, 44 Fälle mit Lösungsskizzen*. 6. Auflage, 2013, გვ. 30. აღნიშნულ სახელმძღვანელოში კითხვა დასმულია გერმანული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად (იგულისხმება სსკ-ის § 212 I).

ამის შემდეგ ჩვენი მოსაზრებები გადაგვაქვს საგამოცდო ფურცელზე, სადაც უკვე ვიცით დანაშაულის რომელ ნიშანზე უნდა წარვმართოთ მსჯელობა. ყურადღება მივაქციოთ კიდევ ერთ გარემოებას: მართალია, „შავ ფურცელზე“ წინასწარი მონახაზის წერილსა მთლიანად არის წარმოდგენილი დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის ყველა ნიშანი, მაგრამ თუ მსჯელობისას დანაშაულის რომელიმე ნიშნის უარყოფა მოხდება, მსჯელობას იქვე ვწყვეტთ და ვაკეთებთ დასკვნას.

თუკი კითხვა არ იქნება შეზღუდული და კითხვაში არ იქნება ნახსენები „დამთავრებული“ (მაგალითად, დაისჯება თუ არა ტ. აღნიშნულის გამო სსკ-ის 108-ე მუხლით განზრახი მკვლელობისთვის?), მაშინ მკვლელობის მცდელობის დასადასტურებლად, შემთხვევის ამოხსნის მეორე წინასწარი სქემა დაგვჭირდება, ოღონდ უკვე სქემის დასათაურებას რომაული ციფრებით ვნომრავთ (I, II):

I. ტ-ს დასჯადობა სსკ-ის 108-ე მუხლის მიხედვით დამთავრებული მკვლელობისთვის.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

- ა) მოქმედება (+);
- ბ) შედეგი (+);
- გ) მიზეზობრივი კავშირი (+);
- დ) ობიექტური შერაცხვა (-).

აქ წარმოდგენილი იქნება მონახაზები შედეგის ობიექტურ შერაცხვაზე, რაზეც უნდა გაამახვილოთ ყურადღება საგამოცდო ფურცელზე.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა
განზრახვა (+).

II. მართლწინააღმდეგობა (+)

III. ბრალი (+)

II. ტ-ს დასჯადობა სსკ-ის მე-19 და 108-ე მუხლების მიხედვით მკვლელობის მცდელობისთვის.

შესავალი

დანაშაულის დაუმთავრებლობა (+).

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა
განზრახვა (+).

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ქმედება უშუალოდ მიმართულია ქმედების შემადგენლობის სრულად განსახორციელებლად (+).

II. მართლწინააღმდეგობა (+)

საგამოცდო ფურცელზე მიუთითებთ, რომ უკვე დადასტურებულია პირველ სქემაში.

III. ბრალი (+)

საგამოცდო ფურცელზე მიუთითებთ, რომ უკვე დადასტურებულია პირველ სქემაში.

IV. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება (-)

საგამოცდო ფურცელზე მიუთითებთ, რომ კაზუსიდან გამომდინარე არ არის პრობლემატური.

II თავი. მსჯელობის თანმიმდევრობა კაზუსის ამოხსნისას

§ 1. დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემა და მსჯელობის თანმიმდევრობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, რომელიც სამი ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტისგან შედგება:

- I. სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება ანუ ქმედების შემადგენლობა;
- II. მართლწინააღმდეგობა;
- III. ბრალი.¹⁴

დანაშაულის ტიპის, კატეგორიის, გამოვლენის ფორმის (მომზადება, მცდელობა, თანამონაწილეობა) მიუხედავად, კაზუსის ამოხსნის თანმიმდევრობის „ბირთვი“ ყოველთვის დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემაა. ნებისმიერი ქმედება, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს, დანაშაულის სამივე ელემენტის შემცველი უნდა იყოს. დანაშაულის სამსაფეხურიანი მოდელი არის სისტემა, რომელიც ელემენტების უბრალო ერთობლიობა კი არ არის, არამედ ამ ელემენტების მონესრიგებული სიმრავლეა. ვინაიდან სისტემა ელემენტების მთლიანობაა და მთელისა და ნაწილის მიმართებაა ელემენტებს შორის, ამიტომ დანაშაულის რომელიმე ელემენტის ამოვარდნა დანაშაულის არარსებობას გამოიწვევს, ე. ი. განხორციელებული ქმედება დანაშაულად ვერ შეფასდება.

დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემაში შემავალი ელემენტების ამგვარი თანმიმდევრობის მნიშვნელობა, როგორც კაზუსის ამოხსნისა და თეორიული კვლევის, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით,

¹⁴ დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემისა და მისი ცალკეული ელემენტების შესახებ დანერჩილებით იხ. ნიგში: მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011.

იმაში გამოიხატება, რომ იგი ლოგიკური განსჯის საშუალებას იძლევა, რადგან თუ სახეზე არაა ფაქტობრივად განხორციელებული ქმედების ნიშნების შემცველი დანაშაულის შემადგენლობა, მაშინ არც მის მართლწინააღმდეგობაზე შეიძლება საუბარი. შესაბამისად, თუ ქმედება მართლწინააღმდეგობის პირობებს ვერ აკმაყოფილებს, ე. ი. თუ სისხლისსამართლებრივი უმართლობა არაა ჩადენილი, მაშინ ბრალის არსებობაზე ვერ ვიმსჯელებთ.

დანაშაულის სამსაფეხურიანი მოდელი, განვითარებული თეორიებისა და დანაშაულის ცალკეული ელემენტების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის მიუხედავად, სისტემურად არ შეცვლილა. ცვლილებებს განიცდის შეხედულებები დანაშაულის ცალკეული ელემენტების ბუნებაზე, მის შინაგან აგებულებაზე, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს რომელიმე ელემენტის ცალკეულ ნიშნების ადგილზეც დანაშაულის სისტემაში. მაგალითად, თუ ქმედების შესახებ ნატურალისტურ მოძღვრებას წარმოვადგენთ, რომელიც დანაშაულზე კლასიკური სკოლის ფარგლებში განვითარდა, დანაშაულის ყველა სუბიექტური ნიშანი ბრალის ეტაპზე უნდა იქნას განხილული. სხვა საკითხია ის, რომ დანაშაულის კლასიკური სკოლა ბევრი წინააღმდეგობის შემცველია და მისი მრავალი დებულება მოძველებულია.

ყურადღება უნდა მივაქციოთ: კაზუსი თავიდან ბოლომდე უნდა ამოიხსნას ერთ-ერთი სისტემის მიხედვით. არ შეიძლება კაზუსის ამოხსნის დროს განსხვავებულ სისტემათა ერთდროულად გამოყენება და მსჯელობის თანმიმდევრობის ამგვარად განვითარება.

§ 2. მსჯელობის თანმიმდევრობა ე. წ.

„პოსტკრიმინალური წამახალისებელი“ ნორმის მქონე დანაშაულისთვის

ზოგიერთ შედეგგარეშე დანაშაულს თან ახლავს ე. წ. პოსტკრიმინალური წამახალისებელი (ანუ ე. წ. მასტიმულირებელი) ნორმა, რომელიც დანაშაულის დამთავრების შემდეგ სისხლისსამართლებ-

რივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საშუალებას იძლევა. ამგვარი მასტიმულირებელი ნორმა მოცემულია, მაგალითად, სსკ-ის 236-ე მუხლის შენიშვნაში, რომლის თანახმადაც, „ის, ვინც ნებაყოფლობით ჩააბარებს ცეცხლსასროლ იარაღს, საბრძოლო მასალას, ფეთქებად ნივთიერებას ან ასაფეთქებელ მოწყობილობას, გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, თუ მის ქმედებაში სხვა დანაშაულის ნიშნები არ არის.“

დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაში შემავალი ელემენტების შემონმების შემდეგ, დამოუკიდებელი მსჯელობის საგანი უნდა გახდეს ე. წ. მასტიმულირებელ ნორმაში მოცემული პირობები.

§ 3. მსჯელობის თანმიმდევრობა ნორმათა კონკურენციისას

3.1. შესავალი

ერთი პირის მიერ განხორციელებული ქმედება, რომელიც მხოლოდ ერთი დანაშაულის შემადგენლობით აღწერილ ნიშნებს არ სცილდება, მსჯელობის თანმიმდევრობის რაიმე დამატებითი წესების დაცვას არ მოითხოვს. ზოგიერთ კაზუსში გადმოცემული ფაბულიდან ნათლად იკვეთება, რომ პირის მიერ განხორციელებულ ქმედებაში ერთზე მეტი დანაშაულის ნიშნებია მოცემული ან სხვადასხვა სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი ქმედების განხორციელებაში რამდენიმე პირი მონაწილეობს და ა. შ. ასეთ ვითარებაში მსჯელობის წარმართვაც გარკვეულ თანმიმდევრობას და ლოგიკურ წყობას ექვემდებარება.

3. 2. მსჯელობის თანმიმდევრობა ზოგად და სპეციალურ ნორმათა კონკურენციისას

კანონმდებელი ამა თუ იმ ქმედების დასჯადად გამოცხადებისას, დანაშაულის შემადგენლობას ზოგადი ნიშნებით აღწერს.

პრაქტიკულად დანაშაული ხორციელდება არა ზოგადად, არამედ კონკრეტულად, რაც ნორმაში აღწერილი ნიშნების მატერიალური რეალიზების ფორმაა. სხვადასხვა მოსაზრების გამო, კანონმდებელი სისხლის სამართლის ნორმაში მოცემულ დანაშაულის ზოგად ნიშნებს აკონკრეტებს (თუმცა აბსტრაქციის ხარისხი აქაც არის) და ქმნის სპეციალურ ნორმას ზოგად ნორმასთან მიმართებით. მაგალითად, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასთან (სსკ-ის 332-ე მუხლი) მიმართებით ქრთამის აღება (სსკ-ის 338-ე მუხლი) სპეციალური ნორმაა, რაც მექრთამეობის მიმართ უფრო მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმოების სურვილითაა ნაკარნახევი; სსკ-ის 170-ე მუხლის მე-2 ნაწილი (შრომის დაცვის წესის დარღვევა, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია) სპეციალურია სსკ-ის 116-ე მუხლის პირველ ნაწილთან მიმართებით (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით) და ა. შ.

ამგვარ სიტუაციაში, კაზუსის ამოხსნა ყოველთვის სპეციალური ნორმით უნდა დაიწყოს. ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია სრულყოფილი ვერ იქნება, თუ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული რომელიმე უფრო კონკრეტული ნიშნების შემცველი ნორმა გამოუყენებელი დარჩება. აქედან გამომდინარე, პირველ რიგში ზოგადი ნორმის მიმართ ჰიპოთეზის დაყენება მიზანშეუწონელია.

3.3. მსჯელობის თანმიმდევრობა დანაშაულის ძირითადი, კვალიფიციური და პრივილეგიური შემადგენლობების არსებობისას

სისხლის სამართლის კოდექსში ზოგიერთი დანაშაული მარტივ ანუ ძირითად შემადგენლობასთან ერთად, კვალიფიციური ან/და პრივილეგიური შემადგენლობების სახითაა წარმოდგენილი. თუ, კაზუსიდან გამომდინარე, იკვეთება, რომ ძირითადი შემადგენლობის ნიშნებთან ერთად კვალიფიციური შემადგენლობის ან პრივილეგიური შემადგენლობის ნიშნებიცაა განხორციელებული და ეს იმდენად ნათელია, რომ დანვრილებით კვლევას არ მოითხოვს,

მაშინ დროისა და წერის ეკონომიის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, კაზუსის ამოხსნა ქმედების კვალიფიციური ან პრივილეგიური შემადგენლობით იქნას დანყებული. ბუნებრივია, ქმედების ძირითადი შემადგენლობა შემონმების გარეშე არ რჩება.

მსგავს ვითარებაში დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის განხილვისას, ძირითადი შემადგენლობისთვის დამახასიათებელი ნიშნების შემდეგ უნდა გავაანალიზოთ კვალიფიციური ან პრივილეგიური შემადგენლობისთვის დამახასიათებელი ნიშნების არსებობა, იმის გათვალისწინებით, ესა თუ ის გარემოება ქმედების ობიექტურ შემადგენლობას („განსაკუთრებული სისასტიკით“), სუბიექტურ შემადგენლობას („მსხვერპლის სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით“) თუ ბრალს („ანგარებით“) ეკუთვნის.

§ 4. მსჯელობის თანმიმდევრობა დაუმთავრებელი დანაშაულის დროს

ქმედების შემადგენლობა საკანონმდებლო კონსტრუქციაა. სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ყველა დანაშაული დამთავრებული სახითაა მოცემული. დანაშაულის დაუმთავრებლობა იმაზე მიანიშნებს, რომ იგი დაუმთავრებელია მის საკანონმდებლო კონსტრუქციასთან მიმართებით. შესაძლებელია, კაზუსის ამოხსნისას დანაშაულბრივი შედეგი დამდგარია, მაგრამ საეჭვოა მისი ობიექტური შერაცხვა. ასეთ ვითარებაში კაზუსის ამოხსნა, ყოველთვის დამთავრებული დანაშაულის სქემით უნდა დავინყოთ, ხოლო შემდეგ, კითხვიდან გამომდინარე, უნდა დავაყენოთ ჰიპოთეზა მცდელობის შესახებ.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის განვითარების სტადიებიდან ჰიპოთეზის დაყენება ყოველთვის უნდა დავინყოთ დანაშაულის დასრულებასთან უფრო ახლოს მდგომი სტადიით – დამთავრებული დანაშაულის შემდეგ მცდელობაზე, მცდელობის შემდეგ მომზადებაზე.

თუ კაზუსიდან აშკარად იკვეთება, რომ დანაშაული არაა დასრულებული მსჯელობის დაწყება დამთავრებულ დანაშაულზე მიზანშეუნონელია.

§ 5. მსჯელობის თანმიმდევრობა რამდენიმე ქმედების არსებობისას

5.1. შესავალი

კაზუსში შეიძლება აღწერილი იყოს ერთი პირის მიერ განხორციელებული ერთი ან ერთზე მეტი ქმედება ანდა ორი ან მეტი პირის მიერ ჩადენილი ერთი ან ერთზე მეტი ქმედება. ქმედებათა სიმრავლე განპირობებულია:

1. ერთი პირის მიერ რამდენიმე ქმედების განხორციელებით, რომელთაგან თითოეული მათგანი დამოუკიდებელ ქმედების შემადგენლობას იძლევა;
2. ერთი პირის მიერ ერთი ქმედების (ბუნებრივი გაგებით) განხორციელებით, რომელიც რამდენიმე ქმედების შემადგენლობას ახორციელებს (მაგალითად, დანაშაულთა იდეალური ერთობლიობისას);
3. ორი ან ორზე მეტი პირის მიერ ერთობლივად ჩადენილი ქმედებით. ამ დროს განსჯა წარიმართება შუალობითი ამსრულებლობის, თანაამსრულებლობის ან თანამონაწილეობის კუთხით;
4. ორი ან ორზე მეტი პირის მიერ დამოუკიდებლად ჩადენილი ქმედებებით.

წარმოდგენილი ვარიანტების გათვალისწინებით, კაზუსის ამოხსნის დაწყება და შესაბამისი დასკვნის შედგენის თანმიმდევრობა სხვადასხვა კრიტერიუმებზე აიკვება:

- I. კაზუსის განხილვის თანამიმდევრობა ქრონოლოგიურ საფუძველზე;
- II. კაზუსის განხილვის თანამიმდევრობა უმართლობის სიმძიმის მიხედვით;

III. კაზუსის განხილვის თანმიმდევრობა უმართლობასთან ახლოს მდგომი სუბიექტის მიხედვით:

- 1) მსჯელობის თანმიმდევრობა თანაამსრულებლობისა და შუალობითი ამსრულებლობისას;
- 2) მსჯელობის თანმიმდევრობა თანამონაწილეობისას.

IV. მსჯელობის თანმიმდევრობა ქმედებათა კომპლექსის მიხედვით.

5.2. კაზუსის განხილვის თანმიმდევრობა ქრონოლოგიურ საფუძველზე

ამ დროს აქცენტი გადატანილია განხორციელებულ ქმედებათა პერიოდზე. კერძოდ, ჯერ დროის მიხედვით უფრო ადრე ჩადენილ ქმედებაზე ვაყენებთ ჰიპოთეზას და ვაკეთებთ დასკვნას. ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას ნამყვანი მნიშვნელობა აქვს კრიმინალისტიკური თვალსაზრისით, როდესაც იდეაში, შეძლებისდაგვარად, ზუსტად უნდა აღდგეს წარსულში მომხდარი ფაქტები. სისხლის სამართალში კი, ამგვარი თანმიმდევრობა ყოველთვის მისაღები ვერ იქნება. ეს პრობლემები ნათლად ჩანს, მაგალითად, დანაშაულში თანამონაწილეობისას, როდესაც თანამონაწილეთა მოქმედებები, როგორც წესი, ყოველთვის წინ უსწრებს ამსრულებლის მოქმედებას. თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე, კაზუსის ამოხსნას ყოველთვის ამსრულებლის ქმედების განხილვით ვინყებთ.

5.3. კაზუსის განხილვის თანმიმდევრობა უმართლობის სიმძიმის მიხედვით

კაზუსის განხილვა, როგორც უკვე აღინიშნა, ქრონოლოგიურ საფუძველზე ყოველთვის მიზანშეწონილი არ არის. ამგვარ მიზანშეუწონლობას ადგილი აქვს მაშინაც, როდესაც კაზუსში სხვადასხვა სიმძიმის უმართლობებია წარმოდგენილი. ამ დროს ჯერ მძიმე უმართლობის შემთხვევა უნდა განვიხილოთ, ხოლო შემდეგ – ნაკლები სიმძიმის უმართლობა.

მაგალითად, თუ ბინაში შეღწევით ქურდობაა ჩადენილი, ხოლო შემდეგ საბოტაჟი, მაშინ კაზუსის ამოხსნა საბოტაჟის შემთხვევით უნდა დაიწყოს. შეიძლება დაისვას კითხვა: რა არსებითი მნიშვნელობა აქვს ამგვარი თანამიმდევრობის დაცვას? ამ მეთოდს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ რამდენადაც კაზუსის ამოხსნის მეთოდიკის ძირითადი დანიშნულებაა სისხლის სამართლის კარგად შესწავლა და კაზუსის ამოხსნის წესების ათვისება, ამდენად ამგვარი თანამიმდევრობის დაცვისას კარგად ჩანს სტრუქტურის ცოდნა, რომ მას სწორი წარმოდგენა აქვს თუ რომელი სამართლებრივი სიკეთეა უფრო ღირებული და რომელი უმართლობაა უფრო მძიმე.

დაბოლოს, ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ მომენტს: თუ სხვადასხვა სიმძიმის უმართლობებია მოცემული, მაგრამ კაზუსიდან ნათლად იკვეთება, რომ ნაკლები სიმძიმის უმართლობის განხილვის გარეშე შეუძლებელია მძიმე უმართლობის შემცველ ქმედებაზე დასკვნის დაწერა, მაშინ ნაკლები სიმძიმის უმართლობის განხილვით ვინწყებთ. მაგალითად, თუ მკვლელობა ჩადენილია ქურდობის დაფარვის მიზნით, მართალია, მკვლელობის უმართლობა უფრო მძიმეა, მაგრამ ქურდობის დადგენის გარეშე შეუძლებელია აიხსნას დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი მკვლელობის, კერძოდ, სხვა დანაშაულის დაფარვის მიზნით მკვლელობის (სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი) კვალიფიკაციის სისწორე. შესაბამისად, ჯერ ქურდობაზე უნდა წარიმართოს მსჯელობა და დაიწეროს დასკვნა.

5.4. მსჯელობის თანამიმდევრობა ქმედებათა კომპლექსის მიხედვით

ზოგჯერ კაზუსში მრავალეპიზოდური ფაბულაა გადმოცემული, ხოლო თითოეული ეპიზოდი ერთზე მეტ დანაშაულებრივ ქმედებას მოიცავს. ასეთ შემთხვევაში, ყველა ეპიზოდი ცალ-ცალკე განიხილება. ამასთან, თითოეული ქმედებათა კომპლექსი, ანუ

სხვადასხვა ეპიზოდები, რომლებიც რამდენიმე დანაშაულებრივ ქმედებას მოიცავს, ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის. ქმედებათა კომპლექსების მიმართ, მიზანშეწონილია, ქრონოლოგიურად იქნას განხილული, ხოლო მის შიგნით მსჯელობათა თანმიმდევრობა ზემოაღნიშნული სხვა თანმიმდევრობების მიხედვით უნდა წარმართოს. მაგალითად, თუ 2005 წელს ჩადენილია ქურდობა და მკვლელობა, ხოლო 2008 წელს – კვლავ ქურდობა და მკვლელობა. ამ დროს ვიხილავთ 2005 წელს ჩადენილ ქმედებებს, ხოლო შემდეგ – 2008 წელს ჩადენილ ქმედებებს. შესაბამისად, გამოვიყენებთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობა. წელიწადის ფარგლებში ჩადენილი ქმედებების განხილვის თანმიმდევრობას განაპირობებს უმართლობის სიმძიმე. ჯერ ვიხილავთ მკვლელობას და შემდეგ ქურდობას. გამონაკლისია ის ვითარება, როდესაც უფრო მსუბუქი უმართლობის შემცველი ქმედების გამოკვლევის გარეშე ვერ იქნება სრულყოფილი შემდგომი უფრო მძიმე უმართლობის შემცველი ქმედების განხილვა. მაგალითად, თუ ჯერ მითვისებაა ჩადენილი, ხოლო შემდეგ მკვლელობა მითვისების დაფარვის (დანაშაულის) მიზნით.

5.5. კაზუსის განხილვის თანმიმდევრობა უმართლობასთან ახლოს მდგომი სუბიექტის მიხედვით

შესაძლებელია, კაზუსში წარმოდგენილი ორი ადამიანიდან ერთი უშუალოდ თავიდან ბოლომდე ახორციელებდეს უმართლობას, ხოლო მეორეს წვლილი შეჰქონდეს უმართლობის განხორციელებაში ან ნაწილობრივ უშუალოდ ახორციელებდეს უმართლობას ანდა უმართლობას ახორციელებდეს სხვა პირის მეშვეობით მის ნებაზე ბატონობით. შესაბამისად, კაზუსში ადგილი ექნება თანამონაწილეობას, თანაამსრულებლობას ან შუალობით ამსრულებლობას.

5.5.1. მსჯელობის თანმიმდევრობა თანაამსრულებლობისა და შუალობითი ამსრულებლობისას

თანაამსრულებლობის პრობლემასთან დაკავშირებული კაზუსის ამოხსნისას, თუ თავიდანვე იმდენად ნათელია, რომ ქმედების შემადგენლობის უშუალოდ შესრულებისას დანაშაულის ჩამდენი თითოეული პირის შეტანილი წვლილის გარეშე დანაშაული ვერ განხორციელდებოდა, მაშინ მიზანშეწონილია ყველა პირის მოქმედება ერთობლივად განვიხილოთ.

მაგალითი: ა-ს და ბ-ს სურდათ შური ეძიათ გ-ზე. ამ განზრახვის განსახორციელებლად მათ გ-ს არასრულწლოვანი გოგონა ფიზიკური იძულებით მანქანაში ჩასვეს და გაიტაცეს. გამოსასყიდად გ-ს 50000 აშშ დოლარი მოსთხოვეს.

კითხვა: დასჯადია თუ არა ა-ს და ბ-ს მოქმედება?

ამ კაზუსიდან ამკარაა, რომ ორივე უშუალოდ ასრულებს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობას (მძევლად ხელში ჩაგდება, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ). ა-ს და ბ-ს თანაამსრულებლად მიჩნევა ფორმალურ-ობიექტური თეორიით არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, რომ არაფერი ვთქვათ ე. წ. ქმედებაზე ბატონობის თეორიაზე.

თუკი თანაამსრულებელთაგან მხოლოდ ერთი ასრულებს უშუალოდ უმართლობას თავიდან ბოლომდე, ხოლო მეორე – ნაწილობრივ, მაშინ პირველ რიგში უნდა შევაფასოთ იმ პირის ქმედება, რომელმაც უშუალოდ თავიდან ბოლომდე შეასრულა უმართლობა. მაგალითად, თუ დაზარალებულს ა. ხელებს უკავებს, ხოლო მომავლდინებელ დარტყმებს ბ. ახორციელებს, მაშინ პირველ რიგში ა-ს მოქმედება უნდა შევაფასოთ.

შუალობითი ამსრულებლობისას, პირველ რიგში, საჭიროა დამოუკიდებლად გამოვიკვლიოთ ე. წ. ცოცხალი იარაღის მიერ ჩა-

დენილი ქმედება, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში თუ მისი მოქმედების შეფასება აუცილებელია. თუ კაზუსიდან ნათლად ირკვევა, რომ იგი არაბრალეულად მოქმედებს ან მისი განზრახვა „ზურგს უკან მდგომი“ პირის განზრახვას არ ემთხვევა, მაშინ ე. წ. ცოცხალი იარაღის მოქმედების შეფასება საჭირო არაა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ზურგს უკან მდგომი პირის ანუ შუალობითი ამსრულებლის მოქმედებას ვაფასებთ მეორე ეტაპზე. თუ შუალობითი ამსრულებლობა ვერ დადასტურდა, შესაბამის ვითარებაში აუცილებელია, ამის შემდეგ შევამოწმოთ წამქეზებლობის ფიგურის არსებობაც.

5.5.2. მსჯელობის თანმიმდევრობა თანამონაწილეობისას

თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისას თავიდანვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ თანამონაწილეობა აქცე-სორული ბუნებისაა, რის გამოც ამსრულებლის ქმედება ყოველთ-ვის თანამონაწილეთა ქმედებებზე ადრე ფასდება. ამის შემდეგ აუცილებელია, ორგანიზატორის, შემდეგ წამქეზებლის და ბოლოს დამხმარის მოქმედების შეფასება.

III თავი. ჰიპოთეზის დაყენების წესი

§ 1. ჰიპოთეზის არსი და სახეები

როგორც აღინიშნა, კაზუსში მოცემული ცხოვრებისეული სიტუაცია ფაქტობრივი გარემოებების თანხლებითაა აღწერილი. ნორმაში გადმოცემული შემადგენლობის აბსტრაქტული ხასიათის ნიშნებისადმი ფაქტობრივად განხორციელებული ქმედების კონკრეტული ნიშნების მისადაგების წინაპირობა კითხვის შინაარსის დაზუსტებაა. ამოსახსნელ კაზუსში, შესაძლებელია, მრავალი სამართლებრივი საკითხი იყოს გადასაწყვეტი, მაგრამ კაზუსის შემდგენელი კაზუსის ამომხსნელის ყურადღების გასამახვილებლად სვამს კითხვას კონკრეტულ პრობლემაზე, რომელიც მსჯელობის, განსჯის საგნად უნდა იქცეს. მსჯელობა, თავისი არსით, გადასაჭრელი პრობლემის ირგვლივ მრავალი არგუმენტის მოშველიების შედეგად ჭეშმარიტების მიღწევის პროცესია, რომელსაც მოსდევს დასკვნა. დასკვნის შედგენამდე წარმართული მსჯელობა, რასაკვირველია, ვარაუდების შემცველია.

კაზუსის ამოხსნა ყოველთვის ლოგიკური ბჭობის, განსჯის თანმიმდევრულობის შემცველია. „ბჭობა წინადადებების სასრული მიმდევრობაა – ის იწყება და მთავრდება. მასში, ერთი მხრივ, გამოიყოფა წინადადებები, რომელთა ჭეშმარიტება ჩვენთვის ბჭობამდე იყო ცნობილი. მათ ბჭობის წინამძღვრები, საბუთები ანდა არგუმენტები ეწოდებათ. მეორე მხრივ, ბჭობაში გვაქვს წინადადებება, რომლის ჭეშმარიტების დასადგენად ტარდება ეს ბჭობა. მას ბჭობის თეზისი ეწოდება. ზოგჯერ ბჭობის მიზანია რამდენიმე წინადადების ჭეშმარიტების დადგენა. ასეთ შემთხვევაში ვლამპარაკობთ ბჭობის თეზისებზე.“¹⁵

მაგალითი: ა. ავადმყოფ ბ-ს ყოველდღიურად მცირე დოზებით სასმელში სანამლავს უყრიდა მოკვლის განზრახვით. ვიდრე ბ. გარ-

¹⁵ ლ. მჭედლიშვილი, ნ. ივანიძე, ლოგიკა, 1994, გვ. 6.

დაიცვლებოდა, ა. სინანულის გრძნობამ შეიპყრო და იგი საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც ბ. ექიმების წიადაუხედაობით გარდაიცვალა. სასამართლომ ა-ს ბრალი დასდო განზრახ მკვლელობაში.

კითხვა: მართებულია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

წარმოდგენილ კაზუსში განსჯამდე ჩვენთვის ცნობილი ჭეშმარიტების შემცველი წინადადება ანუ წინამძღვარი იქნება, მაგალითად, ა-ს მიერ ავადმყოფი ბ-სთვის სანამლავის მცირე დოზით ჩაყრის ფაქტი (ე. ი. მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის ნიშნები); სანამლავის ჩაყრისას მკვლელობის განზრახვა (ე. ი. მკვლელობის სუბიექტური შემადგენლობის ნიშანი) და ა. შ. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მკვლელობის ობიექტურ შემადგენლობაზე მითითების სარწმუნოება უფრო მცირე იქნებოდა, თუ ფაბულაში მკვლელობის განზრახვაზე არ იქნებოდა ხაზგასმული. ასეა იმიტომ, რომ საფრთხეში ჩაგდებული სამართლებრივი სიკეთის გამოვლენაში, როგორც წესი, განზრახვის მიმართულება, დასახული მიზანი მიუთითებს. აღნიშნული კაზუსის ამოხსნისას ანუ ბჭობის გამართვისას განსაკუთრებული კვლევის საგანი გახდება მიზეზობრივი კავშირი და ობიექტური შერაცხვა, რომელთა შესახებ წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა თეორიებში მოცემული დებულებები.

კაზუსის წერილობითი ამოხსნა ყოველთვის გარკვეული ჰიპოთეზის შედგენით იწყება. ჰიპოთეზა¹⁶ რაიმე მოვლენის ასახსნელად წამოყენებული მეცნიერული ვარაუდია, რომლის უეჭველობა ჯერ არ არის ცდით დამტკიცებული. ¹⁷ სწორი ჰიპოთეზის შედგენა მართებული კვალიფიკაციის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. გარდა იმისა, რომ არასწორად შერჩეული ჰიპოთეზა მცდარი გადაწყვეტილების მიღების ალბათობას ზრდის, იგი ინვეეს დროისა და ენერჯის ფუჭად ხარჯვას. დროისა და ენერჯის დაზოგვა ფრიად მნიშვნელოვანია არამარტო პრაქტიკოსი იურისტის, არამედ სტუდენ-

¹⁶ hypothesis ბერძნული სიტყვაა და ვარაუდს ნიშნავს.

¹⁷ ს. თებელიშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 2007, გვ. 919.

ტისთვისაც, რადგან მას საკონტროლო შემოწმებისა და საგამოცდო ნაშრომის დასაწერად განსაზღვრული დრო ეძლევა. ამ პრობლემის დასაძლევად პრაქტიკოს იურისტსა თუ იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს კარგი თეორიული ცოდნა ესაჭიროება.

ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ ჰიპოთეზის ორი ტიპი:

- 1) საერთო ხასიათის ჰიპოთეზა (სუბსუმციის მთავარი წინადადება), რომელშიც დაფიქსირებულია დასმულ კითხვაზე კაზუსის ამომხსნელის სავარაუდო პოზიცია, რაც, თავის მხრივ, შემდგომი კვლევის საგანი ხდება. ჰიპოთეზა უნდა შედგებოდეს შემდეგი ელემენტებისგან, ანუ დაცული უნდა იყოს შემდეგი მოთხოვნები:
 - I. ვინ არის სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი ქმედების განმახორციელებელი;
 - II. ვის ან რის მიმართ იქნა განხორციელებული აღნიშნული ქმედება;
 - III. სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი ქმედების განხორციელება ფაქტობრივად როგორ გამოვლინდა;
 - IV. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობა, რომელიც, სავარაუდოდ, ფაქტობრივად განხორციელებული ქმედებით ფორმალურად შესრულდა. აუცილებელია, ამ დროს: ა) სიტყვიერად აღინიშნოს სავარაუდოდ განხორციელებული დანაშაულის ნიშნები; ბ) მიეთითოს საკანონმდებლო ნუმერაცია, რომლითაც განსაზღვრულია კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის ადგილი სისხლის სამართლის კოდექსში (მუხლი, ნაწილი, ქვეპუნქტი);
 - V. თუ დანაშაულის გამოვლინების რომელიმე ფორმას აქვს ადგილი, უნდა მიეთითოს, აგრეთვე ე. წ. დამხმარე ნორმაზეც. მაგალითად, თანამონაწილეობისას ან დაუმთავრებელი დანაშაულისას.

მაგალითი: ა-ს სურდა შური ეძია დ-ზე, რისთვისაც მან ასაფეთქებელი მოწყობილობა დაუდო დ-ს მანქანას, რომელიც ტყის პირას იყო გაჩერებული და გარშემო არავინ იყო. ასაფეთქებელი მოწყობილობა ტექნიკური ნუნის გამო არ აფეთქდა.

კითხვა: დაისჯება თუ არა ა.?

პიპოთეზა: შესაძლებელია, ა-მ (I მოთხოვნა), დ-ს მიმართ (II მოთხოვნა), მისი მანქანისთვის ასაფეთქებელი მოწყობილობის დადებით (III მოთხოვნა), ჩაიდინა მკვლელობის (IV „ა“ მოთხოვნა) მცდელობა (V მოთხოვნა), რაც გათვალისწინებულია სსკ-ის მე-19 და 108-ე მუხლებით (V „ბ“ მოთხოვნა).

2) სუბსუმციის მთავარ წინადადებაში შემავალი პიპოთეზა (შიდა პიპოთეზა), როდესაც მონმდება დანაშაულის ყოველი ელემენტისთვის დამახასიათებელი ცალკეული ნიშნები. ეს პიპოთეზა ემსახურება საერთო ხასიათის პიპოთეზაში დაყენებული პრობლემის გადაჭრას. ვინაიდან ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციით უნდა დადგინდეს ნორმაში მოცემულ აბსტრაქტულ ნიშნების და ფაქტობრივად განხორციელებული ქმედების ნიშნების სრული იდენტურობა, ამიტომ სავალდებულოა, პრობლემატურ ნიშნებზე წამოვაცენოთ პიპოთეზა, რათა მოვახდინოთ სუბსუმცია.

მაგალითი: ა-ს სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა ქალბატონ ბ-სთან. ა-მ ბ-ს ჯიბიდან ფარულად ამოაცალა 100 ლარად ღირებული საათი. ფილმის მსვლელობისას ბ-ს სურდა ა-სთვის საფულე ამოეცალა, რომელშიც მისი ვარაუდით 100 ლარი უნდა ყოფილიყო, თუმცა ჩანთაში ხელის ჩაყოფისას მას ხელში თავისი 100 ლარიანი საათი შერჩა. საათი რომ თავისი იყო, ბ-მ მხოლოდ სახლში მისვლის შემდეგ შეიტყო, როდესაც საათი დაათვალიერა.

კითხვა: როგორ შეფასდება ბ-ს ქმედება სისხლისსამართლებრივად?

მოცემულ კაზუსში სუბსუმციისას ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია ნიშანი „სხვისი“. აღნიშნული ნიშნის თაობაზე ამგვარი ჰიპოთეზა შეიძლება წამოვაცენოთ:

გასარკვევია, არის თუ არა საათი სხვისი.

§ 2. ჰიპოთეზის ჩამოყალიბების ზოგადი მოთხოვნები

კაზუსის ამოსახსნელად დასმულ კითხვაზე ზუსტი პასუხის გასაცემად, აუცილებელია გარკვეული მოთხოვნების დაცვა, რომელიც ჰიპოთეზის სწორად დაყენების შესაძლებლობას მოგვცემს.

სწორი ჰიპოთეზის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია:

1. პრობლემის არსში კარგად გარკვევა;
2. პასუხის ზუსტად გაცემა დასმული კითხვის შესაბამისად. დაუშვებელია მისი განვრცობა ან შეზღუდვა. ჰიპოთეზის შედგენისას დიდი მნიშვნელობა აქვს კითხვის დაზუსტებას. არაა გამორიცხული კაზუსის განხილვისას ისეთი სამართლებრივი შედეგების დადგენის შესაძლებლობა იკვეთებოდეს, რომელიც საქმის წარმოებისას პრაქტიკულად დიდი მნიშვნელობის მქონეა, მაგრამ სააუდიტორიო მეცადინეობისას, განსახილველი თემატიკიდან გამომდინარე, არ იყოს აქტუალური და შეკითხვაც შესაბამისად იყოს შედგენილი. თუ კითხვა ზოგადი ხასიათისაა, მაშინ ყველა სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი ქმედება უნდა შეფასდეს.
3. კითხვების შესაბამისი ჰიპოთეზა უნდა წამოვაცენოთ იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც არის დასმული კითხვები. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც წინმსწრებ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია მომდევნო კითხვაზე პასუხის გაცემის გარეშე.

მაგალითი: ა-ს სურდა ბ-ს მოკვლა. ეს განზრახვა ა-მ გ-ს გაუზიარა და დახმარებისთვის ცეცხლსასროლი იარაღი სთხოვა. გ-მ ა-ს

სანადირო თოფი გადასცა განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. ა-მ ბ. სასიკვდილოდ დაჭრა. გამვლელების მიერ ბ-ს სააუდიტორო ფორმის გადაყვანისას ბ. გარდაიცვალა ავტოკატასტროფის გამო. გამოძიებების მიერ მოპოვებული მტკიცებულების საფუძველზე გ. პოლიციამ დააკავა, ხოლო ა. მიიმალა.

კითხვები:

1. დაისჯება თუ არა გ. მკვლელობისთვის?
2. შეერაცხება თუ არა ა-ს ბ-ს სიკვდილი ობიექტურად?

მოცემულ მაგალითში, თანამონაწილეობის აქსცესორული ბუნებიდან გამომდინარე და იმის მიუხედავად, რომ ჯერ გ. დააკავა პოლიციამ, უნდა დაკვალიფიცირდეს ა-ს ქმედება, ე. ი. პასუხი უნდა გაეცეს ჯერ მეორე შეკითხვას, ხოლო ამის შემდეგ უნდა გაეცეს პასუხი პირველ შეკითხვას.

4. ჰიპოთეზის წერილობითი ფორმით გადმოცემამდე კაზუსის ამომხსნელს შეიძლება დასჭირდეს სხვადასხვა ჰიპოთეზის წამოყენება. კაზუსის ამომხსნელად იმ ჰიპოთეზას უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რომელზეც უფრო მეტი მონაცემებია შეგროვებული.

მაგალითი: ა. ფარულად შეიჭრა ბ-ს ბინაში, საიდანაც მას ძვირფასი ნივთების გამოტანა სურდა. მოულოდნელად ბ. შინ დაბრუნდა და ა-ს წინააღმდეგობა გაუწია ნივთების სახლიდან გატანისას. ა-მ ნივთების დასაუფლებლად დანა მოუღერა და ჯანმრთელობის დაზიანებით დაემუქრა თუ ნივთების გატანაში ხელს შეუშლიდა.

კითხვა: როგორ დაკვალიფიცირდება ა-ს მოქმედება?

კაზუსიდან სამი წინასწარი ჰიპოთეზა შეიძლება წამოვაცენოთ. კერძოდ, ქურდობის, ძარცვის და ყაჩაღობის შესახებ. კაზუსის ფაქტობრივი გარემოებებისა და შესაბამისი სამართლებრივი ნორმების გაანალიზების შემდეგ, ყველაზე მისაღებია კაზუსის წერილობითი ამომხსნა ყაჩაღობის ჰიპოთეზით დავინყოთ.

5. ჰიპოთეზა ყოველთვის უნდა დავაყენოთ მხოლოდ ერთი პირის დასჯადობის შესახებ. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როდესაც ქმედება თანაამსრულებლობითაა ჩადენილი და მათი მოქმედები იდენტური ხასიათისაა და რომელიმე მათგანის თანაამსრულებლობა არანაირ ეჭვს არ იწვევს.
6. ჰიპოთეზაში ყოველთვის უნდა იყოს მითითება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ მხოლოდ ერთ კონკრეტულ დანაშაულის შემადგენლობაზე. დაუშვებელია ერთდროულად ორი ან მეტი მსგავსი ნიშნების მქონე დანაშაულის შემადგენლობების განხილვა. ასევე მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ კაზუსის ნაკითხვის შემდეგ გაგვიჩნდა საფუძვლიანი მოსაზრება პირის ქცევის მართლზომიერების (მაგალითად, აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში მოქმედების გამო) ან მისატყვევლობის (მაგალითად, ტრაგიკული კოლიზიის გამო) ან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი სხვა გარემოების არსებობის შესახებ. ეს გამომდინარეობს იმ მარტივი ლოგიკური მოსაზრებიდან, რომ ქცევა სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი სწორედ იმიტომ, რომ ფაქტობრივად განხორციელებულმა ქცევამ ფორმალურ-სამართლებრივად სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებისადმი შესაძლო შესაბამისობის „ეჭვი“, აზრი წარმოიქმნა. კაზუსის ამოხსნა (ისევე როგორც პრაქტიკაში გამოძიების დაწყება) კი, სწორედ ამ „ეჭვის“, ვარაუდის დადასტურებას ან უარყოფას ემსახურება. ვინაიდან დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემას თავისი პრაქტიკული დანიშნულება აქვს, რადგან თუ ქმედების შემადგენლობა არაა განხორციელებული, არც მის მართლწინააღმდეგობაზე და მართლწინააღმდეგობის დადგენამდე არც ბრალზე შეიძლება საუბარი. ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის ანუ კონკრეტული მუხლის

(საჭიროებისამებრ, მუხლის ნაწილისა და ქვეპუნქტის) მითითების გარეშე ჰიპოთეზის შედგენა დაუშვებელია.

მაგალითი: სამოგზაურო ხომალდის კატასტროფის შემდეგ პატარა ნავზე აღმოჩნდნენ ა. და ბ. ნავი ორივე მათგანის სიმძიმეს ვერ უძლებდა და ორივეს გარდაუვალი სიკვდილი ემუქრებოდა. ა-მ ბ. ნავიდან გადააგდო, რითაც თავი გადაირჩინა. სასამართლომ ა. გაათავისუფლა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან იმ მოტივით, რომ მისი ქმედება მართლსაწინააღმდეგო არ იყო.

კითხვა: რამდენად დასაბუთებულია სასამართლოს გადაწყვეტილება?

აღნიშნულ კაზუსში იკვეთება, რომ, გავრცელებული შეხედულების თანახმად, ადგილი აქვს ტრაგიკულ კოლიზიას. კაზუსის ამომხსნელმა ჰიპოთეზა უნდა წამოაყენოს მკვლელობის შესახებ და მხოლოდ ბრალის ეტაპზე უნდა დაამტკიცოს, რომ ა. ტრაგიკული კოლიზიის ფარგლებში მოქმედებდა. ლოგიკურად, ტრაგიკული კოლიზიის საკითხი არც წარმოიშობა, თუ პირის მოქმედება რამენაირად არ ხელყოფს სისხლის სამართლით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს, რომელიც მხოლოდ მაშინ ზიანდება, თუ კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობაა განხორციელებული.

7. ჰიპოთეზა, ბუნებრივია, თავის თავში გულისხმობს ვარაუდს. ჰიპოთეზაში მოცემული აზრი არ შეიძლება იყოს მტკიცებითი ფორმის, კატეგორიულად მხოლოდ ერთი აზრის არსებობის გამომხატველი. ჰიპოთეზაში გადმოცემული წინადადება კონიუქტურული ფორმის ანუ ლოგიკური სიმრავლის გამომხატველია, რაც იმას ნიშნავს, რომ ჰიპოთეზა იძლევა ორი საწინააღმდეგო აზრიდან ერთ-ერთის არსებობის შესაძლებლობას. თუკი გერმანულ ენაზე ამგვარ წინადადებაში გამოთქმული აზრი ზმნის კავშირებით კილოს (კონიუნქტივის) ფორმით გადმოიცემა, ქართულში იგი სინტაქსის და არა მორფოლოგიის საშუალებითაა

შესაძლებელი. მსგავს წინადადებას აუცილებელია წინ უსწრებდეს განკერძოებული სიტყვა, კერძოდ, ჩართული, რომელიც მიანიშნებს მთქმელის დამოკიდებულებას გამონათქვამისადმი. წინადადებით გამოთქმული აზრი კი შეფასებულია, როგორც ვარაუდი, საეჭვო, სათუო ან საეგებიო.

ჩვენს შემთხვევაში, ჰიპოთეზაში მოცემული სამართლებრივი ნორმის გამოყენების შესაძლებლობის ან შეუძლებლობის შესახებ. სწორედ ამიტომ, ჰიპოთეზაში გამოიყენება ისეთი სიტყვები, რომლებიც მიუთითებს შერჩეული ნორმის გამოყენების შესაძლებლობის ან შეუძლებლობის შესახებ. *მაგალითად, დასადგენია, სავარაუდოა, გასარკვევია, შესაძლებელია.*

ამრიგად, სწორად შედგენილი ჰიპოთეზა დასაბუთებული გადაწყვეტილების, მართებული სამართლებრივი შედეგის მიღწევის უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

IV თავი. სუბსუმცია და კვალიფიკაცია

§ 1. სუბსუმციისა და კვალიფიკაციის არსი

სისხლის სამართალში კაზუსის ამოხსნა ყოველთვის მიზნად ისახავს სამართლებრივი შედეგის მიღწევას, რაც კვალიფიკაციის სახით ვლინდება. სწორი კვალიფიკაცია კი, გამართული და ზუსტი სუბსუმციის გარეშე არ მიიღწევა. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სუბსუმცია და კვალიფიკაცია. სისხლის სამართალში სუბსუმცია კვალიფიკაციის პროცესია, როდესაც დგინდება კაზუსში მოცემული ფაქტობრივი გარემოებებისთვის დამახასიათებელ ნიშნებსა და დანაშაულის ელემენტებისთვის დამახასიათებელ ცალკეულ ნიშნებს შორის იდენტურობა.¹⁸ სისხლის სამართლის დოგმატიკაში კვალიფიკაცია ნიშნავს სუბსუმციის საფუძველზე ფაქტობრივად განხორციელებული ქმედების სისხლისსამართლებრივ შეფასებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა სისხლის სამართალში გავრცელებული ტერმინი „დანაშაულის კვალიფიკაცია“ მცდარია, რამდენადაც იგი სწორად ვერ ასახავს კვალიფიკაციის ანუ ქმედების დანაშაულად შეფასების პროცესს. თუკი ჩვენ ვამბობთ, რომ დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს, მაშინ ლოგიკურად გამოდის, რომ დანაშაულად შეფასებული ქმედების განმეორებით შეფასება ხდება, რაც არ იქნებოდა სწორი. ტერმინის „დანაშაულის კვალიფიკაციის“ გავრცელება საბჭოთა და რუსულ იურიდიულ აზროვნებაში ჩამოყალიბებული არასწორი შეხედულების შედეგია. იურიდიული თვალსაზრისით, მართებული იქნებოდა „დანაშაულის კვალიფიკაციის“ ნაცვლად გამოყენებულ იქნას ტერმინი „ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია“, რამდენადაც საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების მსჯელობის საგანი სისხლის სამართლის ნორმის გა-

¹⁸ სუბსუმცია (Subsumption) ინგლისურ ენაზე სიტყვა-სიტყვით ნიშნავს მიკუთვნებას, კატეგორიზაციას, ხოლო გერმანულ ენაზე – იურიდიულ შეფასებას. კვალიფიკაცია (ლათ. qualis – თვისება) ნიშნავს ამა თუ იმ მოვლენის მიკუთვნებას მისი თვისობრივი ნიშნების მიხედვით რომელიმე ჯგუფის, ხარისხის თუ კატეგორიისადმი.

მოყენებისას არის კონკრეტული ქმედება, რომელიც უნდა დაკვალიფიცირდეს კონკრეტულ დანაშაულად.¹⁹

მაშასადამე, ქართული სისხლის სამართლის მიხედვით, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია ნიშნავს ჩადენილი ქმედების იურიდიულ შეფასებას ანუ მისი ზუსტი შესაბამისობის დადგენას სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულის ნიშნებთან. სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია იურიდიული კვალიფიკაციის კერძო შემთხვევაა, ამიტომ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის აუცილებელია სისხლის სამართლის იმ ნორმებზე მითითება, რომლებიც ზუსტად შეესაბამება ჩადენილ ქმედებას. თუმცა სისხლის სამართლის ყველა ნორმას არ აქვს კვალიფიკაციის ფუნქცია. მაგალითად, სსკ-ის მე-40 მუხლი განსაზღვრავს სასჯელის სახეებს. კვალიფიკაციისას მითითება ხდება სსკ-ის კერძო და, ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე ზოგადი ნაწილის შესაბამის ნორმებზე. მაგალითად, თუ ჩადენილია მკვლელობა თანამონაწილეობით ან მკვლელობის მცდელობა, კვალიფიკაციისას სსკ-ის 108-ე მუხლის გარდა უნდა მიეთითოს შესაბამისად სსკ-ის 24-ე ან მე-19 მუხლზე. გარკვეულ შემთხვევაში, მართალია, კვალიფიკაციისას გამოიყენება სსკ-ის ზოგად ნაწილში მოცემული ესა თუ ის ნორმა, მაგრამ მასზე მითითება კვალიფიკაციისას არაა საჭირო. მაგალითად, თუ ჩადენილია მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, მიეთითება სსკ-ის 113-ე მუხლი და სსკ-ის 28-ე მუხლზე მითითება არ არის სავალდებულო. კვალიფიკაციისას მიეთითება ასევე არა მარტო ის ნორმები, რომელიც ქმედების შემადგენლობის ნიშნებზე მეტყველებს, არამედ იმ ნორმებზეც, რომლებიც მისგან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს. მაგალითად, სსკ-ის 21-ე მუხლი (დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება), სსკ-ის 68-ე მუხლი (სისხლისსამართლებრივი

¹⁹ ამ საკითხზე იხ.: გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი (სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებათა სისტემის ასპექტით), ნაწილი პირველი, 2000; გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, 2010.

პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება ქმედითი მონაწილის გამო) და ა. შ. უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის კერძო ნაწილში მოცემული ყველა ნორმა კონკრეტული დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს. ამიტომ მათზე მითითება საჭირო არ არის. ასეთია მაგალითად, სსკ-ის 382-ე მუხლი (სამხედრო სამსახურის საწინააღმდეგო დანაშაულის ცნება).

სუბსუმცია და კვალიფიკაცია შეიძლება იყოს *პრაქტიკული* და *დოქტრინული*. *პრაქტიკულ* კვალიფიკაციას ახორციელებენ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები, რომელთაც ოფიციალური მნიშვნელობა გააჩნია. *დოქტრინული* სუბსუმცია და კვალიფიკაცია ხორციელდება სამეცნიერო დონეზე, რომელსაც ოფიციალური ხასიათი არ გააჩნია, მაგრამ საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს პრაქტიკულ კვალიფიკაციაზე, რამდენადაც პრაქტიკოსი მუშაკები თავიანთ საქმიანობას სწორედ ამ თეორიული ბაზის საფუძველზე ახორციელებენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მოსამართლის განათლების მიღების დონე, ამა თუ იმ სამართლებრივი სკოლის გავლენა მის პრაქტიკულ საქმიანობაზეც ახდენს ზეგავლენას. უნდა აღინიშნოს, რომ კვალიფიკაციის განმახორციელებელ ორგანოთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია სასამართლოს განაჩენი, რომელშიც მოცემულია ჩადენილი ქმედების სამართლებრივი შეფასება.

კვალიფიკაციის ზუსტ განხორციელებას უდიდესი სოციალური და სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია. არასწორ კვალიფიკაციას შეიძლება მოჰყვეს უდანაშაულო პირის მსჯავრდება, სასჯელის გადიდება ან შემცირება, ან სასჯელის მოხდის რეჟიმის შეცვლა.

სამართლის ნორმა ზოგადი ხასიათის ქცევის წესია, აბსტრაქციაა. მაშასადამე, სისხლისსამართლებრივ ნორმაში მოცემული ნიშნები რეალურ სინამდვილეში გვხვდება კონკრეტული დანაშაულის სახით. ამიტომ, არ არსებობს, მაგალითად, ზოგადი თაღლითობა. არსებობს თაღლითობის კონკრეტული შემთხვევა. დანაშაულის ცნება არის აბსტრაქციის მაღალი ხარისხი, რომელიც კონკრეტიზაციას განიცდის ცალკეულ დანაშაულებში.

სუბსუმციისა და კვალიფიკაციის პროცესში გამოიყენება ლოგიკის სხვადასხვა წესები, კატეგორიები და ხერხები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი კატეგორიები, როგორცაა ცნება, მსჯელობა და დედუქციური დასკვნა.

§ 2. სუბსუმცია და ნორმის გამოყენება კონკრეტულ ცხოვრებისეულ მოვლენაზე

ნორმის კონკრეტულ ცხოვრებისეულ შემთხვევაზე განვრცობის აუცილებელი წინაპირობაა მისი ქმედების შემადგენლობის (დისპოზიციის) და სამართლებრივი შედეგის გამიჯვნა. თუკი ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი განმსაზღვრელია ქმედების სანქციონირების ეტაპზე, ნორმის დისპოზიცია სუბსუმციის ამოსავალი წერტილია. დისპოზიცია შეიძლება შედგებოდეს ერთი ან რამოდენიმე ელემენტისგან. მრავალელემენტიანი დისპოზიციის შემთხვევაში ცალკეული ელემენტი უნდა შემონმდეს ცალ-ცალკე. ამასთან, შემონმებისას გამოიყენება სილოგიზმის შემდეგი სქემა:

- I. ყველა ადამიანი მოკვდავია (propositio maior)
- II. სოკრატე არის ადამიანი (propositio minor)
- III. სოკრატე მოკვდავია (conclusio)

ამრიგად, სილოგიზმის დასაწყისში გვაქვს თეორემა ან დეფინიცია, შემდეგი ეტაპია ამ დეფინიციის/თეორემის შესატყვისი ფაქტობრივი ნიშნების მოძიება კონკრეტულ შემთხვევაში და ბოლო ეტაპზე დასკვნის გაკეთება, თუ რამდენად არის სახეზე თანხვედრა დეფინიციას/თეორემას და კონკრეტულ მოვლენას შორის. სუბსუმციის მეთოდით კაზუსის განხილვისას ზემოხსენებულ სილოგიზმის სქემას წინ უსწრებს ვარაუდი (ჰიპოთეზა: *შესაძლოა, სოკრატე იყოს მოკვდავი*), რომელსაც ზუსტად უნდა პასუხობდეს დასკვნა.

დეფინიციის ეტაპზე გვჭირდება დამხმარე ნორმები, როგორც ლეგალური დეფინიციის წყარო და ასევე იურიდიული ინსტიტუტების განმარტების სხვა წყაროები (მაგალითად, კომენტარები, იური-

დიული ლიტერატურა და სხვ). ამასთან, სისხლისსამართლებრივი კაზუსის განხილვისას დამხმარე ნორმებად შესაძლოა დაგვეჩრდეს ასევე სხვა კანონებში გაბნეული დეფინიციები (მაგალითად, მოძრავი ნივთის განმარტება, რომელიც გამომდინარეობს სსკ-ის 149-ე მუხლიდან).

§ 3. სუბსუმცია და სამართლებრივი პრობლემები

შემთხვევის ყველა პრობლემის გადაწყვეტა ხდება სუბსუმციის მეთოდით. ასევე სამართლებრივი პრობლემებისა და აზრთა სხვადასხვაობის განხილვაც ხდება ამ მოდელის ფარგლებში. ტიპური სიძნელეები ქვემოთ წარმოდგენილ ოთხნაბიჯიან სუბსუმციის ტექნიკაში მდგომარეობს იმაში, რომ ხშირად აბსტრაქტული სამართლებრივი ნიშნის დეფინიცია სადავოა. შესაბამისად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაწყდეს ეს სამართლებრივი პრობლემა, სანამ მესამე და მეოთხე განხორციელდება. შინაარსობრივად სწორი სამართლებრივი დეფინიციის ჩამოყალიბება არის არგუმენტაციული პრობლემა, რომელიც კაზუსის თითოეულმა დამმუშავებელმა დასკვნის სტილში არგუმენტაციის ზოგადი წესებით უნდა გადაწყვიტოს.

დასკვნის სტილი არის ობიექტური და დიდაქტიკური. კაზუსის ამოხსნის დროს კონკრეტული შემთხვევის მაგალითზე, შეძლებისდაგვარად, კარგად უნდა იქნას წარმოდგენილი სამართლებრივ-დოგმატიკური პრობლემები და დისკუსიები და არგუმენტირებულად გადაწყვეტილი. კაზუსში დასმული ნებისმიერი სამართლებრივი პრობლემა და დისკუსია უნდა წარიმართოს და გადაწყდეს ამ კონკრეტულ შემთხვევასთან კავშირში. არ არის რეკომენდებული, მაგალითად, განზრახვის დასაბუთების დროს ასევე გაუფრთხილებლობაზე დისკუსიის გამართვა, თუ სახეზეა განზრახვის ისეთი შემთხვევა, რომელიც დავას არ იწვევს. მაგალითად, ა-მ შურისძიების ნიადაგზე დანაშაულის მსხვერპლს გულმკერდსა და მუცელში მი-

აყენა თორმეტი ჭრილობა. იმ შემთხვევაში კი, როცა კაზუსში მოცემული ფაბულა გვიჩვენებს, რომ ქმედება ჩადენილია ისეთ ვითარებაში, რომელიც ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების მიჯნაზე დგას, ასეთ შემთხვევაში განზრახვა-გაუფრთხილებლობის ურთიერთგამიჯვნაზე ყურადღების გამახვილება აუცილებელია.

ანალოგიურად ნესების დაცვით უნდა ვიმოქმედოთ მართლწინააღმდეგობის ეტაპზე, როდესაც ნათლად ჩანს, რომ საქმე ეხება აუცილებელ მოგერიებას; არ არის მიზანშეწონილი მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ სხვა გარემოებებზე მსჯელობა. თუკი კაზუსი ეძღვნება მოჩვენებით მოგერიებას, საჭიროა აუცილებელი მოგერიებისგან მისი გამიჯვნა და იმის დასაბუთება, თუ რატომ არ არის პირის ქმედება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილი. პრობლემის გარშემო აზრთა სხვადასხვაობის არსებობისას, ავტორმა ჯერ უნდა წარმოადგინოს ის პოზიციები, რომლებსაც ის არ ეთანხმება. ბოლოს წარმოდგენილ უნდა იქნას ავტორის მიერ მოწონებული პოზიცია, რომელსაც ის დაეყრდნობა თავისი პოზიციის დასაბუთების დროს. თუ ავტორი არ ეთანხმება გაბატონებულ თუ უმცირესობის პოზიციას ან სასამართლო პრაქტიკაში მიღებულ შეხედულებას, ასეთ შემთხვევაში მან თავისი პოზიცია არგუმენტირებულად უნდა დაასაბუთოს. ავტორის დასაბუთებული პოზიცია ყოველთვის მისასალმებელია, თუმცა არ არის მისაღები, როცა ავტორი კაზუსს ხსნის ან ასაბუთებს არასწორად, ხოლო ნაშრომის უარყოფითად შეფასების შემთხვევაში ამტკიცებს, რომ ეს მისი პოზიციაა, მისი აზრია. არ შეიძლება შეცდომის იმით გამართლება, რომ ავტორი ასე ფიქრობს. განსხვავებული განსაკუთრებული პოზიცია მხოლოდ მაშინ ფასდება დადებითად, როცა კაზუსის ამოხსნისა და დასაბუთების დროს გამოვლინდება ავტორის მიერ იმ მასალის ცოდნაც, რომელსაც ის არ ეთანხმება და უარყოფს.

კაზუსის ამოხსნის დროს დასკვნაში ზოგიერთი უფრო მძიმე უმართლობა გადაფარავს მსუბუქ უმართლობას და მასზე სპეციალურად არ ხდება მსჯელობა. ეს შეესაბამება სამართლებრივ

პრაქტიკაში არსებულ მდგომარეობასაც. ეს საკითხი ასე წყდება განაჩენშიც. მაგალითად, ყაჩაღობის შემადგენლობა გადაფარავს სსკ-ის 160-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობას („ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა“). ქართულ სასამართლო პრაქტიკაში სხვადასხვაგვარად წყდება საკითხი, როცა საქმე ეხება ქურდობისა და სხვისი ნივთის განზრახ დაზიანება-განადგურების შემადგენლობას. ეს ის შემთხვევაა, როცა ბინაში შესვლა ხდება კარის დამტვრევით ან სიგნალიზაციის სისტემის დაზიანებით. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია ორმაგი კვალიფიკაცია (სსკ-ის 177-ე და 187-ე მუხლებით). იმ შემთხვევაში კი, თუ ყაჩაღობას მსხვერპლის სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა მოჰყვა, ქართულ სისხლის სამართალში არ გამოიყენება გადაფარვის წესი: საქმე გვექნება დანაშაულთა ერთობლიობასთან, რომელიც დაკვალიფიცირდება ყაჩაღობისა და სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობის მუხლებით.

§ 4. სუბსუმციის ეტაპები და დანაშაულის ელემენტებისთვის დამახასიათებელი ცალკეული ნიშნები

როგორც უკვე აღინიშნა, სუბსუმცია კვალიფიკაციის პროცესია, რაც ნებისმიერი კაზუსის ამოხსნას მსჯელობის სახით თან სდევს. სწორედ ამიტომ, სუბსუმცია გარკვეულ ლოგიკურ მსჯელობის წესს ექვემდებარება. სუბსუმცია ეხება ფაქტობრივად განხორციელებული ქმედების იმ ნიშნებს, რომლებიც დანაშაულის ელემენტებისთვის დამახასიათებელ ნიშნებთან მიმართებით პრობლემურია. მაგალითად, ქურდობის ობიექტურ შემადგენლობაში სუბსუმციას შეიძლება დაექვემდებაროს ისეთი ნიშნები, როგორიცაა „სხვისი“, „ფარული“. შესაძლებელია, მსჯელობის საგანი გახდეს ობიექტური შერაცხვა, განზრახვა და ა. შ. შეიძლება, მართლწინააღმდეგობის ეტაპზე სუბსუმციას დაექვემდებაროს აუცილებელი მოგერიების

ისეთი ნიშნები, როგორცაა „მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა“, „იმნუთიერობა“ და ა. შ.

სუბსუმციის ოთხი ეტაპი უნდა გამოიყოს:

1. სუბსუმციის მთავარ ნინადადებაში უნდა დაეაყენოთ ჰიპოთეზა (იგულისხმება შიდა ჰიპოთეზა) იმ ნიშნის შესახებ, რომელიც პრობლემურია;
2. ის სამართლებრივი ნორმა უნდა განიმარტოს, რომელსაც ვიყენებთ;
3. პირველ ეტაპზე მოცემული ნიშანი უნდა მიეწესადაგოთ მეორე ეტაპზე მოცემულ ნიშანს, ანუ ფაქტობრივად მოცემულ კონკრეტულ ნიშანსა და ნორმაში მოცემულ ზოგადი ხასიათის ნიშანს შორის დგინდება იდენტურობა;
4. კეთდება დასკვნა, რომ ნორმაში მოცემული ზოგადი ნიშანი სრულიად ახასიათებს პირველ ეტაპზე მოცემულ კონკრეტულ ნიშანს.²⁰

დავუშვათ, კაზუსში აღწერილი ფაბულის მიხედვით, ა-ს მოქმედებაში იკვეთება ქურდობის ნიშნები, რადგან ა-მ ბ-ს ჯიბიდან ოქროს საათი ამოაცალა, რომელიც რეალურად ა-ს ეკუთვნოდა და ამის შესახებ მან არ იცოდა. მსჯელობის განხორციელებისას სუბსუმციას უნდა დაექვემდებაროს და გაირკვეს, არის თუ არა ოქროს საათი „სხვისი“ და ა. შ. ზემოაღნიშნული სუბსუმციის ეტაპები შემდეგნაირად ჩამოყალიბდება:

პირველი ეტაპი: გასარკვევია, არის თუ არა საათი „სხვისი“.

მეორე ეტაპი: ნივთი სხვისია, თუ ქმედების განმახორციელებელს არ გააჩნია მასზე საკუთრების უფლება და, მისი ბუნებიდან გამომდინარე, ივარაუდება, რომ იგი ვინმეს ბატონობის ქვეშაა მოქცეული.

მესამე ეტაპი: ოქროს საათი ა-ს საკუთრება იყო.

მეოთხე ეტაპი: მაშასადამე, საათი არ ყოფილა სხვისი.

²⁰ ანალოგიურ მოსაზრებაზე შეად. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, 2013, გვ. 379-384.

სუბსუმციის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება არგუმენტაციისთვის გამოვიყენოთ იმ ავტორთა მოსაზრებები თუ სასამართლო პრაქტიკა, რომელიც უფრო დამაჯერებელი იქნება ჩვენი მსჯელობისთვის. თუკი აზრთა სხვადასხვაობაა ამა თუ იმ საკითხზე, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებული შეხედულებანი, შემდეგ უნდა მიუთითოს აღნიშნულ შეხედულებათა სუსტი და დადებითი მხარეები და შემდეგ საკუთარი პოზიცია უნდა დააფიქსიროს.

მაგალითი: კომპიუტერული ტექნიკის მალაზიაში ა. ქურთუკის ჯიბეში ჩაიდებს ვიდეო თამაშს და განიზრახავს მალაზიის დატოვებას თანხის გადახდის გარეშე. მალაზიის მესაკუთრე თ., რომელმაც შეამჩნია ეს ყველაფერი, პოლიციას აცნობებს და მას ქუჩაში დააკავებენ.

კითხვა: რომელი დასჯადი ქმედება ჩაიდინა ა-მ?

ყურადღება: დანაშაულის ცალკეული ნიშნების ქვემოთ მოცემული დეტალური განსჯა, სუბსუმირება წარმოდგენილია თვალსაჩინოებისთვის, ხოლო დავალების შესრულებისას სტუდენტმა მხოლოდ იმ ნიშნების მიმართ უნდა განახორციელოს სუბსუმცია, რომელიც პრობლემურია. ბუნებრივია, იმის გამოცნობა თუ რომელი ნიშანია პრობლემური, ეს სტუდენტის განსწავლულობაზე დამოკიდებულია. ამასთან, ქვემოთ მოცემული ნუმერაცია არაა საჭირო. აქ მხოლოდ თანმიმდევრობა უნდა დავიცვათ.

წინასწარი განსჯა: სისხლისსამართლებრივი კუთხით რელევანტური ქმედების გამოვლენა და შესატყვისი ნორმის მოძიება. შესატყვისი ნორმა – სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

სამართლებრივი ნორმა: საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლი (ქურდობა).

ქურდობა, ესე იგი სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

ამის შემდეგ სტუდენტი წერილობით წარმოადგენს:

ჰიპოთეზა: შესაძლებელია, კომპიუტერული ვიდეო თამაშის ქურთუკის ჯიბეში ჩადებით და მალაზიის დატოვებით ა-მ ჩაიდინა ქურდობა, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

1. კმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

კმედების ობიექტური შემადგენლობა (ნორმის დისპოზიცია) მოითხოვს *სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას*.

1. შემადგენლობის ნიშანი: „ნივთი.“

- 1) შესაძლებელია, ვიდეო თამაში იყოს *ნივთი*.
- 2) სამოქალაქო კოდექსი ნივთის განსაზღვრებას არ იძლევა. ნივთი ქონების საერთო ცნებაშია მოცემული, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერთმანეთთან აიგივებს.²¹ „ნივთების სპეციფიკური თვისებაა მათი სხეულებრიობა, რაც ფიზიკის კანონებიდან გამომდინარეობს.“²² „ნივთები ბრუნვაუნარიანი საგნებია. სამოქალაქო სუბიექტებს უნდა შეეძლოთ მათი თავისუფალი, შეუზღუდავი შეძენა, ეს აკრძალული არ იქნება კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს.“²³ სსკ-ის 147-ე მუხლის მიხედვით, „ქონება, ამ კოდექსის მიხედვით, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.“ აქედან უნდა გავაკეთოთ დასკვნა, რომ ნივთი პირის ბატონობას უნდა ექვემდებარებოდეს.²⁴ ამასთან, ნივთი უნდა იყოს ნატურით გამიჯნული საგანი.²⁵

²¹ იხ. ბესარიონ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, თბ., 2003, გვ. 26.

²² იქვე, გვ. 26.

²³ იქვე, გვ. 26-27.

²⁴ იქვე, გვ. 27.

²⁵ იქვე, გვ. 27.

3) ვიდეო თამაში გასაყიდადაა შეთავაზებული და ეს კანონით აკრძალული არაა. შესაბამისად, მისი ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეიძლება.

4) მაშასადამე, ვიდეო თამაში ნივთია.

2. შემადგენლობის ნიშანი: „სხვისი.“

1) ვიდეო თამაში, შესაძლოა, იყოს *სხვისი* მოძრავი ნივთი.

2) ნივთი სხვისია, თუ იგი მოცემულ შემთხვევაში არ ეკუთვნის ა-ს და არც უპატრონოა.

3) მოცემულ შემთხვევაში ვიდეო თამაში ეკუთვნის მალაზიის მესაკუთრე თ-ს (ანუ იგი არ ეკუთვნის ა-ს).

4) ვიდეო თამაში არის სხვისი მოძრავი ნივთი.

3. შემადგენლობის ნიშანი: „მოძრავი.“

1) შესაძლებელია, ვიდეო თამაში იყოს *მოძრავი* ნივთი.

2) მოძრავი ნივთის დეფინიციისთვის, მიზანშეწონილია, განვსაზღვროთ თუ რას მიიჩნევს კანონმდებელი უძრავ ნივთად. სსკ-ის 149-ე მუხლის მიხედვით, „უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.“ შესაბამისად, მოძრავი ნივთი არის საგანი, რომელიც მყარად არ არის დამაგრებული მიწაზე (მაშასადამე, შესაძლოა გადაადგილდეს) და რომელიც არ წარმოადგენს უძრავ ნივთს სკ-ის 149-ე მუხლის გაგებით.

3) კომპიუტერული ვიდეო თამაში არ დგას მყარად მიწაზე (მაშასადამე, შესაძლოა გადაადგილდეს) და არც უძრავ ნივთს წარმოადგენს სკ-ის 149-ე მუხლის გაგებით.

4) კომპიუტერული თამაში არის მოძრავი ნივთი.

4. შემადგენლობის ნიშანი: ქმედება, რაც გამოიხატა „დაუფლებაში.“

1) საკითხავია, დაუფლა თუ არა ა. ვიდეო თამაშს.

2) დაუფლება ნიშნავს ნივთზე წინანდელი, ძველი ბატონობის შეწყვეტას მფლობელის ნების სანინააღმდეგოდ და ახალი დაუბ-

რკოლებელი ბატონობის წარმოშობას, თუნდაც დროებითს (დროებითობა ამ ეტაპზე განისაზღვრება მხოლოდ ობიექტური ნიშნით ანუ არაა საჭირო განუწყვეტელი ბატონობა ნივთზე). ახალი ბატონობისთვის, რომელიც პირსა და ნივთს შორის ფაქტობრივ ურთიერთობას გულისხმობს, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს საკუთრების წარმოშობას. ამასთან, აუცილებელია ნივთზე ბატონობა აუნაზღაურებელი იყოს. დაბოლოს, აუცილებელია ნივთზე ბატონობის ნების განსაზღვრა.

3) ა-მ ვიდეო თამაში ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო და მალაზიიდან გამოვიდა თანხის გადახდის გარეშე (ე. ი. აუნაზღაურებელი დაუფლება), რაც მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ განხორციელდა. შესაბამისად, აღნიშნულ ნივთზე ძველი ბატონობა შეწყდა მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ და ნივთის ფაქტობრივი პყრობითა და მალაზიიდან გამოსვლით ახალი დაუბრკოლებელი ბატონობა წარმოიშვა. არც ისაა სადავო, რომ ა-ს ვიდეო თამაშზე ბატონობის ნება ჰქონდა.

4) მამასადამე, ა. ვიდეო თამაშს დაეუფლა.

5. შემადგენლობის ნიშანი: „ფარული.“

1) შესაძლოა, ა. ფარულად დაეუფლა ვიდეო თამაშს.

2) აღნიშნული ხერხის ანუ ფარულობის დადგენისას *ობიექტური* და *სუბიექტური* კრიტერიუმებით უნდა ვიხელმძღვანელოთ. ობიექტური კრიტერიუმის მიხედვით, ნივთის დაუფლების პროცესი ან საერთოდ შეუმჩნეველია ისეთი პირისთვის, ვინც უშუალოდ არ მონაწილეობს ქურდობაში ანდა ფაქტობრივად აღიქვამს ნივთის დაუფლების პროცესს, თუმცა ვერ აცნობიერებს მის სოციალურ არსს. სუბიექტური კრიტერიუმის მიხედვით, თვით ქურდობის განმახორციელებელს გაცნობიერებული აქვს, რომ ნივთის ფაქტობრივი დაუფლების პროცესი ან ამ პროცესის სოციალური არსი არაა აღქმული სხვა პირის მიერ. გადამწყვეტი მნიშვნელობა სუბიექტურ კრიტერიუმს ენიჭება.

- 3) მოცემულ სიტუაციაში ვიდეო თამაშის დაუფლების პროცესი სხვა პირებისგან ფარულად მიმდინარეობდა, რადგან ობიექტურად აღნიშნული ნივთის დაუფლებას ვერავინ ამჩნევდა და ეს გაცნობიერებული ჰქონდა ა-ს.
- 4) მაშასადამე, ა. ვიდეო თამაშს ფარულად დაეუფლა.

შედეგი

ამრიგად, სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ობიექტური შემადგენლობა განხორციელებულია.

2. სუბიექტური შემადგენლობა

სსკ-ის 177-ე მუხლის სუბიექტური შემადგენლობა მოითხოვს განზრახვისა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნის დადგენას.

1. შემადგენლობის ნიშანი: „განზრახვა.“

- 1) შესაძლებელია, ა-ს ვიდეო თამაშის ქურთუკის ჯიბეში ფარულად ჩადებისა და მისი საფასურის გადახდის გარეშე მალაზიის დატოვებისას ჰქონდა განზრახვა.
- 2) განზრახვა ნიშნავს განხორციელებული ქმედების ცოდნასა და ნებას. მაშასადამე, განზრახვა უნდა მოიცავდეს ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანს.
- 3) ა-ს ვიდეო თამაშის ქურთუკის ჯიბეში ჩადება და მისი საფასურის გადახდის გარეშე ფარულად მალაზიის დატოვება გაცნობიერებული ჰქონდა და სურდა კიდევ.
- 4) მაშასადამე, ა. განზრახ მოქმედებდა.

2. შემადგენლობის ნიშანი: „მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.“

- 1) შესაძლებელია, ვიდეო თამაშის ქურთუკის ჯიბეში ჩადებისა და მისი საფასურის გადახდის გარეშე მალაზიის დატოვების განზრახვისას, სახეზე იყოს მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.

- 2) მისაკუთრების მიზნით მოქმედებს პირი, როდესაც მას გაცნობიერებული და განზრახული აქვს ნივთის მფლობელს ნივთზე მუდმივად დაუკარგოს ბატონობა, ხოლო მისაკუთრების მიზნის მართლწინააღმდეგობა მდგომარეობს იმაში, რომ პირს აღნიშნულ ნივთზე არ გააჩნია არანაირი უფლება მესაკუთრის ან ნივთის მფლობელის ნებართვის გარეშე;
- 3) ბუნებრივია, ა-ს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ვიდუოთამაშზე საკუთრების უფლების წარმოსაშობად აუცილებელია მესაკუთრის თანხმობა. მოცემულ შემთხვევაში, ნათლად ჩანს, რომ ვიდუოთამაშის მალაზიაში გასაყიდად შეთავაზება გულისხმობს მესაკუთრის ნებას, რომ ამ ნივთზე ახალი საკუთრების უფლების წარმოშობისთვის აუცილებელია ნასყიდობის ხელშეკრულების პირობების შესრულება, კერძოდ, თანხის გადახდა. ა-მ სრულიად გააზრებულად ვიდუოთამაში თავის ჯიბეში განათავსა იმ მიზნით, რომ იგი თანხის გადახდის გარეშე ჩამოერთმია მისი თავდაპირველი მესაკუთრე თ-სთვის და დაუფლებოდა მას. ამასთან, მას არანაირი უფლება არ გააჩნდა ამ სათამაშოზე;
- 4) ამრიგად, ა. მოქმედებდა ნივთის მართლწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით.

შედეგი

ამრიგად, სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილის სუბიექტური შემადგენლობა განხორციელებულია.

II. მართლწინააღმდეგობა

- 1) შესაძლებელია, ა-მ იმოქმედა მართლწინააღმდეგოდ.
- 2) მართლწინააღმდეგოდ მოქმედებს პირი, როდესაც ქმედება გამართლებული არ არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოებით.
- 3) მოცემულ შემთხვევაში არ არის სახეზე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება.
- 4) ა. მოქმედებდა მართლწინააღმდეგოდ.

III. ბრალი

- 1) შესაძლებელია, ა. მოქმედებდა ბრალეულად.
- 2) ბრალეულად მოქმედებს პირი, თუ იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეულია, ფსიქიკურად შერაცხა-დია და მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ არის განხორციელებული ბრალის გამომრიცხველ რომელიმე გარემოებაში.
- 3) ა. არის შერაცხადი. კონრეტულ შემთხვევაში არ არის სახეზე არც ბრალის გამომრიცხველი (მისატივევებელი) რომელიმე გარემოება.
- 4) ამრიგად, ა. მოქმედებდა ბრალეულად.

დასკვნა

ამრიგად, კომპიუტერული ვიდეო თამაშის ქურთუკის ჯიბეში ჩადებით და მალაზიის დატოვებით თ-მ ჩაიდინა ქურდობა, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 177-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

როგორც წარმოდგენილი ანალიზი გვიჩვენებს, სუბსუმციის დასაწყისში დგას ვარაუდი, რომელსაც მისი დადასტურებით ან უარყოფით აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს დასკვნა. მაგალითიდან ასევე ჩანს, რომ სილოგიზმის ერთი საფეხური, განსაკუთრებით კი, დეფინიციისა და კონკრეტულ განსაზღვრულ შემთხვევაში დეფინიციის/თეორემის შესატყვისი ფაქტობრივი ნიშნების მოძიების ეტაპები, შესაძლოა, მოიცავდეს რამდენიმე პუნქტს.

V თავი. ნორმის განმარტება

§ 1. ნორმის განმარტების არსი

ნორმის განმარტება წარმოადგენს გარკვეულ შემეცნებით პროცესს, რომელიც კანონების და სხვა ნორმატიული აქტების ენობრივ გამოხატულებას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებს. ნორმის ინტერპრეტაციას ყოველთვის უნდა მივმართოთ სამართალგამოყენების პროცესში. ამ სფეროში განმარტების აუცილებლობა გამომდინარეობს სამართლის ნორმისა და სინამდვილის ურთიერთმიმართების დიალექტიკიდან. სამართლის ნორმას გააჩნია ზოგადადსტრატეგიული ხასიათი, რომელიც, შეძლებისდაგვარად, მრავალ, ერთმანეთისგან განსხვავებულ, პროგნოზირებად თუ არაპროგნოზირებად სიტუაციას მოიცავს. ჩვენს წინაშე არსებულ იურიდიული ხასიათის შეკითხვებს აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი, რაც წარმოუდგენელია ნორმის განმარტების გარეშე.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მართებულადაა მითითებული, რომ „ვინაიდან თითქმის ყველა საკანონმდებლო ცნება, გარდა ციფრებისა და თარიღებისა, მეტნაკლებად მრავალმნიშვნელოვანია, შესაბამისად, შეფასებითი შეიძლება იყოს.“²⁶

განმარტება განსხვავდება ანალოგიისგან: განმარტების მიზანი კანონის არსის დადგენა და თანამედროვეობის სახეშეცვლილ მოთხოვნილებებსა თუ შეხედულებებზე მისი მორგებაა.²⁷ ანალოგიის მიზანი კი, პირიქით, ერთგვარი სამართალშემოქმედებაა, რაც კანონის ტექსტში გაპარული სიცარიელების ანუ ხარვეზების ამოვსებისა და ამა თუ იმ სამართლის ნორმის შინაარსისა თუ გამოყენების სფეროს მასშტაბების გაზრდის გზით მიიღწევა²⁸ ან, პირიქით, ნორმის გამოყენების სფერო უნდა შეიზღუდოს (მაგალითად, ტელეოლოგიური რედუქციით).

²⁶ იხ. ნ. გვენეტაძე, *მ. ტურავა*, სისხლის სამართლის საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., გვ. 14.

²⁷ შეად. ი. ვესელსი, *ვ. ბოილკე*, დასახ. ნაშრ., გვ. 23.

²⁸ შეად. იქვე, გვ. 23.

განმარტებისას სამართლის ნორმის არსი დგინდება იმ ენის ცოდნით, რომელზედაც შედგენილია ნორმები, სამართლის სისტემურ კავშირთა ცოდნით, მათი წარმოშობისა და ფუნქციონირების ცოდნით. განმარტების ამ საშუალებებს შეესაბამება განმარტების ხერხები: გრამატიკული (ენობრივი), სისტემური, ისტორიული და ობიექტურ-ტელეოლოგიური.²⁹ განმარტების პროცესი ობიექტურთან ერთად სუბიექტურია, რადგან მას ადამიანი ახორციელებს მიღებული ცოდნის და შეფასების საფუძველზე.

ნორმის შემფარდებელი, ცნების, ტერმინის მრავალმნიშვნელობის მიუხედავად, არ უნდა შეენიანაღმდეგოს კანონმდებლის ნებას. ამავდროულად, მას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ ნორმა ყოველთვის წარსულშია შექმნილი, ხოლო საზოგადოებრივი ცხოვრების დინამიკური ბუნებიდან გამომდინარე, კანონმდებელს ნორმის შექმნის მომენტში შეიძლება ვერ გაეთვალისწინებინა ყველა გარემოება, მაგრამ ის აუცილებლად მოიაზრებდა ნორმის შექმნის შემდეგ წარმოშობილ შესაბამის ვითარებას თუ მოვლენას, ამიტომ სამართალ-შემფარდებელმა კანონმდებლის ისტორიული ნება მექანიკურად არ უნდა შეზღუდოს. მან ფუნქციურად უნდა დაუკავშიროს ნორმაში ჩადებული კანონმდებლის ნება რეალურ მოვლენას თუ ვითარებას, რათა მოხდეს კანონმდებლის მიზნის რეალიზება.

ნორმის განმარტებისას ინტერპრეტატორს მოეთხოვება გარკვეული წესების მიხედვით ქცევა, რათა იგი არ შეენიანაღმდეგოს ნორმის არსს. ამგვარი წესები „სამართლის მეთოდოლოგიის შინაარსია, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან: იგი წარმოადგენს სწავლებას სამართლის გამოყენების მეთოდების შესახებ (როცა არსებული ნორმის ინტერპრეტაცია ხდება) და სწავლებას სამოსამართლო სამართლის შესახებ (როცა მოსამართლის მიერ ხდება ახალი ნორმის შექმნა). მოძღვრება იურიდიული მეთოდების შესახებ არ გვაძლევს არავითარ პირდაპირ ინფორმაციას ნორმის შინაარსის

²⁹ შეად. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 125.

შესახებ, არამედ მეთოდების შესახებ, რომელიც უნდა გამოვიყენოთ, რომ ნორმის შინაარსი „lege artis“ ამოვიცნოთ, რათა ნორმის არსი ნათელვყოთ. მაშასადამე, იურიდიული მეთოდების მოძღვრება არის იურიდიული „მეტადისციპლინა“. მაშინ როდესაც კერძო, სისხლის ან სახელწიფო სამართლის უშუალო შესწავლის საგანია, თუ რა შინაარსი ეძლევათ კონკრეტულ ნორმებს სასამართლო პრაქტიკასა და თეორიაში. იურიდიული მეთოდოლოგია შეეხება უფრო ადრეულ ეტაპს, წინარე საკითხს, თუ რა მეთოდების საფუძველზე შეიძლება დადგინდეს ნორმის შინაარსი. კანონის ტექსტში ეს საკითხი, როგორც წესი, არ არის გარკვევით ან ყოველ შემთხვევაში საბოლოოდ რეგლამენტირებული.“³⁰

მართალია, ნორმის შემფარდებელი შეზღუდულია კანონმდებლის ისტორიული ნებით, მაგრამ ვერავინ უარყოფს იმას, რომ ნორმის ინტერპრეტაციისას ინტერპრეტატორი თავისუფალია შინაგანი რწმენისგან, სუბიექტური მოსაზრებისგან. ნორმის ინტერპრეტაცია მხოლოდ ობიექტურ საწყისზე წარმოუდგენელია, ვინაიდან ინტერპრეტატორი სუბიექტია, რომლის გონებაშიც ხდება ლოგიკური მსჯელობა ნორმის არსის შესახებ. ნორმის ინტერპრეტატორის სუბიექტურ შეხედულებებზე გავლენას მრავალი ფაქტორი ახდენს. მაგალითად, ზოგადი განათლების დონე, პროფესიული განათლების თავისებურებანი, ცხოვრებისეული გამოცდილება და ა. შ. ისმის კითხვა: როდის შეიძლება ჰქონდეს ადგილი ნორმის მიკერძოებულად განმარტებას? ნორმის, სინამდვილისა და ინტერპრეტატორის ურთიერთმიმართების სპეციფიკიდან გამომდინარე, ნორმის განმარტებისას სუბიექტივიზმს მაშინ აქვს ადგილი, თუ ინტერპრეტატორი „განზრახ ამახინჯებს“ კანონის ობიექტურ არსს. თუკი ადგილი აქვს განუზრახველ, არასწორ ინტერპრეტაციას, ანუ კანონმდებლის ნების მცდარ წაკითხვას, მაშინ არ შეიძლება სუბიექტივიზმზე ვისაუბროთ. ვინაიდან ნორმის, სულ მცირე, ორ განსხვავებულ გაგებაზე შეიძლება ვისაუბროთ და შეიძლება ადგილი

³⁰ ნ. გვერტაძე, მ. ტურავა. დასახ. ნაშრ., გვ. 15.

ჰქონდეს ნორმის მცდარ განმარტებას ან ნორმის შინაარსის განზრახ დამახინჯებას. დემოკრატიულ სახელმწიფოებში არსებობს სასამართლო ინსტანციები, რომლებიც სულ სხვა სასამართლო შემადგენლობით უზრუნველყოფს ქვემდგომი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების განხილვას და ახალი სამართლებრივი გადაწყვეტილების დადგენას.

„მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, საკონსტიტუციო სასამართლოებთან მიმართებით, ხშირად გამოიყენება ტერმინი ე. წ. ლიბერალური და კონსერვატორული შემადგენლობა, ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიმღები სასამართლო შემადგენლობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსიდან გამომდინარე.“³¹ სასამართლო პრაქტიკა კანონმდებლობის ცვლილების გარეშე შეიძლება შეიცვალოს. შესაძლებელია, მოსამართლეს მის მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებაზე შეეცვალოს შეხედულება, თუმცა ნორმის ინტერპრეტაციის შეცვლას არ აქვს უკუძალა და წარსულში განხილულ ანალოგიურ საქმეებზე გავლენას ვერ მოახდენს.³²

უნდა დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, იურიდიული მეთოდების შესახებ მოძღვრება ნორმის ინტერპრეტაციას მხოლოდ „რეტროსპექტულად“ კი არა, არამედ „პროსპექტულადაც“ უყურებს.³³ სწორედ პროსპექტული მეთოდია სამოსამართლო სამართლის განვითარების უმნიშვნელოვანესი საფუძველი, რადგან კანონმდებელს არ შეუძლია ყველაფერი წინასწარ გათვალისწინოს შექმნისას.

„დღევანდელი მოძღვრება იურიდიული მეთოდების შესახებ ჩვეულებრივად განასხვავებს ორ საკითხს: ჩვეულებრივი ინტერპრეტაცია (მას ხშირად უწოდებენ ასევე კანონის განმარტებას ვინაშე გავებით ან სამართლის გამოყენებას) და სამოსამართლო სამართალი (სამოსამართლო სამართალგანვითარება ან სამართალ-

³¹ ნ. გვენეტაძე, მ. ტურავა, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

³² იხ. იქვე, გვ. 21.

³³ იხ. იქვე, გვ. 22.

შემოქმედება).“³⁴ მათ შორის რაიმე მყარი საზღვარი არ არსებობს და ისინი ხშირად ერთმანეთს კვეთენ. სამოსამართლეო სამართალ-შემოქმედება ენაცვლება კანონის სიტყვა-სიტყვით განმარტებას იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი ვერ უზრუნველყოფს კანონმდებლის ნების დადგენას.³⁵

დასასრულ, კონკრეტულ შემთხვევაში ნორმის განმარტების რომელი სახე თუ ხერხი უნდა იქნას გამოყენებული, დასაწყისში არაა მკაცრად რეგლამენტირებული. თუმცა ლოგიკურია, რომ ნორმის ინტერპრეტაცია გრამატიკული (სიტყვა-სიტყვით) განმარტებით დაეიწყოს, რადგან მარტივიდან უნდა გადავიდეთ შედარებით რთულ ოპერაციებზე.

მართებულია მითითება იმის შესახებ, რომ „განმარტების ხერხების იერარქია არ არსებობს. სამართლის შეფარდება ხორციელდება „მეთოდური პლურალიზმის“ საფუძველზე. ამავე დროს, შესაძლებელია, განისაზღვროს განმარტების „გონივრული“ თანმიმდევრობა. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ განმარტების ცალკეული ხერხები ერთმანეთს კი არ გამოორიცხავენ, არამედ ავსებენ.“³⁶

§ 2. ნორმის განმარტების ხერხები

ნორმის განმარტების ყველაზე გავრცელებული ხერხია გრამატიკული (სიტყვა-სიტყვით), რომელსაც სისხლის სამართალში განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგან დანაშაულის, სასჯელის ან სხვა იძულებითი ღონისძიების მიმართ ანალოგია ბრალდებულის საზიანოდ აკრძალულია. გრამატიკული განმარტების პირველადობა თვით ამ ხერხის ბუნებიდან გამომდინარეობს, რადგან ნორმის წაკითხვა ლოგიკურად გაუმართლებელია დაეიწყოს ისეთი მეთოდებით, რომლებიც გაცილებით რთულ განსჯას მოითხოვს,

³⁴ იქვე, გვ. 24.

³⁵ იქვე, გვ. 24.

³⁶ გ. ხუბუა, სამართლის თეორია, თბ., გვ. 160.

ვიდრე ეს ჩვეულებრივი საყოფაცხოვრებო და იურიდიული ლექსიკის გამოყენებით შეიძლება. მაგალითად, გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობა (სსკ-ის 116-ე მუხლი), კანონმდებლის აზრის ნაკითხვის თვალსაზრისით, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. თუმცა აქაც დიდი სიფრთხილის დაცვაა საჭირო, რადგან ნორმის განმარტება ყოველთვის შემეცნებითი პროცესია და არასწორმა მიდგომამ, შეიძლება დაგვაშოროს კანონმდებლის ნებისგან. ამას ისიც ემატება, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში ნორმის განსაზღვრულობის მოთხოვნა კანონიერების პრინციპის უმნიშვნელოვანესი შინაარსობრივი მხარეა, რომლის დარღვევას თავიდან აგვაცილებს ნორმის სიტყვა-სიტყვითი განმარტება.

გრამატიკული განმარტება ეფუძნება იმ ენის ცოდნას, რომელზედაც შედგენილია სამართლის ნორმა, მისი სინტაქსის, მორფოლოგიისა და გრამატიკის სხვა წესებს. ვინაიდან სიტყვებს სხვადასხვა მნიშვნელობა გააჩნია, ამიტომ კანონმდებლის ნების ამოკითხვისთვის აუცილებელია გვახსოვდეს, რომ შესაძლებელია სხვადასხვა ნორმატიულ აქტში ან თუნდაც ერთი და იმავე ნორმატიული აქტის ფარგლებში ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენებოდეს. მაგალითად, სსკ-ის 342-ე მუხლში მოცემულია სამსახურებრივი გულგრილობა, რომელიც გაუფრთხილებლობითი დანაშაულია. სსკ-ის მე-9 მუხლის მეორე ნაწილში კანონმდებელი არაპირდაპირი განზრახვის დეფინიციაშიც იყენებს სიტყვას: „გულგრილობა“. როგორც ვხედავთ, პირველ შემთხვევაში „გულგრილობა“, კანონის კონტექსტიდან გამომდინარე, გაუფრთხილებლობის გამომხატველია, ხოლო მეორე შემთხვევაში არაპირდაპირი განზრახვის დეფინიციის შემადგენელი ელემენტია.

სამართალგამოყენების პროცესში ოფიციალური ენის ცოდნის მნიშვნელობას ის ფაქტიც აძლიერებს, რომ საქართველო, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნები, მრავალი საერთაშორისო კონვენციისა თუ ხელშეკრულების ხელმომწერი ქვეყანაა, რის გამოც რომელიმე არაქართულ ენაზე შესრულებულ დოკუმენტში მოცემული ტერმინები

ქართულ ენაზე უნდა ითარგმნოს, მისი ფუნქციური დატვირთვის მიხედვით. ეს თავიდან აკვარიდებს ტერმინების არასწორ გაგებას.

გრამატიკული განმარტების დროს ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს აღწერილობითი (დესკრიფციული) და შეფასებითი (ნორმატიული) ნიშნები.

აღწერილობითი (დესკრიფციული) ნიშანი, როგორც წესი, სემანტიკურად დიდ სირთულეს არ ქმნის განმარტებისას. აღწერილობითი ნიშანი დროულ-სივრცულია ანუ ფიზიკურად და ვიზუალურად აღქმადია ადამიანის გრძნობების მეშვეობით. სიმარტივის საფუძველი საზოგადოებაში სტიქიურად ჩამოყალიბებული ერთიანი სტანდარტი ან თვით კანონით დადგენილი წესია. მაგალითად, ზღვის დაბინძურებისას (სსკ-ის 293-ე მუხლი) პრაქტიკულად შეუძლებელია წარმოიშვას რაიმე პრობლემა არის თუ არა დაბინძურებული წყალი ზღვა. თუ კანონმდებელი პირდაპირ აღწერს ამა თუ იმ მოვლენას ან საგანს, მაშინ მისი სხვაგვარი ინტერპრეტაცია დაუშვებელია. მაგალითად, იარაღის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, „ცეცხლსასროლი იარაღი არის იარაღი, რომელშიც ჭურვი ან საფანტის ჭურვები მიმართულ მოძრაობას იწყებს დენთის ან სხვა მუხტის წვისას გამოყოფილი ენერჯის შედეგად და რომელიც განკუთვნილია ობიექტის მანძილიდან მექანიკურად დასაზიანებლად ან/და გასანადგურებლად.“

შეფასებითი (ნორმატიული) ნიშნის განმარტება ხდება არა ჩვენი გრძნობის ორგანოებით მიღებული ინფორმაციის საშუალებით, არამედ განსჯის შედეგად მიღებული დასკვნებით. შეფასებითი ნიშნები შესაძლებელია, კანონმდებელმა კონკრეტული ნორმისთვის განმარტების სახით გადმოგვცეს. მაგალითად, ქურდობისას მნიშვნელოვან ზიანად, სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის მე-3 ნაწილის თანახმად, ითვლება ნივთის ღირებულება 150 ლარის ზევით. შესაძლებელია, შეფასებითი ნიშნები ემყარებოდეს საზოგადოებრივ აზრს, ზნეობრივ ღირებულებებს. მაგალითად, გარყვნილი ქმედება, სისასტიკე, უხეში დარღვევა და ა. შ.

მართებულადაა მითითებული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ „საზღვარი დანაშაულის აღწერილობით და შეფასებით ნიშნებს შორის ხშირად მერყევია. ერთი და იგივე ნიშანი შეიძლება აღწერილობითი იყოს და შეფასებითიც.“³⁷ მაგალითად, დოკუმენტის ისეთი ნიშნები, როგორცაა ქალაღდი, შტამპი, ხელმოწერა – ფაქტიურია, აღწერილობითია, ხოლო ის, რომ დოკუმენტი გარკვეულ იურიდიულ ფაქტებს ადასტურებს, ეს თვისება შეფასებითი ნიშანია.³⁸

განმარტების სისტემური ხერხი, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ნორმის შინაარსის გარკვევისას ყოველთვის გამოიყენება. სამართლის სისტემის ერთიანობიდან გამომდინარე, სადაც მრავალი ნორმაა თავმოყრილი, არ არებობს ნორმა, რომელიც სხვა ნორმებისგან მოწყვეტით მოქმედებს. ამ დროს, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება ნორმის ადგილი სამართალში, სამართლის დარგის სისტემაში, სამართლის ინსტიტუტში. შემდეგ დგინდება განმარტებულ ნორმასთან ლოგიკურად დაკავშირებული ნორმები. მაგალითად, სსკ-ის 143¹-ე მუხლში (ტრეფიკინგი) მოცემულია ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა. ვინაიდან ეს დანაშაული მოთავსებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში (XXIII) და ამ დანაშაულის ობიექტთა ნუსხაში ადამიანის თავისუფლად გადაადგილების უფლებაც მოიაზრება, ამდენად მოცემული დანაშაული დასრულებულად ითვლება არა უბრალოდ დამნაშავეთა შორის ადამიანის ყიდვისთვის გარკვეული საფასურის გადახდის მომენტიდან, არამედ გაყიდული ადამიანის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. მაშასადამე, სამოქალაქო სამართალში არსებული ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დამთავრების მომენტი აქ არ გამოგვადგება.

სისტემური განმარტებისას აუცილებელია იმ ნორმათა ტიპური ფუნქციური კავშირის გათვალისწინება, რომელიც გავლენას

³⁷ თ. წერეთელი გ. ტყეშელიაძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969, გვ. 114.

³⁸ В. Макашвили, Понятие умысла в уголовном праве, „მაცნე“, 1966, №6, გვ. 77. ციტირებულია: იხ. თ. წერეთელი გ. ტყეშელიაძე, დასახ ნაშრ., გვ. 114.

ახდენს განსამარტავი ნორმის არსზე. ამგვარი კავშირებიდან აღსანიშნავია:

- 1) განმარტებას დაქვემდებარებული ნორმის კავშირი იმ ნორმასთან, რომელიც ასე თუ ისე საშუალებას იძლევა, აეხსნათ იმ ტერმინის არსი, რომელიც განსამარტავ ნორმაშია გამოყენებული. მაგალითად, სსკ-ის 113-ე მუხლში მოცემულია მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით. აუცილებელი მოგერიების გასაგებად უნდა მივმართოთ სსკ-ის 28-ე მუხლს (აუცილებელი მოგერიება);
- 2) ზოგად და სპეციალურ ნორმათა კავშირი. სპეციალური ნორმა ზოგადი ნორმის მოქმედების სფეროს ზღუდავს. იურიდიულ აზროვნებაში ჩამოყალიბდა წესი: *lex specialis derogate legi generali* (სპეციალური კანონი აუქმებს ზოგადი კანონის მოქმედებას იმ ფაქტებზე, რომლებიც გათვალისწინებულია სპეციალურ კანონში). მაგალითად, განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (სსკ-ის 113-ე მუხლი) ზღუდავს მკვლელობის მარტივი შემადგენლობის (სსკ-ის 108-ე მუხლი) მოქმედების ფარგლებს;
- 3) მითითებით ნორმათა კავშირი. ვინაიდან მითითებითი ნორმა სრულყოფილად არ არის ფორმულირებული, ამიტომ საჭიროა იმ ნორმას მივმართოთ, რომელზეც ხდება მითითება. მაგალითად, ქონებრივი მოტყუება დაზიანებით (სსკ-ის 185-ე მუხლი). აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობის სრულყოფილი განმარტება შეუძლებელია, თუ არ მივმართავთ თაღლითობის შემადგენლობას (სსკ-ის 180-ე მუხლი);
- 4) შინაარსობრივად ახლოს მდგომ, ერთგვაროვან ნორმათა კავშირი, რომლებიც არ არიან ზოგად და სპეციალურ ნორმათა ურთიერთობაში. ამ დროს გამოიყენება შედარების მეთოდი. მაგალითად, ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა (სსკ-ის 225-ე მუხლი) და ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესებს.

დოებრივ წესრიგს ან მასში აქტიური მონაწილეობა (სსკ-ის 226 მუხლი).³⁹

ლოგიკური განმარტებისას ინტერპრეტატორი ლოგიკური ხერხებით ეყრდნობა თვით ნორმის შინაარსს. ლოგიკური განმარტებისას გამოიყენება სხვადასხვა ლოგიკური ხერხები: ლოგიკური გარდაქმნა, ცნების ლოგიკური ანალიზი, ხარისხის დასკვნა (*a fortiori*), დასკვნა ანალოგიით, დასკვნა საწინააღმდეგოდან (*argumentum a contrario*), აბსურდამდე მიყვანა (*reduction ad absurdum*) და სხვ.⁴⁰

ნორმის კონკრეტულ სიტუაციაში გამოსაყენებლად, საჭიროა მისი დაკონკრეტება, რაც ცნების ლოგიკური ანალიზით მიიღწევა.

ხარისხის დასკვნა (*a fortiori*) დაფუძნებულია ორ წესზე: ის, ვინც უფლებამოსილია ან ვალდებულია დიდზე, იგი უფლებამოსილია ან ვალდებულია მცირეზე (*argumentum a majori ad minus*). ვისაც აკრძალული აქვს მცირე, იმას აკრძალული აქვს დიდიც (*argumentum a minori ad majus*).⁴¹

საინტერესოა, რომ სსკ-ის 303-ე მუხლში ცვლილება სწორედ ლოგიკური განმარტების შედეგად მოხდა. ცვლილებამდე ხე-ბუჩქნარის გაჩეხვა მხოლოდ მაშინ იწვევდა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ იგი შედეგად გაუფრთხილებლობით გამოიწვევდა მნიშვნელოვან ზიანს. კანონმდებელმა ამოიღო სიტყვა „გაუფრთხილებლობა“, რადგან თუ ისჯება გაუფრთხილებლობით, ანუ განზრახვასთან შედარებით ბრალის უფრო მსუბუქი ფორმით შედეგის გამოწვევა, ლოგიკურად არ შეიძლება დასჯადობის გარეშე დარჩეს შედეგის განზრახ გამოწვევა. ამ მხრივ, აღსა-

³⁹ შეად. *А. Ф. Чердатцев*, Теория государство и право, М., 2001, с. გვ. 271-272. სისტემური განმარტების შესახებ დანვრილებით იხ. გ. ხუბუა, დასახ. ნაშრ., 158-160.

⁴⁰ იხ. იქვე, გვ. 272-273.

⁴¹ შეად. *А. Ф. Чердатцев*, დასახ. ნაშრ., გვ. 273-274. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი, ლოგიკური განმარტებისას მიუთითებს, რომ ამ დროს ინტერპრეტატორი „არ იყენებს განმარტების სხვა საშუალებებს“. ასეთი აზრი მიუღებელია, რადგან არ არსებობს განმარტება განმარტების სხვა მეთოდებისგან და სახეებისგან მონყვევით დამოუკიდებლად ფუნქციონირებდეს.

ნიშნავია სსკ-ის 273-ე მუხლის ინტერპრეტაცია. ამ მუხლში მოცემული შემადგენლობა შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: „პირადი მოხმარებისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება, ჩადენილი ასეთი ქმედებისთვის ადმინისტრაციულსახდელშეფარებული ან ამ დანაშაულისთვის ნასამართლევ პირის მიერ“. მოცემული დანაშაულის შემადგენლობას ალტერნატიულად აფუძნებს ის გარემოება, რომ თუ ამ მუხლში ჩამოთვლილ რომელიმე ქმედებას ამავე დანაშაულისთვის ნასამართლევ პირი ჩაიდენს. საყურადღებოა ის, რომ აქ საუბარია ზემოაღნიშნულ ნივთიერებათა მცირე ოდენობაზე. ისმის კითხვა: როგორ უნდა დავაკვალიფიციროთ ქმედება მაშინ, როდესაც პირი ნასამართლევია არა სსკ-ის 273-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, არამედ სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის, კერძოდ, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადების, შექმნის, შენახვის ანდა უკანონოდ მოხმარებისთვის. ბუნებრივია, აქ ნარკოტიკის მცირე ოდენობაზე მეტი ოდენობა იგულისხმება. სსკ-ის 273-ე მუხლში კი, საუბარია მცირე ოდენობაზე. ლოგიკური განმარტებით უნდა დავასკვნათ შემდეგი: თუ კანონმდებელი სსკ-ის 273-ე მუხლით დასჯადად აცხადებს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადებას, შექმნას, შენახვას ანდა ექიმის გარეშე უკანონოდ მოხმარებას, ჩადენილი ამ დანაშაულისთვის ნასამართლევ პირის მიერ, მაშინ ლოგიკური განმარტებით უნდა დავასკვნათ, რომ ამავე მუხლით, შესაბამისი პირობების არსებობისას, უნდა დაისაჯოს სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ალტერნატიული დანაშაულისთვის (კერძოდ, ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადების, შექმნის, შენახვის ანდა უკანონოდ მოხმარებისთვის) ნასამართლევ პირი, რადგან სსკ-ის 260-ე მუხლში საუბარია მცირე ოდენობაზე მეტ ოდენობაზე.

მაშასადამე, ლოგიკა ასეთია: თუ დასჯადია მცირე, მაშინ დასჯადია მეტიც.

ანალოგიით დასკვნა, როგორც განმარტების ლოგიკური ხერხი (analogia intra legem) უნდა განეხილავოთ ანალოგიისგან, რომელიც სამართალში ხარვეზის შევსების ხერხად გამოიყენება (analogia extra legem). ანალოგიით დასკვნის, როგორც განმარტების ლოგიკური ხერხის მაგალითად გამოდგება კანონმდებლის მიერ გამოყენებული სიტყვები „და სხვა“, „და სხვა შემთხვევაში“ და ა. შ.⁴² მაგალითად, სსკ-ის 411-ე მუხლის („საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა შეიარაღებული კონფლიქტის დროს“) მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტში ვკითხულობთ: „ნამება ან სხვა არაჰუმანური მოპყრობა, სამედიცინო ექსპერიმენტის ჩათვლით.“ მოცემულ ქვეპუნქტში სიტყვებში „სხვა არაჰუმანური მოპყრობა“ უნდა მოვიაზროთ წამების ანალოგიური, მსგავსი არაჰუმანური მოქმედებები, რომლებიც ხორციელდება დაზარალებულის მიმართ. მეორე მაგალითი: სსკ-ის 203-ე მუხლის მე-4 ნაწილით პასუხისმგებლობაა დანესებული შემდეგი მოქმედებისთვის: „პროფესიული სპორტული შეჯიბრის მონაწილის მიერ უკანონოდ ფულის, ფასიანი ქალაქის ან სხვა ქონების მიღება ანდა ქონებრივი მომსახურებით სარგებლობა შეჯიბრებისა ან კონკურსის შედეგზე ზეგავლენის მიზნით.“ აღნიშნული დანაშაულის შემადგენლობაში კანონმდებელი „სხვა ქონებაზეც“ მიუთითებს, რომელიც კანონში სახელდებით არ არის მოხსენიებული.

განმარტების ისტორიული ხერხი. თვით ამ ხერხის სახელწოდებიდან ჩანს, რომ ნორმის შინაარსის გარკვევისას უნდა გაირკვეს კანონმდებლის მიზანი, რომელიც გვიხსნის თუ რა სოციალურმა, პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა გარემოებებმა განაპირობა ამ ნორმის მიღების საჭიროება და ნორმის განვითარება. ამისთვის დიდი დახმარების განევა შეუძლია კანონპროექტებზე დართულ განმარტებით ბარათებს, კანონის მიღების პროცესში მიმდინარე საპარლამენტო დებატებს და ა. შ. მაგალითად, 2006 წლიდან დას-

⁴² იხ. *А. Ф. Чердачев*, დასახ. ნაშრ., გვ. 274.

ჯადადაა გამოცხადებული ქურდული სამყაროს წევრობა და კანონიერი ქურდობა (სსკ-ის 223¹-ე). ამგვარი დანაშაულის შემადგენლობის შემოღება განაპირობა ქურდულ სამყაროსთან გაძლიერებული ბრძოლის აუცილებლობამ.

ისტორიული განმარტების საფუძველზე შეიძლება გაირკვეს, რომ ნორმის მოქმედებას აზრი აღარ აქვს და საჭიროა კანონის კორექტირება ან საერთოდ გაუქმება.

ტელეოლოგიური განმარტება კანონის ობიექტური მიზნის გასარკვევად გამოიყენება (Telos ბერძნული სიტყვაა და მიზანს ნიშნავს). ტელეოლოგიური განმარტების როლი საკმაოდ დიდია სამართალგამოყენებით საქმიანობაში, რადგან პრაქტიკულად წარმოუდგენელია კანონის განმარტების რომელიმე ხერხის გამოყენებისას არ ვარკვევდეთ კანონის მიზანს. აღნიშნულის საფუძველია სამართლებრივ სახელმწიფოში კანონის ლეგიტიმაციის აუცილებლობა. კანონმდებელი არის ხალხის წარმომადგენელი, რის გამოც კანონმდებლის რეგულირების ნება და მიზანი უნდა განხორციელდეს იურისდიქციის მეშვეობით. სწორედ კანონის მიზნიდან გამომდინარე, ტელეოლოგიური განმარტება გვეუბნება, კანონი სიტყვა-სიტყვით, შეზღუდულად (რესტრიქციულად) თუ განვრცობითად (ექსტენსიურად) უნდა ნავიკითხოთ.

§ 3. ნორმის განმარტების სახეები მოცულობის მიხედვით

განმარტების შედეგის განხილვა შეიძლება მოცულობის მიხედვითაც. განმარტების მოცულობა განისაზღვრება მისი ნორმის ტექსტობრივ გამოხატულებასთან თანაფარდობით. მოცულობის მიხედვით განმარტება შეიძლება იყოს: სიტყვა-სიტყვითი, განვრცობითი და შეზღუდული. სიტყვა-სიტყვითი განმარტება უმნიშვნელოვანესი და პირველადია, რადგან სიტყვა-სიტყვითი განმარტება განსაზღვრავს განმარტების ფარგლებს.

სიტყვა-სიტყვითი განმარტებისას კანონის ტექსტი განიმარტება ზუსტად ისე, როგორც ეს ცნება თუ სიტყვა იხმარება საყოფაცხოვრებო ან პროფესიული ლექსიკით. მაგალითად, სსკ-ის 282-ე მუხლით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაა დანესებული მატარებლის თვითნებური გაჩერებისთვის. აქ იგულისხმება მხოლოდ მატარებლის უკანონო გაჩერება და არა სხვა რომელიმე სატრანსპორტო საშუალების გაჩერება.

როდესაც კანონის ტექსტში მოაზრებული მოვლენები, ნიშნები და ა. შ. არ შეიძლება ასახავდეს, მოცულობის თვალსაზრისით, კანონის ქვეშარიტ არსს, მაშინ ინტერპრეტატორი, კანონის გონიდან გამომდინარე, იყენებს განვრცობით ან შეზღუდულ განმარტებას.

„სახეცვლილი ურთიერთობების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ როგორ ესმოდა საწყის ეტაპზე ისტორიულ კანონმდებელს ესა თუ ის ცნება (სუბიექტური თეორია), რადგან მოსამართლე კანონმდებლის ნებით კი არა, არამედ კანონში ჩადებული ობიექტური ნებითაა შებოჭილი (ობიექტური თეორია)⁴³. იმ საკითხის გადანყვეტა, კანონის არსიდან და მიზნიდან გამომდინარე, მისი განვრცობითი (ექსტენსიური) განმარტება უნდა მოხდეს თუ შეზღუდვითი (რესტრიქციული), ცალკეულ შემთხვევაზე დამოკიდებული.“⁴⁴ განვრცობითი ან შეზღუდული განმარტება შეიძლება გამომდინარეობდეს მისი სისტემურობიდან. მაგალითად, ლამის საათები ყოველთვის არ ემთხვევა დროის ჩვეულებრივ, ასტრონომიულ გაგებას.⁴⁵

შეზღუდული განმარტებისას კანონის მოქმედება არ ვრცელდება ყველა იმ მოვლენაზე, რომელიც კანონის სიტყვა-სიტყვით მნიშვნელობაში ეტევა. შესაძლებელია, კანონმდებელმა თვითონ შეზღუდოს ნორმა. მაგალითად, სსკ-ის 236-ე მუხლით დასჯადია

⁴³ BGHSt 10, 157, 159; 26, 156, 159; OLG Dresden NJW 06, 1013. ციტირებულია: *ი. ვესელსი, ვ. ბოილკე*, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

⁴⁴ იქვე, გვ. 24.

⁴⁵ შეად. *Чепамуев А. Ф.*, დასახ. ნაშრ., გვ. 282.

ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება. აქ კანონმდებელმა ცეცხლსასროლი იარაღიდან გამონაკლისი გააკეთა გლუვლულიან სანადირო თოფზე და მასზე სსკ-ის 236-ე მუხლში ჩამოთვლილი მოქმედებების განხორციელებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაანესა. შეზღუდული განმარტება შეიძლება გამომდინარეობდეს სპეციალური ნორმის არსებობიდანაც. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ფარული დაუფლება მისაკუთრების მიზნით (სსკ-ის 237-ე მუხლით) არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 177-ე მუხლით, რადგან იგი მოთავსებულია არა საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში (XXV), არამედ საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში (XXX). შესაბამისად, ამ დანაშაულის ძირითადი სამართლებრივი სიკეთე არის არა საკუთრება, არამედ საზოგადოებრივი უშიშროება.

არა მხოლოდ სისტიმური, არამედ განსაკუთრებით ტელეოლოგიური განმარტების მეშვეობით შეიძლება მივიდეთ დასკვნამდე, რომ კანონი შეზღუდულად უნდა განიმარტოს და კანონი არ უნდა გამოვიყენოთ. მაგალითად, დანაშაულის მომზადებად ითვლება პირობების განზრახ შექმნა მხოლოდ კონკრეტული და არა რაიმე დანაშაულის ჩასადენად ზოგადად. როცა ადამიანს ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია, კონკრეტულად თუ რომელი დანაშაულის ჩასადენად იყიდა მან იარაღი, ამ ქმედებას დანაშაულის მომზადებად ვერ შევაფასებთ სწორედ კანონის ტელეოლოგიური რედუქციის მეთოდის მოშველიებით.⁴⁶

„განვრცობითად განიმარტება დაუსრულებელი ჩამონათვალი და ა. შ. თუმცა, ასეთი განმარტებაც ზღვარდადებულია. დაუშვე-

⁴⁶ ქ. მჭედლოშვილი-ჰედრისი, კაზუსის ამოხნის მეთოდიკა სისხლის სამართალში, 2010, გვ. 55.

ბელია ამომწურავი, დასრულებული ჩამონათვალის (გარემოებათა, სუბიექტთა და ა. შ.), სანქციათა, საერთო წესიდან საგამონაკლისო დებულებათა განვრცობითი განმარტება. დაუშვებელია დაუსრულებელ ჩამონათვალთა შეზღუდული განმარტება. დაუშვებელია ლეგალური დეფინიციებით განსაზღვრულ ტერმინთა განვრცობითი ან შეზღუდული განმარტება, თუკი ასეთი განმარტება მის საზღვრებს სცდება.⁴⁷ თუ დასრულებული ჩამონათვალი კანონმდებლის მიერ კონკრეტული მოქმედებებით ან გარემოებებით არის ჩამოყალიბებული განვრცობითი განმარტების გამოყენება კანონიერების პრინციპის დარღვევა იქნება. მაგალითად, სსკ-ის 411-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, საერთაშორისო და ჰუმანიტარული სამართლის ნორმების განზრახ დარღვევა სახელმწიფოთაშორისი ან შიდასახელმწიფოებრივი შეიარაღებული კონფლიქტის დროს, მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუკი ადგილი ექნება კანონმდებლის მიერ ჩამოთვლილ რომელიმე ქმედებას. კანონმდებელი აქ ხმარობს სიტყვას „კერძოდ“ და შემდეგ ჩამოთვლის კონკრეტულ შემთხვევებს.

განვრცობითი განმარტება უნდა გაიმიჯნოს ანალოგიისგან. თუ პირველ შემთხვევაში, კანონის მიზნიდან გამომდინარე, რაიმე მოვლენა თუ ქმედება კანონში შეიძლება მოვიაზროთ, ანალოგიისას მოცემულ ნორმაში ფაქტობრივი გარემოებები არანაირად არ ეტევა. სისხლის სამართალში განვრცობითი განმარტების გამოყენების მაჩვენებელი საკმაოდ მცირეა.

§ 4. ნორმის განმარტება და ნორმის ანალოგია

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში კანონიერების პრინციპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. კანონიერების პრინციპი ლაკონურად და შთამბეჭდავად არის ჩამოყალიბებული ლათინური ფორმულებით: *nullum crimen sine lege* (არ არსებობს დანაშაული

⁴⁷ A. Ф. Чердачев, დასახ. ნაშრ., გვ. 282.

კანონის გარეშე)" და *nulla poena sine lege* (არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე).⁴⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ქმედების დანაშაულად შეფასებასთან, სასჯელსა და აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებით ღონისძიებებთან მიმართებით კატეგორიულად კრძალავს, აღნიშნული პრინციპების შესაბამისად პიროვნების საზიანოდ ანალოგიის⁴⁹ გამოყენებას.⁵⁰

როგორც წესი, საქართველოში მოსამართლე სამართალშემოქმედებით საქმიანობას არ ახორციელებს. კონსტიტუციის 84-ე მუხლის 1-ლი პუნქტი, რომლის თანახმადაც, „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს," კრძალავს სამოსამართლო სამართალს, როგორც სამართლის წყაროს.⁵¹ თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ „კანონი ვერ გაითვალისწინებს კონკრეტული ურთიერთობების გადწვევების ყველა შესაძლო მოდელს. კანონის ტექსტი, ჩვეულებრივ აბსტრაქტულია, რომლის ზოგადი დებულებებიც განმარტებას მოითხოვს. გარდა ამისა, მოსამართლეს ხშირად უწევს იმ ურთიერთობის გადწვევა, რომელიც არაა მონესრიგებული სამართლის ნორმით.“⁵²

კანონმდებელმა ყოველივე ეს გათვალა და სისხლის სამართლის კოდექსით ანალოგია პიროვნების სასარგებლოდ საკანონმდებლო

⁴⁸ ამგვარი დასკვნის საშუალებას იძლევა სსკ-ის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში მოცემული სიტყვები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებენ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი წინაპირობა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედების არსებობაა, ხოლო კანონიერების პრინციპი სასჯელთან და სხვა იძულებითი ხასიათის ღონისძიებებთან მიმართებით გამომდინარეობს სსკ-ის მე-40, 82-ე, 91-ე და 107²-ე მუხლებიდან, რომლებიც შესაბამისად სასჯელთა და აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიებების ამომწურავ ნუსხას იძლევა.

⁴⁹ ანალოგია – ლათ. სიტყვიდან *analogia* და ნიშნავს შესაბამისობას, მსგავსებას.

⁵⁰ სისხლის სამართლის კანონის საგარანტიო ფუნქციებზე იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მეცხრე გამოცემა, 2013, გვ. 23-41.

⁵¹ ხუბუა გ. დასახ. ნაშრ., გვ. 132.

⁵² იქვე, გვ. 132.

დონეზე სახელდებით ასახა, რასაც მონმობს სისხლის სამართლის კოდექსის 32-ე (რომელიც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებს უშვებს ანალოგიით) და 38-ე (რომელიც ბრალის გამომრიცხველ გარემოებებს უშვებს ანალოგიით) მუხლები. მაგალითად, სსკ-ის 32-ე მუხლის თანახმად, „მართლწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ამ კოდექსით გათვალისწინებულ ქმედებას ჩაიდენს სხვა ისეთი გარემოების არსებობისას, რომელიც თუმცა სახელდებით არ არის მოხსენიებული, მაგრამ სავსებით აკმაყოფილებს ამ ქმედების მართლზომიერების პირობებს.“

„იმის მიუხედავად, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსით ანალოგია დაიშვება და მოსამართლე რეალურად „ახალ ნორმას ქმნის,“ ამ „ახალი ნორმის“ შექმნა ჩვენ ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს ეს ნორმა ნორმატიულ ხასიათს იძენს. ამ „ახალ ნორმას“ იურიდიული ძალა მხოლოდ კონკრეტული შემთხვევის გადასაწყვეტად გააჩნია და მისი გამოყენება სრულიად არაა სავალდებულო რომელიმე მსგავსი შემთხვევისთვის. მაშასადამე, სამოსამართლო სამართლის ნორმა იქმნება, იწყებს მოქმედებას და ასრულებს მოქმედებას კონკრეტული ქმედების სისხლისსამართლებრივად შეფასების ფარგლებში.“⁵³

ანალოგიის გამოყენების წინაპირობა სამართლის კონკრეტულ დარგში ხარვეზის არსებობაა. ხარვეზს მაშინ აქვს ადგილი, როდესაც არ არსებობს შესაბამისი ნორმა, რომელმაც უნდა მოანესრიგოს ისეთი სიტუაცია (ფაქტი), რომელიც თავისი ხასიათით სწორედ სამართლის ამ კონკრეტული დარგის რეგულირების სფეროში შედის.

სამართლის თეორიაში განასხვავებენ ხარვეზის ორ სახეს: *პირველადი*, რომელიც წარმოიშობა კანონის ან სხვა ნორმატიული აქტის მიღების მომენტიდან ამა თუ იმ მიზეზის გამო (იურიდიული ტექნიკის, ნორმატიული აქტის დამუშავების არასაკმარისო-

⁵³ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (XIII თავი – ი. დვალიძე), რედაქტორი გ. ნაჭყებია, ი. დვალიძე, 2007, გვ. 263.

ბა, კანონმდებლის არათანმიმდევრულობა ან ნელი მუშაობა და ა. შ.) და მომდევნო. მომდევნო ხარვეზს ასევე ევოლუციის ხარვეზს უწოდებენ, რომელიც წარმოიშობა საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების, ამგვარ განვითარებასთან შედარებით კანონმდებლობის ჩამორჩენილობის გამო, რის შედეგადაც ჩნდება ახალი ურთიერთობები, რომელთაც კანონმდებელი ვერ გაითვალისწინებდა.⁵⁴

ანალოგია დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული საკითხი ვერ წყდება სამართლის ნორმის განმარტების გზით. სამართლის შეფარდების პროცესში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ნორმის განმარტებას. სამართლის შემფარდებელმა ანალოგიას უნდა მიმართოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნორმის განმარტების საფუძველზე ვერ ხერხდება საკითხის იურიდიული გადაწყვეტა.⁵⁵ ამის გარდა, ანალოგიას სამართალგამომყენებელმა მხოლოდ მაშინ უნდა მიმართოს, თუ ამა თუ იმ ნორმის შექმნისას შეუძლებელი იყო კანონმდებელს გაეთვალისწინებინა ის შემთხვევა, რომელიც ნორმის შექმნის შემდეგ წარმოიშვა და სამართლებრივ რეგულირებას მოითხოვს ან ხარვეზი გამონვეულია კანონმდებლის შეცდომის გამო, რომლის მიზეზი სხვადასხვა გარემოება შეიძლება იყოს. ეს არის ანალოგიის არსებითი წანამძღვარი, რათა არ მოხდეს კანონმდებლის უპირატეს უფლებაში ჩარევა.

ანალოგია სამართლებრივი ნორმის ისეთ შემთხვევებზე გავრცელებას გულისხმობს, რომლის ელემენტებიც ვეღარ ეტევა კანონის ტექსტის ფარგლებში ან რომელიც საერთოდ არაა კანონით მონესრიგებული.⁵⁶ ანალოგიით კანონში არსებული ე. წ. სიცარიელის შევსება მხოლოდ იმ შემთხვევაშია ნებადართული, თუ ამგვარი ხარვეზი კანონმდებლის განზრახვის გარეშე არსებობს. თუ კანონი, რეგულირების სფეროსა ან ურთიერთობათა სახეებისა და

⁵⁴ A. B. Черданцев, დასახ. ნაშრ., გვ. 256.

⁵⁵ იქვე, გვ. 171.

⁵⁶ შეად. BVerfGE 82, 6. ციტირებულია: იოჰანეს ვესელსი/ვერნერ ბოილკე, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

მათი მოწესრიგების ფორმების განსაზღვრისას, კატეგორიულ ხასიათს ატარებს, მაშინ ანალოგიის გამოყენება დაუშვებელია.⁵⁷

მართალია, ნორმის ინტერპრეტაცია და სამართლის (და კანონის) ანალოგია იდენტური ცნებები არაა, თუმცა ისინი ზოგჯერ ერთმანეთთან შემხებლობაში არიან. მართებულად მიუთითებს თ. წერეთელი, რომ ანალოგია, საერთოდ, დასკვნის გამოტანის განსაზღვრული სახეა, თუმცა სამართლის მეცნიერებაში მას თავისებური მნიშვნელობა აქვს, განსხვავებული იმ მიზნის მიხედვით, რასაც იგი ემსახურება. თუკი განმარტება გამოყენებულია, როგორც კანონის შინაგანი აზრის გამორკვევის საშუალება, მაშინ ანალოგია ლოგიკური ახსნა-განმარტების ერთ-ერთი სახეა და ახსნა-განმარტების წესების შესახებ მოძღვრების კვლევის საგანს წარმოადგენს. ანალოგია, როგორც სამართალში არსებული ხარვეზის შევსების საშუალება, გულისხმობს იმას, რომ ორივე ურთიერთობათა არსებითი თვისებები ერთმანეთის მსგავსია, ხოლო ზოგიერთი არაარსებითი ნიშანი ერთმანეთისგან განსხვავდება. თანაც ერთ-ერთი ამ ურთიერთობათაგანი კანონით მოწესრიგებული არ არის და საჭიროა მისთვის შესაფერისი ნორმის გამოძებნა.⁵⁸ თუმცა, ეს უკანასკნელი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ანალოგიის გზით გამოძებნილი ნორმის გამოყენება ავტომატურად ნიშნავს ამ ნორმის შემოტანას და ამ ნორმით მოწესრიგებული ურთიერთობის მსგავსი სხვა ურთიერთობის დარეგულირების კვლავ იგივე ნორმით სავალდებულოობის აღიარებას.⁵⁹

⁵⁷ LK-Schäfer, § 292 Rn 3 und § 294 Rn I. ციტირებულია: ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

⁵⁸ იხ. თ. წერეთელი, ანალოგია საბჭოთა სისხლის სამართალში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 61, 1956, გვ. 4-5.

⁵⁹ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დასახ. ნაშრ., გვ. 265.

II ნაწილი

I თავი. მოქმედებით ჩადენილი განზრახი დამთავრებული დანაშაული

§ 1. ზოგადი დებულებანი

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში დანაშაულთა უმეტესობა ერთპიროვნული ამსრულებლის მიერ მოქმედებით ჩადენილი განზრახი ქმედების შემადგენლობების შემცველია. სწორედ ამიტომ, კახუსის ამოხსნის მეთოდის უკეთესად დაუფლების მიზნით, მიზანშეწონილია, სწავლება ერთი პირის მიერ მოქმედებით ჩადენილი განზრახი დამთავრებული დანაშაულისთვის განკუთვნილი სქემით იქნას დაწყებული.

დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაში ქმედების შემადგენლობას პირველი ადგილი უკავია, რის გამოც, ქმედების შემადგენლობის ობიექტური და სუბიექტური ნიშნების სუბსუმციის გარეშე ვერც მართლწინააღმდეგობისა და ბრალის შემონმება იქნება შესაძლებელი.

წინამდებარე სახელმძღვანელოში, სასწავლო კურსის მიზნებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის თეორიული საკითხები ფართო მსჯელობის საგანი არ გახდება, რათა თავიდან იქნას აცილებული სისხლის სამართლის ზოგად და კერძო ნაწილებში შესწავლილ საკითხთა განმეორებით განხილვა.

§ 2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობაში, შესაძლებელია, სუბიექტურ შემადგენლობაზე სახელდებით არაფერი იყოს მითითებული, მაგრამ ობიექტური შემადგენლობა, ფართოდ თუ ვიწროდ, ყოველთვის არის აღწერილი. ვინაიდან ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობით პასუხისმგებლობა მხოლოდ კონკრეტული ქმედე-

ბისტვის არის დადგენილი, ამიტომ ფაქტობრივად, ობიექტურად განხორციელებული ქმედების სისხლისსამართლებრივ შეფასებას, ანუ შეიძლება თუ არა კონკრეტულად განხორციელებული ნიშნები მიესადაგოს კონკრეტული დანაშაულის ქმედების ობიექტური შემადგენლობის ნიშნებს, პირველადი და გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია.⁶⁰ ქმედების ობიექტური შემადგენლობა არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის პირველი პრინციპული მნიშვნელობის კრიტერიუმი.

შედგინიან დამთავრებული დელიქტის ქმედების შემადგენლობის ობიექტური ნიშნებია: სუბიექტი, სამართლებრივი სიკეთე (ობიექტი), ქმედება, შედეგი, მიზეზობრივი კავშირი და ობიექტური შერაცხვა (რომელიც დაუნერელი ნიშანია), დანაშაულის ჩადენის ადგილი, ვითარება, დრო, ხერხი და საშუალება.

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, დანაშაულად მიჩნეულია არა რაიმე აზრი ან იდეა, არამედ კონკრეტული ქმედება, რომლის გარეშეც არ არსებობს დანაშაული. კანონმდებელი ნებისმიერი დანაშაულის განხორციელებას უკავშირებს ქმედებას, რომელსაც ახორციელებს ადამიანი (სუბიექტი) ამა თუ იმ სამართლით დაცული სიკეთის წინააღმდეგ. მაშასადამე, სუბიექტი, სამართლებრივი სიკეთე და ქმედება არის დანაშაულის ქმედების ობიექტური შემადგენლობის ძირითადი, აუცილებელი ნიშნები, ხოლო დანარჩენი ზემოაღნიშნული ნიშნები ფაკულტატური (დამატებითი) ხასიათისაა. თუმცა, ფაკულტატური ნიშნებიდან რომელიმე მათგანი ზოგჯერ შეიძლება დანაშაულის შემადგენლობისთვის ძირითად ნიშნად იქცევა. მაგალითად, დანაშაულის ჩადენის ხერხი, როგორც წესი, ფაკულტატურია, თუმცა ქურდობაში აუცილებელ ნიშნად გვევლინება.

⁶⁰ ის ფაქტი, რომ დაუმთავრებელი დანაშაულის კაზუსის ამოხსნა სუბიექტური შემადგენლობით იწყება, ეს საერთო წესს მაინც ვერ ცვლის, რადგან სუბიექტური შემადგენლობის არსებობის საფუძველს ობიექტური შემადგენლობა წარმოადგენს.

აქ წარმოდგენილი იქნება მოქმედებით ჩადენილი შედეგიანი განზრახი დამთავრებული დანაშაულის სტრუქტურა, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას კაზუსის ამოხსნის დროს:

სქემა №1

**ერთი პირის მიერ მოქმედებით ჩადენილი განზრახი
დამთავრებული დანაშაული**

1. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ა) სუბიექტი;

ბ) სამართლებრივი სიკეთე.⁶¹

გ) მოქმედება;

შედეგიანი დელიქტებისას ასევე უნდა დადგინდეს:

– მოქმედების შედეგი;

– მიზეზობრივი კავშირი;

– ობიექტური შერაცხვა;

ზოგიერთ შემთხვევაში ქმედების შემადგენლობის სხვა ობიექტური ნიშნები.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვა (არაბოროტი განზრახვა)

ზოგიერთ შემთხვევაში ქმედების შემადგენლობის სხვა სუბიექტური ნიშნები.

ამ ეტაპზე უნდა გადანყდეს ქმედების შემადგენლობის ობიექტური ნიშნების მიმართ ფაქტობრივი შეცდომის საკითხი.

⁶¹ სუბიექტზე მაშინ უნდა გამახვილდეს ყურადღება თუ ქმედების შემადგენლობიდან გამომდინარე სავალდებულოა სპეციალური ამსრულებლის არსებობა. ასევე უნდა ითქვას სამართლებრივ სიკეთეზე ან, შესაბამისად, დანაშაულის საგანზე. კერძოდ, მათზე მსჯელობა უნდა წარიმართოს პრობლემატურ შემთხვევაში.

II. მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობის არსებობაზე მიუთითებს ქმედების შემადგენლობის არსებობა, თუ არაა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება.

III. ბრალი

1. შერაცხაობა ფართო გაგებით. უნდა დადგინდეს, რომ არ არსებობს ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება;
2. ბრალის სპეციალური ნიშნები;
3. მართლწინააღმდეგობის შეგნება ვინრო გაგებით
ამ ეტაპზე უნდა გადაწყდეს იურიდიული (სამართლებრივი) შეცდომის საკითხი;
4. მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით (მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ვითარების არ არსებობის ცოდნა, რაც არ გამორიცხავს ბოროტ განზრახვას).

ზოგიერთი დანაშაულის განხილვისას უნდა შემონმდეს, ხომ არ არის ე. წ. მასტიმულირებელი, პოსტკრიმინალური ნამახალისებელი ნორმა, რომელიც გარკვეული პირობების არსებობისას დამთავრებული დანაშაულის ჩამდენს ათავისუფლებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან. მაგალითად, სსკ-ის 236-ე მუხლის შენიშვნა, სსკ-ის 339-ე მუხლის შენიშვნა და სხვ., ანდა ხომ არ არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შემზღუდავი სხვა გარემოება. მაგალითად, სსკ-ის 375-ე მუხლის შენიშვნა, სადაც მითითებულია, რომ „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება პირი, რომელმაც წინასწარმეუპირებლად დაფარა ახლო ნათესავის დანაშაული ან „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვეპლთა მომსახურების დანესებულების (თავშესაფრის) პასუხისმგებელი პირი.“ ასეთ ვითარებაში, დანაშაულის

სამსაფეხურიანი სისტემით აგებულ კაზუსის განხილვას ცალკე საფეხური ემატება, რომელზეც უნდა მოხდეს ამ უკანასკნელ საკითხთა განხილვა. მსგავს შემთხვევაში კაზუსის ამოხსნის სქემა ასე წარმოჩინდება:

სქემა №2

**ერთი პირის მიერ მოქმედებით ჩადენილი განზრახვი
დამთავრებული დანაშაული,
რომელსაც თან ახლავს წამახალისებელი ნორმა**

1. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ა) სუბიექტი (მაშინ უნდა გამახვილდეს ყურადღება თუ ქმედების შემადგენლობიდან გამომდინარე სავალდებულოა სპეციალური ამსრულებლის არსებობა);

ბ) სამართლებრივი სიკეთე;

გ) მოქმედება;

შედეგიანი დელიქტებისას ასევე უნდა დადგინდეს:

– მოქმედების შედეგი;

– მიზეზობრივი კავშირი;

– ობიექტური შერაცხვა;

ზოგიერთ შემთხვევაში ქმედების შემადგენლობის სხვა ობიექტური ნიშნები.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვა (არაბოროტი განზრახვა)

ზოგიერთ შემთხვევაში ქმედების შემადგენლობის სხვა სუბიექტური ნიშნები.

ამ ეტაპზე უნდა გადანყდეს ქმედების შემადგენლობის ობიექტური ნიშნების მიმართ ფაქტობრივი შეცდომის საკითხი.

II. მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობის არსებობაზე მიუთითებს ქმედების შემადგენლობის არსებობა, თუ არაა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება.

III. ბრალი

1. შერაცხაობა ფართო გაგებით. უნდა დადგინდეს, რომ არ არსებობს ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება;
2. ბრალის სპეციალური ნიშნები;
3. მართლწინააღმდეგობის შეგნება ვინრო გაგებით
ამ ეტაპზე უნდა გადაწყდეს იურიდიული (სამართლებრივი) შეცდომის საკითხი;
5. მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით (მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ვითარების არ არსებობის ცოდნა, რაც არ გამორიცხავს ბოროტ განზრახვას).

IV. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გამათავისუფლებელი ან შემზღუდველი გარემოების ან სისხლის სამართლის პროცესის დამაბრკოლებელი გარემოების არ არსებობა.

§ 3. სუბიექტური შერაცხვა. ქმედების სუბიექტური შემადგენლობისა და ბრალის ნიშნები

თუკი ქმედების ობიექტური შემადგენლობა დანაშაულის გარეგანი დახასიათებაა, ქმედების სუბიექტური შემადგენლობისა და ბრალის ნიშნები დანაშაულის შინაგან დახასიათებას იძლევა. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა არის იმ ნიშნების ერთობლიობა, რომლებიც იძლევა ადამიანის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესების დახასიათებას.

დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაში დანაშაულის სუბიექტური ნიშნებიდან ზოგიერთი ქმედების შემადგენლობის ეტაპზე

განიხილება, ხოლო ნაწილი – ბრალის ეტაპზე. შესაძლებელია, ერთი და იგივე სუბიექტური ნიშანი ან ქმედების შემადგენლობის ეტაპზე ან ბრალის ეტაპზე იქნას განიხილული. მაგალითად, მოტივი ქმედების შემადგენლობის ნიშანია, თუ კანონმდებელმა იგი ქმედების შემადგენლობის ნიშნად გამოაცხადა. მაგალითად, სსკ-ის 174-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში (ბავშვის შეცვლა) მოტივი ქმედების შემადგენლობის ნიშანია. თუ მკვლელობა ანგარებითაა ჩადენილი, მაშინ მატერიალური დაინტერესება ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე განიხილება, ხოლო ანგარება, როგორც შეფასებული მოტივი, ბრალის ეტაპზე განიხილება, რადგან ქართული სისხლის სამართლის კოდექსი აღიარებს ბრალის სპეციალურ ნიშნებს (იხ. სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ თუკი ფაქტობრივი შეცდომა ქმედების შემადგენლობის ეტაპზე განიხილება, იურიდიული შეცდომა ბრალის ეტაპზე განიხილება.

II თავი. მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი

§ 1. ზოგადი დებულებანი

დანაშაულის სამსაფეხურიან სისტემაში მართლწინააღმდეგობას მეორე ადგილი უკავია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქმედების შემადგენლობის არარსებობა, თავისთავად, ქმედების მართლწინააღმდეგობასაც გამორიცხავს. შესაბამისად, ქმედების შემადგენლობისა და მართლწინააღმდეგობის გარეშე არც ბრალზე შეიძლება საუბარი. კაზუსის ამოხსნისას ამას პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია, რადგან კაზუსის ამოსახსნელად დასმულ შეკითხვაში, როგორი სახითაც არ უნდა იყოს იგი ფორმულირებული, ჰიპოთეზა ყოველთვის კონკრეტული ქმედების შემადგენლობის ირგვლივ უნდა იქნას ნამოყენებული.

კაზუსის ამომხსნელმა დანაშაულის პირველ საფეხურზე ქმედების შემადგენლობის ნიშნები უნდა შეამოწმოს. დანაშაულის შემადგენლობის სახისა და ქმედების განხორციელების ფორმის (მაგალითად, მოქმედება თუ უმოქმედობა, განზრახვა თუ გაუფრთხილებლობა, დამთავრებული დანაშაული თუ დანაშაულის მცდელობა) მიუხედავად, მართლწინააღმდეგობის ან ბრალის გამომრიცხველი გარემოებებისთვის განკუთვნილი მსჯელობის სტრუქტურა ცვლილებას არ განიცდის.

§ 2. მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებანი

ქმედების შემადგენლობის ანალოგიურად, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებსაც გააჩნიათ ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობანი. მართლწინააღმდეგობის ეტაპზეც, ჩვეულებრივად, ხორციელდება ფაქტობრივად არსებული და ნორმატიულად დადგენილი ნიშნების სუბსუმცია.

სქემა №3

აუცილებელი მოგერიება

I. ობიექტური შემადგენლობა

1) აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა:

– ხელყოფის მართლწინააღმდეგობა

(ამ ნიშნის დადგენა თავისთავად მიუთითებს: ა) მხოლოდ ადამიანის მიერ ხელყოფის განხორციელებაზე; ბ) სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის რეალურად არსებობაზე);

– სოციალურად მნიშვნელოვანი ანუ სამართლებრივი სიკეთის ისეთი ხელყოფა, რომელიც არ შეიძლება მოექცეს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით რეგულირების სფეროში;

– ხელყოფის ამწუთიერობა ანუ მისი აქტიური ხასიათი;

2) აუცილებელი მოგერიებისას ჩადენილი ქმედება:

– მიმართულია თავდამსხმელის (ხელმყოფის) წინააღმდეგ;

– აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილი ქმედების აუცილებლობა (იგულისხმება სსკ-ის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილი);

– აუცილებელი მოგერიების პროვოცირების აკრძალვა (გაკიცხვა დი წინარე ქმედება).

II. სუბიექტური შემადგენლობა

– მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ცოდნა;

– სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილი.

სქემა №4

დამნაშავის შეპყრობა

I. ობიექტური შემადგენლობა

1) დამნაშავის შეპყრობის მდგომარეობა:

– მართლწინააღმდეგო ქმედების არსებობა;

– სისხლისსამართლის პროცესის დამაბრკოლებელი გარემოების არარსებობა (მაგალითად, გასული არ არის სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის ვადა, ამნისტია და სხვ.);

- სოციალურად მნიშვნელოვანი ანუ სამართლებრივი სიკეთის ისეთი ხელყოფა, რომელიც არ შეიძლება მოექცეს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით რეგულირების სფეროში;
- ხელყოფა დასრულებულია;
 - 2) *დამნაშავის შეპყრობისას ჩადენილი ქმედება:*
- მიმართულია მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენის მიმართ;
- რეკომენდებულობა (უნდა შემონმდეს მხოლოდ შესაბამისი საფუძვლის არსებობისას)
- დამნაშავის შესაპყრობად ჩადენილი ქმედების აუცილებლობა ანუ არაა გადაცილებული დამნაშავის შესაპყრობად აუცილებელი ზომა.

II. სუბიექტური შემადგენლობა

- მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ცოდნა;
- დამნაშავის ხელისუფლების ორგანოში წარდგენის მიზანი.

სქემა №5

უკიდურესი აუცილებლობა

I. ობიექტური შემადგენლობა

- 1) *უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა:*
- სამართლებრივი სიკეთის საფრთხეში არსებობა (საფრთხის რეალურობა);
- სამართლებრივი სიკეთისკენ მიმართული საფრთხის ამნუთიერობა.
- 2) *უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედება:*
- აუცილებლობა ანუ საფრთხის თავიდან აცილების შეუძლებლობა სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაზიანების გარეშე;
- ინტერესთა ურთიერთშეჯერება;
- ქმედება არ უნდა ლახავდეს საზოგადოების ჯანსაღი ცხოვრების წესს;

- უკიდურესი აუცილებლობის პროვოცირების აკრძალვა (გაკიცხვადი წინარე ქმედება).

II. სუბიექტური შემადგენლობა

- მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ცოდნა;
- სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილი.

სქემა №6

მართლზომიერი რისკი

I. ობიექტური შემადგენლობა

1) მართლზომიერი რისკის მდგომარეობა:

- საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მიღწევა არ შეიძლებოდა რისკის გარეშე;
- დამდგარი შედეგი ობიექტურად იყო არა გარდაუვალი, არამედ შესაძლებელი.

2) მართლზომიერი რისკის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედება:

- რისკის გამწვევა ყველა ზომა მიიღო იმისთვის, რომ სამართლებრივი სიკეთე არ დაზიანებულიყო.

II. სუბიექტური შემადგენლობა

- საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად მოქმედების სურვილი;
- დამდგარი შედეგი პირს გაცნობიერებული ჰქონდა როგორც შესაძლებელი და არა როგორც გარდაუვალი.

§ 3. ბრალის გამომრიცხველი გარემოებანი

ბრალის ეტაპზეც, ჩვეულებრივად, ხორციელდება ფაქტობრივად არსებული და ნორმატიულად დადგენილი ნიშნების სუბსუმცია. სანიმუშოდ წარმოგიდგინთ დანაშაულის სისტემაში ე. წ. „ტრაგიკული კოლიზიის“ სქემას.

ტრაგიკული კოლიზია

I. ობიექტური შემადგენლობა

1) ტრაგიკული კოლიზიის მდგომარეობა:

- ორი თანაბარი სამართლებრივი სიკეთის საფრთხეში არსებობა (საფრთხის რეალურობა);
- სამართლებრივი სიკეთეებისკენ მიმართული საფრთხის ამნუთიერება.

2) ტრაგიკული კოლიზიის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედება:

- აუცილებლობა ანუ საფრთხის თავიდან აცილების შეუძლებლობა საკუთარი საფრთხეში მყოფი სამართლებრივი სიკეთის თანაბარი სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაზიანების გარეშე;
- ინტერესთა ურთიერთშეჯერება;
- ტრაგიკული კოლიზიის პროვოცირების აკრძალვა (გაკიცხვადი წინარე ქმედება).

II. სუბიექტური შემადგენლობა

- ბრალის გამომრიცხველი გარემოების ცოდნა;
- სამართლებრივი სიკეთის დაცვის სურვილი.

III თავი. დანაშაულის გამოვლინების ფორმები

§ 1. ზოგადი დებულებანი დანაშაულის ამსრულებლობას და დანაშაულში თანამონაწილეობაზე

კაზუსის ფაბულაში ხშირად გვხვდება რამდენიმე მოქმედი პირი, რომელთა მოქმედება სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანია. ბუნებრივია, რამდენიმე პირის მოქმედებათა არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ადგილი აქვს თანამონაწილეობას, თანაამსრულებლობას ან შუალობით ამსრულებლობას. შესაბამისად, ეს საკითხი თავიდანვე უნდა გავარკვიოთ, რადგან თავიდან ავიცილოთ არასწორი დასკვნა. სანიმუშოდ შეგვიძლია დავასახელოთ სსკ-ის 186-ე მუხლით (წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექენა ან გასაღება) გათვალისწინებული დანაშაულისა და პრედიკატულ დანაშაულში თანამონაწილეობის მიმართება. კერძოდ, სსკ-ის 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის არსებობა გამოირიცხება თუ პირი პრედიკატული (წინმსწრები) დანაშაულის (მაგალითად, ქურდობის) თანაამსრულებელი ან თანამონაწილე იყო.

კაზუსის ამოხსნის საწყის ეტაპზე, ყურადღება უნდა მივაქციოთ ხომ არ არის კითხვა შეზღუდული პირთა წრის მიხედვით. თუმცა არც ის უნდა დაგვაინწყდეს, რომ შესაძლებელია კითხვა დასმული იყოს კაზუსში მოხსენიებული რომელიმე პირის დასჯადობაზე, მაგრამ სხვა პირის ქმედების განხილვის გარეშე დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა შეიძლება ლოგიკურად შეუძლებელი იყოს.

1.1. თანაამსრულებლობა და შუალობითი ამსრულებლობა

როგორც უკვე აღინიშნა ჰიპოთეზა ყოველთვის უნდა დავაყენოთ მხოლოდ ერთი პირის დასჯადობის შესახებ. თუკი ქმედება თანაამსრულებლობითაა ჩადენილი და რომელიმე პირის თანაამსრულებლობა არ არის პრობლემატური და მათი მოქმედებებიც აბ-

სოლუტურად იდენტურია, მაშინ შესაძლებელია ერთი ჰიპოთეზის ფარგლებში დავაყენოთ მათი დასჯადობის საკითხი. თანამსრულებლობისას რაიმე განსაკუთრებული თავისებურებით გამორჩეული სქემა არ არსებობს.

ცნობილია, რომ თანამონაწილეობა, ისევე როგორც შუალობითი ამსრულებლობა აქცესორული ბუნებისაა. შესაბამისად, თუკი კაზუსიდან იკვეთება შუალობით ამსრულებლობა, მაშინ, როგორც ნესი, კაზუსის ამოხსნას ვინწყებთ ე. წ. ცოცხალი იარაღის ქმედების განხილვით. თუ დადასტურდა „ცოცხალი იარაღის“ არსებობა, მაშინ მეორე ჰიპოთეზა უკვე დადგება შუალობით ამსრულებლობაზე. ამ უკანასკნელ ჰიპოთეზაში აუცილებლად უნდა მიეთითოს, რომ ქმედება შუალობითი ამსრულებლობით ხორციელდება. მსჯელობის დროს კი, განსაკუთრებული განსჯის საგანი გახდება „ქმედებაზე ბატონობის თეორია,“ რომლის ფარგლებშიც უნდა დასაბუთდეს შუალობითი ამსრულებლობის არსებობა/არსებობის საკითხი.

ე. წ. ცოცხალ იარაღზე ცალკე ჰიპოთეზის დაყენება არაა საჭირო, თუ კაზუსიდან ნათლად იკვეთება, რომ ქმედების ობიექტური შემადგენლობის უშუალოდ განმარტლებელი „ცოცხალი იარაღი“ სხვადასხვა გარემოებათა გამო და არც მისი პასუხისმგებლობის საკითხია დასასაბუთებელი.

სქემა №8

შუალობითი ამსრულებლობა

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

- ა) „ცოცხალი იარაღის“ მიერ სისხლისსამართლებრივი უმართლობის ჩადენა;
- ბ) „ცოცხალი იარაღის“ დაყოლიება სისხლისსამართლებრივი უმართლობის ჩასადენად.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

- ა) განზრახვა – ცოდნა და ნებელობა იმისა, რომ „ცოცხალმა იარაღმა“ ჩაიდინოს სისხლისსამართლებრივი უმართლობა;
- ბ) „ცოცხალი იარაღის“ სისხლისსამართლებრივი უმართლობის ჩასადენად გამოყენების განზრახვა.

II. მართლწინააღმდეგობა

სქემა №1 ანალოგიურად.

III. ბრალი

სქემა №1 ანალოგიურად.

1.2. თანამონაწილეობა დანაშაულში

თანამონაწილეობით ჩადენილი დანაშაულისას კაზუსის ამოხსნა ყოველთვის ამსრულებლის ქმედებით იწყება, თანამონაწილეობის აქცესორული ბუნებიდან გამომდინარე. ეს დებულება საკმაოდ საყურადღებოა, რადგან, შესაძლებელია, კითხვა არ იყოს დასმული ამსრულებლის დასჯადობაზე, მაგრამ ამსრულებლის ქმედების შესაფასებლად პირველი ჰიპოთეზის დაყენება გარდაუვალია.

თანამონაწილეობაზე შედგენილი კაზუსის ამოხსნისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, უმართლობისა და ბრალის სპეციალურ ნიშნებს, რადგან ქართული სისხლის სამართლის კოდექსი აღიარებს ბრალის სპეციალურ ნიშნებს (იხ. სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი) და იგი კვალიფიკაციაზეც ახდენს ზეგავლენას.

საყურადღებოა ამსრულებლის ექსცესზე კაზუსის ამოხსნის თავისებურება. ვინაიდან ამსრულებლის ექცესის დროს ადგილი აქვს ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედების თანამონაწილის განზრახვით მოუცველობას, ამიტომ ამსრულებლის ქმედების შეფასების შემდეგ, განსაკუთრებული განსჯის საგანი უნდა გახდეს თანამონაწილეობის სუბიექტური შემადგენლობა. ლოგიკურად თანამონა-

წილის ქმედების შეფასებას ვინცებთ ჰიპოთეზით, სადაც მის მიერ ამსრულებლის მიერ განხორციელებულ დანაშაულში თანამონაწილეობის შესაძლებლობაზეა მითითებული. ამ ჰიპოთეზის უარყოფის შემდეგ, ვაყენებთ ახალ ჰიპოთეზას თანამონაწილის მიერ იმ დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომელიც მისი განზრახვით იყო მოცული.

სქემა №9

დამხმარე

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ა) ამსრულებლის მიერ ჩადენილი განზრახვი მართლსაწინააღმდეგო ქმედება;

ბ) „ა“ პუნქტში მითითებული ქმედების ჩასადენად ხელშეწყობა.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ა) განზრახვა – ცოდნა და ნება იმისა, რომ ამსრულებლმა ჩაიდინოს განზრახვი მართლსაწინააღმდეგო ქმედება;

ბ) ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედების ხელის შეწყობის განზრახვა.

II. მართლსაწინააღმდეგობა

სქემა №1 ანალოგიურად.

III. ბრალი

სქემა №1 ანალოგიურად.

სქემა №10

ნამკეზებელი

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ა) განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ჩადენილი ამსრულებლის მიერ;

ბ) დაყოლიება ამ ქმედების ჩასადენად.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ა) განზრახვა – ცოდნა და ნება იმისა, რომ ამსრულებელმა ჩაიდინოს განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება;

ბ) განზრახვა – განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ცოდნა და სურვილი.

II. მართლწინააღმდეგობა

სქემა №1 ანალოგიურად.

III. ბრალი

სქემა №1 ანალოგიურად.

სქემა №11

ორგანიზატორი

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

➤ ა) ამსრულებლის მიერ ჩადენილი განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება;

ბ) „ა“ პუნქტში მითითებული ქმედების მოწყობა ან მისი განხორციელების ხელმძღვანელობა;

ან

➤ იმ ორგანიზებული ჯგუფის შექმნა ან ხელმძღვანელობა, რომლის სამოქმედო გეგმის ფარგლებშიც „ა“ პუნქტში მითითებული ქმედება განხორციელდა.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ა) განზრახვა – ცოდნა და ნება იმისა, რომ ამსრულებელმა ჩადინოს განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება;

ბ) განზრახვა – განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ცოდნა და ნება.

II. მართლწინააღმდეგობა

სქემა №1 ანალოგიურად.

III. ბრალი

სქემა №1 ანალოგიურად.

§ 2. მოქმედებით ჩადენილი დაუმთავრებელი დანაშაული

საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს დაუმთავრებელი დანაშაულის ორ სახეს: მომზადებას (სსკ-ის 18-ე მუხლი) და მცდელობას (სსკ-ის მე-19 მუხლი). დანაშაულის მომზადება და მცდელობა წარმოადგენს განზრახი დანაშაულის ჩადენის სტადიებს. არ არსებობს გაუფრთხილებლობითი დანაშაულის მომზადება და მცდელობა. სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ყველა დანაშაული დამთავრებული სახითაა მოცემული, ხოლო მომზადება და მცდელობა ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მე-18 და მე-19 მუხლებზე მითითებით. ამასთან, მნიშვნელოვანია, დანაშაულის დაუმთავრებლობა რა გარემოებამ განაპირობა, ხომ არ ჰქონდა ადგილი დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებას.

დაუმთავრებელი დანაშაულის დროს შეინიშნება ქმედების ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობათა დისპროპორციულობა, რამეთუ სუბიექტური შემადგენლობისგან განსხვავებით, ობიექტური შემადგენლობა ან არ არის დაწყებული (მომზადებისას) ან სრულად არ არის განხორციელებული (მცდელობა). კაზუსის ამოხსნისას მნიშვნელოვანია დადგინდეს, არის თუ არა ამა თუ იმ

განზრახი დანაშაულის მომზადება ან მცდელობა დასჯადი, რაც დამოკიდებულია ქმედების შემადგენლობის საკანონმდებლო კონსტრუქციაზე. მაგალითად, არ არის დასჯადი ყველა ნაკლებად მძიმე განზრახი დანაშაულის მომზადება, არ არსებობს ბანდიტიზმის მცდელობა და ა. შ.

დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის კაზუსის ამოხსნას ახასიათებს გარკვეული თავისებურებანი, რითაც იგი განსხვავდება დამთავრებული განზრახი დანაშაულის კაზუსის ამოხსნის სქემისგან:

- დანაშაულის სამსაფეხურიანი სისტემის მიხედვით კაზუსის განხილვაზე გადასვლამდე უნდა გაკეთდეს შესავალი, სადაც მითითებული იქნება, რომ ჩადენილია დაუმთავრებელი დანაშაული, რომელიც დასჯადია სისხლის სამართლის კოდექსით;
- დანაშაულის სისტემაში ქმედების ობიექტურ შემადგენლობამდე ჯერ განიხილება ქმედების სუბიექტური შემადგენლობა;
- დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება განიხილება მეოთხე პუნქტად, მას შემდეგ, რაც დადასტურდება დანაშაულის სამივე ელემენტი.

სქემა №12

ერთი პირის მიერ მოქმედებით ჩადენილი დანაშაულის მომზადება

შესავალი (წინასწარი შემოწმება)

1. დანაშაულის დაუმთავრებლობა
2. დანაშაულის მომზადების დასჯადობა

(აქ უნდა გადაწყდეს თუ როდის ითვლება განსახილველი დანაშაული დამთავრებულად და ისჯება თუ არა მისი მომზადება)

ზოგიერთ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს შესაძლებელია თუ არა ასეთი დანაშაულის მომზადება ქმედების შემადგენლობის ბუნებიდან გამომდინარე.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვა (არაბოროტი განზრახვა)

ზოგიერთ შემთხვევაში ქმედების შემადგენლობის სხვა სუბიექტური ნიშნები.

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

პირობების მომზადება და მათი ვარგისიანობა დანაშაულის ჩასადენად

II. მართლწინააღმდეგობა

სქემა №1 ანალოგიურად

III. ბრალი

სქემა №1 ანალოგიურად

IV. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

სქემა №13

ერთი პირის მიერ მოქმედებით ჩადენილი
დანაშაულის მცდელობა

შესავალი (წინასწარი შემოწმება)

დანაშაულის დაუმთავრებლობა.

(აქ უნდა გადაწყდეს თუ როდის ითვლება განსახილველი დანაშაული დამთავრებულად).

ზოგიერთ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს შესაძლებელია თუ არა ასეთი დანაშაულის მცდელობა ქმედების შემადგენლობის ბუნებიდან გამომდინარე.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვა (არაბოროტი განზრახვა), რომელიც ქმედების ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანს მოიცავს.

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ქმედება უშუალოდ მიმართულია ქმედების შემადგენლობის სრულად განსახორციელებლად.

II. მართლწინააღმდეგობა

სქემა №1 ანალოგიურად

III. ბრალი

სქემა №1 ანალოგიურად

IV. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

§ 3. მოქმედებით ჩადენილი გაუფრთხილებლობითი დანაშაული

სსკ-ის მე-10 მუხლის მიხედვით, გაუფრთხილებლობის ორი სახე არსებობს: თვითიმედოვნება და დაუდევრობა. სსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, „გაუფრთხილებლობით ჩადენილი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად, თუ ამის შესახებ მითითებულია სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში.“ სასამართლო პრაქტიკაში ძირითადად განზრახვი დანაშაულები გვხვდება, მაგრამ განსაკუთრებით მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა გაუფრთხილებლობითი დანაშაულების რიცხვი გაზარდა.

გაუფრთხილებლობის ორივე სახის დეფინიციაში კანონმდებელი იყენებს ტერმინს „წინდახედულობის ნორმა“. გაუფრთხილებლობითი დანაშაულები ძირითადად შედეგიან დელიქტებს წარმოადგენენ. თვითიმედოვნებისა და არაპირდაპირი განზრახვის ურთიერთგასამიჯნად შეიქმნა სხვადასხვა თეორიები⁶², რომლებიც პრობლემატურ შემთხვევაში განსჯას ექვემდებარება.

⁶² ამ თეორიების შესახებ იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი – ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 291-298.

თვითიმედოვნების ინტელექტუალური ელემენტი გულისხმობს იმას, რომ პირს გაცნობიერებული აქვს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ხოლო არაპირდაპირი განზრახვისას ადგილი აქვს მართლსაწინააღმდეგო ქმედების გაცნობიერებას. თვითიმედოვნებისას მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აბსტრაქტული შესაძლებლობების გათვალისწინება გვაქვს, ხოლო ევენტუალური განზრახვისას – შედეგის დადგომის კონკრეტული შესაძლებლობის გათვალისწინება. თვითიმედოვნების ნებელობითი ელემენტი გულისხმობს შედეგის უსაფუძვლოდ თავიდან აცილების სურვილს, ხოლო ევენტუალური განზრახვისას ასეთი სურვილი არ გვაქვს. თვითიმედოვნების მაგალითია: ა. დარწმუნებულია, რომ გამოცდილი მძღოლია, გამართული მანქანა ყავს და ამ იმედით სიჩქარეს მოუმატებს. მართალია, იგი ითვალისწინებს, რომ ასეთ მოქმედებას საერთოდ, აბსტრაქტულად მძიმე შედეგი მოჰყვება, მაგრამ ფიქრობს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არავითარი ხიფათი არ შეემთხვევა. თუ ა-ს მოქმედებას მართლსაწინააღმდეგო შედეგი მოჰყვება, იგი პასუხს აგებს თვითიმედოვნებით ჩადენილი დანაშაულისთვის.

დაუდევრობის ინტელექტუალური ელემენტი გულისხმობს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედების გაუცნობიერებლობას, აგრეთვე მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობას, ხოლო ნებელობითი – შედეგის თავიდან აცილების გაუთვალისწინებლობას. დაუდევრობის მაგალითია: ა-მ უყურადღებობით სანთელი დატოვა მაგიდაზე, რასაც მოჰყვა ხანძარი (სსკ-ის 188-ე მუხლის მე-2 ნაწილი). მეორე მაგალითი: ა-ს ღია დარჩა სეიფი, სადაც სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტები ინახებოდა, რის შედეგადაც შეილახა სახელმწიფო ინტერესები (სსკ-ის 320-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

დაუდევრობა უნდა განვასხვავოთ იმ შემთხვევისგან, როდესაც ადამიანი შექმნილ ვითარებაში არ იყო ვალდებული და არც შეეძლო გაეთვალისწინებინა შედეგის დადგომის შესაძლებლობა.

ყურადღება: ამოსახსნელი კაზუსის ფაბულიდან თუ თავიდანვე ნათლად ჩანს, რომ განსახილველი ქმედება განზრახვის ნიშნებს არ შეიცავს, ჰიპოთეზა გაუფრთხილებლობით (თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით) ჩადენილი დანაშაულის თაობაზე უნდა დაისვას.

წინამდებარე სახელმძღვანელოში წარმოდგენილი პოზიციის მიხედვით, გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაულის შესახებ მსჯელობისას ქმედების შემადგენლობის ეტაპზე, ქმედების ობიექტური შემადგენლობის ფარგლებში, განხილული იქნება ობიექტური გაუფრთხილებლობა, რომელიც დგინდება არა კაზუსში მოცემული ქმედების ჩამდენი კონკრეტული პიროვნების პერსონალური უნარ-ჩვევების, არამედ ზოგადადამიანური შესაძლებლობების მიხედვით. ამ დროს საზომ ერთეულად ვიღებთ საშუალო შესაძლებლობების მქონე ადამიანს, რომლის ქცევის კვალობაზე ვადგენთ, შეეძლო თუ არა ადამიანს წინდახედულობის ვალდებულების შესრულება ობიექტურად.

თვითიმედოვნების დროს დადგენილი იქნება ქმედების სუბიექტური შემადგენლობა, რა დროსაც ყურადღება მიექცევა წინდახედულობის ნორმით აკრძალულ ქმედებასთან პირის ინტელექტუალურ დამოკიდებულებას, ანუ თუ რამდენად აქვს მას შეგნებული ქმედების ობიექტური შემადგენლობით გათვალისწინებული გარემოებები. დაუდევრობას სუბიექტური შემადგენლობა არ გააჩნია. გაუფრთხილებლობა ბრალის ეტაპზე კვლავ ხდება განსჯის საგანი. დადგინდა თუ რამდენად შეეძლო პირს შექმნილ ვითარებაში წინდახედულობის ვალდებულების დარღვევის პერსონალური აცილება (ინდივიდუალური გაუფრთხილებლობა).

ერთი პირის მიერ მოქმედებით,
გაუფრთხილებლობით ჩადენილი დანაშაული

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

- ა) სუბიექტი;
- ბ) სამართლებრივი სიკეთე;
- გ) ქმედება, რაც გამოიხატა წინდახედულობის ნორმის დარღვევაში;
- დ) ქმედების შემადგენლობაში აღწერილი შედეგის დადგომა;
- ე) ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა;
- ვ) ობიექტური გაუფრთხილებლობა:
 - შედეგის დადგომის გათვალისწინების ობიექტური შესაძლებლობა;
 - შედეგის თავიდან აცილების ობიექტური შესაძლებლობა.
- ზ) შედეგის ობიექტური შერაცხვა.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა (თვითიმედოვნებისას)

(ქმედების ობიექტური შემადგენლობის გარემოებების ცოდნა, რომლებიც მის ქმედებას ობიექტურად წინდახედულობის ნორმის საწინააღმდეგოდ აქცევს).

II. მართლწინააღმდეგობა

სქემა №1 ანალოგიურად.

III. ბრალი

1. შერაცხაობა;
2. მართლწინააღმდეგობის (პოტენციური) შეგნება;
3. ინდივიდუალური გაუფრთხილებლობა, რაც გამოიხატება წინდახედულობის ნორმის დარღვევის პერსონალურ აცილებადობაში:
 - ა) წინდახედულობის ნორმის დაცვის სუბიექტური შესაძლებლობა;

- ბ) შედეგის დადგომის გათვალისწინების სუბიექტური შესაძლებლობა.
4. ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოებების არარსებობა.

§ 4. თანმდევი მძიმე შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაული

თანმდევი მძიმე შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაული, განზრახი და გაუფრთხილებლობითი დანაშაულების ერთგვარ კომბინაციას წარმოადგენს (იხ. სსკ-ის მე-11 მუხლი). ასეთი კომბინაცია იმ შემთხვევაში გვაქვს, თუ ქმედება განზრახ არის ჩადენილი და განზრახვით გაუთვალისწინებელი მეორე შედეგი გაუფრთხილებლობით დადგება.

განზრახ გამონეული შედეგი (მაგალითად, ჯანმრთელობის დაზიანება) და გაუფრთხილებლობით დამდგარი თანმდევი მძიმე (მეორე) შედეგი, რომელიც განზრახვით არ არის მოცული, ცალ-ცალკე აღებული, სისხლისსამართლებრივად დასჯადი უნდა იყოს. მაგალითად, თუ ა. ავტომანქანით წითელ ნიშანზე გაივლის და ფეხით მოსიარულეს მძიმედ დაზიანებს, არ გვექნება მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დანაშაული, რადგან წითელ ნიშანზე განზრახ გავლა, სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი შედეგის გარეშე, სისხლის სამართლის კანონმდებლობით არ ისჯება. სხვა ვითარება იქნება, თუ ბოროტმოქმედი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების მიზნით ესვრის ადამიანს და გაუფრთხილებლობით სიცოცხლეს მოუსპობს. ეს დანაშაული მძიმე შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტს წარმოადგენს, რადგან ქმედება, ცალკე აღებული (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება) და მეორე შედეგი (სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით), ცალ-ცალკე აღებული, ორივე სისხლისსამართლებრივად დასჯადია. აღნიშნული ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება სასიკვდილო შედეგით.

შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულის სისტემის გარეგანი აგებულება სამსაფეხურიანია, ხოლო მისი შინაგანი სტრუქტურა ნაწილობრივ განსხვავდება დანაშაულის ზოგადი სისტემისგან. იგი შემდეგნაირად შეიძლება იქნას წარმოდგენილი:⁶³

სქემა №15

თანამდები მძიმე შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაული

I. განზრახი ძირითადი დანაშაული

1. ქმედების შემადგენლობა

2. მართლწინააღმდეგობა

3. ბრალი

II. თანამდები გაუფრთხილებლობითი შედეგი

1. თანამდები მძიმე შედეგის დადგომა;

2. მიზეზობრივი კავშირი ძირითად დელიქტსა და თანამდევ მძიმე შედეგს შორის (მიზეზობრიობის პირობათა თეორიის მიხედვით);

3. ობიექტური გაუფრთხილებლობა თანამდები მძიმე შედეგის მიმართ:

ა) შედეგის დადგომის გათვალისწინების ობიექტური შესაძლებლობა

ბ) შედეგის თავიდან აცილების ობიექტური შესაძლებლობა

4. თანამდები მძიმე შედეგის ობიექტური შერაცხვა:

ა) სხვადასხვა ნორმატიული კრიტერიუმების გამოყენება (განსაკუთრებით, მართლზომიერი ალტერნატიული მოქმედების, პასუხისმგებლობის სფეროების გამიჯვნის, ნორმის დაცვის მიზნის შემოწმება)

⁶³ შეად. მ. ტურავა, სისხლის სამართალი – ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 614-615. თანამდები შედეგით კვალიფიცირებული დელიქტის არა იდენტურ, მაგრამ მსგავს სქემებზე იხ.: B. Heinrich, T. Reinbacher: Objektive Zurechnung und „spezifischer Gefährdungszusammenhang“ bei den erfolgsqualifizierten Delikten, ჟურნალში: Jura, 2005, გვ. 743; R. Rengier: Strafrecht, BT II, მე-11 გამოცემა, 2010, გვ. 132-133.

- ბ) დამატებით სპეციალურად სპეციფიკური მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთკავშირის (უშუალო მიზეზობრივი კავშირის) დადგენა ძირითად დელიქტსა და დამდგარ მძიმე შედეგს შორის, რაც გამოიხატება თანამდევნი კვალიფიცირებული შედეგის დადგომით ძირითადი დელიქტის სპეციფიკური საფრთხის რეალიზაციაში (ალტერნატივა: ე. წ. ლეტალურიობის პრინციპის გამოყენება)
5. საფრთხის რეალიზაციის შედეგად თანამდევნი მძიმე შედეგის დადგომის თავიდან აცილების უსაფუძვლო იმედოვნება (თვითიმედოვნების სუბიექტური გაუფრთხილებლობა).⁶⁴

§ 5. უმოქმედობით ჩადენილი დანაშაული

უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის განსაკუთრებული კვლევის ობიექტი ხდება მოქმედების უმოქმედობისგან გამიჯვნა, ე. წ. ნმინდა და შერეული უმოქმედობის დანაშაულები, სამართლებრივი გარანტიის ფუნქციასთან დაკავშირებული საკითხები და ა. შ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მართლწინააღმდეგობის დადასტურება უმოქმედობის განხილვისას, ზოგჯერ პრიორიტეტულად მოითხოვს მოვალეობათა კოლიზიის გაანალიზებას, რადგან თუკი ქმედების შემადგენლობის ეტაპზე დადასტურდა მოქმედების ფიზიკურ-რეალური შესაძლებლობა, უმოქმედოდ დარჩენა მართლწინააღმდეგობის ეტაპზე მოითხოვს შესაძლო ვალდებულებათა რანგირებას და უმართლობის დადასტურების შესახებ მსჯელობის ნარმართვას. ასე რომ, კაზუსის ამოხსნის სქემატური თანმიმდევრობაც მოქმედებით ჩადენილი დანაშაულისთვის განკუთვნილი სქემებისგან გარკვეულ ცვლილებებს განიცდის.

⁶⁴ იხ. მ. ტურავა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის მოძღვრება, 2011, გვ. 614-615.

ერთი პირის მიერ ჩადენილი განზრახვი, შერეული
უმოქმედობის დანაშაული⁶⁵

შესავალი (წინასწარი განსჯა)

(მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია მოქმედებისა და უმოქმედობის ურთიერთგამიჯვნა)

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

- ა) სუბიექტი (აქ უნდა გადანყდეს: ჰქონდა თუ არა პირს სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია);
- ბ) სამართლებრივი სიკეთე;
- გ) ობიექტურად შესაძლებელი მოქმედების განუხორციელებლობა;
- დ) შედეგი;
- ე) მიზეზობრივი კავშირი;
- ვ) ობიექტური შერაცხვა;
- ზ) ქმედების შემადგენლობის სხვა ობიექტური ნიშნები.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვა (არაბოროტი განზრახვა).

ამ ეტაპზე უნდა გადანყდეს ქმედების შემადგენლობის ობიექტური ნიშნების მიმართ ფაქტობრივი შეცდომის საკითხი.

II. მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობის არსებობაზე მიუთითებს ქმედების შემადგენლობის არსებობა, თუ არაა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება. უმოქმედობისას განსაკუთრებული განხილვის საგანი არის მოვალეობათა კოლიზიის არსებობის/არარსებობის საკითხი.

⁶⁵ ანალოგიური სქემა იხ. ნიგნში: მ. ტურაეა, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-9 გამოცემა, 2013, გვ. 298-299.

III. ბრალი

1. ბრალის გამომრიცხველი გარემოებების არარსებობა;
2. ბრალის სპეციალური ნიშნები;
3. მართლწინააღმდეგობის შეგნება ვინრო გაგებით
ამ ეტაპზე უნდა გადანყდეს იურიდიული (სამართლებრივი) შე-
ცდომის საკითხი;
4. მართლწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით (მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების ვითარების არარსებობის ცოდნა, რაც არ გამორიცხავს ბოროტ განზრახვას).⁶⁶

სქემა №17

ერთი პირის მიერ ჩადენილი გაუფრთხილებლობითი, შერეული უმოქმედობის დანაშაული

შესავალი (წინასწარი განსჯა)

(მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია მოქმედებისა და უმოქმედობის ურთიერთგამიჯვნა)

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

- ა) სუბიექტი (უნდა დადგინდეს ჰქონდა თუ არა პირს სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია);
- ბ) სამართლებრივი სიკეთე;
- გ) ობიექტურად შესაძლებელი მოქმედების განუხორციელებლობა, რაც გამოიხატა წინდახედულობის ნორმის დარღვევაში;
- დ) ობიექტური გაუფრთხილებლობა:
 - შედეგის დადგომის გათვალისწინების ობიექტური შესაძლებლობა;
 - შედეგის თავიდან აცილების ობიექტური შესაძლებლობა.
- ე) შედეგი;

⁶⁶ შერეული უმოქმედობით ჩადენილი განზრახვი დანაშაულის შემთხვევის ამოხსნის ნიმუშები კაზუსის ამოხსნის მეთოდის გამოყენებით იხ. წიგნი: ქ. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, 2011, გვ. 370-380.

- ვ) მიზეზობრივი კავშირი;
- ზ) შედეგის ობიექტური შერაცხვა.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა (თვითიმედოვნებისას)

(ქმედების ობიექტური შემადგენლობის გარემოებების ცოდნა, რომლებიც მის ქმედებას ობიექტურად წინდახედულობის ნორმის საწინააღმდეგოდ აქცევს)

II. მართლწინააღმდეგობა

სქემა №16 ანალოგიურად.

III. ბრალი

- 1. შერაცხაობა;
- 2. მართლწინააღმდეგობის (პოტენციური) შეგნება;
- 3. ინდივიდუალური გაუფრთხილებლობა, რაც გამოიხატება წინდახედულობის ნორმის დარღვევის პერსონალურ აცილებადობაში:
 - ა) წინდახედულობის ნორმის დაცვის სუბიექტური შესაძლებლობა;
 - ბ) შედეგის დადგომის გათვალისწინების სუბიექტური შესაძლებლობა.
- 4. ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოებების არარსებობა.

სქემა №18

ე. წ. „წმინდა“ უმოქმედობის განზრახი დანაშაული

შესავალი (წინასწარი განსჯა)

(მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია მოქმედებისა და უმოქმედობის ურთიერთგამიჯვნა)

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

- ა) სუბიექტი (აქვე უნდა გამახვილდეს ყურადღება კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მოქმედების სპეციალურ სამართლებრივ მოვალეობაზე);

- ბ) ობიექტი;
- გ) სავალდებულო მოქმედების განუხორციელებლობა;
- დ) სავალდებულო მოქმედების განხორციელების ობიექტური შესაძლებლობა.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვა (არაბოროტი განზრახვა)

ზოგიერთ შემთხვევაში ქმედების შემადგენლობის სხვა სუბიექტური ნიშნები.

ამ ეტაპზე უნდა გადაწყდეს ქმედების შემადგენლობის ობიექტური ნიშნების მიმართ ფაქტობრივი შეცდომის საკითხი.

II. მართლწინააღმდეგობა

სქემა №16 ანალოგიურად.

III. ბრალი

სქემა №1 ანალოგიურად.

სქემა №19

ერთი პირის მიერ შერეული უმოქმედობის დანაშაულის მომზადება

შესავალი (წინასწარი განსჯა)

ა) სუბიექტი (აქ უნდა გადაწყდეს: ჰქონდა თუ არა პირს სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია);

ბ) ობიექტი;

გ) ობიექტურად შესაძლებელი მოქმედების განუხორციელებლობა;

1. დანაშაულის დაუმთავრებლობა.

2. დანაშაულის მომზადების დასჯადობა.

(აქ უნდა გადაწყდეს თუ როდის ითვლება განსახილველი დანაშაული დამთავრებულად და ისჯება თუ არა მისი მომზადება)

ზოგიერთ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს შესაძლებელია თუ არა ასეთი დანაშაულის მომზადება ქმედების შემადგენლობის ბუნებიდან გამომდინარე

I. ქმედების შემაღგენლობა

1. ქმედების სუბიექტური შემაღგენლობა

განზრახვა (არაბოროტი განზრახვა).

ზოგიერთ შემთხვევაში ქმედების შემაღგენლობის სხვა სუბიექტური ნიშნები.

2. ქმედების ობიექტური შემაღგენლობა

პირობების მომზადება და მათი ვარგისიანობა დანაშაულის ჩასადენად.

II. მართლწინააღმდეგობა

სქემა №16 ანალოგიურად.

III. ბრალი

სქემა №1 ანალოგიურად.

IV. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

სქემა №20

**ერთი პირის მიერ უმოქმედობით ჩადენილი
დანაშაულის მცდელობა**

შესავალი (წინასწარი განსჯა)

ა) სუბიექტი (აქ უნდა გადაწყდეს: ჰქონდა თუ არა პირს სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია);

ბ) ობიექტი;

გ) ობიექტურად შესაძლებელი მოქმედების განუხორციელებლობა; დანაშაულის დაუმთავრებლობა.

(აქ უნდა გადაწყდეს თუ როდის ითვლება განსახილველი დანაშაული დამთავრებულად).

ზოგიერთ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს შესაძლებელია თუ არა ასეთი დანაშაულის მცდელობა ქმედების შემაღგენლობის ბუნებიდან გამომდინარე.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვა (არაბოროტი განზრახვა), რომელიც ქმედების ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანს მოიცავს.

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

უმოქმედობა უშუალოდ მიმართულია ქმედების შემადგენლობის სრულად განსახორციელებლად.

II. მართლწინააღმდეგობა

სქემა №16 ანალოგიურად.

III. ბრალი

სქემა №1 ანალოგიურად.

IV. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

III ნაწილი

კაზუსის ამოხსნის ნიმუშები

ქმედების შემადგენლობა

1-ლი კაზუსი: მიზეზობრიობა, ობიექტური შერაცხვა და განზრახვა.

„ადამიანი მხოლოდ ერთხელ კვდება“

ჩხუბის დროს ა-მ ო-ს დანა რამდენჯერმე დაარტყა გულმკერდსა და მუცელში, რის შედეგადაც იგი, დარწმუნებული იმაში, რომ ო. მოკვდა. ა გაიქცა შემთხვევის ადგილიდან და მივიდა სახლში, სადაც მეგობარი ბ. დახვდა. მან მეგობარს უთხრა, რომ ო. მოკლა, რადგან მან ეს დაიმსახურა. ამის შემდეგ ორივენი მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, რათა დანაშაულის კვალი მოესპოთ. ა. დარჩა გარეთ, ხოლო მეგობარი შევიდა ბინაში, სადაც ნახა, რომ იქაურობა მთლიანად სისხლით იყო დასვრილი, ხოლო ო. უგონო მდგომარეობაში ეგდო იატაკზე. მეგობარმა იფიქრა, რომ მსხვერპლი, შესაძლებელია, ცოცხალი ყოფილიყო, რაშიც იგი არ შემცდარა. მეგობარმა უგონო მდგომარეობაში მყოფ ო-ს თავში ბოთლი ჩაარტყა, რათა საბოლოოდ გაესწორებინა ანგარიში მომაკვდავისთვის. ჩარტყმამ შუბლის გახეთქვა და სიკვდილი გამოიწვია. ამის შემდეგ მან გადანწყვიტა გვამის გადაგდება, მაგრამ შეეშინდა, არ შეემჩნიათ, რის გამოც შემთხვევის ადგილი დატოვა.

ექსპერტიზის დასკვნით, სასიკვდილო შედეგი დადგა ან თავში ბოთლის ჩარტყმით, რომელმაც ა-ს მიერ ჯანმრთელობის დაზიანებით შექმნილი სიკვდილის დადგომის პროცესი დააჩქარა ან თვით დანით მიყენებული ქრილობით.

კითხვა: ჩაიდინეს თუ არა ა-მ და ბ-მ განზრახი მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით?

I. ბ-ს დასჯადობა ო-ს მკვლევლობისთვის სსკ-ის
108-ე მუხლის მიხედვით.

ჰიპოთეზა: შესაძლებელია, ბ-მ ო-სთვის თავში ბოთლის ჩარტყმით ჩაიდინა მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ა) მოქმედება – მოქმედების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა არ არის პრობლემატური.

ბ) შედეგი – კაზუსიდან ნათლად ირკვევა, რომ ო. გარდაიცვალა. შესაბამისად, სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი სახეზეა.

გ) მიზეზობრივი კავშირი – საკითხავია, თავში ბოთლის ჩარტყმა იყო თუ არა ო-ს სიკვდილის გამომწვევი შედეგი, მაშასადამე, იყო თუ არა თავში ბოთლის ჩარტყმა ამ შედეგთან მიზეზობრივ კავშირში. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი, ლიტერატურაში იწვევს აზრთა სხვადასხვაობას.

გ.ა) მიზეზობრიობის პირობათა ანუ ეკვივალენტობის თეორია (Causatio-sine-qua-non-ფორმულა).

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან არ შეიქმნებოდა კონკრეტული საფრთხე. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილში მოცემულია მიზეზობრიობის პირობათა ტოლფასოვნების თეორიის ფარგლებში ჩამოყალიბებული *condicio-sine-qua-non*-ფორმულა.⁶⁷

⁶⁷ უნდა აღინიშნოს, რომ ვინაიდან სსკ-მ აღიარა მიზეზობრიობის პირობათა ანუ ეკვივალენტობის თეორია საკანონმდებლო დონეზე, ამიტომ მიზეზობრივი კავშირის დადგენა სხვა თეორიებით შეიძლება გამართლდეს მხოლოდ სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე.

ამ ფორმულის მიხედვით, საეჭვოა ბ-ს ქმედებამ გამოიწვია თუ არა ო-ს სიკვდილი. თუ ბ-ს მიერ ბოთლის თავში ჩარტყმას ყურადღება არ მიექცევა, მაშინ არ არის უეჭველად დადგენილი, რომ ო. მეტხანს იცოცხლებდა.

ექსპერტიზამ ზუსტად ვერ დაადგინა, რომ სასიკვდილო შედეგის კონკრეტულ დროს დადგომა განაპირობა მხოლოდ დანით მიყენებულმა ჭრილობებმა თუ დარტყმით მიყენებულმა დაზიანებებმა.

მკვლელობა ნიშნავს ერთი პირის მიერ მეორესთვის განზრახ სიცოცხლის შემოკლებას. ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპიდან (*in dubio pro reo*) გამომდინარე, ბრალდებულის დასჯა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ სასამართლო მის ამსრულებლობაში დარწმუნებულია. თუ წარმოიშვა ეჭვი, მაშინ მოსამართლემ უნდა მიიღოს განსასჯელის სასარგებლო გადაწყვეტილება.

შესაბამისად, ამ პრინციპის გამოყენებით, ბ-ს სასარგებლოდ უნდა იქნას გადაწყვეტილი, რომ წყლის ბოთლის ჩარტყმას ო-ს სიკვდილის დადგომა არ დაუჩქარებია.

ბ-ს საზიანოდ ასევე არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მან თავში ბოთლის ჩარტყმით, რამაც შუბლი გაუხეთქა ო-ს, სიკვდილის პროცესი თავისი კონკრეტული ფორმით შეცვალა: მარტო იმის ვარაუდი, რომ ო., თუ ბ-ს მიერ ბოთლის თავში ჩარტყმას ყურადღება არ მიექცევა, შუბლის გახეთქვის გარეშე შეიძლება არ მომკვდარიყო, არ იძლევა შესაძლებლობას, მისი მოქმედება ჩაითვალოს შედეგთან მიზეზობრივ კავშირში. ამდენად, *conditio-sine-qua-non*-ფორმულის მიხედვით, ბ-ს მოქმედება მიზეზობრივ კავშირში არაა ო-ს სასიკვდილო შედეგთან.

გ.ბ) მოძღვრება კანონზომიერ პირობაზე.

ამ თეორიის მიხედვით, პირობა სისხლის სამართლის თვალსაზრისით, არის მიზეზობრივი, თუ ის წარმოადგენს მოვლენათა განვითარების კანონზომიერ საფუძველს, რომელიც კონკრეტულ შედეგში ფაქტიურად იქნა რეალიზებული. ამ პროცესში დგინდება,

მოქმედება და შედეგი არის თუ არა ბუნებრივი კანონზომიერებით ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს თეორია იმით საბუთდება, რომ მიზეზობრიობის შეფასების დროს იმაზე უნდა იქნას ყურადღება გამახვილებული, რომ მოქმედება და შედეგი ჩვეულებისამებრ ერთმანეთთან კანონზომიერ ურთიერთობაში არის თუ არა, რადგან მიზეზობრივი კავშირი კონკრეტულ შემთხვევაში ხშირად ძნელი დასამტკიცებელია. ეს თეორია ცდილობს გაარკვიოს, ბუნებრივ კანონებზე დაყრდნობით ანუ მოცემული მოვლენისა თუ ქცევის შესახებ დაგროვილი ცოდნის საფუძველზე, შეუძლია თუ არა კონკრეტულმა ქმედებამ შესაბამისი ცვლილება გამოიწვიოს. როგორც უკვე აღინიშნა, უნდა გაირკვეს იყო თუ არა ბ-ს დარტყმა შედეგის გამომწვევი. ამიტომ არ შეიძლება ასევე კანონზომიერი კავშირი ბ-ს დარტყმასა და ო-ს სიკვდილს შორის უტყუარად იქნას მიჩნეული. მაშასადამე, ამ თეორიის მიხედვითაც, ბ-ს მოქმედება არ იყო კაუზალური შედეგისთვის.

ვინაიდან ორივე თეორია ერთი და იგივე შედეგამდე მივიდა, შემდგომი თეორიული დისკუსია არ არის საჭირო. მიზეზობრივი კავშირი ბ-ს მოქმედებასა და შედეგს შორის, ყოველგვარი ეჭვის გარეშე ვერ საბუთდება.

დასკვნა

მაშასადამე, ბ-ს ო-სთვის თავში ბოთლის ჩარტყმით არ ჩაუდენია მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

II. ა-ს დასჯადობა ო-ს მკვლელობისთვის სსკ-ის 108-ე მუხლით.

შესაძლებელია, ა-მ დანით გულმკერდსა და მუცელში რამდენიმე დაზიანების მიყენებით ჩაიდინა ო-ს მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

- ა) მოქმედება – ა-ს მოქმედების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა არ არის პრობლემატური.
- ბ) შედეგი – არც ო-ს სასიკვდილო შედეგის დადგენაა პრობლემატური.
- გ) მიზეზობრივი კავშირი – დასადგენია, კონკრეტული შედეგი (ო-ს სიკვდილი) იყო თუ არა გამონეუული ა-ს მოქმედებით, მაშასადამე, იყო თუ არა დანით მიყენებული ჭრილობები დამდგარ შედეგთან მიზეზობრივ კავშირში.

გ.ა) მიზეზობრიობის პირობათა თეორია

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაშიც მიზეზობრივი კავშირი უნდა დადგინდეს *conditio-sine-qua-non*-ფორმულის გამოყენებით. უნდა გაირკვეს, ა-ს მიერ მიყენებული ჭრილობა წარმოადგენდა თუ არა ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის აუცილებელ პირობას, რომლის გამორიცხვითაც ო-ს სიკვდილი არ განხორციელდებოდა.

არ იქნება სწორი იმის მტკიცება, რომ მიზეზობრივი კავშირის დადგენის დროს ა-ს მიმართაც უნდა იქნას გამოყენებული ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი და ამით მიზეზობრივი კავშირი გამორიცხული. მართლაც, საეჭვოა და უდავოდ არ დგინდება, ბ-ს მოქმედებით დაჩქარდა თუ არა ო-ს სიკვდილი. თუმცა, პირიქითაც ვერ ვიტყვით, რომ ა-ს მოქმედება არ იყო მიზეზობრივ კავშირში ო-ს სიკვდილთან. მიზეზობრიობის პირობათა თეორიის მიხედვით, ყველა პირობა არის თანაბარმნიშვნელოვანი, რომელმაც წვლილი შეიტანა შედეგის დადგომაში. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ა-ს სასარგებლოდ მიჩნეული იქნება, რომ ბ-ს მიერ ბოთლის ჩარტყმამ ო-ს სიცოცხლე შეამოკლა, ამ ვითარებაშიც შედეგის დადგომა წარმოუდგენელია ა-ს წინარე მოქმედებების გარეშე: რომ არა ა-ს მიერ ო-ს დანით დაზიანება და დატოვება და ბ-სთან მისვლა, ისე ბ. არ მივიდოდა ო-სთან, რათა მისთვის ბოთლით სასიკვდილო დაზიანებები მიეყენებინა. პირის ქმედება იმ შემთხვევაშიც არის მიზეზობრივ კავშირში შედეგთან,

როცა მოგვიანებით მოქმედი მესამე პირი იგივე შედეგზე ორიენტირებული მოქმედებით მის დადგომაში წვლილს შეიტანს, თუ მისი ქმედება დაკავშირებულია ჩადენილ წინარე მოქმედებასთან, ანუ თუ წინარე მოქმედება მისი ჩადენის წინაპირობაა. მაშასადამე, *conditio-sine-qua-non*-ფორმულის გამოყენებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ა-ს მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან.

გ.ბ) მოძღვრება კანონზომიერი პირობის შესახებ

ასევე მოძღვრება კანონზომიერი პირობის შესახებ, შედეგის გამომწვევ ყველა პირობას მიიჩნევს თანაბარმნიშვნელობის მქონედ. ა-ს ქმედება წარმოადგენს მოვლენათა განვითარების კანონზომიერ საფუძველს, რომელიც კონკრეტულ შედეგში (ო-ს სიკვდილში) ფაქტიურად იქნა რეალიზებული. მაშასადამე, კანონზომიერი კავშირი ა-ს მიერ დანის დარტყმასა და ო-ს სიკვდილს შორის შესაძლებელია უტყუარად იქნას მიჩნეული. მაშასადამე, ამ თეორიის მიხედვითაც, ა-ს მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან.

ვინაიდან ორივე თეორია ერთი და იგივე შედეგამდე მივიდა, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ა-ს მოქმედება დამდგარ შედეგთან მიზეზობრივ კავშირშია.

ვ) ობიექტური შერაცხვა – დასადგენია, შეერაცხება თუ არა ა-ს დამდგარი შედეგი (ო-ს სიკვდილი) ობიექტურადაც. ქმედებასთან მიზეზობრივ კავშირში მყოფი შედეგი პირს ობიექტურად შეერაცხება მაშინ, თუ მან ამ მოქმედებით შექმნა ან აამაღლა სამართლებრივად დასაძრახი საფრთხე (რისკის მდგომარეობა), რომელიც ქმედების შემადგენლობის შესაბამის კონკრეტულ შედეგში იქნა რეალიზირებული. ამასთან, არ არსებობდა საწყის ეტაპზე ამგვარი საფრთხე და არც სხვისგან იყო შექმნილი თანაბარმნიშვნელოვანი რისკის მდგომარეობა. შედეგის შერაცხვა, რაც გამოიხატა საფრთხის რეალიზაციაში, შეიძლება აქ ორი თვალსაზრისით იქნას საკამათო.

ვ.ა) მიზეზობრიობის ატიპური განვითარება.

მიზეზობრივი კავშირის ატიპური განვითარების შედეგად დამდგარი შედეგი პირს ობიექტურად არ შეერაცხება.

ო-ს სასიკვდილო შედეგისკენ მიმართული მიზეზობრივი კავშირი არ განვითარებულა ისე უჩვეულოდ, რომ შეუძლებელი იყოს დამდგარი შედეგის ა-სთვის ობიექტურად შერაცხვა. ობიექტური შერაცხვა ამ შემთხვევაში არ შეიძლება გამოირიცხოს ატიპური კაუზალობის გამო.

ვ.ბ) მესამე პირის მხრიდან მოვლენათა განვითარებაში საკუთარი პასუხისმგებლობის დამფუძნებელი ჩარევა ა-სთვის შედეგის ობიექტურად შერაცხვა შესაძლებელია იმის გამო გამოირიცხოს, რომ ბ. განზრახ ჩაერთო მოვლენათა განვითარებაში. პირველი დამზიანებლის პასუხისმგებლობა, როგორც წესი, მთავრდება იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი თავისი პასუხისმგებლობით ახალი, დამოუკიდებელი შედეგის დადგომისკენ მიმართულ საფრთხეს დააფუძნებს, რომელიც შემდეგ მარტო მისი მოქმედებით გამონვეულ შედეგში იქნება რეალიზირებული. მოვლენათა განვითარებაში მესამე პირის ჩართვის მიუხედავად, წინარე მოქმედების ჩამდენი პირისთვის ობიექტური შერაცხვა გამონაკლისის სახით იმ შემთხვევაშია დასაბუთებული, თუ მის მიერ შედეგის დადგომისკენ მიმართული, თავდაპირველად წარმოშობილი მიზეზი არსებითად კვლავაც მოქმედებს. მესამე პირის ქმედება ამ შემთხვევაში სპეციფიკურად თავდაპირველ საფრთხესთან უნდა იყოს კავშირში, რომ თავდაპირველი საფრთხის მნიშვნელობა ნორმატიულად ტიპურად იქნას დასაბუთებული. მაშასადამე, საქმე ეხება იმას, არის თუ არა კავშირში მოვლენათა განვითარებაში ჩართული მესამე პირის ქმედება პირველი ქმედების ჩამდენის მიერ მიზეზობრიობის წარმოქმნასთან ქმედების შემადგენლობის ადეკვატურად.

ერთი შეხედვით, თითქოს დაუშვებელი ჩანს, ბ-ს მიერ ო-ს მკვლელობაში დაინახო აგრეთვე ა-ს მიერ შექმნილი საფრთხის რეალიზაცია. მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულის კვალის მოსას-

პობად ჩართული, პირველი მოქმედების ჩამდენ პირთან დაახლოებული ნდობით აღჭურვილი პირი თავს ა-ს სამსახურში აყენებს და თავდაპირველ მოქმედ პირს სასურველ შედეგს საიმედოდ უქცევს და ამით იმავდროულად აღკვეთს, რომ მსხვერპლმა მამხილებელი ჩვენებები არ მისცეს. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ადგილი არ ჰქონია ბ-ს მიერ შერაცხვის კავშირის განწყვეტას ა-სთან, ვინაიდან ო-ს სიკვდილში ასევე რეალიზებულია ა-ს მიერ დაფუძნებული საფრთხეც.

მაშასადამე, ა-ს ო-ს სიკვდილი ობიექტურად შეერაცხება.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

შესაძლოა, ა-მ იმოქმედა განზრახვ. განზრახვა არის ქმედების შემადგენლობის განხორციელების ნება საქმის ობიექტური შემადგენლობის ყველა გარემოების ცოდნით. პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით მოქმედებს პირი მაშინ, როცა მას ქმედების შემადგენლობის შესაბამისი შედეგის დადგომის შესაძლებლობა გაცნობიერებული აქვს და სურს შედეგი, როგორც მისი ქმედების მიზანი. ა-მ იმიტომ დაარტყა დანა ო-ს, რათა იგი მოეკლა. ამდენად, იგი მოქმედებდა პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით.

ამასთან, განზრახვა ასევე უნდა მოიცავდეს მიზეზობრივი კავშირის განვითარების ძირითად რგოლებს, რის გამოც მოცემულ კაზუსში საექვოა.

ა) ამოხსნა სუბიექტურ დონეზე.

ერთ-ერთი შეხედულების მიხედვით, პირის განზრახვა სახეზეა, როცა მოვლენათა ფაქტობრივი განვითარების გადახრა პირის წარმოდგენაში არსებულთან შედარებით არაა არსებითი და ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების ფარგლებშია. ეს პოზიცია, რომელსაც ასევე იზიარებს სასამართლო პრაქტიკა, მსგავსი პრობლემატიკის გადაჭრას განზრახვის ეტაპზე ხედავს. იმის დადასტურება, რომ კაზუსში მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე, მოვლენათა განვითარებაში გადახრები ჯერ კიდევ ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების ფარგლებშია და ფაქტობრივად განხორ-

ციელებული ქმედების მხოლოდ განზრახ ქმედებად შეფასება და ყველა სხვა სამართლებრივი შეფასების გამორიცხვა არ იქნებოდა გამართლებული.

ბ) გაბატონებული შეხედულება.

გაბატონებული შეხედულება ზღვარს ავლებს მიზეზობრივი კავშირის განვითარებისას არსებით და არაარსებით გადახრებს შორის. წინა შეხედულებისგან განსხვავებით არაადეკვატური გადახრები უკვე ობიექტური შეერაცხვის ეტაპზე გამორიცხავს განზრახ დამთავრებულ დანაშაულს, რადგან შედეგის ობიექტური შეერაცხვა გამოირიცხება. მოცემულ კაზუსთან დაკავშირებით, აღნიშნული მოსაზრება ნიშნავს იმას, რომ ა-ს პირველი მოქმედების გარეშე არ შეიძლებოდა დამდგარიყო ბ-ს მიერ ო-ს სიკვდილი. შესაბამისად, ადგილი აქვს საფეხურებრივ მიზეზობრიობას. მაშასადამე, ა-ს შედეგი შეერაცხება ობიექტურად. ამის შემდეგ განზრახვა არ არის პრობლემატური, რის გამოც მან განახორციელა ქმედების დამთავრებული განზრახი მკვლელობის შემადგენლობა.

გ) ე. წ. მცდელობის მოდელი.

უმცირესობა ასეთი შემთხვევებისთვის უარყოფს ა-ს განზრახვას („*dolus generalis*“) და ამით მისი მხრიდან დამთავრებული დანაშაულის ჩადენას. პირმა პირველი მოქმედებით თავისი გეგმა მკვლელობის თაობაზე ვერ აღასრულა, არამედ მიაღწია მცდელობის სტადიას. მეორე მოქმედების დროს (ამ შემთხვევაში ბ-ს მიერ ო-სთვის ბოთლის თავში ჩარტყმა) მას არ აქვს ქმედების შემადგენლობის ნიშანი („სხვა ადამიანის სიცოცხლე“) შეცნობილი, რადგან იგი ფიქრობდა, რომ იგი მკვდარი იყო და ბ-ს მიერ მისი გვამი იქნებოდა გადაგდებული.

ამ შეხედულების მიხედვით, ა-ს არ ჩაუდენია განზრახი მკვლელობა, რადგან ადგილი ჰქონდა არსებით გადახრას მიზეზობრიობის განვითარებაში. იგივე შედეგამდე მიდის ის თეორია, რომელიც ფიქრობს, რომ საკმარისია მოვლენათა განვითარების აბსტრაქტული წინასწარგანჭვრეტა, რომ პირს შეცნობილი ჰქონდა შედეგის დადგომის რისკი, რომელიც შემდეგში რეალობად იქცა.

კამათის გადაწყვეტა:

როგორც უმცირესობის პოზიციას, რომელიც სასამართლო პრაქტიკაში ნაწილობრივ გამოიყენება, ასევე გაბატონებულ შეხედულებას, აქვს თავისი არგუმენტები. ამასთან, ეს არგუმენტები განზრახვის სფეროში არ არის დამაჯერებელი.

ვინაიდან ა. დარწმუნებული იყო, რომ ბ. მივიდა უკვე მკვდარ ო-ს სახლში, მას შეგნებული არ ჰქონდა რისკი, რომელიც საბოლოოდ იქნა რეალიზებული. მას ბ-ს მიერ შესრულებული მეორე მოქმედების დროს არ ჰქონდა განზრახვა, არამედ იგი უშვებდა ქმედების შემადგენლობაში შეცდომას. მაშასადამე, იგი მოქმედებდა განზრახვის გარეშე.

დასკვნა

ამრიგად, ა-ს დანით გულმკერდსა და მუცელში რამდენიმე დაზიანების მიყენებით არ ჩაუდენია ო-ს მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

საბოლოო დასკვნა

მაშასადამე, ბ-ს ო-სთვის თავში ბოთლის ჩარტყმით არ ჩაუდენია მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით, ხოლო ა-ს დანით გულმკერდსა და მუცელში რამდენიმე დაზიანების მიყენებით არ ჩაუდენია ო-ს მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.⁶⁸

⁶⁸ შენიშვნა: კაზუსის ამოხსნა ამ ეტაპზე მთავრდება იმის გამო, რომ ამოცანის შეკითხვა იყო: ჩაიდინეს თუ არა ა-მ და ბ-მ დამთავრებული განზრახვი მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით. კაზუსი უნდა დამთავრდეს ჰიპოთეზაში დაყენებული წინადადების დადასტურებით ან უარყოფით. ზედმეტი და მცდარია დაუსმელ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, რაც არ უნდა მართებული იყოს ეს პასუხი. გამომცდელს აინტერესებს სწორედ იმ კითხვაზე პასუხის გაცემა, რომელიც მან დასვა, რის გამოც მეთოდურად არ არის გამართლებული კაზუსის ამოხსნის გაგრძელება. ამიტომ, კაზუსის ამოხსნის დროს ყოველთვის კარგად უნდა გავიგოთ, თუ რას გვეკითხება იგი. რომ არა თვით ამ კაზუსის შეკითხვაში ასეთი შეზღუდვა, მისი ამოხსნა გაგრძელდებოდა ახალი ჰიპოთეზის (ჰიპოთეზების) დაყენებითა და დასაბუთებით, სანამ სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემული

მე-2 კაზუსი: რეგრესის აკრძალვა.

**„თავდაპირველი მოქმედების ჩამდენს შედეგი
ობიექტურად არ შეეარაცება“**

ავთანდილს სურდა შურისძიების ნიადაგზე მოეკლა ლევანი. იგი ერთ საღამოს თავს დაესხა ლევანს და ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა მუცელში. შემთხვევიდან რამდენიმე წუთში დაჭრილი ლევანის დასახმარებლად მოვიდა სასწრაფო სამედიცინო დახმარება. საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე მძღოლმა, რომელიც სასწრაფო სამედიცინო მანქანას მართავდა, გამოიჩინა უყურადღებობა და გაიარა წითელ შუქნიშანზე, რის გამოც შეეჯახა სწრაფად მომავალ სატვირთო ავტომობილს. ავტოავარიის შედეგად სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა რამდენიმეჯერ გადაბრუნდა. მანქანაში მყოფი პაციენტიც და ექიმებიც დაიღუპნენ.

კითხვა: დაისჯება თუ არა ავთანდილი დამთავრებული განზრახვი მკვლელობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით?

ამოხსნა

ჰიპოთეზა: შესაძლებელია, ავთანდილს ლევანისთვის მუცელში ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობის მიყენების გამო დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამთავრებული განზრახვი მკვლელობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

ქმედების კვალიფიკაციის მსგავსი შედეგი არ დადგინდებოდა. მაგალითად, სხვა ჰიპოთეზები: „შესაძლებელია, ბ-მ ო-სთვის თავში ბოთლის ჩარტყმით ჩაიდინა მკვლელობის მცდელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის მე-19 და 108-ე მუხლებით“; ან „შესაძლებელია, ა-მ დანით გულმკერდსა და მუცლის არეში რამდენიმე დაზიანებით ჩაიდინა ო-ს მკვლელობის მცდელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის მე-19 და 108-ე მუხლებით“. ასეთი ჰიპოთეზების დასაბუთება ან უარყოფა უნდა მოხდეს დანაშაულის მცდელობის სქემის გამოყენებით.

- ა) მოქმედება – მოქმედების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა არ არის პრობლემატური.
- ბ) შედეგი – სსკ-ის 108-ე მუხლში მოცემული ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი სახეზეა.
- გ) მიზეზობრივი კავშირი – გასარკვევია, ავთანდილის მოქმედება იყო თუ არა მიზეზობრივ კავშირში ლევანის სიკვდილთან. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როდესაც ქმედება წარმოადგენდა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისოდაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან არ შეიქმნებოდა კონკრეტული საფრთხე. მიზეზობრიობის პირობათა ტოლფასოვნების თეორიის ფარგლებში ჩამოყალიბებული *conditio sine qua non* ფორმულის მიხედვით, ავთანდილს ლევანი რომ არ დაეჭრა იგი არ დაშავდებოდა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანაში არ აღმოჩნდებოდა და ავტოავარიის შედეგად არ დაიღუპებოდა. ავთანდილის ქმედების გამორიცხვით გამორიცხება ასევე ლევანის სიკვდილი. მაშასადამე, ავთანდილის მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია ლევანის სიკვდილთან.
- ვ) ობიექტური შერაცხვა – დასადგენია, შეერაცხება თუ არა ავთანდილს დამდგარი შედეგი ობიექტურად. ქმედებასთან მიზეზობრივ კავშირში მყოფი შედეგი პირს ობიექტურად შეერაცხება მაშინ, თუ მან ამ ქმედებით შექმნა ან აამაღლა შედეგის განხორციელების სამართლებრივად დასაძრახი რისკი (საფრთხე), რომელიც ქმედების შემადგენლობის შესაბამის კონკრეტულ შედეგში იქნა რეალიზირებული. ავთანდილმა ლევანისთვის მუცელში ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობის მიყენებით შექმნა მისი სხეულის სასიცოცხლო ორგანოების დაზიანების სამართლებრივად დასაძრახი რისკი (საფრთხე).

ლევანის სიკვდილი სრულიად უჩვეულო, მოვლენის ატიპურმა განვითარებამ გამოიწვია. კონკრეტულ შედეგში ავთანდილის მიერ

ცეცხლსასროლი იარაღის სროლით შექმნილი საფრთხის ნაცვლად სრულიად სხვა სახის რისკის რეალიზება მოხდა, რომლის წარმოშობაც ავთანდილის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის სროლასთან შინაარსობრივად დაკავშირებული არ არის. ზოგადი ცხოვრებისეული რისკიდან გამომდინარე, ავტოკატასტროფაში მოყოლის საფრთხე ვინმესთვის ცეცხლსასროლი იარაღის სროლით არც წარმოიშობა და არც ხარისხობრივად იზრდება. მოცემული შედეგი კი უშუალოდ განხორციელდა ავტოავარიის შედეგად. საყურადღებოა ისიც, რომ შედეგის ობიექტური შერაცხვის ურთიერთკავშირის ჯაჭვი მოვლენისადმი პირადი პასუხისმგებლობით მოქმედი მძღოლის მოქმედებით დაირღვა, რადგან საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე ავტოკატასტროფის რისკი ტიპურად ავთანდილის მიერ შექმნილ საფრთხიდან არ წარმოიშობა. ავარიის შედეგად ლევანის სიკვდილის დადგომის საფრთხე ავთანდილს თავისი ქმედებით უშუალოდ არ გამოუწვევია. მოცემულ შემთხვევაში ავთანდილმა შექმნა სამართლებრივად დასაძრახი რისკი, რომელიც ქმნიდა ცეცხლსასროლი იარაღის სროლით და არა ავტოკატასტროფით ადამიანის სიცოცხლის მოსპობის საფრთხეს. შესაბამისად, ავთანდილს ლევანის სასიკვდილო შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება.

ამრიგად, ავთანდილს შედეგი ობიექტურად არ შეერაცხება.

დასკვნა

მაშასადამე, ავთანდილს ლევანისთვის მუცელში ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობის მიყენების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამთავრებული განზრახ მკვლელობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

ა.-მ. ო.-ს დანით მიაყენა რამდენიმე დაზიანება გულმკერდისა და მუცლის არეში, რის შედეგადაც იგი, დარწმუნებული იმაში, რომ ო. გარდაიცვალა, გაიქცა შემთხვევის ადგილიდან და მივიდა სახლში, სადაც მეგობარი ბ. დახვდა. მან მეგობარს უთხრა, რომ ო.-ს სიცოცხლე მოუსპო, რადგან მან ეს დაიმსახურა. ამის შემდეგ

ორივენი მივიდნენ შემთხვევის ადგილზე, რათა დანაშაულის კვალი მოესპოთ. ა. დარჩა გარეთ, ხოლო მეგობარი შევიდა ბინაში, სადაც ნახა, რომ იქაურობა მთლიანად სისხლით იყო დასვრილი, ხოლო ო. უგონო მდგომარეობაში ეგდო იატაკზე. მეგობარმა იფიქრა, რომ მსხვერპლი შესაძლებელია, ცოცხალი ყოფილიყო, რაშიც იგი არ შემცდარა. მეგობარმა უგონო მდგომარეობაში მყოფ ო.-ს თავში ბოთლი ჩაარტყა, რათა საბოლოოდ გაესწორებინა ანგარიში მომაკვდავისთვის. ამის შემდეგ გადანყვიტა გვამის გადაგდება, მაგრამ შეეშინდა, არ შეემჩნიათ, რის გამოც სასწრაფოდ შემთხვევის ადგილი დატოვა.

ექსპერტიზის დასკვნით, სასიკვდილო შედეგი დადგა ან თავში ბოთლის ჩარტყმით, რომელმაც ა.-ს მოქმედებით მიყენებული მსხვერპლის სიკვდილი დააჩქარა, ან ბოთლის ჩარტყმის შემდეგ, მაგრამ თავდაპირველი დანით მიყენებული ჭრილობებისგან.

ჩაიდინეს თუ არა ა.-მ და ბ.-მ განზრახი მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით?

ამოხსნა:

I. ბ.-ს დასჯადობა ო.-ს დამთავრებული

მკვლელობისთვის საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით

ბ.-მ შესაძლებელია, ო.-ს თავში ბოთლის ჩარტყმით ჩაიდინა დამთავრებული განზრახი მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

1. ქმედების შემადგენლობა

ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ა) ქმედება

შესაძლებელია, ბ.-ს მიერ ჩადენილ იქნა სისხლისსამართლებრივად რელევანტური ქმედება, გამომხატული მოქმედებაში.

მოქმედება სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით არის ადამიანის ნებისგან მომდინარე და მისი ნების ბატონობის ქვეშ მყოფ-

ფი სოციალურად მნიშვნელოვანი ქცევა – აქტიური მოქმედება ან უმოქმედობა (მოქმედების სოციალური თეორია).

ბ.-ს მიერ ადამიანისთვის თავში ბოთლის ჩარტყმა წარმოადგენდა აქტიურ მოქმედებას, რომელიც ბ.-ს ნების ბატონობის ქვეშ იყო.

მაშასადამე, სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით მოქმედება სახეზეა.

ბ) შედეგი

შესაძლებელია, ბ.-ს მოქმედებით დადგა სსკ-ის 108-ე მუხლის მკვლელობის ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი.

მკვლელობის ქმედების შემადგენლობის შესაბამისი შედეგი არის სხვა ადამიანის სიკვდილი.

ო. მართლაც მოკვდა.

მაშასადამე, ამით 108-ე მუხლის ქმედების შემადგენლობის შედეგი სახეზეა.

გ) მიზეზობრივი კავშირი

შესაძლებელია, თავში ბოთლის ჩარტყმა იყო ო.-ს სიკვდილის გამომწვევი მიზეზი, მაშასადამე, ამ შედეგთან უშუალო მიზეზობრივ კავშირში.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დადგინდეს მიზეზობრივი კავშირი, ლიტერატურაში იწვევს აზრთა სხვადასხვაობას.

(1) მიზეზობრიობის პირობათა თეორია, გამოხატული *conditio-sine-qua-non*-ფორმულით

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, მიზეზობრივი კავშირი უნდა დადგინდეს *conditio-sine-qua-non*-ფორმულით.

მიზეზობრივი კავშირი არსებობს მაშინ, როცა ქმედება წარმოადგენდა ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის ან კონკრეტული საფრთხის აუცილებელ პირობას, ურომლისო-

დაც ამჯერად ეს შედეგი არ განხორციელდებოდა ან ასეთი საფრთხე არ შეიქმნებოდა.

ამ ფორმულის მიხედვით, საექვოა, ბ.-მ გამოიწვია თუ არა ო.-ს სიკვდილი. თუ ბ.-ს მიერ ბოთლის თავში ჩარტყმას ყურადღება არ მიექცევა, მაშინ არ არის უეჭველად დადგენილი, რომ ო. მეტხანს იცოცხლებდა.

ექსპერტიზამ ზუსტად ვერ დაადგინა, რომ სასიკვდილო შედეგის კონკრეტულ დროს დადგომა განაპირობა მხოლოდ დანით მიყენებულმა ჭრილობებმა, თუ ბოთლის დარტყმით მიყენებულმა დაზიანებებმა.

მოკვლა ნიშნავს ბუნებრივი სიცოცხლის შემოკლებას. ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადანყვევების პრინციპიდან (*in dubio pro reo*) გამომდინარე, ბრალდებულის დასჯა მხოლოდ იმ შემთხვევაში არის შესაძლებელი, თუ სასამართლო მის ამსრულებლობაში დარწმუნებულია. თუ ამ შემთხვევაში წარმოიშვა ეჭვი, მაშინ მოსამართლემ უნდა მიიღოს განსასჯელის სასარგებლო გადანყვევტილება.

შესაბამისად, ამ პრინციპის გამოყენებით, ბ.-ს სასარგებლოდ უნდა იქნას გადანყვევტილი, რომ წყლის ბოთლის ჩარტყმას ო.-ს სიკვდილის დადგომა არ დაუჩქარებია.

ბ.-ს საზიანოდ ასევე არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ მან თავში ბოთლის ჩარტყმით, რამაც შუბლი გაუხეთქა ო.-ს, სიკვდილის პროცესი თავისი კონკრეტული ფორმით შეცვალა: მარტო იმის ვარაუდი, რომ ო., თუ ბ.-ს მიერ ბოთლის თავში ჩარტყმას ყურადღება არ მიექცევა, შუბლის გახეთქვის გარეშე შეიძლება არ მომკვდარიყო, არ იძლევა შესაძლებლობას, მისი მოქმედება ჩაითვალოს შედეგთან მიზეზობრივ კავშირში და დაკვალიფიცირდეს, როგორც მკვლელიობა.

ამდენად, *conditio-sine-qua-non*-ფორმულის მიხედვით, არ არსებობს ბ.-ს მოქმედების მიზეზობრივი კავშირი ო.-ს სასიკვდილო შედეგთან.

(2) მოძღვრება კანონზომიერი პირობის შესახებ

ამ თეორიის მიხედვით, პირობა სისხლის სამართლის თვალსაზრისით არის მიზეზობრივი, თუ ის წარმოადგენს მოვლენათა განვითარების კანონზომიერ საფუძველს, რომელიც კონკრეტულ შედეგში ფაქტიურად იქნა რეალიზებული. ამ პროცესში დგინდება, მოქმედება და შედეგი არის თუ არა ბუნებრივი კანონზომიერებით ერთმანეთთან დაკავშირებული. ეს თეორია იმით საბუთდება, რომ მიზეზობრიობის შეფასების დროს იმაზე უნდა იქნას ყურადღება გამახვილებული, მოქმედება და შედეგი ჩვეულებისამებრ ერთმანეთთან კანონზომიერ ურთიერთობაში არის თუ არა, რადგან მიზეზობრივი კავშირი კონკრეტულ შემთხვევაში ხშირად ძნელი დასამტკიცებელია.

როგორც უკვე აღინიშნა, ბ.-ს სასარგებლოდ უნდა ითქვას, მისი დარტყმა არ იყო ეფექტის გამომწვევი. ამიტომ არ შეიძლება ასევე კანონზომიერი კავშირი ბ.-ს დარტყმასა და ო.-ს სიკვდილს შორის უტყუარად იქნას მიჩნეული. მაშასადამე, ამ თეორიის მიხედვითაც, ბ.-ს მოქმედება არ იყო კაუზალური შედეგისთვის.

(3) შუალედური პოზიცია

ვინაიდან ორივე თეორია ერთი და იგივე შედეგამდე მივიდა, შემდგომი თეორიული დისკუსია არ არის საჭირო, ამიტომ აქვე შეიძლება ჰიპოთეზაში დასმულ საკითხზე სათანადო დასკვნა იქნას გაკეთებული.

2. დასკვნა

მაშასადამე, ბ.-ს მოქმედება არ არის დასჯადი ო.-ს დამთავრებული განზრახვი მკვლელობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით

II. ა.-ს დასჯადობა ო.-ს დამთავრებული

მკვლევლობისთვის საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით

ა.-მ შესაძლებელია, დანით გულმკერდისა და მუცლის არეში რამდენიმე დაზიანების მიყენებით ჩაიდინა ო.-ს დამთავრებული განზრახვი მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

1. ქმედების შემადგენლობა

1.1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ა) ქმედება

ასევე ა.-ს მიერ ჩადენილ იქნა ქმედება, გამოხატული მოქმედებაში.

გულმკერდისა და მუცლის არეში დანის დარტყმა წარმოადგენს აქტიურ მოქმედებას, რომელიც ადამიანის ნების ბატონობის ქვეშ იმყოფება. ა.-მ ჩაიდინა ასეთი ქმედება.

მაშასადამე, მოქმედება სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობით მისი მხრიდანაც სახეზეა.

ბ) შედეგი

სსკ-ის 108-ე მუხლის ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი – სხვა ადამიანის სიკვდილი სახეზეა: ო. გარდაიცვალა.

გ) მიზეზობრივი კავშირი

დასადგენია, კონკრეტული შედეგი – ო.-ს სიკვდილი იყო თუ არა გამოწვეული ა.-ს მოქმედებით, მაშასადამე, იყო თუ არა დანით მიყენებული ჭრილობები დამდგარ შედეგთან მიზეზობრივ კავშირში.

(1) მიზეზობრიობის პირობათა თეორია, გამოხატული *conditio-sine-qua-non*-ფორმულით

სსკ-ის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაშიც მიზეზობრივი კავშირი უნდა დადგინდეს *conditio-sine-qua-non*-ფორმულის გამოყენებით. უნდა გაირკვეს, ა.-ს მიერ მიყენებული

ნებული ჭრილობა წარმოადგენდა თუ არა ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის აუცილებელ პირობას, რომლის გარეშეც ო.-ს სიკვდილი არ განხორციელდებოდა.

არ იქნება სწორი იმის მტკიცება, რომ მიზეზობრივი კავშირის დადგენის დროს ა.-ს მიმართაც უნდა იქნას გამოყენებული ყველა ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადანყვეტის პრინციპი და ამით მიზეზობრივი კავშირი გამორიცხული. მართლაც, საეჭვოა და უდავოდ არ დგინდება, ბ.-ს მოქმედებით დაჩქარდა თუ არა ო.-ს სიკვდილი. მიუხედავად ამისა, პოზიციას ა.-ს მოქმედების შედეგთან მიზეზობრივი კავშირის უარყოფის შესახებ არ შეიძლება დაეთანხმო. მიზეზობრიობის პირობათა თეორიის მიხედვით, ყველა პირობა, რომელმაც წვლილი შეიტანა შედეგის დადგომაში, არის თანაბარმნიშვნელოვანი. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ა.-ს სასარგებლოდ მიჩნეული იქნება, რომ ბ.-ს მიერ ბოთლის ჩართყვამ ო.-ს სიცოცხლე შეამოკლა, ამ ვითარებაშიც შედეგის დადგომა წარმოუდგენელია ა.-ს წინარე მოქმედებების გარეშე: რომ არა ა.-ს მიერ ო.-ს დანით დაზიანება და დატოვება და ბ.-სთან მისვლა, ისე ბ. არ მივიდოდა ო.-სთან, რათა მისთვის ბოთლით სასიკვდილო დაზიანებები მიეყენებინა. მიზეზობრივი არის პირის ქმედება იმ შემთხვევაშიც, როცა მოგვიანებით მოქმედი მესამე პირი იგივე შედეგზე ორიენტირებული მოქმედებით განზრახ მის დადგომაში წვლილს შეიტანს, თუ მისი ქმედება დაკავშირებულია ჩადენილ წინარე მოქმედებასთან, მაშასადამე, თუ წინარე მოქმედება მისი ჩადენის წინაპირობაა. მაშასადამე, *conditio-sine-qua-non*-ფორმულის გამოყენებით შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ა.-ს მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია დამდგარ შედეგთან.

(2) მოძღვრება კანონზომიერი პირობის შესახებ

ასევე მოძღვრება კანონზომიერი პირობის შესახებ შედეგის გამომწვევ ყველა პირობას მიიჩნევს თანაბარმნიშვნელობის მქონედ. ა.-ს ქმედება წარმოადგენს მოვლენათა განვითარების კანონზომიერ საფუძველს, რომელიც კონკრეტულ შედეგში – ო.-ს სიკვდილ-

ში ფაქტიურად იქნა რეალიზებული. მაშასადამე, კანონზომიერი კავშირი ა.-ს მიერ დანის დარტყმასა და ო.-ს სიკვდილს შორის შესაძლებელია უტყუარად იქნას მიჩნეული. მაშასადამე, ამ თეორიის მიხედვითაც, ა.-ს მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან.

(3) შუალედური პოზიცია

ვინაიდან ორივე თეორია ერთი და იგივე შედეგამდე მივიდა, შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ა.-ს მოქმედება დამდგარი შედეგისთვის კაუზალურია.

დ) ობიექტური შერაცხვა

დასადგენია, შეერაცხება თუ არა ა.-ს დამდგარი შედეგი – ო.-ს სიკვდილი ობიექტურადაც. ქმედებასთან მიზეზობრივ კავშირში მყოფი შედეგი პირს ობიექტურად შეერაცხება მაშინ, თუ მან ამ მოქმედებით შექმნა ან აამაღლა სამართლებრივად დასაძრახი საფრთხე, რომელიც ქმედების შემადგენლობის შესაბამის კონკრეტულ შედეგში იქნა რეალიზირებული. შედეგის შერაცხვა, რაც გამოიხატა საფრთხის რეალიზაციაში, შეიძლება აქ ორი თვალსაზრისით იქნას საკამათო.

(1) მიზეზობრიობის ატიპური განვითარება

მიზეზობრივი კავშირის ატიპური განვითარების შედეგად დამდგარი შედეგი პირს ობიექტურად არ შეერაცხება.

ო.-ს სასიკვდილო შედეგისკენ მიმართული მიზეზობრივი კავშირი არ განვითარებულა ისე უჩვეულოდ, რომ შეუძლებელი იყოს მისი ა.-სთვის შერაცხვა. ობიექტური შერაცხვა ამ შემთხვევაში არ შეიძლება გამოირიცხოს ატიპური კაუზალობის შედეგად.

(2) მესამე პირის მხრიდან მოვლენათა განვითარებაში საკუთარი პასუხისმგებლობის დამაფუძნებელი ჩარევა

ა.-სთვის შედეგის ობიექტურად შერაცხვა შესაძლებელია იმის გამო გამოირიცხოს, რომ ბ. განზრახ ჩაერთო მოვლენათა განვითარებაში.

რებაში. პირველი დამზიანებლის პასუხისმგებლობა, როგორც წესი, მთავრდება იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი თავისი პასუხისმგებლობით ახალ, დამოუკიდებელი შედეგის დადგომისაკენ მიმართულ საფრთხეს დააფუძნებს, რომელიც შემდეგ მარტო მისი მოქმედებით გამოწვეულ შედეგში იქნება რეალიზირებული. მოვლენათა განვითარებაში მესამე პირის ჩართვის მიუხედავად, წინარე მოქმედების ჩამდენი პირისთვის ობიექტური შერაცხვა გამონაკლისის სახით იმ შემთხვევაშია დასაბუთებული, თუ მის მიერ შედეგის დადგომისკენ მიმართული თავდაპირველად წარმოშობილი მიზეზი არსებითად კვლავაც მოქმედებს. მესამე პირის ქმედება ამ შემთხვევაში სპეციფიკურად თავდაპირველ საფრთხესთან უნდა იყოს კავშირში, რომ თავდაპირველი საფრთხის მნიშვნელობა ნორმატიულად ტიპურად იქნას დასაბუთებული. მაშასადამე, საქმე ეხება იმას, მოვლენათა განვითარებაში ჩართული მესამე პირის ქმედება პირველი ქმედების ჩამდენის მიერ მიზეზობრიობის წარმოქმნასთან ქმედების შემადგენლობის ადეკვატურად არის თუ არა კავშირში. ერთი შეხედვით, თითქოს დაუშვებელი ჩანს, ბ.-ს მიერ ო.-ს მკვლელობაში დაინახო აგრეთვე ა.-ს მიერ შექმნილი საფრთხის რეალიზაცია. მნიშვნელოვანია, რომ დანაშაულის კვალის მოსასპობად ჩართული, პირველი მოქმედების ჩამდენ პირთან დაახლოებული ნდობით აღჭურვილი პირი თავს ა.-ს სამსახურში აყენებს და თავდაპირველ მოქმედ პირს სასურველ შედეგს საიმედოდ უქცევს და ამით იმავდროულად აღკვეთავს, რომ მსხვერპლმა მამხილებელი ჩვენებები არ მისცეს. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ადგილი არ ჰქონია ბ.-ს მიერ შერაცხვის კავშირის განყვეტას ა.-სთან, ვინაიდან ო.-ს სიკვდილში ასევე რეალიზებულ იქნა ა.-ს მიერ დაფუძნებული საფრთხეც.

(3) შუალედური პოზიცია

მაშასადამე, არ არსებობს რაიმე დამაბრკოლებელი გარემოება, რის გამოც ა.-ს ო.-ს სიკვდილი ობიექტურად შეერაცხება:

1.2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

შესაძლებელია, ა.-მ იმოქმედა განზრახვ.

განზრახვა არის ქმედების შემადგენლობის განხორციელების ნებელობა საქმის ობიექტური შემადგენლობის ყველა გარემოების ცოდნით. პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით მოქმედებს პირი მაშინ, როცა იგი ქმედების შემადგენლობის შესაბამისი შედეგის დადგომას აღიქვამს, როგორც მისი ქმედების მიზანს.

ა.-მ იმიტომ დაარტყა დანა ო.-ს, რომ მოეკლა. ამდენად იგი მოქმედებდა პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვით.

იმავედროულად შესაძლებელია, ა.-ს განზრახვა გამოირიცხოს იმ არგუმენტზე მითითებით, რომ განზრახვას ეკუთვნის ყველა ობიექტური გარემოების ცოდნა, მათ შორის, მიზეზობრივი კავშირის განვითარების ცოდნა მის მნიშვნელოვან მომენტებში. მიზეზობრივი კავშირის განვითარების თაობაზე პირის წარმოდგენის შესახებ არსებობს სხვადასხვა პოზიციები.

(1) უმცირესობის შეხედულება

უმცირესობის შეხედულების მიხედვით, პირის განზრახვა ეჭვგარეშეა, როცა მოვლენათა ფაქტიური განვითარების გადახრა პირის წარმოდგენაში არსებულთან შედარებით არ არის მნიშვნელოვანი და ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების ფარგლებშია.

ეს პოზიცია და სასამართლო პრაქტიკა ამ საკითხს ადგენს განზრახვის ეტაპზე, მაგრამ სუბიექტური შერაცხვის მასშტაბად იყენებს იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც აყენებენ ობიექტური შერაცხვის თეორიის მხარდამჭერები, კერძოდ, შემთხვევათა იმ ჯგუფში, რომელსაც ჰქვია „მოვლენათა ატიპური მიზეზობრიობა“. შეიძლება დავასკვნათ, რომ კახუსში მოცემული სიტუაციიდან გამომდინარე, მოვლენათა განვითარებაში გადახრები ჯერ კიდევ ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების ფარგლებშია და ქმედების არავითარი სხვა სამართლებრივი შეფასება, ვიდრე განზრახვი მოქმედება, არ იქნებოდა გამართლებული.

(2) გაბატონებული შეხედულება

გაბატონებული შეხედულება მხარს უჭერს იმ კრიტერიუმს, რომლის მიხედვითაც, ერთმანეთისგან არის გამიჯნული მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში მნიშვნელოვანი და უმნიშვნელო გადახრები. იგი წინა შეხედულებისგან განსხვავდება იმით, რომ არა-ადეკვატური გადახრები უკვე ობიექტური შერაცხვის ფარგლებში განზრახ დამთავრებულ დანაშაულს გამოორიცხავს, რადგან შედეგის ობიექტური შერაცხვა გამოირიცხება. არგუმენტაცია შეიძლება იყოს ის, რომ ა.-ს პირველი მოქმედების გარეშე არ შეიძლებოდა დამდაგარიყო ბ.-ს მიერ ო.-ს სიკვდილი. ასე, რომ ა.-მ თავისი თავი აქცია შედეგის დადგომის იარაღად.

მაშასადამე, ა.-ს შედეგი შეერაცხება ობიექტურად, შესაბამისად, მან განახორციელა ქმედების დამთავრებული განზრახვი შემადგენლობა.

(3) მცდელობის მოდელი

ავტორთა მცირე ჯგუფი ასეთი შემთხვევებისთვის უარყოფს ა.-ს განზრახვას („*dolus generalis*“) და ამით მისი მხრიდან დამთავრებული დანაშაულის ჩადენას. პირმა პირველი მოქმედებით თავისი გეგმა მკვლელობის თაობაზე ვერ აღასრულა, არამედ მიაღწია მცდელობის სტადიას. მეორე მოქმედების დროს (ამ შემთხვევაში ბ.-ს მიერ ო.-სთვის ბოთლის თავში ჩარტყმა) მას არ აქვს ქმედების შემადგენლობის ნიშანი („სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა“) შეცნობილი, რადგან იგი ფიქრობდა, რომ იგი მკვდარი იყო და ბ.-ს მიერ მისი გვამი იქნებოდა გადაგდებული.

ამ შეხედულების მიხედვით, ა.-ს არ ჩაუდენია განზრახვი მკვლელობა, რადგან ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან გადახრას მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში.

იგივე შედეგამდე მიდის ის თეორია, რომელიც ფიქრობს, რომ საკმარისია მოვლენათა განვითარების აბსტრაქტული წინასწარგანჭვრეტა, რომ პირს შეცნობილი ჰქონდა შედეგის დადგომის რისკი, რომელიც შემდეგში რეალობად იქცა.

(4) შუალედური პოზიცია

როგორც უმცირესობის პოზიციას, რომელიც სასამართლო პრაქტიკაშიც ნაწილობრივ გამოიყენება, ასევე გაბატონებულ შეხედულებას, აქვს თავისი არგუმენტები. ამასთან, ეს არგუმენტები განზრახვის სფეროში არ არის დამაჯერებელი.

ვინაიდან ა. დარწმუნებული იყო, რომ ბ. მივიდა უკვე მკვდარ ო.-ს სახლში, მას შეგნებული არ ჰქონდა რისკი, რომელიც საბოლოოდ იქნა რეალიზებული. მას ბ.-ს მიერ შესრულებული მეორე მოქმედების დროს არ ჰქონდა განზრახვა, არამედ იგი უშვებდა ქმედების შემადგენლობის შეცდომას.

მაშასადამე, იგი მოქმედებდა განზრახვის გარეშე.

2. დასკვნა

ასევე ა.-ს მოქმედება არ არის დასჯადი ო.-ს დამთავრებული მკვლელობისთვის სსკ-ის 108-ე მუხლით.

III. საბოლოო დასკვნა

მაშასადამე, არც ა.-ს და არც ბ.-ს არ ჩაუდენია ო.-ს დამთავრებული განზრახი მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით.

მე-3 კაზუსი:

„საბედისწერო შეცდომა“

გიორგის სურდა საცხოვრებელი ბინის გაფართოვება და სახლზე მე-2 სართულის დაშენება. იმისთვის, რომ მას მშენებლობის ნებართვა მოეპოვებინა, ესაჭიროებოდა მეზობელი ლევანის თანხმობა. ლევანი გიორგის თანხმობის მიცემაზე უმიზეზოდ გამუდმებით უარს ეუბნებოდა. ამაზე განაწყენებულმა გიორგიმ შელაპარაკების დროს ლევანს მოკვლის განზრახვით მუცლის არეში დანით რამოდენიმე ჭრილობა მიაყენა. ლევანი მაშინათვე სასწრაფო დახმარე-

ბის ჯგუფის მიერ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. ოპერაციის დროს მთავარმა ქირურგმა მცირე სამედიცინო შეცდომა დაუშვა, რამაც ლევანის დაღუპვა გამოიწვია.

გიორგის, პროკურორმა ბრალი წაუყენა განზრახ მკვლელობისთვის. სასამართლო სხდომაზე გიორგის ადვოკატი გიორგისთვის წარდგენილ ბრალდებას ენინააღმდეგებოდა და ამის საპირისპიროდ მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ლევანი ფილტვების კიბოს გამო რამოდენიმე დღეში ისედაც დაიღუპებოდა. გარდა ამისა, ადვოკატის თქმით გიორგის არ უნდა ეგო პასუხი განზრახ მკვლელობისთვის იმის გამო, რომ ექიმის დაუდევარი ქმედების გამო დაიღუპა ლევანი.

დაისჯება თუ არა გიორგი დამთავრებული განზრახ მკვლელობისთვის?

ამოხსნა

1. შესაძლებელია გიორგის ლევანისთვის დანით მუცლის არეში ჭრილობების მიყენების გამო დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა განზრახ მკვლელობისთვის სსკ-ის 108-ე მუხლის შესაბამისად.

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

- ა) ქმედება: დანით ჭრილობების მიყენება წარმოადგენს ქმედებას სისხლისსამართლებრივი გაგებით;
- ბ) შედეგი: ლევანი გარდაიცვალა, სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი სახეზეა;
- გ) მიზეზობრივი კავშირი: ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. ექვივალენტურობის თეორიის თანახმად, გიორგის მიერ ლევანისთვის მიყენებული ჭრილობები მიზეზობრივ კავშირშია ამ უკანასკნელის დაღუპვასთან მაშინ, თუ ზემოაღნიშნული ქმედების გარეშე ლევანის სასიკვდილო შედეგი არ დადგებოდა. გიორგის ლევანი მუცლის არეში რომ არ დაეჭრა, იგი საავადმყოფოში არ მოხვდებოდა და

ოპერაციას მას არ გაუკეთებდნენ. მაშასადამე, გიორგის ქმედების გამორიცხვით ლევანის დალუპვაც გამოირიცხებოდა.

თუმცა საკითხავია, მიზეზობრიობის განვითარება იმის გამო ხომ არ არის შეწყვეტილი, რომ ლევანი ექიმის გაუფრთხილებელი ქმედების შედეგად გარდაიცვალა, ან ლევანი ფილტვების კიბოს გამო ისედაც რამოდენიმე დღეში გარდაიცვლებოდა.

ა.ა) შესაბამისად, დასადგენია, ექიმის დაუდევარი ქმედებით მიზეზობრიობის განვითარება ხომ არ არის შეწყვეტილი. სისხლის სამართლის დოგმატიკაში გაბატონებული შეხედულების თანახმად, მაშინაც კი, როდესაც კონკრეტული შედეგი დაკავშირებულია მესამე პირის ქმედებებთან, პირველადი ქმედება მაინც მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან, თუ იგი შედეგის დადგომაზე გავლენას ახდენს. მოცემულ შემთხვევაში ექიმი შეცდომას არ დაუშვებდა ლევანი საავადმყოფოში რომ არ მოხვედრილიყო. მაშასადამე, გიორგის ქმედება გავლენას ახდენს შედეგის დადგომაზე და ამიტომ ექიმის მიერ დაშვებული შეცდომით არ ხდება მიზეზობრიობის ჯაჭვის განწყვეტა.

ბ.ბ.) შესაძლებელია, გიორგის ქმედება იმიტომ არ არის მიზეზობრივ კავშირში ლევანის დალუპვასთან, რომ იგი რამოდენიმე დღეში ისედაც გარდაიცვლებოდა. ჰიპოტეტური მიზეზები, რომლებიც მოგვიანებით იმავე შედეგს გამოიწვევდნენ სისხლის სამართლის დოგმატიკის მიხედვით გავლენას არ ახდენენ მიზეზობრივი კავშირის დადგენაზე. შესაბამისად, მიზეზობრიობის ჯაჭვი იმ მიზეზით არ შეწყვეტილა, რომ ლევანი ფილტვების კიბოთი მაინც მალე დაიღუპებოდა.

გ.გ.) ამრიგად, გიორგის მიერ განხორციელებულ ქმედებასა და ლევანის სასიკვდილო შედეგს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი.

დ) დასადგენია, შეერაცხება თუ არა შედეგი გიორგის ობიექტურად. ობიექტურად პირს შედეგი შეერაცხება, თუ მისმა ქმედე-

ბამ სამართლებრივად რელევანტური და დასაძრახი საფრთხე შექმნა, რომელიც დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობით გათვალისწინებულ შედეგში იქნა რეალიზებული. ამასთან, ობიექტური შერაცხვა გამოირიცხება, თუ მესამე პირი დააფუძნებს ახალ საფრთხეს და ამით პირველადი საფრთხისგან დამოუკიდებლად შედეგს გამოიწვევს.

მოცემულ შემთხვევაში ექიმმა გაუკეთა ოპერაცია დაჭრილ ლევანს, რა დროსაც დაუშვა სამედიცინო შეცდომა. ამიტომ, შესაძლებელია, რომ ექიმის მიერ დაშვებული შეცდომის გამო გიორგის დამდგარი შედეგი ობიექტურად არ შეერაცხოს.

ა.ა.) ზემოაღნიშნულიდან გამონაკლისი სისხლის სამართლის დოგმატიკაში დაშვებულია ე. წ. „სამაშველო“ შემთხვევების დროს. როდესაც „მაშველი“ დაჭრილ ადამიანს დახმარებას ყოველგვარი შეცდომების გარეშე აღმოუჩენს და იგი მაინც დაიღუპება, დამდგარი შედეგი ობიექტურად შეერაცხება პირს, რომელმაც დაჭრა იგი. მაგრამ, როდესაც „მაშველი“ უხეშად და არა უმნიშვნელოდ არღვევს სამაშველო წესებს და ამით პირის სასიკვდილო შედეგს იწვევს, აღნიშნული შედეგი უკვე აღარ შეერაცხება იმ პირს, რომელმაც თავდაპირველად მიაყენა მსხვერპლს ზიანი.

მოცემულ შემთხვევაში ექიმმა „სამაშველო მოქმედებების დროს“ (ოპერაციის დროს) პაციენტის სასიკვდილო შედეგი გამოიწვია, რომლის დროსაც მან მხოლოდ მცირე სამედიცინო შეცდომა დაუშვა. ამიტომ, ექიმის მიერ დაშვებული მცირე სამედიცინო შეცდომის გამო, გიორგისთვის შედეგის ობიექტური შერაცხვა არ გამოირიცხება.

ბ.ბ.) მაშასადამე, გიორგის ლევანის დაღუპვა ობიექტურად შეერაცხება.

ე) შედეგი: ქმედების ობიექტური შემადგენლობა შესრულებულია.

2. სუბიექტური შემადგენლობა

ა) განზრახვა: ქმედების სუბიექტური შემადგენლობა რომ იყოს განხორციელებული გიორგის განზრახ უნდა ემოქმედა. განზრახ მოქმედებს ის, ვისაც სურს შედეგის დადგომა და ასევე აქვს ცოდნა ობიექტური შემადგენლობის ნიშნების, მათ შორის მიზეზობრიობის ჯაჭვის განვითარების.

გიორგიმ ლევანის მოკვლის სურვილით რამოდენიმეჯერ მიაყენა მას მუცლის არეში ჭრილობა. თუმცა საკითხავია, რამდენად ჰქონდა მას მიზეზობრიობის განვითარების ცოდნა. პრობლემური შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ შედეგი დადგა არა ისე, როგორც გიორგის წარმოდგინა. მისი წარმოდგენით ლევანის სიკვდილი დანით მიყენებულ ჭრილობებს უნდა მოყოლოდა და არა ოპერაციაზე ექიმის სამედიცინო შეცდომას.

გასათვალისწინებელია, რომ მიზეზობრიობის განვითარება არაარსებითი და სისხლისსამართლებრივად უმნიშვნელოა, როდესაც იგი ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების ფარგლებს არ სცდება და სხვაგვარ სამართლებრივ შეფასებას არ იმსახურებს.

ის რომ ლევანი ოპერაციის დროს ექიმის მიერ დაშვებული შეცდომის შედეგად გარდაიცვალა არ სცილდება ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების ფარგლებს და სხვაგვარ სამართლებრივ შეფასებას არ იმსახურებს. მაშასადამე, გიორგის განზრახვაზე ის გარემოება არ ახდენს გავლენას, რომ მას მიზეზობრიობის განვითარება სხვაგვარად ჰქონდა წარმოდგენილი. ამრიგად გიორგი მოქმედებდა განზრახ.

ბ) შედეგი: ქმედების სუბიექტური შემადგენლობა შესრულებულია

3. მართლწინააღმდეგობა.

გიორგი მოქმედებდა მართლწინააღმდეგოდ, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში არ იკვეთება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი რომელიმე გარემოება.

4. ბრალი.

გიორგი მოქმედებდა ბრალეულად.

II. დასკვნა: გიორგი აგებს პასუხს ლევანის განზრახ მკვლელობისთვის სსკ-ის 108-ე მუხლის შესაბამისად.

მე-4 კაზუსი: დანაშაულზე უშედეგო ხელის აღება.

„როცა სიბრალული გვიანია“

ე-ს სურს გაეყაროს თავის მეუღლეს. ცოლს კი არ სურს ქმართან დაშორება და მას მკაცრ უარს ეუბნება ამაზე. ყოველ დილით ე. უყარის თავის ცოლს მცირედი დოზით სანამლავს ჩაიში, რათა იგი გამოასალმოს სიცოცხლეს. ე-მ იცის, რომ სანამლავი თხუთმეტი პორციის მიღების შემდეგ იქნება მომაკვდინებელი. 5 დღის შემდეგ ცოლს ჯანმრთელობა შეერყა. ე-ს შეეცოდა მეუღლე და აღარ გააგრძელა მისთვის ჩაიში ყოველდღიურად სანამლავის ჩაყრა. სანამლავისგან გამონვეული ორგანიზმის შესუსტების გამო, ე-ს მეუღლე დაავადდა ფილტვების ანთებით და მალე ამავე მიზეზით გარდაიცვალა.

კითხვა: შეაფასეთ ე-ს ქმედება სისხლისსამართლებრივად.

პიპოთეზა: შესაძლებელია, ე-მ მცირედი დოზით სანამლავის ჩაიში ჩაყრით განახორციელა მკვლელობა, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

- ა) მოქმედება – მოქმედების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა არ არის პრობლემატური.
- ბ) შედეგი – ცოლი გარდაიცვალა. სსკ-ის 108-ე მუხლში მოცემული ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი არსებობა არ არის პრობლემატური.
- გ) მიზეზობრივი კავშირი – არც მიზეზობრივი კავშირის არსებობაა პრობლემატური ე-ს მოქმედებასა და ცოლის სიკვდილს შორის.

ვ) ობიექტური შერაცხვა – დასადგენია, შეერაცხება თუ არა ე-ს შედეგი ობიექტურად. ადამიანს შედეგი ობიექტურად მხოლოდ მაშინ შეერაცხება თუ მან ქმედებით შექმნა ან აამალა სამართლებრივად დასაძრახი რისკი (საფრთხე), რომელიც ქმედების შემადგენლობის შესაბამის კონკრეტულ შედეგში იქნა რეალიზებული.

მოცემულ კაზუსში საკითხავია, ხომ არ აქვს ადგილი მიზეზობრივი კავშირის ატიპურ განვითარებას. მიზეზობრივი კავშირის ატიპურ განვითარებასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც განხორციელებული შედეგი სრულიად განცალკევებით დგას იმისგან, რასაც მოვლენათა მოსალოდნელი განვითარებისა და ზოგადი ცხოვრებისეული გამოცდილების ფონზე, ანგარიში უნდა გაენიოს. მომაკვდინებელი სანამლავის მიღებით, რომ ადამიანს შეუსუსტდეს იმუნური სისტემა, ჯანმრთელობა შეერყეს და გარდაიცვალოს, არ შეიძლება შეფასდეს, როგორც სრულიად უჩვეულო, მიზეზობრივი კავშირის ატიპური განვითარების შედეგი.

აქ ცოლის სიკვდილი სრულიად უჩვეულო, მოვლენის ატიპურ განვითარებას არ გამოუწვევია. კონკრეტულ შედეგში, ე-ს მიერ ჩაიში სანამლავის მცირე დოზების ჩაყრით შექმნილი რისკის რეალიზება მოხდა. მოცემულ შემთხვევაში ე-მ შექმნა სამართლებრივად დასაძრახი რისკი, რომელიც ქმნიდა სანამლავით სიცოცხლის მოსპობის საფრთხეს. მაშასადამე, ე-ს მიერ ცოლისთვის ჩაიში სანამლავის მცირე დოზების ჩაყრით განხორციელდა სიცოცხლის მოსპობა, რის გამოც ე-ს სასიკვდილო შედეგი ობიექტურად შეერაცხება.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

სსკ-ს 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის დადგენისთვის სავალდებულოა განზრახვის არსებობა. მოცემულ შემთხვევაში განზრახვის არსებობა სადავოა, რადგან განზრახვა უნდა მოიცავდეს, როგორც ქმედებასა და შე-

დეგის დადგომას, ასევე მთლიან მიზეზობრიობის განვითარებას. საკითხავია, ადგილი აქვს, თუ არა არსებით გადახრას მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში. არსებითია გადახრა მიზეზობრივი კავშირის განვითარებაში, თუ იგი ნორმალური ცხოვრებისეული გამოცდილების ფარგლებს სცდება და სხვაგვარ სამართლებრივ შეფასებას იმსახურებს. ის, რომ ადამიანს მონამვლის გამო შეიძლება შეუსუსტდეს იმუნური სისტემა და ადვილად დაავადდეს, აბსოლუტურად ნორმალური ცხოვრებისეული გამოცდილების ფარგლებშია. ისიც, რომ ადამიანი მედიცინის განვითარების და წინსვლის მიუხედავად, შეიძლება ფილტვების ანთებით გარდაიცვალოს, შეესაბამება ნორმალურ ცხოვრებისეულ გამოცდილებას და ეს საშუალო ცოდნისა და გონებრივი შესაძლებლობების მქონე ადამიანისთვის წინასწარგანჭვრეტადია. ამრიგად, ადგილი არ ჰქონია მიზეზობრიობის განვითარებაში არსებით გადახრას. აქედან გამომდინარე, ე-მ ქმედება განახორციელა განზრახ.

ამისთვის ისიც საკმარისია, რომ ე-ს მეუღლის მოკვლის განზრახვა თავიდანვე ქმედების განხორციელებისას გააჩნდა. ის, რომ ე-მ მოგვიანებით ხელი აიღო საკუთარ განზრახვაზე, არაფერს არ ცვლის ქმედების განზრახ ჩადენილად შესაფასებლად, რადგან, სამართლებრივი თვალსაზრისით, განზრახვის წარმოშობის დროის განმსაზღვრელი ელემენტი ქმედების ჩადენის მომენტი და დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების შემდეგ, მაგრამ შედეგის დადგომამდე შუალედში, დანაშაულის ჩამდენის მიერ ქმედების შემადგენლობის განხორციელების ნების უკუგდება მას პასუხისმგებლობისგან ვერ გაათავისუფლებს.

II. მართლწინააღმდეგობა

მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება. შესაბამისად, ქმედება მართლწინააღმდეგობა.

III. ბრალი

მოცემულ შემთხვევაში სახეზე არაა ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება. შესაბამისად, ქმედება ბრალეულია.

დასკვნა

ამრიგად, ე-მ მცირედი დოზით სანამლავის ჩაიში ჩაყრით განხორციელა მკვლელობა, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

მე-5 კაზუსი: შეცდომა პიროვნებაში.

„მსხვერპლის პიროვნებაში დაშვებული შეცდომა დანაშაულის კვალიფიკაციაზე ზეგავლენას არ ახდენს“

პეტრემ გადანყვიტა შური ეძია თავის ყოფილ უფროს პავლეზე, რომელმაც იგი სამსახურიდან გაათავისუფლა. პეტრემ იცოდა, რომ პავლე შაბათობით ქალაქგარეთ აგარაკზე რჩებოდა ხოლმე. შაბათ საღამოს პეტრე პავლეს მოკვლის განზრახვით გაემგზავრა მის აგარაკზე. სახლთან მართლაც იდგა პავლეს მანქანა. პეტრე ჩუმად შეიპარა პავლეს სახლში. საძინებელ ოთახში მან შეამჩნია მძინარე მამაკაცი. პეტრემ მძინარე პიროვნებას რამდენიმეჯერ ესროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან. იგი სროლის დროს დარწმუნებული იყო, რომ პავლეს კლავდა. აღმოჩნდა, რომ მსხვერპლი პავლე კი არა, მისი შვილი გიორგი იყო, რომელიც მამის აგარაკზე ისვენებდა.

კითხვა: დაეკისრება თუ არა პეტრეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამთავრებული განზრახ მკვლელობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით?

ამოხსნა

პიპოთეზა: შესაძლებელია, პეტრეს მის მიერ განხორციელებული სროლის შედეგად დამდგარი გიორგის სიკვდილისთვის დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამთავრებული

განზრახ მკვლევლობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

1. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

- ა) მოქმედება – მოქმედების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა არ არის პრობლემატური.
- ბ) შედეგი – გიორგის სიკვდილით სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი დადგა.
- გ) მიზეზობრივი კავშირი – *conditio-sine-qua-non*-ფორმულის მიხედვით მოქმედებასა და დამდგარ შედეგს მიზეზობრივი კავშირის დადგენა არ არის პრობლემატური.
- დ) ობიექტური შერაცხვა – არ არის პრობლემატური.

2. სუბიექტური შემადგენლობა

შესაძლებელია, პეტრეს ჰქონდა გიორგის მკვლევლობის განზრახვა. განზრახვა გულისხმობს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ცოდნას და ნებას. რადგან პეტრეს გიორგი პავლეში შეეშალა, შესაძლებელია, რომ ფაქტობრივ გარემოებებში შეცდომის დაშვების გამო, გამოირიცხოს განზრახვა. მართალია, პეტრემ დაუშვა შეცდომა ქმედების ობიექტში, მაგრამ მან მოკლა ის პიროვნება, ვისაც ესროლა. *error in persona*-სთვის დამახასიათებელია ის, რომ წარმოდგენილი და ფაქტობრივად განხორციელებული ქმედებები თანაბარმნიშვნელოვანია.

ამ შემთხვევაში კვალიფიკაციის საკითხი უნდა გადაწყდეს ე. წ. თანაბარღირებულების თეორიის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, თუკი საქმე ეხება ტოლფასოვან სამართლებრივ სიკეთეებს, მაშინ პიროვნებაში შეცდომა კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ მოახდენს, რადგან ყოველი ადამიანის სიცოცხლეს სისხლის სამართალი თანაბრად იცავს. პეტრეს მაინც შეერაცხება სასიკვდილო შედეგი, ვინაიდან მოქმედება ადამიანის სიცოცხლისკენ იყო მიმართული და განზრახვის დასადგენად, სხვა ნიშნებთან ერთად, საკმარისია ქმედების განხორციელებისას პირის მიერ სამართლით დაცული სი-

კეთის არა ყველა დეტალის ცოდნა, არამედ გვარეობითი ნიშნების შეცნობაც საკმარისია.

მაშასადამე, პეტრე მოქმედებდა განზრახ.

II. მართლწინააღმდეგობა

პეტრე მოქმედებდა მართლწინააღმდეგოდ.

III. ბრალი

პეტრე მოქმედებდა ბრალეულად.

დასკვნა

მაშასადამე, პეტრეს სროლის შედეგად დამდგარი გიორგის სიკვდილისთვის დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამთავრებული განზრახ მკვლელობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

მე-6 კაზუსი: შეცდომა პიროვნებაში.

„ზედმეტი მსხვერპლი“

ქანთარიამ დაიქირავა კილაძე ბლიაძის მოსაკლავად 5000 ლარად. შეთანხმების თანახმად, კილაძემ ბლიაძე უნდა მოკლას თავლაში, სადაც იგი ყოველ შაბათ საღამოს მიდის ცხენების მოსაველელოდ. ქანთარიამ კილაძეს ზოგადად მიაწოდა ინფორმაცია ბლიაძის აღნაგობასა და ჩაცმულობაზე. ყოველი შემთხვევისთვის დაქირავებულ მკვლელს ქანთარიამ ბლიაძის ფოტოც გადასცა, თუმცა იგი დარწმუნებული იყო, რომ შაბათ საღამოს თავლაში ბლიაძის გარდა სხვა არავინ მივიდოდა. ამასთან, მან კარგად იცოდა, რომ თავლაში ცუდი განათება იყო. შაბათ საღამოს კილაძე ჩაუსაფრდა თავის მსხვერპლს თავლაში. რამდენიმე ხანში თავლაში შემოვიდა ადამიანი, რომელიც ბლიაძის აღწერილობას ძალიან ნააგავდა. კილაძემ ესროლა მას და მოკლა იგი. კილაძე მივიდა მოკლულის სანახავად

და დაინახა, რომ მან ბლიაძის ნაცვლად თავლის ყარაული მოკლა, რადგან ცუდი განათების გამო შეცდომა დაუშვა პიროვნების იდენტიფიკაციაში. იმისთვის, რომ კილაძეს შეეკეთა ბოლომდე შეესრულებინა, იგი კვლავ ჩაუსაფრდა ბლიაძეს. მსხვერპლი მართლაც რამდენიმე წუთში გამოჩნდა თავლაში, რომელიც კილაძემ რამდენიმე გასროლით მოკლა.

კითხვა: როგორ შეფასდება ქანთარას და კილაძის ქმედება სისხლისსამართლებრივად?

ამოხსნა

1. კილაძის დასჯადობა ყარაულისა და ბლიაძის მკვლელობისთვის სსკ-ის 108-ე მუხლითა და სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ (ორი პირისა) და „გ“ ქვეპუნქტების მიხედვით (ანგარებით).

1-ლი პიპოთეზა: შესაძლებელია, კილაძემ იარაღიდან გასროლით ჩაიღინა ყარაულის განზრახ მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

1. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

- ა) ქმედება – კილაძის მოქმედების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა არ არის პრობლემატური.
- ბ) შედეგი – სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი სახეზეა.
- გ) მიზეზობრივი კავშირი – არ არის პრობლემატური.
- დ) ობიექტური შერაცხვა – არ არის პრობლემატური.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

- ა) გასარკვევია, იყო თუ არა კილაძის მოქმედება განზრახი. აქ განზრახვა პრობლემატურია. კილაძეს გაცნობიერებული ჰქონდა და სურდა ადამიანის მოკვლა, თუმცა მან დაუშვა შეცდომა პიროვნებაში (*error in persona*). ამ შემთხვევაში კვალიფიკაციის საკითხი უნდა გადაწყდეს ე. წ. თანაბარღირებულების თეორიის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, თუკი საქმე ეხება ტოლფასოვან სამართლებრივ სიკეთებს, მაშინ პიროვნებაში შეც-

დომა კვალიფიკაციაზე გავლენას ვერ მოახდენს, რადგან ყოველი ადამიანის სიცოცხლეს სისხლის სამართალი თანაბრად იცავს. კილაძეს მაინც შეერაცხება სასიკვდილო შედეგი, ვინაიდან მოქმედება ყარაულის სიცოცხლისკენ იყო მიმართული და განზრახვის დასადგენად, სხვა ნიშნებთან ერთად, საკმარისია ქმედების განხორციელებისას პირის მიერ სამართლით დაცული სიკეთის არა ყველა დეტალის ცოდნა, არამედ გვარეობითი ნიშნების შეცნობაც კი საკმარისია. ამრიგად, კილაძე განზრახ მოქმედებდა.

II. მართლწინააღმდეგობა

კილაძის ქმედების მართლწინააღმდეგობა არ არის პრობლემატური.

III. ბრალი

კილაძის ქმედების ბრალეულობა არ არის პრობლემატური.

შუალედური დასკვნა

ამრიგად, კილაძემ იარაღიდან გასროლით ჩაიღინა ყარაულის მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

მე-2 პიპოთეზა: შესაძლებელია, კილაძემ იარაღიდან გასროლით ჩაიღინა ყარაულის ანგარებით მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ობიექტური შემადგენლობა არ არის პრობლემატური.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

კილაძეს ყარაულის მკვლელობისას ამოძრავებდა მატერიალური ინტერესი. იმის მიუხედავად, რომ მან დაუშვა შეცდომა პიროვნებაში, ეს მისი ქცევის მოტივაციას ვერ შეცვლის. რაც შეეხება იყო

თუ არ მისი ქცევა ანგარებითი მოტივის საფუძველზე განხორციელებული, ეს უნდა განვიხილოთ ბრალის ეტაპზე.

II. მართლწინააღმდეგობა

კილაძის ქმედების მართლწინააღმდეგობა დადგენილია.

III. ბრალი

კილაძის შერაცხაობა და ბრალის სხვა ნიშნები არ არის პრობლემატური, ბრალის სპეციალური ნიშნის გარდა. სისხლის სამართლის კოდექსი აღიარებს ბრალის სპეციალურ ნიშნებს, რის გამოც ამ ნიშნების განხილვა ბრალის ეტაპზე საკანონმდებლო მოთხოვნებიდანაც გამომდინარეობს (იხ. სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი). მოცემულ შემთხვევაში ანგარება გვევლინება ბრალის სპეციალურ ნიშნად. კილაძის მოქმედება ანგარებითი მოტივის საფუძველზე განხორციელდა, რადგან მისი ქვენა ხასიათი განპირობებულია იმით, რომ 5000 ლარი მან მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისთვის მიიღო.

ამრიგად, სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში მოცემული ანგარება, როგორც დამამძიმებელი გარემოება კილაძეს შეერაცხება.

შუალედური დასკვნა

ამრიგად, კილაძემ იარაღიდან გასროლით ჩაიღინა ყარაულის ანგარებით მკვლევლობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

ნორმათა კონკურენცია

სსკ-ის 109-ე მუხლი სსკ-ის 108-ე მუხლთან, როგორც ზოგად ნორმასთან, მიმართებით სპეციალურია.

სპეციალურობისას ერთი სისხლისსამართლებრივი ნორმა, მოიცავს ზოგადი ნორმის ყველა ნიშანს და ამავდროულად აკონკრე-

ტებს დანაშაულის ზოგიერთ ნიშანს, რომელიც ზოგად ნორმაში აბსტრაქტულად არის წარმოდგენილი. სწორედ ამიტომ არის, რომ სპეციალური ნორმის განხორციელება ზოგადი ნორმის განხორციელებასაც გარდაუვალს ხდის.

სსკ-ის 16-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით.“

შესაბამისად, სპეციალურობიდან გამომდინარე, სსკ-ის 108-ე მუხლი განიხილება და კილაძეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

შუალედური დასკვნა

ამრიგად, კილაძემ იარაღიდან გასროლით ჩაიდინა ყარაულის ანგარებით მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

მე-3 პიპოთეზა: შესაძლებელია, კილაძემ იარაღიდან მეორედ განხორციელებული რამდენიმე გასროლით ჩაიდინა ბლიაძის ანგარებით მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

არ არის პრობლემატური.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

- ა) კაზუსიდან ნათლად ირკვევა, რომ კილაძე ბლიაძის მოკვლის განზრახვით მოქმედებდა.
- ბ) კაზუსიდან ნათლად იკვეთება, რომ კილაძეს ბლიაძის მკვლელობის დროსაც ამოძრავებდა მატერიალური ინტერესი. იმის მიუხედავად, რომ მან დაუშვა შეცდომა პიროვნებაში და მან

მოკლა ყარაული, კილაძე შეკვეთის ბოლომდე შესასრულებლად კვლავ ჩაუსაფრდა ბლიაძეს. შესაბამისად, მისი მოქმედება მატერიალური დაინტერესებით იყო ნაწარმოები.

II. მართლწინააღმდეგობა

კილაძის ქმედების მართლწინააღმდეგობა არ არის პრობლემატური.

III. ბრალი

კილაძე ბრალეულად მოქმედებდა. ბლიაძის მკვლელობის დროსაც კილაძის მოტივი ყარაულის მკვლელობის მოტივის შესაბამისად უნდა შეფასდეს.

ამრიგად, სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში მოცემული ანგარება, როგორც დამამძიმებელი გარემოება კილაძეს ბლიაძის მკვლელობისთვისაც შეერაცხება.

დასკვნა

ამრიგად, კილაძემ იარაღიდან მეორედ განხორციელებული რამდენიმე გასროლით ჩაიდინა ბლიაძის ანგარებით მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

მე-4 პიპოთეზა: შესაძლებელია, ყარაულისა და ბლიაძის მკვლელობით კილაძემ ჩაიდინა ორი პირის მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

დასადგენია, აგებს თუ არა კილაძე პასუხს ორი პირის მკვლელობისთვის. ასეთი მაკვალიფიცირებელი ნიშანი შესრულებულია მაშინ, როდესაც მკვლელობები ჩადენილია ერთიანი განზრახვით. მოცემულ შემთხვევაში, მართალია, ორივე მსხვერპლის მოკვლა ერთმანეთისგან დაშორებულია დროის მცირე მონაკვეთით, მაგრამ ერთიანი განზრახვით არ განხორციელებულა. კილაძის განზრახ-

ვა თავიდანვე არ მოიცავდა ორი პირის მკვლელობას, არამედ მას სურდა მხოლოდ ბლიაძის მოკვლა. მას შემდეგ, რაც კილაძემ ნახა, რომ ბლიაძის ნაცვლად მოკლა სხვა პიროვნება, განიზრახა ხელახლა ჩასაფრებოდა მსხვერპლს და მოეკლა იგი, ე. ი. მეორე მკვლელობის განზრახვა მას წარმოეშვა მას შემდეგ, რაც პირველი უკვე განახორციელა. ამრიგად, კილაძეს არ განუხორციელებია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელი გარემოება, კერძოდ, ორი პირის მკვლელობა.

დასკვნა

ამრიგად, ყარაულისა და ბლიაძის მკვლელობით კილაძეს არ ჩაუდენია ორი პირის მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

საბოლოო დასკვნა (კილაძის დასჯადობისთვის)

კილაძემ ორჯერ ჩაიდინა მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში:

- კილაძემ იარაღიდან გასროლით ჩაიდინა ყარაულის ანგარებით მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით;
- კილაძემ იარაღიდან მეორედ განხორციელებული რამდენიმე გასროლით ჩაიდინა ბლიაძის ანგარებით მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

II. ქანთარიას დასჯადობა ყარაულის მკვლელობისთვის სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით (ანგარებით ან შეკვეთით) და ბლიაძის მკვლელობისთვის სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით (ანგარებით ან შეკვეთით).

1-ლი ჰიპოთეზა: შესაძლებელია, რომ ქანთარიას დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეკვეთით ჩადენილი ბლიადის მკვლელობის ნაქეზებისთვის (სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

- ა) კილაძის მიერ ბლიადის მკვლელობა დადგენილია;
- ბ) დაყოლიება ამ ქმედების ჩასადენად – დაყოლიებას, სისხლის-სამართლებრივი მნიშვნელობით, მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ერთი ადამიანი მეორეს სიტყვიერად, ჟესტიკულაციით ან სხვა ქმედებით დაითანხმებს კონკრეტული მოქმედების შესასრულებლად, რომლის სოციალური არსიც თანხმობის მიმცემს (დაყოლიებულს) შეცნობილი აქვს და შეთანხმებული ქმედების განხორციელებას შეუდგება. მაშასადამე, მათ შორის კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს. ამასთან, დაყოლიებულის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის სურვილის ფუძემდებელი დამყოლიებელი უნდა იყოს. ქანთარიამ ბლიადის მოსაკლავად კილაძე სიტყვიერად დაიყოლია.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

- ა) განზრახვა – ქანთარიას ჰქონდა ცოდნა და ნება იმისა, რომ კილაძეს ჩაედინა ბლიადის მართლსაწინააღმდეგოდ მკვლელობა;
- ბ) განზრახვა – ქანთარიასაც, თავის მხრივ, ჰქონდა ბლიადის მართლსაწინააღმდეგოდ მოკვლის ცოდნა და სურვილი.
- გ) საკითხავია, მოქმედებდა თუ არა ქანთარია მატერიალური დაინტერესებით. მატერიალური დაინტერესება ნიშნავს იმას, რომ ქონებრივი სარგებელი პირს სურს მიიღოს პირადად ან სხვა პირისთვის. თუმცა, მატერიალური დაინტერესება გამოირიცხება, როდესაც ადამიანი თანხას სხვას იმისთვის უხდის, რათა სხვა მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს ან თანხის მიმღების მატერიალური ინტერესის დაკმაყოფილება მისთვის უმნიშვნელოა. კაზუსიდან ნათლად ირკვევა, რომ ქანთარიას თანხა იმისთვის

არ გადაუხდია, რომ კილაძის მატერიალური ინტერესი აინტერესებდა. ამრიგად, ქანთარია არ მოქმედებდა მატერიალური დაინტერესებით.

II. მართლწინააღმდეგობა

არ არის პრობლემატური.

III. ბრალი

- ა) ქანთარიას შერაცხაობა და ბრალის სხვა ნიშნები არ არის პრობლემატური. აქ მხოლოდ ის უნდა აღინიშნოს, რომ ანგარება გამოირიცხება, რადგან ქანთარიას არ ჰქონია მატერიალური ინტერესი, ამიტომ ნაქეზება ანგარებით ჩადენილი მკვლევლობისთვის გამოირიცხება.
- ბ) გასარკვევია, ქანთარიას შერაცხება თუ არა შეკვეთა, როგორც მკვლევლობის მაკვალიფიცირებელი ნიშანი. შეკვეთა ნიშნავს არა უბრალოდ დაყოლიებას, არამედ განსაკუთრებულ დავალებას, რომელიც შეიძლება ფულის გადახდით ან ფაქტობრივად არსებული ურთიერთდაქვემდებარების საფუძველზე გაცემული ბრძანების გაცემით გამოიხატოს. კაზუსიდან ნათლად ირკვევა, რომ ქანთარიამ კილაძე დაიქირავა ბლიაძის მოსაკლავად 5000 ლარად. შესაბამისად, მას შერაცხება სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შეკვეთა.

დასკვნა

ამრიგად, ქანთარიას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეკვეთით ჩადენილი ბლიაძის მკვლევლობის ნაქეზებისთვის (სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

მე-2 ჰიპოთეზა: შესაძლებელია, ქანთარიას დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეკვეთით ჩადენილი ყარა-

ულის მკვლევლობის ნაქეზებისთვის (სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

- ა) კილაძის მიერ ყარაულის მკვლელობა დადგენილია;
- ბ) დაყოლიება ამ ქმედების ჩასადენად – საკამათოა ქანთარიას მიერ კილაძის დაყოლიება ყარაულის მოსაკლავად, რადგან მან კილაძე ბლიაძის მოსაკლავად დაიყოლია და არა ყარაულის. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქანთარიას მხრიდან განხორციელებული დაყოლიება მიზეზობრივად დაკავშირებულია ყარაულის მკვლევლობასთან, რადგან ბლიაძის მოსაკლავად კილაძის დაქირავების გამორიცხვით, არც კილაძის მხრიდან ექნებოდა ადგილი შეცდომას და ყარაულის მკვლელობაც არ დადგებოდა.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

- ა) განზრახვა – ქანთარიას ჰქონდა ცოდნა და ნება იმისა, რომ კილაძეს ჩადენინა ბლიაძის და არა ყარაულის მართლსაწინააღმდეგოდ მკვლელობა.
- ბ) განზრახვა – ქანთარიასაც, თავის მხრივ, ჰქონდა ბლიაძის მართლსაწინააღმდეგოდ მოკვლის ცოდნა და სურვილი.

საკითხავია, ხომ არ ჰქონდა ადგილი კილაძის ექსცესს. სსკ-ის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ექსცესი განიმარტება, როგორც „ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენად, რომელსაც არ მოიცავდა სხვა თანამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვა.“ აღნიშნული მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, კი „ამსრულებლის ექსცესისთვის სხვა თანამსრულებელს ან თანამონაწილეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.“

ქანთარიას ჰქონდა იმის ცოდნა და ნება, რომ კილაძეს განეხორციელებინა ბლიაძის მკვლელობა, რაც მათ საერთო განზრახ-

ვას შეადგენდა. კილაძემ დაუშვა შეცდომა და ბლიაძის ნაცვლად, პირველი გასროლით მოკლა ყარაული. ამსრულებლის ექსცესის ერთ-ერთ აუცილებელი პირობაა ამსრულებლის მხრიდან განრახ თანამონაწილესთან ან თანაამსრულებელთან შეუთანხმებელი მოქმედების განხორციელება. შესაბამისად, მოხდა თუ არა ქანთარიას და კილაძის საერთო განზრახვის რეალიზება შემდეგი შეხედულებებით? უნდა განვიხილოთ:

ბ.ა) ერთ-ერთი შეხედულების თანახმად, ამსრულებლის მხარეზე არსებული *error in persona*, რომელიც მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის ირელევანტურია, ნამქეზების პასუხისმგებლობაზეც აგრეთვე სამართლებრივად არანაირ ზეგავლენას არ ახდენს. გადამწყვეტი მნიშვნელობა იმ გარემოებას აქვს, რომ ნაქეზებულმა პირმა დანაშაული მასში გამონეწული განზრახვის გავლენით ჩაიდინა.

ბ.ბ) ეს შეხედულება უარყოფილია შემდეგი არგუმენტაციით: დავუშვათ კილაძემ არა მარტო ყარაული, არამედ კიდევ რამდენიმე პიროვნება მოკლა, რომლებიც ასევე ბლიაძეში შეეშალა. ამ შემთხვევაში მან პასუხი უნდა აგოს თითოეული მკვლელობისთვის. მაშინ ქანთარიასაც უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც ამ მკვლელობების ნამქეზებელს? საკითხის ასეთი გადანყვეტა კი წინააღმდეგობაში მოვიდოდა ბრალის პრინციპთან, რომლის თანახმადაც, ნამქეზების განზრახვა არსებითად უნდა მოიცავდეს ამსრულებლის მიერ ჩადენილ ქმედებას. ამრიგად, ნამქეზების განზრახვასა და ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედების განვითარებას შორის არსებითი შესაბამისობა უნდა არსებობდეს. ამიტომ ასეთ შემთხვევაში სხვა მეცნიერები მიიჩნევენ, რომ *error in persona* როგორც *aberratio ictus* უნდა იქნას განხილული და ამსრულებლის მიერ ყარაულის მკვლელობის შემთხვევაში ნამქეზებულმა პასუხი უნდა აგოს მხოლოდ ბლიაძის მკვლელობის მცდელობისთვის.

ბ.გ) უნდა აღინიშნოს, რომ არც ეს შეხედულება არის დამაჯერებელი, ვინაიდან ყარაულის მკვლევლობისას იმავდროულად უშუალო საფრთხე არ შექმნია ბლიაძის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და, ამდენად, ადგილი არ ჰქონია ბლიაძის პიროვნებაზე თავდასხმის მცდელობას.

ბ.დ) ერთ-ერთი შეხედულების თანახმად, როდესაც ნამქეზებელმა ამსრულებელს მიანდო მსხვერპლის ინდივიდუალიზაცია და ეს უკანასკნელიც ცდილობს დანაშაულის ჩადენისას ნამქეზებლის მითითებების მიხედვით იმოქმედოს, ასეთ შემთხვევაში ნამქეზებელსაც უნდა შეერაცხოს ამსრულებლის მიერ შეცდომით ჩადენილი სხვა პირის მკვლელობა, თუკი მსხვერპლის პიროვნების იდენტიფიკაციაში დაშვებული შეცდომა მოცემულ გარემოებებში ნორმალური ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე სავსებით შესაძლებელი იყო.

საკითხის გადაწყვეტა:

მართებულად უნდა ჩაითვალოს უკანასკნელი მოსაზრება. ქანთარიამ კილაძეს მსხვერპლის პიროვნება ზუსტად აღუწერა, თუმცა აქ გადამწყვეტია არა ის, რომ ბლიაძე ზუსტად იყო აღწერილი, არამედ ის, რომ ცუდი ხილვადობა იყო დანაშაულის ჩადენის ადგილზე და ის, რომ კილაძემ ზუსტად შეასრულა ქანთარიას მითითებები. ქანთარიას განზრახვა არსებითად მოიცავდა დანაშაულის ადგილას განვითარებულ მოვლენას, რადგან იგი ვარაუდობდა, რომ კილაძე მოკლავდა იმ პიროვნებას, რომელიც მის მიერ აღწერილი პიროვნების გარეგნობას შეესაბამებოდა. ასეთ შემთხვევაში ყარაული გარეგნულად ძალიან ჰგავდა ბლიაძეს, გარდა ამისა თავლაში არსებული ცუდი განათების გამო, სავსებით შესაძლებელი იყო ცხოვრებისეული გამოცდილებით, რომ ნებისმიერ პირს მოსვლოდა პიროვნების იდენტიფიკაციაში შეცდომა.

მაშასადამე, კილაძის ექსცესს ადგილი არ ჰქონია.

II. მართლწინააღმდეგობა

არ არის პრობლემატური.

III. ბრალი

ქანთარიას შერაცხაობა და ბრალის სხვა ნიშნები არ არის პრობლემატური. შესაბამისად, მას შეერაცხება სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეკვეთა.

დასკვნა

ქანთარიას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეკვეთით ჩადენილი ყარაულის მკვლელობის ნაქეზებისთვის (სსკ-ის 24-ე მუხლი და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

საბოლოო დასკვნა (ქანთარიას დასჯადობისთვის)

ქანთარიამ ერთი მოქმედებით ორჯერ ჩაიდინა მკვლელობის ნაქეზება დამამძიმებელ გარემოებაში:

- ქანთარიას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეკვეთით ჩადენილი ბლიაძის მკვლელობის ნაქეზებისთვის (სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი);
- ქანთარიას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეკვეთით ჩადენილი ყარაულის მკვლელობის ნაქეზებისთვის (სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

საბოლოო დასკვნა

კილაძემ ორჯერ ჩაიდინა მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში:

- კილაძემ იარაღიდან გასროლით ჩაიდინა ყარაულის მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით;

- კილაძემ იარაღიდან მეორედ განხორციელებული რამდენიმე გასროლით ჩაიდინა ბლიაძის ანგარებით მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. ქანთარია მ ერთი მოქმედებით ორჯერ ჩაიდინა მკვლელობის ნაქეზება დამამძიმებელ გარემოებაში:
- ქანთარიას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეკვეთით ჩადენილი ბლიაძის მკვლელობის ნაქეზებისთვის (სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი);
- ქანთარიას დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეკვეთით ჩადენილი ყარაულის მკვლელობის ნაქეზებისთვის (სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილი და სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

მე-7 კაზუსი: მიზნის აცდენა და გაუთვალისწინებელი ობიექტის ხელყოფა.

„მიზანს აცდენილი ისარი“

რ-ს და ნ-ს, რომლებიც ერთ-ერთ ბარში ისხდნენ და საუბრობდნენ, მოუვიდათ ერთმანეთში კამათი. ცოტა ხანში კამათი ხმამაღალ ჩხუბში გადაიზარდა. მოულოდნელად რ-მ ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი და დაახლოებით ორი მეტრის დაშორებიდან, მოკვლის განზრახვით, ესროლა ნ-ს. ვინაიდან, გასროლის მომენტში ნ-ც და რ-ც მოძრაობდნენ, ტყვია აცდა ნ-ს და მოხვდა ლ-ს, რომელმაც ამ დროს შემთხვევით გაიარა. ლ. მიყენებული ჭრილობის შედეგად ადგილზე გარდაიცვალა.

კითხვა: მიეცით რ-ს ქმედებას სისხლისსამართლებრივი შეფასება.

ამოხსნა

1-ლი ჰიპოთეზა: შესაძლებელია, რ-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჩაიდინა ლ-ს მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

1. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

- ა) ქმედება – რ-ს მოქმედების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა არ არის პრობლემატური.
- ბ) შედეგი – სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი სახეზეა.
- გ) მიზეზობრივი კავშირი – არ არის პრობლემატური.
- დ) ობიექტური შერაცხვა – არ არის პრობლემატური.

2. სუბიექტური შემადგენლობა

შესაძლებელია, რ-მ განზრახ იმოქმედა. ეს კი იმას გულისხმობს, რომ მას ჰქონდა ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ცოდნა და ნება. რ-მ იცოდა, რომ გასროლით ადამიანს მოკლავდა. მას ამის სურვილიც გააჩნდა, მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ რ-ს ერთი კონკრეტული ადამიანის, კერძოდ, ნ-ს მოკვლა სურდა. ფაქტიურად კი, ტყვეა მიზანს აცდა და შემთხვევით გამვლელი ლ. მოკლა. ასეთი შემთხვევის (*aberratio ictus*) სამართლებრივ შეფასებაზე არსებობს არაერთგვაროვანი პოზიცია:

- ა) ფორმალური თანაბარღირებულების თეორიის მიხედვით, თუ პირს სურს ხელჰყოს გარკვეული ობიექტი და იგი სხვა, მაგრამ გვარეობითად მსგავს ობიექტს დააზიანებს, მაშინ მას ამ ობიექტის მიმართაც აქვს განზრახვა. მაშასადამე, ამ თეორიით, რ-ს განზრახვის დასადგენად ირელევანტურია ის, რომ მან ნ-ს მაგივრად ლ-ს მოახვედრა ტყვეა.
- ბ) მატერიალური თანაბარღირებულების თეორიით კი, უნდა მოხდეს დიფერენციაცია *ინდივიდზე დამოკიდებულ* და *ინდივიდზე დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთეთა* შორის. *ინდივიდზე დამოკიდებული* სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შემთხვევაში (მაგალითად, სიცოცხლე, ჯანმრთელობა), თუკი ადგილი ექნება *aberratio ictus*, ხელყოფილი ობიექტის მიმართ განზრახვა უნდა გამოირიცხოს ქმედების შემადგენლობაში დაშვებული ფაქტობრივი შეცდომის გამო. *ინდივიდზე დამოუკიდებელი* სა-

მართლებრივი სიკეთის (მაგალითად, ქონება) ხელყოფისას კი, ქმედება განზრახ იქნება ჩადენილი. სხვა ადამიანის სიცოცხლის მოსპობა წარმოადგენს *ინდივიდზე დამოკიდებული* სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას. ამდენად, აღნიშნული თეორიით, რ-ს არ ჰქონია ლ-ს სიცოცხლის მოსპობის განზრახვა.

- გ) განსხვავებით ზემოაღნიშნულისგან, კონკრეტიზაციის თეორიით, პირის განზრახვა გამოირიცხება, მიუხედავად ობიექტების თანაბარღირებულებისა, თუკი იგი მიზანში ამოღებული ობიექტის ნაცვლად სხვა ობიექტს დააზიანებს. რ-მ ესროლა ნ-ს, მაგრამ ტყვია მოხვდა ლ-ს. მაშასადამე, მას არ მოუკლავს ლ. განზრახ.

საკითხის გადაწყვეტა:

ფორმალური თანაბარღირებულების თეორიის დასასაბუთებლად აღნიშნავენ, რომ დანაშაულის შემადგენლობებით სამართლებრივი სიკეთეები დაცულია მათი გვარეობითი ნიშნით და ამიტომ ცალკეული ობიექტების კონკრეტიზაციას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. აღნიშნული დასაბუთება არ არის დამაჯერებელი, რადგან მას მხედველობიდან რჩება ის გარემოება, რომ *aberratio ictus*-ის შემთხვევაში პირის განზრახვა დაკონკრეტებულია ერთ გარკვეულ ობიექტზე, რომლის ხელყოფაც მას სურს. პირს არ სურდა იმ ობიექტის ხელყოფა, რომელიც მან ფაქტობრივად დააზიანა, ვინაიდან მას სულ სხვა ობიექტი ჰქონდა სამიზნეში ამოღებული. აქ გადამწყვეტია ის, რომ არ მოხდა იმ რისკის რეალიზება, რაც ამსრულებელმა შექმნა კონკრეტული მსხვერპლის მიმართ. ამიტომ, უარყოფილი უნდა იქნას ფორმალური თანაბარღირებულების თეორია. არც მატერიალური თანაბარღირებულების თეორია არის გასაზიარებელი, ვინაიდან შეუძლებელია *ინდივიდზე დამოკიდებულ* და *ინდივიდზე დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთეთა* ერთმანეთისგან გამიჯვნა. ქონებრივი სამართლებრივი სიკეთე კანონით დაცულია, რადგან ასეთი სამართლებრივი სიკეთე ცალკეული ინდივიდების ქონებრივი უფლების ნაწილია და ამიტომ ესეც *ინდივიდზე დამოკიდებულია*.

კონკრეტიზაციის თეორია კი, არ აკეთებს ასეთ გამიჯვნას, არამედ აქცენტს აკეთებს პირის ინდივიდუალიზებულ განზრახვაზე. აქედან გამომდინარე, რ-ს არ ჰქონია ლ-ს სიცოცხლის მოსპობის განზრახვა. ე. ი. სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების სუბიექტური შემადგენლობა არ არის განხორციელებული.

შუალედური დასკვნა

ამრიგად, რ-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით არ ჩაუდენია ლ-ს მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

მე-2 ჰიპოთეზა: შესაძლებელია, რ-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჩაიდინა ლ-ს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით (დაუდევრობით) მოსპობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 116-ე მუხლით.

1. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

- ა) მოქმედება, რაც გამოიხატა წინდახედულობის ნორმის დარღვევაში – საზოგადოდ ცნობილია, რომ ცეცხლსასროლი იარაღი მომეტებული საფრთხის წყაროა, რომელსაც სამართლით დაცული მრავალი სამართლებრივი სიკეთის დაზიანება შეუძლია. ამის გამო, არსებობს ცეცხლსასროლი იარაღის უსაფრთხოდ გამოყენების მრავალი ნორმა. რ-მ ბარში, სადაც ადამიანებს შეუძლიათ თავისუფლად შეიკრიბონ, გაისროლა ლ-ს მიმართ, რითაც, ბუნებრივია, დაარღვია წინდახედულობის ნორმა;**
- ბ) ქმედების შემადგენლობაში აღწერილი შედეგის დადგომა – ლ. გარდაიცვალა;**
- გ) მიზეზობრივი კავშირი – არ არის პრობლემატური;**
- დ) ობიექტური გაუფრთხილებლობა:**
 - დ.ა) შედეგის დადგომის გათვალისწინების ობიექტური შესაძლებლობა – ნებისმიერ დილექტანტ ადამიანს შეუძლია გაითვალის-**

წინოს, რომ ბარში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლას რომელიმე სამართლებრივი სიკეთის დაზიანება მოყვებს.

(დ.ბ.) შედეგის თავიდან აცილების ობიექტური შესაძლებლობა – კაზუსში მოცემული ფაბულის მიხედვით, ნებისმიერი დილექტანტი ადამიანის სიკვდილის თავიდან აცილების ობიექტური შესაძლებლობის არსებობა – არ არის პრობლემატური.

ე) შედეგის ობიექტური შერაცხვა – არ არის პრობლემატური.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

(დაუდევრობას არ გააჩნია სუბიექტური შემადგენლობა)

II. მართლწინააღმდეგობა

არ არის პრობლემატური.

III. ბრალი

ამ ეტაპზე მხოლოდ ის უნდა აღინიშნოს, რომ კაზუსის მიხედვით, არ იკვეთება ისეთი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც სადავოს გახდიდა ინდივიდუალური გაუფრთხილებლობის დასაბუთებას. ლოგიკურად, რ-ც ჩვეულებრივი, საშუალო შესაძლებლობების მქონე ადამიანია, რის გამოც წინდახედულობის ნორმის დაცვის სუბიექტური შესაძლებლობა და შედეგის დადგომის გათვალისწინების სუბიექტური შესაძლებლობა, მოცემულად უნდა ჩაითვალოს.

დასკვნა

ამრიგად, რ-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჩაიდინა ლ-ს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით (დაუდევრობით) მოსპობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 116-ე მუხლით.

მე-3 ჰიპოთეზა: შესაძლებელია, რ-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჩაიდინა ნ-ს მკვლელობის მცდელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის მე-19 და სსკ-ის 108-ე მუხლებით.

შესავალი (წინასწარი შემონგება)

სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შედეგი არ დადგა.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

რ-ს ჰქონდა ნ-ს მკვლელობის განზრახვა. შესაბამისად, განზრახვის არსებობა არ არის პრობლემატური.

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ცნობილია, რომ ცეცხლსასროლი იარაღიდან ადამიანისთვის სროლა სახიფათოა ჯანმრთელობის ან სიცოცხლისთვის. ფაბულიდან გამომდინარე, ნათლად სჩანს, რომ რ-მ ნ-ს ესროლა, ე. ი. რ-მ შექმნა სამართლებრივად დასაძრავი რისკი, რომელმაც სტუმრის სიცოცხლეს კონკრეტული საფრთხე შეუქმნა. ამრიგად, რ-ს მოქმედება უშუალოდ მიმართული იყო სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის სრულად განსახორციელებლად.

II. მართლწინააღმდეგობა

რ. მოქმედებდა მართლწინააღმდეგოდ.

III. ბრალი

რ. მოქმედებდა ბრალეულად.

IV. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება

არ არის პრობლემატური.

დასკვნა

ამრიგად, რ-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჩაიდინა ნ-ს მკვლელობის მცდელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის მე-19 და სსკ-ის 108-ე მუხლებით.

საბოლოო დასკვნა

რ-ს ქმედებაში ადგილი აქვს დანაშაულთა იდეალურ ერთობლიობას, რის გამოც მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება:

- რ-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჩაიღინა ნ-ს მკვლელობის მცდელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 19-ე და სსკ-ის 108-ე მუხლებით.
- რ-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჩაიღინა ლ-ს სიცოცხლის გაუფრთხილებლობით (დაუდევრობით) მოსპობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 116-ე მუხლით.

მე-8 კაზუსი: მიზანს აცდენილი ისარი.

„სხვისი მისამართით გასროლილი ტყვიით დამდგარი სხვა ადამიანის სიკვდილი არ წარმოადგენს დამთავრებულ განზრახ მკვლელობას“

თემური, მისი ძმა გიორგი და მათი მეზობელი დავითი იმყოფებოდნენ სანადიროდ. თემურმა სროლის დროს რამდენიმეჯერ ააცილა ნადირს, რის გამოც დავითმა მას დასცინა და უვარგისი მონადირე უწოდა. დაცინვის გამო მეზობლებს ერთმანეთში შელაპარაკება მოუვიდათ. შელაპარაკების დროს დავითმა თემური სიტყვიერად შეურაცხყო. განანყენებულმა თემურმა განიზრახა შური ეძია მეზობელზე. მან გადატენა იარაღი და დავითის მიმართულებით ისროლა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მეზობელს ტყვია თავში მოხვდებოდა, მაგრამ სროლის დროს ფეხი მოუცურდა და გასროლილი ტყვია შემთხვევით თავის ძმას გიორგის გაარტყა, რომელიც თემურის და დავითის გასაშველებლად მორბოდა. გასროლის მომენტში თემურს გიორგი არც კი დაუნახავს. მძიმედ დაჭრილი გიორგი ადგილზე გარდაიცვალა.

კითხვა: დაეკისრება თუ არა თემურს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამთავრებული განზრახი მკვლელობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით?

ამოხსნა

პიპოთეზა: შესაძლებელია, თემურს გიორგის სიკედილის გამო, რაც გამოიწვია მისმა გასროლამ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს დამთავრებული განზრახვი მკვლელობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

1. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

- ა) მოქმედება – მოქმედების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა არ არის პრობლემატური.
- ბ) შედეგი – გიორგის დაღუპვით დადგა სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი.
- გ) მიზეზობრივი კავშირი – არც მიზეზობრივი კავშირია პრობლემატური.
- დ) ობიექტური შერაცხვა – არ არის პრობლემატური.

2. სუბიექტური შემადგენლობა

სავარაუდოდ, თემურს გიორგის მოკვლის განზრახვა ჰქონდა. განზრახვა გულისხმობს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ცოდნას და ნებელობას. დადგენილია, რომ თემურს გიორგის მოკვლის განზრახვა არ ჰქონია, რადგან მის მიერ მეზობლისთვის ნასროლი ტყვია შემთხვევით მოხვდა გიორგის. მას შეცდომა არ მოსვლია ქმედების ერთგვაროვან ობიექტებში, არამედ მან უნებლიედ ტყვია ააცილა მიზანს. „აცდენილი ისრის“ თეორიის მიხედვით, ადგილი აქვს *aberratio ictus*-ის შემთხვევას. თემური სროლის დროს დარწმუნებული იყო, რომ ტყვია დავითს და არა გიორგის მოხვდებოდა. ამრიგად, გიორგის მოკვლის მიმართ მას ევენტუალური განზრახვაც კი არ ჰქონია. განზრახვასთან მაშინ გვექნებოდა საქმე, თუკი თემურს ექნებოდა რომელიმე ადამიანის მოკვლის ნებელობა, მსხვერპლის ინდივიდუალიზაციის გარეშე. ამიტომ *aberratio ictus*-ის შემთხვევაში დაზიანებული ობიექტის მიმართ განზრახვა უარყოფილი უნდა იქნას. მიუხედავად აცდენილი და დაზიანებული ობიექტების თანაბარღირებულებისა, პირს არ

გააჩნია კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების ცოდნა და ნებელობა. მაშასადამე, თემური არ მოქმედებდა განზრახ.

დასკვნა

ამრიგად, თემურს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გასროლის შედეგად გიორგის დამთავრებული განზრახი მკვლელობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

მართლწინააღმდეგობა, ბრალი

მე-9 კაზუსი: მოჩვენებითი მოგერიება.

„მეგობრის შეშინება ტრაგიკულად დასრულდა“

გვიან ღამით სოფლის მახლობლად ახობაძეს მიუახლოვდა ნიღბაფარებული ბიჭი იარაღით ხელში და მოსთხოვა ფული. იგი სინამდვილეში მისი მეგობარი იყო და ახობაძის მხოლოდ ხუმრობით შეშინება უნდოდა. ახობაძეს ეგონა, რომ იგი რეალური თავდამსხმელი იყო და მოგერიების მიზნით, გულმკერდში დანის დარტყმით სიცოცხლე მოუსპო, მისი წარმოდგენით, თავდამსხმელს. მან არ იცოდა, რომ ეს პიროვნება მასზე რეალურ თავდასხმას არ ახორციელებდა და მხოლოდ მის შეშინებას ისახავდა მიზნად. გამოძიებით დადგინდა, რომ ვერავინ შეძლებდა რეალური ვითარების ფაქტობრივი გარემოებების გონივრულ განსჯას.

კითხვა: დასჯადია თუ არა ახობაძის მოქმედება?

ამოხსნა

1-ლი ჰიპოთეზა: შესაძლებელია, ახობაძემ მეგობრისთვის გულმკერდში დანის დარტყმით ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

- გ) მოქმედება – ახობადის მოქმედების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა არ არის პრობლემატური.
- დ) შედეგი – სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი დადგა.
- ე) მიზეზობრივი კავშირი – *conditio-sine-qua-non*-ფორმულის მიხედვით მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა არ არის პრობლემატური.
- ვ) ობიექტური შერაცხვა – არ არის პრობლემატური.

2. სუბიექტური შემადგენლობა

სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი ითვალისწინებს მკვლელობის განზრახ ჩადენას. განზრახვა მოიცავს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ცოდნასა და ნებულობას. ახობაძემ იცოდა, რომ იგი ადამიანს კლავდა და სურდა ამ ქმედების განხორციელება.

II. მართლწინააღმდეგობა

შესაძლებელია, ახობაძე მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ვითარებაში, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 28-ე მუხლით, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოება. აუცილებელი მოგერიების დროს პირი ხელყოფს თავდამსხმელს, რომელმაც თავდასხმა განახორციელა სამართლებრივი სიკეთის დასაზიანებლად. აქედან გამომდინარე, არსებობს აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების რამდენიმე პირობა. იმისთვის, რომ აუცილებელი მოგერიების მართლზომიერება დადგინდეს, საჭიროა, ყველა პირობა კუმულაციურად არსებობდეს.

მართლწინააღმდეგო ხელყოფა ყოველთვის რეალურ საფრთხეს უნდა უქმნიდეს სისხლის სამართლით დაცულ სამართლებ-

რივ სიკეთეს. კაზუსის მიხედვით, ახობაძეს თავს დაესხა თავისი მეგობარი და, ერთი შეხედვით, მის მიმართ მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა განხორციელდა, თუმცა, როდესაც მართლსაწინააღმდეგო ხელყოფაზე ვსაუბრობთ, საჭიროა, ხელყოფა ობიექტურად არსებობდეს და არა მხოლოდ სუბიექტის წარმოდგენაში. ახობაძეს ეგონა, რომ მასზე რეალური თავდასხმა ხორციელდებოდა, სინამდვილეში კი, თავდამსხმელი მისი მეგობარი იყო და მხოლოდ ახობაძის ხუმრობით შეშინება უნდოდა. ასეთი შემთხვევა აუცილებელი მოგერიების მართლზომიერების პირობას ვერ აკმაყოფილებს, ვინაიდან თავდასხმა არ იყო მართლსაწინააღმდეგო (რეალური) და მხოლოდ მომგერიებლის წარმოდგენაში არსებობდა. შესაბამისად, ახობაძე არ მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობის ვითარებაში და მისი ქმედება მართლსაწინააღმდეგოა.

III. ბრალი

ახობაძის შერაცხადობა არ იწვევს ეჭვს, ხოლო ბრალის გამომრიცხველი საპატიებელი გარემოებების შემონმების არავითარი საფუძველი კაზუსის მიხედვით არ არსებობს, რის გამოც, გასარკვევია მხოლოდ ერთი საკითხი: არსებობს თუ არა განზრახვის მესამე კომპონენტი: მართლსაწინააღმდეგობის შეგნება ფართო გაგებით.

მართლსაწინააღმდეგობის შეგნება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრალის ეტაპზე მონმდება. იმისთვის, რომ ქმედება იყოს განზრახ ჩადენილი, პირს უნდა ჰქონდეს მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხველი ფაქტობრივი გარემოებების არსებობის შეგნება. ამ შემთხვევაში კი, ახობაძე ფიქრობდა, რომ მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ანუ მართლზომიერად, ე. ი. მას საკუთარი ქმედების მართლსაწინააღმდეგობა შეგნებული არ ჰქონდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მან დაუშვა შეცდომა. იმ შემთხვევაში, როცა პირი შეცდომას უშვებს მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხ-

ხველ ფაქტობრივ გარემოებასთან დაკავშირებით, მისი სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად: სსკ-ის 36-ე მუხლი ეხება სამართლებრივი შეცდომის შემთხვევას, როგორც ბრალის გამომრიცხველ ერთ-ერთ გარემოებას, მაგრამ კანონმდებელი აქ მიუთითებს მხოლოდ აკრძალვაში შეცდომაზე და არა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით დაშვებულ შეცდომაზე. შესაძლებელია, რომ ასეთ შემთხვევაში აღნიშნული მუხლი ანალოგიით იქნას გამოყენებული? სისხლის სამართლის ერთ-ერთი უპირველესი პრინციპიდან, კერძოდ, კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კანონი კრძალავს ანალოგიას პიროვნების საზიანოდ, მაგრამ უშვებს მის სასარგებლოდ. თუ ანალოგიის პრინციპს ახობადის მიმართ პასუხისმგებლობის საკითხის გადასაწყვეტად გამოვიყენებთ, მაშინ მსჯელობა უნდა წარიმართოს სსკ-ის 36-ე მუხლის ფარგლებში. კერძოდ, შესამონმეებელია ახობადის მიერ წინდახედულობის ნორმის დარღვევის თავიდან აცილებადობა გაუფრთხილებლობის ფარგლებში. გამომდინარე აქედან, მისატყვევებელია თუ არა ახობადის მიერ დაშვებული შეცდომა, ეს განზრახი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის ფარგლებში მსჯელობის საგანი არ არის, ვინაიდან შეცდომა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოების, კერძოდ, აუცილებელი მოგერიების არსებობის შესახებ გამორიცხავს განზრახვის ბრალს.

მაშასადამე, შეზღუდული ბრალის თეორიიდან გამომდინარე, ახობაძე არ მოქმედებდა ბოროტი განზრახვით.

შუალედური დასკვნა

ამრიგად, ახობაძეს მეგობრისთვის გულმკერდში დანის დარტყმით არ ჩაუდენია განზრახ მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

მე-2 ჰიპოთეზა: შესაძლებელია, ახობაძემ მეგობრისთვის გულ-მკერდში დანის დარტყმით ჩაიდინა სიცოცხლის გაუფრთხილებლობით (დაუდევრობით) მოსპობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

შესავალი:

სსკ-ის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „როცა შეცდომა მისატყვევებელი არ არის, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისთვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება კანონით.“ სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისთვის.

I. ქმედების შემადგენლობა

- ა) ქმედება, რაც გამოიხატა წინდახედულობის ნორმის დარღვევაში – ქმედება ობიექტურად გაუფრთხილებლობით არის ჩადენილი, თუ არსებობს წინდახედულობის ნორმა, რომელიც პირმა დაარღვია და ეს ქმედება კონკრეტულ შედეგში განხორციელდა. აქედან გამომდინარე, ახობაძის მხრიდან ობიექტურად წინდახედულობის ნორმის დარღვევა სახეზეა და ამასთან ეს დარღვევა აქტიურ მოქმედებაში გამოიხატა;
- ბ) ქმედების შემადგენლობაში აღწერილი შედეგის დადგომა – შედეგის დადგომა დადასტურებულია;
- გ) მიზეზობრივი კავშირი – *conditio-sine-qua-non* ფორმულის მიხედვით, მიზეზობრივი კავშირი დადასტურებულია;
- დ) ობიექტური გაუფრთხილებლობა – იგი შედგება ორი მომენტისგან: შედეგის დადგომის გათვალისწინების და შედეგის თავიდან აცილების ობიექტური შესაძლებლობა.

ობიექტურად ახობაძეს წინდახედულობის ნორმის დაცვა არ შეეძლო, ვინაიდან კაზუსიდან გამომდინარე, ნებისმიერი საშუალო

ადამიანი იმ ვითარებაში, რომელშიც ახობაძე იმყოფებოდა, წინდახედულობის ნორმის დარღვევას თავიდან ვერ აიცილებდა.⁶⁹

დასკვნა

ახობაძეს მეგობრის მოკვლით სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა ჩაუდენია, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

საბოლოო დასკვნა

მაშასადამე, ახობაძეს მეგობრისთვის გულმკერდში დანის დარტყმით არ ჩაუდენია სიცოცხლის გაუფრთხილებლობით მოსპობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 116-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

მე-10 კაზუსი: საპატიებელი იძულებითი უკიდურესი აუცილებლობა.

„იძულებით მდგომარეობაში სამართლებრივი სიკეთის დაზიანება საპატიებელია“

თემურს ამოძრავებდა შურისძიების გრძნობა მისი ყოფილი მეუღლის, თამარის მიმართ, რომელმაც იგი მიატოვა რამდენიმე თვის წინ. ერთ საღამოს თემურს შემთხვევით ქუჩაში შეხვდა თამარი მეგობარ დავითთან ერთად. თემურმა გადაწყვიტა, შური ეძია ყოფილ მეუღლეზე. მან ამოიღო პისტოლეტი, დაუმიზნა დავითს და კატეგორიულად მოსთხოვა, რომ სასტიკად ეცემა თამარი. თუ დავითი თემურის მოთხოვნას არ შეასრულებდა, მაშინ იგი დავითს ად-

⁶⁹ დაუდევრობას არ გააჩნია სუბექტური შემადგენლობა. ამასთან, გაუფრთხილებლობის ორმაგი ფუნქციიდან გამომდინარე, შესაძლებელია, გაუფრთხილებლობისთვის პასუხისმგებლობის გამორიცხვა ბრალის ეტაპზე. კერძოდ, ქმედების შემადგენლობის ეტაპზე დადგინდება ობიექტური გაუფრთხილებლობა, ხოლო ბრალის დადგენის დროს ინდივიდუალური გაუფრთხილებლობა გამოირიცხება.

გილზე მოკლავდა. რადგან დავითს არ სურდა სიკვდილი, მან იქამდე სცემა თამარი, სანამ თემურმა თავად არ შეანყევეტინა. ცემით თამარს ჯანმრთელობა ნაკლებად მძიმედ დაუზიანდა.

კითხვა: დაისჯებიან თუ არა თემური და დავითი თამარის ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანების გამო, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით?

ამოხსნა

I. დავითის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

ჰიპოთეზა: შესაძლებელია, დავითს თამარის ცემის გამო დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისთვის სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით.

I. ქმედების შემადგენლობა

კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანების ქმედების შემადგენლობის განხორციელების საკითხი არ არის პრობლემატური.

II. მართლწინააღმდეგობა

I. ობიექტური შემადგენლობა

შესაძლებელია, რომ დავითი მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 30-ე მუხლით.

1) უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა:

- სამართლებრივი სიკეთის საფრთხეში არსებობა (საფრთხის რეალურობა);
- სამართლებრივი სიკეთისკენ მიმართული საფრთხის ამწუთიერება.

ვინაიდან თემური დავითს მოკვლით ემუქრებოდა, მის სიცოცხლეს ემუქრებოდა იმწუთიერი და მართლწინააღმდეგო ხელყოფის საფრთხე.

2) უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედება:

– აუცილებლობა ანუ საფრთხის თავიდან აცილების შეუძლებლობა სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაზიანების გარეშე;

– ინტერესთა ურთიერთშეჯერება;

დავითის მიერ თამარის ცემა ხელყოფის საფრთხის თავიდან ასაცილებლად იყო აუცილებელი. დაცული სამართლებრივი სიკეთე უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო, ვიდრე დაზიანებული სამართლებრივი სიკეთე. ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება ბევრად უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია სიცოცხლის ხელყოფასთან შედარებით. მიუხედავად გადარჩენილი სამართლებრივი სიკეთისა, დაზიანებულ სამართლებრივ სიკეთესთან შედარებით უფრო მეტი ღირებულებისა. საკამათოა დავითის სსკ-ის 30-ე მუხლით გამართლება. თუკი ასეთ შემთხვევებში პირს სსკ-ის 30-ე მუხლით გავამართლებდით, მაშინ ამას შედეგად ექნებოდა ის, რომ მსხვერპლს, რომლის სამართლებრივ სიკეთესაც ხელყოფენ, მოესპობოდა აუცილებელი მოგერიების შესაძლებლობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 28-ე მუხლით. დავითის ქმედების მართლზომიერების შემთხვევაში, ადგილი აღარ ექნებოდა თამარზე მართლსაწინააღმდეგო ხელყოფას, რისი არსებობაც სსკ-ის 28-ე მუხლით გათვალისწინებული აუცილებელი მოგერიების უფლების აუცილებელი წინაპირობაა. აღნიშნული შედეგი იქნებოდა ძალზე უსამართლო და შეარყევდა საზოგადოების ნდობას სამართლებრივი წესრიგისადმი. ამის თავიდან ასაცილებლად, მსგავს სიტუაციებში პირის ქმედების მართლწინააღმდეგობა კი არ უნდა გამოირიცხოს სსკ-ის 30-ე მუხლის შესაბამისად, არამედ მას ჩადენილი ქმედება უნდა ჩაეთვალოს მართლსაწინააღმდეგოდ. ამით მსხვერპლს შეუნარჩუნდებოდა აუცილებელი მოგერიების უფლება.

ამრიგად, მოცემულ შემთხვევაში სამართლებრივ სიკეთეთა პროპორციულობის დადგენა კარგავს თავის მნიშვნელობას და უნდა დავადგინოთ, რომ დაზიანებული სამართლებრივი სიკეთე არ

წარმოადგენს ნაკლებად მნიშვნელოვანს გადარჩენილ სამართლებრივ სიკეთესთან შედარებით. მაშასადამე, დავითის ქმედების მართლწინააღმდეგობა არ გამოირიცხება სსკ-ის 30-ე მუხლის საფუძველზე, არამედ მისი მოქმედება მართლწინააღმდეგობა.

III. ბრალი

დავითი ქმედების ჩადენის მომენტში იყო შერაცხადი და ჰქონდა მართლწინააღმდეგობის შეგნება.

შესაძლებელია, დავითს მის მიერ ჩადენილი მართლწინააღმდეგო ქმედება ეპატიოს საპატიებელი იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის გამო, რაც გამომდინარეობს სსკ-ის 38-ე მუხლიდან. მის სიცოცხლეს ემუქრებოდა ხელყოფის უშუალო საფრთხე, რომლის თავიდან ასაცილებლადაც განხორციელებული ქმედება სავალდებულო იყო. დავითმა იცოდა, რომ იგი იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში იმყოფებოდა და მოქმედებდა საფრთხის თავიდან აცილების სურვილით. დავითს ჩადენილი ქმედება ეპატიება სსკ-ის 38-ე მუხლის საფუძველზე.

მაშასადამე, დავითი არ მოქმედებდა ბრალეულად.

დასკვნა

ამრიგად, დავითი არ დაისჯება ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

I. თემურის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

ჰიპოთეზა: შესაძლებელია, თემურმა დავითის იძულებითი მდგომარეობის გამიზნულად გამონწვევისა და მის მიერ თამარის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისთვის პასუხი აგოს სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობით ჩადენისთვის.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

შესაძლებელია, თემურმა ქმედება დავითის საშუალებით ჩაიდინა. შუალობითი ამსრულებლობისთვის სავალდებულოა ქმედებაზე ბატონობის არსებობა. აღნიშნული იმას გულისხმობს, რომ თემურის ხელში უნდა ყოფილიყო კონკრეტული დანაშაულებრივი ვითარების კონტროლი და იგი უნდა ყოფილიყო ამ ვითარების ცენტრალური ფიგურა. დავითმა განახორციელა სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ქმედების შემადგენლობა, იგი მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ, თუმცა არაბრალეულად. მას შეეძლო თემურის მიერ შექმნილი იძულებითი უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობიდან მხოლოდ კონკრეტული ქმედების ჩადენით დაეხსნა თავი.

ამრიგად, დავითი მოქმედებდა როგორც თემურის ხელში არსებული დანაშაულის ჩადენის „ცოცხალი იარაღი“, რომლის ქმედებაზეც ამ უკანასკნელს გააჩნდა ბატონობა. სწორედ თემური გვევლინებოდა ვითარების ცენტრალურ ფიგურად.

მაშასადამე, თემურმა შუალობითი ამსრულებლობით დავითის მეშვეობით განახორციელა ქმედება.

2. სუბიექტური შემადგენლობა

თემურის ჰქონდა განზრახვა, როგორც დავითის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების მიმართ, ისე ქმედებაზე ბატონობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

II. მართლწინააღმდეგობა

თემურმა ქმედება განახორციელა მართლსაწინააღმდეგოდ.

III. ბრალი

თემური მოქმედებდა ბრალეულად.

დასკვნა

ამრიგად, თემურს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დავითის იძულებითი მდგომარეობის გამიზნულად გამოწვევისა და შუალობითი ამსრულებლობით თამარის ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

საბოლოო დასკვნა

- დავითს არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისთვის.
- თემურს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შუალობითი ამსრულებლობით ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 118-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

მე-11 კაზუსი: სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაული.

„სიმთვრალით პასუხისმგებლობას ვერ გაექცევი“

ა-ს სურს, რომ შურისძიების ნიადაგზე მოკლას ბ., მაგრამ მას ამისთვის არ ყოფნის გამბედაობა. ა-მ დაუთქვა ბ.-ს შეხვედრა სალამოს 9 საათზე ქალაქის ერთ-ერთ ნაკლებად დასახლებულ ადგილზე. ა.-მ შეხვედრის წინ გამბედაობის მოსაკრებად დალია დიდი რაოდენობით არაყი. იგი ფიქრობდა, რომ მთვრალ მდგომარეობაში ბ.-ს მოკვლა გაუადვილდებოდა. მთვრალ მდგომარეობაში ა-მ მაინც შეძლო მისუღიყო 9 საათისთვის დათქმულ ადგილას. ბ.-ს მიახლოებისთანავე, ა-მ ამოიღო დანა და გულმკერდში რამდენჯერმე დაარტყა. ბ. ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ა. პოლიციამ დააკავა. სიმთვრალეზე შემონმებისას ა-ს დაუდგინდა სისხლში ალკოჰოლის იმ ხარისხის შემცველობა, რამაც პათოლოგიური სიმთვრალე გამოიწვია.

კითხვა: როგორ შეფასდება სისხლისსამართლებრივად ა-ს ქმედება.

ამოხსნა

პიპოთეზა: შესაძლებელია, ა-მ ბ-სთვის გულმკერდში დანის დარტყმით ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

- ა) ქმედება – მოქმედება სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანია;
- ბ) შედეგი – ბ. გარდაიცვალა.
- გ) მიზეზობრივი კავშირი – მოცემულ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირი არ არის პრობლემატური;
- დ) ობიექტური შერაცხვა – ობიექტური შერაცხვა არ არის პრობლემატური.

2. სუბიექტური შემადგენლობა

სავარაუდოა, რომ ა. განზრახ მოქმედებდა. მას ჰქონდა ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ცოდნა და ნება. ა-მ იცოდა, რომ გულმკერდის არეში ჭრილობების მიყენებით ადამიანს მოკლავდა და მას ამის სურვილიც გააჩნდა.

II. მართლწინააღმდეგობა

ა. მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ.

III. ბრალი

დასადგენია, მოქმედებდა თუ არა ა. ბრალეულად.

ბრალეულად მოქმედება გულისხმობს იმას, რომ ა. უნდა ყოფილიყო შერაცხადი. შესაძლებელია, რომ ა. ქმედების ჩადენისას სიმთვრალის გამო ყოფილიყო შეურაცხო სსკ-ის 34-ე მუხლის შესაბა-

მისად. კერძოდ, შეურაცხადობა შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო ფსიქიკის დროებითი აშლილობის გამო. დადგენილია, რომ სისხლში გადაჭარბებული ალკოჰოლის შემცველობის შემთხვევაში ადგილი აქვს ფსიქიკის ისეთ აშლილობას, რაც პათოლოგიურ სიმთვრალედ ფასდება და ადამიანის ფსიქიკურ შეურაცხადობას იწვევს. სიმთვრალეზე შემონმებისას ა-ს დაუდგინდა სისხლში მოჭარბებული ალკოჰოლის შემცველობა. ამრიგად, მისი ასეთი მდგომარეობა უნდა შეფასდეს, როგორც ფსიქიკის დროებითი აშლილობა, რაც სსკ-ის 34-ე მუხლის თანახმად, ბრალის გამომრიცხველ გარემოებას წარმოადგენს.

გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული მსგავსი საკითხის გადასაწყვეტად. „ქმედების შემადგენლობის განხორციელებისას შეურაცხადობის მიუხედავად, პირის დასჯა ჩვეულებითი სამართლით განვითარებული *actio libera in causa*-ს (ლათინურიდან: მიზეზით თავისუფალი ქცევა) პრინციპების თანახმად, მაინც დასაშვებია, თუ ადგილი აქვს თვით დაზარალებულის ბრალით გამოწვეულ დეფექტს (პათოლოგიური ალკოჰოლური ან ნარკოტიკული სიმთვრალე და ა. შ) და დამნაშავემ მიზეზთა განვითარება შესაბამისი დანაშაულის ჩასადენად მხოლოდ შეურაცხადობის დაკარგვის შემდეგ დაიწყო, თუმცა მას საფუძველი განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჯერ კიდევ სისხლისსამართლებრივი პასუხისგებისთვის ვარგის მდგომარეობაში ჩაუყარა.“⁷⁰

„ა. ლ. ი. ც.-ს დოგმატური დასაბუთების ორი ძირითადი მიდგომა არსებობს: ე. წ. „გამონაკლისის მოდელი“ და ე. წ. „ქმედების შემადგენლობის მოდელი“.⁷¹

ა) გამონაკლისის მოდელის მიხედვით, იმის მიუხედავად, რომ ქმედება მთვრალ მდგომარეობაში იყო ჩადენილი, ამსრულებული მაინც გაიკიცხება აღნიშნული სახით განხორციელებული

⁷⁰ Wessels/Beulke/Satzger, Strafrecht, Allgemeiner Teil, Die Straftat und ihr Aufbau, 43 Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, 2013, S. 161.

⁷¹ იხ. იქვე, გვ. 162.

სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გამო. ბრალის პრინციპთან შესაბამისობის დასჯადობის დასადასტურებლად შემდეგი მოსაზრება მოჰყავთ: ქმედების ჩამდენი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის გამო იმიტომ გაიკიცხება, რომ ამ ქმედებას სწორედ მის მიერ საკუთარი ქცევის ხელმძღვანელობის უნარის ბრალეულად დაკარგვა განაპირობებს.⁷² ამ თეორიის მთელი არსი ისაა, რომ თითქოს კანონმდებელი გამონაკლისს აკეთებს ქმედებისა და ბრალის თანადროულობის პრინციპიდან და ქმედებას ბრალეულად მხოლოდ მაშინ მიიჩნევს, თუ აგრეთვე არ არსებობს *actio libera in causa*-ს წესების გამოყენების შესაძლებლობაც.⁷³

- ბ) „ქმედების შემადგენლობის მოდელი“ პრობლემის გადაჭრის განსხვავებულ გზას გვთავაზობს. მისი მიმდევრები თვლიან, რომ *actio libera in causa*-ს სამართლებრივი კონსტრუქცია გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის მე-20 პარაგრაფში ჩადებულ დროში თანხვედრის პრინციპთან მიმართებით არანაირ გამონაკლისს არ წარმოადგენს; მათი აზრით, პიროვნების მიერ საკუთარი თავის დეფექტურ მდგომარეობაში ჩაყენება ქმედების შემადგენლობის განხორციელების დასაწყისია. შესაბამისად, დათრობა კაუზალური ჯაჭვის პირველ რგოლად აღიქმება.⁷⁴ ამგვარი მეთოდით საკითხის გადაწყვეტის გასაკიცხაობის საკითხი უნდა გადაწყდეს *actio praecedens*-ს დეფექტური მდგომარეობის გამოწვევის ფაქტის დადგენისას. მეორე მოსაზრების მიხედვით კი, *actio libera in causa*-ს სამართლებრივი კონსტრუქცია შუალობითი ამსრულებლობის განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენს. ამსრულებელი საკუთარ თავს შეურაცხაობის მდგომარეობაში მოქმედ თავისისავე იარაღად გადააქცევს.⁷⁵

⁷² იხ. იქვე, გვ. 162.

⁷³ შეად. *Wessels/Beulke/Satzger*, დასახ. ნაშრ., გვ. 162.

⁷⁴ იქვე, გვ. 162.

⁷⁵ იქვე, გვ. 162.

- გ) არსებობს შეხედულება, რომ *actio libera in causa*-ს სამართლებრივი მოდელი საერთოდ ეწინააღმდეგება კანონიერების პრინციპს და კანონის არანაირი განსხვავებული ინტერპრეტაცია არ შეიძლება. კერძოდ, თუ ადამიანი შეურაცხადია ქცევის განხორციელებისას მას არ შეიძლება ამ დროს განხორციელებული ქმედება ბრალად შევრაცხოდ. პირის დასჯა ასეთ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსის 323a პარაგრაფის (სრული დათრობა) მსგავსი შემადგენლობით.⁷⁶
- დ) გაბატონებული შეხედულების თანახმად, *actio libera in causa*-ს გამოყენება პიროვნების დასჯადობის დასაბუთებისთვის მხოლოდ მაშინ შეიძლება თუ ამსრულებელმა თავი განზრახ (სულ მცირე, ევენტუალური განზრახვით მაინც) ჩაიგდო დეფექტურ მდგომარეობაში და ამ მომენტისთვის, მისი განზრახვა უკვე მიმართული იყო (თავისი ხასიათის მიხედვით) კონკრეტული დანაშაულის ჩადენისკენ, რომლის განხორციელებაც შემდგომში, შეურაცხაობის მდგომარეობაში მოხდა (ე. წ. ორმაგი განზრახვა).⁷⁷

საკითხის გადანყევტა:

უპირატესობას ეს უკანაქსნელი მოსაზრება იმსახურებს, რომელიც არ მოდის წინააღმდეგობაში სსკ-ის მე-7 და სსკ-ის 34-ე მუხლებთან.

ა-მ მიიღო დიდი ოდენობით ალკოჰოლური სასმელი და ამით განზრახ ჩაიყენა თავი შეურაცხაობის ვითარებაში. ა-ს სურდა, რომ ამ გზით გაადვილებოდა ბ-ს მოკვლა. მაშასადამე, მას ჰქონდა, როგორც თავის შეურაცხად მდგომარეობაში ჩაყენების, ასევე მოგვიანებით დანაშაულის ჩადენის განზრახვა.

მაშასადამე, ა. სისხლისსამართლებრივად იკიცხება იმის გამო, რომ მან ჯერ კიდევ შერაცხადმა თავი განზრახ ჩაიყენა დეფექტის

⁷⁶ შეად. იქვე, გვ. 163.

⁷⁷ იქვე, გვ. 164.

მდგომარეობაში, რათა შემდეგ შეურაცხადობის მდგომარეობაში კონკრეტული განზრახი დანაშაული ჩაედინა, ე. ი. ა-ს ჰქონდა ორმაგი განზრახვა.

მაშასადამე, ა. მოქმედებდა ბრალეულად.

დასკვნა

მაშასადამე, ა-მ ბ-სთვის გულმკერდში დანის დარტყმით ჩაიდინა განზრახ მკვლელობა, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

მე-12 კაზუსი: დანაშაულის შეუტყობინებლობა და აკრძალვაში შეცდომა.

„კანონის არცოდნა, როგორც წესი, ძირს არ ათავისუფლებს დანაშაულისგან“

ლ-სთან სტუმრად მყოფმა ნ-მ მასპინძელს გაუმხილა თავისი ფარული გეგმები. ნ-ს გადანყვეტილი ჰქონდა თავისი მეზობლის თ-ს მოკვლა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ მძიმედ შეურაცჰყო. გეგმის შესაბამისად, ნ-ს თ. მეორე დღეს საღამოს უნდა მოეკლა. ლ. შეეცადა ნ-ს გადარწმუნებას, რომ მას თავისი დანაშაულებრივი განზრახვა სისრულეში არ მოეყვანა. ნ. კი თავისას მაინც არ იშლიდა და სახლში წასვლის წინაც ლ-ს განუცხადა, რომ იგი მაინც მოკლავდა მეორე დღეს თ-ს. ნ-ს წასვლის შემდეგ ლ-მ არაფერი მოიმოქმედა, თუმცა ეჭვობდა, რომ მას ნ-ს დანაშაულებრივი განზრახვის შესახებ პოლიციის ინფორმირების ვალდებულება ეკისრებოდა. იგი საბოლოოდ მივიდა მაინც იმ დასკვნამდე, რომ რაც შეეძლო ყველაფერი სცადა ნ-ს გადასარწმუნებლად და მას ამის გარდა, როგორც მოქალაქეს, სხვა არაფერი ევალეობდა. მეორე დღეს ნ-მ მართლაც მოკლა შურისძიების ნიადაგზე მეზობელი თ.

კითხვა: როგორ შეფასდება სისხლისსამართლებრივად ლ-ს ქმედება.

ამოხსნა

პიპოთეზა: შესაძლებელია, ლ-მ თავისი უმოქმედობით განახორციელა სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (დანაშაულის შეუტყობინებლობა).

I. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

- ა) სუბიექტი – დანაშაულის შეუტყობინებლობა დასჯადია, თუ ადგილი ექნება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე ანდა ზოგიერთი სსკ-ში სპეციალურად მითითებული დანაშაულის მომზადების ან უკვე ჩადენილი დანაშაულის შეუტყობინებლობას. ვინაიდან ნ-ს დაგეგმილი ჰქონდა თ-ს შურისძიების ნიადაგზე მკვლელობა, საქმე გვაქვს სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებულ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთან. დაგეგმილი მკვლელობის შესახებ ლ-მ შეიტყო იმ დროს, როდესაც დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილება ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო;
- ბ) სავალდებულო მოქმედების განუხორციელებლობა – ლ-მ არ შეატყობინა სამართალდამცავ ორგანოებს თ-ს მოსალოდნელი მკვლელობის შესახებ;
- გ) სავალდებულო მოქმედების განხორციელების ობიექტური შესაძლებლობა – ლ-ს სამართალდამცავი ორგანოებისთვის მოსალოდნელ მკვლელობაზე შეტყობინების ობიექტური შესაძლებლობა ჰქონდა.

2. სუბიექტური შემადგენლობა

ლ-მ მოსალოდნელი დანაშაულის ჩადენის შესახებ პოლიციას განზრახ არ შეატყობინა.

II. მართლწინააღმდეგობა

ლ-ს მიერ დანაშაულის შეუტყობინებლობა მართლწინააღმდეგო იყო.

III. ბრალი

ლ-ს შერაცხადობა არ არის პრობლემატური.

შესაძლებელია, ლ-მ დაუშვა შეცდომა აკრძალვაში და ამიტომ გამოირიცხოს მისი ბრალი მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობის გამო, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილით. ლ-მ არ იცოდა იმის შესახებ, რომ პოლიციისთვის დანაშაულის შეტყობინება ევალებოდა. იგი მცდარად ფიქრობდა, რომ ნ-ს გადარწმუნების მცდელობით ყველაფერი გააკეთა, რაც სამართლებრივად ევალებოდა. მაშასადამე, ლ-მ დაუშვა შეცდომა აკრძალვაში, რაც სსკ-ის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განზრახი ბრალის გამომრიცხველია. თუ ეს შეცდომა მისატყვევებელი არ არის, მაშინ პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ გაუფრთხილებლობისთვის (სსკ-ის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

დასადგენია, იყო თუ არა ლ-ს მიერ აკრძალვაში დაშვებული შეცდომა მისატყვევებელი. სსკ-ის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „შეცდომა მისატყვევებელია, თუ შექმნილ ვითარებაში პირმა არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რომ სჩადიოდა აკრძალულ ქმედებას.“ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პირს ეკისრება თავისი ქმედების სათანადოდ შეფასების მოვალეობა. საკუთარი ქმედების მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით ეჭვის არსებობის შემთხვევაში, პირი ვალდებულია, მიიღოს სათანადო სამართლებრივი კონსულტაცია. ლ. ეჭვობდა, რომ მას ნ-ს დანაშაულებრივი განზრახვის შესახებ პოლიციის ინფორმირების ვალდებულება ეკისრებოდა, მაგრამ იგი ბოლოს მაინც სამართლებრივად მცდარ დასკვნამდე მივიდა. იმის გამო, რომ ნ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენას აპირებდა, ლ-ს მოეთხოვებოდა, აღნიშნული დანაშაულის შეტყობინების ვალდებულების შესახებ მიეღო კვალიფიციური კონსულტაცია. ლ-ს ჰქონდა შესაძლებლობა, მიეღო ინფორმაცია თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ვითარებაში პირს აქვს პოტენციური მართლწინააღმდეგობის შეგნება, რაც ბუნებრივ განზრახვას ბოროტ განზრახვად აქცევს.

დასკვნა

ამრიგად, ლ-მ თავისი უმოქმედობით განახორციელა სსკ-ის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (დანაშაულის შეუტყობინებლობა).

დანაშაულის ამსრულებლობა და დანაშაულში თანამონაწილეობა

მე-13 კაზუსი: ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა და ქმედებაზე ბატონობა შუალობითი ამსრულებლობის დროს.

**„დანაშაულის ჩადენა „ცოცხალი იარაღის“
გამოყენებითაც შეიძლება“**

პეტრე, გიორგი და პავლე იყვნენ ტყეში სანადიროდ. პეტრეს წარსულში უთანხმოება ჰქონდა პავლესთან და სურდა მისთვის სამაგიეროს გადახდა. პეტრემ დაიყოლია გიორგი, რომ სანადირო თოფით შეეშინებინა პავლე. მან გიორგის გადასცა თავისი სანადირო თოფი და არწმუნებდა, რომ თოფი დატენილი არ იყო. გიორგის უბრალოდ თოფი უნდა დაემიზნებინა პავლესთვის და შეეშინებინა ვითომ ფეხში აპირებდა სროლას. გიორგიმაც პავლეს შესაშინებლად გააკეთა ის, რაც პეტრემ სთხოვა. სინამდვილეში თოფი დატენილი აღმოჩნდა და პავლეს ფეხი დაუზიანდა, რის გამოც მას მარჯვენა ფეხი მოკვეთეს.

კითხვა: დაეკისრებათ თუ არა პეტრეს და გიორგის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა პავლეს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით?

ამოხსნა

I. გიორგის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

ჰიპოთეზა: შესაძლებელია, გიორგიმ სანადირო თოფიდან გასროლით განახორციელა პავლეს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

- ა) მოქმედება – მოქმედების სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა არ არის პრობლემატური.
- ბ) შედეგი – გიორგიმ თავისი მოქმედებით პავლეს ჯანმრთელობა დაუზიანა. ამგვარი დაზიანება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და „სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის სასამართლო-სამედიცინო განსაზღვრის წესების“ მიხედვით, მძიმე დაზიანების ალტერნატიულ შედეგად ითვლება სხეულის რომელიმე ორგანოს დაკარგვა. ვინაიდან, პავლეს დაზიანების გამო მარჯვენა ფეხი მოკვეთეს, მას ჯანმრთელობა მძიმედ დაუზიანდა.
- გ) მიზეზობრივი კავშირი – *conditio-sine-qua-non*-ფორმულის მიხედვით მოქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა არ არის პრობლემატური.
- დ) ობიექტური შერაცხვა – არ არის პრობლემატური.

2. სუბიექტური შემადგენლობა

სავარაუდოდ, გიორგიმ განზრახ იმოქმედა. სსკ-ის მე-9 მუხლის მიხედვით, განზრახვა გულისხმობს ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების ცოდნას და ნებას. შესაძლებელია, რომ გიორგის განზრახვა გამოირიცხოს ფაქტობრივი ხასიათის შეცდომის გამო. გიორგიმ არ იცოდა, რომ იარაღი დატენილი იყო. მან დაუჯერა პეტრეს, რადგან დარწმუნებული იყო, რომ პავლეს დასატენი იარაღით შეაშინებდა. მაშასადამე, გიორგიმ არ იცოდა, რომ გასროლით სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების შემადგენლო-

ბას ახორციელებდა. მან დაუშვა ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა, რომელიც განზრახვას გამოირიცხავს. ამრიგად, გიორგის არ განუხორციელებია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ქმედების სუბიექტური შემადგენლობა.

დასკვნა

ამრიგად, გიორგი არ დაისჯება სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის.

1. პეტრეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

პიპოთეზა: შესაძლებელია, პეტრემ გიორგის „ცოცხალ იარაღად“ გამოყენებით ჩაიდინა სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება.

1. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

- ა) „ცოცხალი იარაღის“ მიერ სისხლისსამართლებრივი უმართლობის ჩადენა – გიორგიმ ჩაიდინა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების უმართლობა;
- ბ) „ცოცხალი იარაღის“ დაყოლიება სისხლისსამართლებრივი უმართლობის ჩასადენად – შესაძლებელია, პეტრემ გიორგის შეცდენით (ანუ მისი დაყოლიებით) და მისი ე. წ. ცოცხალ იარაღად გამოყენებით ჩაიდინა სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ობიექტური შემადგენლობა. შუალობითი ამსრულებლობისთვის სავალდებულოა ქმედებაზე ბატონობის არსებობა. აღნიშნული იმას გულისხმობს, რომ პეტრეს ხელში უნდა ყოფილიყო კონკრეტული დანაშაულებრივი ვითარების კონტროლი. გიორგიმ განახორციელა სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ობიექტური შემადგენლობა, მაგრამ,

როგორც უკვე აღინიშნა, მას არ გააჩნდა ქმედების განხორციელების განზრახვა, ვინაიდან დაუშვა ფაქტობრივი ხასიათის შეცდომა. აღნიშნული შეცდომა პეტრემ განზრახ გამოიწვია. პეტრეს გააჩნდა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების უპირატესი ცოდნა და შესაბამისი განზრახვა. მაშასადამე, პეტრე მართავდა დანაშაულებრივ ვითარებას და ამიტომ სწორედ მას ჰქონდა ე. წ. ქმედებაზე ბატონობა. ამრიგად, პეტრემ გიორგის საშუალებით განახორციელა დანაშაულის ქმედების ობიექტური შემადგენლობა.

2. სუბიექტური შემადგენლობა

პეტრეს ჰქონდა განზრახვა, როგორც გიორგის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების მიმართ, ისე ქმედებაზე ბატონობის განხორციელებასთან დაკავშირებით.

II. მართლწინააღმდეგობა

მართლწინააღმდეგობა არ არის პრობლემატური.

III. ბრალი

პეტრე მოქმედებდა ბრალეულად.

დასკვნა

ამრიგად, პეტრემ ჩაიდინა სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება შუალობითი ამსრულებლობით.

საბოლოო დასკვნა

- გიორგი სროლის გამო არ დაისჯება პავლეს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.
- პეტრეს დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პავლეს ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის შუ-

ალობითი ამსრულებლობით, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

მე-14 კაზუსი: აუცილებელი მოგერიება და თანამონაწილეობა.

„მოღალატე ცოლი“

მდიდარ ბიზნესმენ ბ-ს მეუღლე ლ-ს რამდენიმე თვეა სასიყვარულო ურთიერთობა აქვს ერთ-ერთი ორგანიზაციის დაცვის თანამშრომელ დ-სთან. ამ სასიყვარულო ურთიერთობის შესახებ ბიზნესმენმა არაფერი იცის. ერთ დღეს ლ-მ დ. სახლში მიიწვია და სთხოვა, რომ ზუსტად 20.00 საათზე მისულიყო მასთან. დ. დროულად მივიდა ამ საღამოს ლ-სთან. დ. იმავდროულად შიშობდა, რომ ლ-ს მეუღლე შეიძლება სახლში მოსულიყო და ამიტომ სიფრთხილეს იჩენდა. ლ-მ იგი დაამშვიდა და უთხრა, რომ ბ. უცხოეთში გამგზავრების გამო, რამდენიმე დღე სახლში არ იქნებოდა. დ-მ შენიშნა, რომ ამ დღეს ლ. რაღაც უცნაურად იქცეოდა. ლ-მ მოსთხოვა დ-ს მხოლოდ ტანზემთ გაშიშვლებულიყო, ხოლო შარვალი, რომელზეც ცეცხლსასროლი იარაღი ეკიდა, არ გაეხადა და არც იარაღი მოეშორებინა. იმ დროს, როდესაც დ. ტანს ზემოთ იხდიდა, სახლის კარები გაიღო და ბ. შემოვიდა. ბ. ამ დღეს, ჩვეულებისამებრ, თავის ოფისში იმყოფებოდა და მეუღლის თხოვნით ზუსტად 21.00 საათზე შინ დაბრუნდა მათი ქორწინების 10 წლის იუბილეს აღსანიშნავად. ბ-ს დანახვაზე დაბნეული დ. მისაღებ ოთახში ლ-ს გასაფრთხილებლად გაიქცა. მას უკან ბ-ც გამოედევნა. ოთახში მათ ლ. გაშიშვლებული დახვდათ, რომელიც ხალიჩაზე იწვა და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომ შექმნილი სიტუაცია სულაც არ ადარდებდა. განცვიფრებული დ. მოუბრუნდა ბ-ს და უთხრა, რომ მათ შორის არაფერი არ მომხდარა და ყველაფერს აუხსნიდა, მაგრამ ასეთი სურათის შემსწრე სასტიკად გაბრაზებულმა ბ-მ დ-ს სახეში რამდენიმეჯერ სილა გაანწა და ხმამაღლა ორივეს ლანძღვა დაუწყო. ლ-ს კი არსებული სიტუაცია აშკარად დიდ სიამოვნებას ანიჭებდა და იგი გაბრაზებულ მეუღლეს ირონიული და დამცინავი ტონით ეპასუ-

ხებოდა. დ-ს შექმლო ოთახის თავისუფლად დატოვება და სახლიდან წასვლა, მაგრამ ამის მაგივრად ბ-ს სილის გარტყმების მოგერიება დაიწყო და სცადა ბ-სთვის ხელის გარტყმითვე ეპასუხა. ვინაიდან, ბ. დ-ზე ფიზიკურად შედარებით ძლიერი იყო, დ-ს არაფერი გამოუვიდა. გაბრაზებულმა ბ-მ კვლავ გააარტყა დ-ს რამდენიმეჯერ სახეში ხელი. განაწყენებულმა დ-მ ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი და გაფრთხილების გარეშე ბ. მუცელში ერთი გასროლით დაჭრა. ჭრილობა სასიკვდილო აღმოჩნდა და ბ. ადგილზევე გარდაიცვალა. ბიზნესმენის სიკვდილმა დ. ძალზე შეაძრწუნა, რადგან იგი იმედოვნებდა, რომ მხოლოდ ერთ გასროლას ბ-ის სიკვდილი არ მოყვებოდა.

მოგვიანებით გამომძიებელთან დაკითხვისას დ-მ განაცხადა, რომ მას არ სურდა ბ-ს მოკვლა, თუმცა აბსოლუტურად აცნობიერებდა ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრით სიცოცხლისთვის საშიშროებას. ვინაიდან, იგი ბ-ს ფიზიკურად ვერ გაუმკლავდა, ამ გზით გადაწყვიტა მოწინააღმდეგისთვის საკადრისი პასუხის გაცემა.

გამომძიებამ ასევე დაადგინა, რომ ლ-ს წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი დ-ს ხელით მეუღლის მოკვლა. ბ-ს სიკვდილის შემთხვევაში მას მისი მთელი ქონება დარჩებოდა. ლ. კარგად იცნობდა დ-ს ფიცხ და ამაყ ხასიათს, რომ იგი ცემის უფლებას არავის მისცემდა და უპასუხოდ არავის დარტყმას არ დატოვებდა. სწორედ ამიტომ სთხოვა მან დ-ს იარაღის მოუშორებლად მხოლოდ ტანზემთ გახდა. ლ-ს განზრახვის მიხედვით, ბ-ს ისეთი სურათი უნდა დახვედროდა შინ, რაც გაბრაზებულს დ-ზე თავდასხმის მიზეზს მისცემდა. ყველაფერი მართლაც ასე მოხდა.

კითხვა: მიეცით დ-ს და ლ-ს ქმედებებს სისხლისსამართლებრივი შეფასება.

ამოხსნა

I. დ-ს პასუხისმგებლობა სსკ-ის 108-ე მუხლის შესაბამისად.

ჰიპოთეზა: შესაძლებელია, დ-ს ცეცხლსასროლი იარაღით ბ-სთვის ჭრილობის მიყენების გამო დაეკისროს სისხლისსამართ-

ლებრივი პასუხისმგებლობა მკველელობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

1. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

დ-ს მიერ ბ-ს ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრამ გამოიწვია სიკვდილი. მიზეზობრივი კავშირი და შედეგის ობიექტური შერაცხვა არავითარ ეჭვს არ იწვევს. შესაბამისად, ობიექტური შემადგენლობა შესრულებულია.

2. სუბიექტური შემადგენლობა

სავარაუდოა, რომ დ-ს ჰქონდა ბ-ს მოკვლის განზრახვა. ვინაიდან, დ-ს ჩვენებიდან პირდაპირი განზრახვის არსებობა არ დასტურდება, შესაძლებელია, რომ იგი მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით. გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ დ-ს ბ-ს სიკვდილი არ სურდა და არც შედეგის გარდაუვალად დადგომას ითვალისწინებდა. გარდა ამისა, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს მკველელობა ევენტუალური განზრახვით და თვითიმედოვნება.

ევენტუალური განზრახვის გამიჯვნა თვითიმედოვნებისგან ხდება ძირითადად ოთხი გავრცელებული თეორიის მიხედვით:

- შესაძლებლობის თეორიის მიხედვით, საჭირო არა ვოლუნტატიური ელემენტის ანუ ნებელობის არსებობა, არამედ საკმარისია პირის მიერ კონკრეტული შედეგის დადგომის შესაძლებლობის გაცნობიერება და, ამის მიუხედავად, ქმედების განხორციელების მაინც გაგრძელება. შესაძლებლობის თეორია ევენტუალური განზრახვისა და თვითიმედოვნების ურთიერთგამიჯვნის დროს შემოიფარგლება ინტელექტუალური მხარით.
- ალბათობის თეორიის თანახმად, საჭიროა შედეგის დადგომის მოსალოდნელობის შეცნობადობა, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე უბრალო შესაძლებლობა. აქაც არ არის ვოლუნტატიური ელემენტის (ნებელობის) დადგენა სავალდებულო.
- გულგრილობის თეორიის მიხედვით, რომელიც აქცენტს ვოლუნტატიური ელემენტის (ნებელობის) არსებობაზე აკეთებს,

მოქმედებს ევენტუალური განზრახვით ის, ვისთვისაც დანაშაულებრივი შედეგის დადგომა სულერთია. ამ შემთხვევაში პირი შედეგის დადგომას კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებლად მიიჩნევს და გულგრილად ეკიდება მის დადგომას.

- შედეგის მოწონების თეორიის თანახმად, განზრახ მოქმედებს ის, ვინც შედეგის დადგომის შესაძლებლობას „ინონებს“, ან ურიგდება მის დადგომას.

საკითხის გადანყვეტა:

პირველი ორი თეორია ევენტუალურ განზრახვას განსაზღვრავს მხოლოდ ცოდნის ელემენტით და ყურადღებას არ აქცევს ნებელობის მომენტს, რის გამოც ძნელია მისი გამოიჯვანა თვითიმედოვნებისგან. განზრახვის დასადგენად მნიშვნელოვანია თუ რა მოსაზრების გამო არ უარყო პირმა ქმედების ჩადენის გადანყვეტილება (იგი შეგნებულად უშვებს შედეგის დადგომის რისკს, თუ შესაძლო შედეგის თავიდან აცილებას უსაფუძვლოდ იმედოვნებს). გულგრილობისა და შედეგის დადგომის თეორიებს უპირატესობა უნდა მიენიჭოს, რადგან ისინი განზრახვას ნებელობით ელემენტს მეორე ხარისხოვან ფაქტორად არ მიიჩნევენ განზრახვის დასაფუძნებლად. შესაბამისად, ევენტუალური განზრახვა, განზრახვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს და, თავის მხრივ, განზრახვა ქმედების ობიექტური შემადგენლობის ელემენტების ცოდნასა და ნებას გულისხმობს.

დ-მ იცოდა ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შედეგად წარმოშობილი საფრთხის მნიშვნელობა. მან იცოდა ისიც, რომ ცეცხლსასროლი იარაღით ადამიანის მუცელში დაჭრით სიცოცხლის მოსპობის რეალურ საფრთხეს ქმნიდა. მიუხედავად ამისა, დ-მ მაინც ესროლა ბ-ს ტყვია. ამით იგი გულგრილად ეკიდებოდა შედეგის დადგომას. მაშასადამე, დ. მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით.

II. მართლწინააღმდეგობა

დ-ს ქმედებაში მართლწინააღმდეგობის გამორიცხვა აუცილებელი მოგერიების საფუძველზე, სსკ-ის 28-ე მუხლის მიხედვით.

შესაძლებელია, დ. მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 28-ე მუხლით.

I. ობიექტური შემადგენლობა

1) აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა:

- ხელყოფის მართლწინააღმდეგობა
- სოციალურად მნიშვნელოვანი ანუ სამართლებრივი სიკეთის ისეთი ხელყოფა, რომელიც არ შეიძლება მოექცეს სსკ-ის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილით რეგულირების სფეროში;
- ხელყოფის ამნუთიერება ანუ მისი აქტიური ხასიათი.

ამისთვის საჭიროა უკიდურესი მდგომარეობის არსებობა, რაც ბ-ს მხრიდან სამართლებრივი სიკეთის მართლწინააღმდეგო, სოციალურად და ამნუთიერ ხელყოფას გულისხმობს. ხელყოფა გაგებულია, როგორც ადამიანის მიერ კანონით დაცული სამართლებრივი ინტერესების დაზიანება. ბ-მ არაერთხელ გააწინა სილა დ-ს სახეში და ამით ხელყო მისი კანონით დაცული სამართლებრივი ინტერესი. ამრიგად, ხელყოფა იყო მართლწინააღმდეგო, სოციალურად მნიშვნელოვანი და ამნუთიერი.

2) აუცილებელი მოგერიებისას ჩადენილი ქმედება:

- მიმართულია თავდამსხმელის (ხელმყოფის) წინააღმდეგ;
- აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ჩადენილი ქმედების აუცილებლობა (იგულისხმება სსკ-ის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილი);
- აუცილებელი მოგერიების პროვოცირების აკრძალვა (გაკიცხვადი წინარე ქმედება).

საკითხავია, იყო თუ არა დ-ს მოქმედება თავდაცვისთვის აუცილებელი. აუცილებელია ისეთი თავდაცვითი მოქმედება, რომლითაც მყისიერად და საბოლოოდ უნდა აღიკვეთოს ხელყოფა და რომელიც იმავდროულად წარმოადგენს (სხვა მსგავს საშუალება-

თა შორის) თავდაცვის საიმედო ყველაზე ნაკლებად საშიშ საშუალებას. იმისდამიუხედავად, რომ „სამართალს უმართლობის წინაშე თავის დახრა არ მოეთხოვება“, მაინც არსებობს გარკვეული შეზღუდვები აუცილებელი მოგერიების უფლების გამოყენების დროს. აუცილებელი მოგერიების დროს არ არსებობს სამართლებრივ სიკეთეთა შესაბამისობის არსებობის მოთხოვნა. კერძოდ, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მომგერიებელს შეუძლია გაქცევით თავიდან აიცილოს ხელყოფა, კანონი მას არ უსპობს აუცილებელი მოგერიების უფლებას, მაგრამ თავდაცვა მართლსაწინააღმდეგოა, თუკი სამართლებრივ სიკეთეთა შორის აშკარა შეუსაბამობაა. როდესაც პირს ხელყოფის მოგერიებისას აქვს რამდენიმე ეფექტური თავდაცვის საშუალება, მან უნდა აირჩიოს შედარებით მსუბუქი საშუალება. თავდაცვითი ქმედების აუცილებლობა განისაზღვრება ხელყოფის სიმძიმის, ხასიათისა და იმის მიხედვით, თუ რა თავდაცვის საშუალებები გააჩნია მომგერიებელს. მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ადგილი ჰქონდა მხოლოდ დ-სთვის სახეში სილის გარტყმას, რომლითაც მის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრებოდა. თუმცა აქვე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბ. დ-ზე ფიზიკურად ძლიერი იყო. დ-ს შეეძლო თავდასაცავად ბ-ს ცეცხლსასროლი იარაღით დამუქრებოდა ან მისი ტარი გამოეყენებინა დასარტყმელად. ბ-ს შეეძლო ჯანმრთელობის დაზიანებითაც აღეკვეთა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფა. შესაბამისად, დ-ს თავდაცვითი ქმედება არ იყო აუცილებელი (პროპორციული).

მაშასადამე, დ. არ მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 28-ე მუხლით.

III. ბრალი

- ა) დ-ს შერაცხადობა (ასაკის და ფსიქიკური მდგომარეობის გამო) არ არის პრობლემატური. მის შერაცხაობაზე არანაირი ეჭვი არ არსებობს.

ბ) დ-ს ქმედებაში ბრალის გამორიცხვა საპატივბედი უკიდურესი აუცილებლობის საფუძველზე, სსკ-ის 38-ე მუხლის მიხედვით.

შესაძლებელია, დ. მოქმედებდა ბრალის გამომრიცხველი ზეკანონური გარემოების, კერძოდ, მისატყვევებელი უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში, რაც სსკ-ის 38-ე მუხლის საფუძველზე გამოიყენება.

ბ.ა) მისატყვევებელი უკიდურესი აუცილებლობის უპირველესი პირობა შესაბამისი სახიფათო მდგომარეობაა, კერძოდ, კი ამნუთიერი, სხვა საშუალებით თავიდან აურიდებელი საფრთხე, რომელიც თავად ამსრულებლის, მისი ნათესავისა თუ „სხვა ახლობლის“ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ემუქრება.

ადამიანისგან მომდინარე საფრთხეს ადგილი ჰქონდა სახეში სილის გარტყმის გამო.

ბ.ბ) მეორე პირობა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობის წარმომშობი საფრთხის სხვაგვარად თავიდან აცილების შეუძლებლობაა. უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედება, საფრთხის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება უნდა იყოს. მოცემულ სიტუაციაში დ-ს ბ-ს მოგერიება იარაღის გასროლის გარეშეც შეეძლო. მაშასადამე, მეორე პირობა არ არის სახეზე.

ამრიგად, დ-ს მოქმედება ბრალეულია.

დასკვნა

ამრიგად, დ-ს ცეცხლსასროლი იარაღით ბ-სთვის ჭრილობის მიყენების გამო დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მკვლელობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

II. ლ-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 108-ე მუხლისა და სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

1-ლი ჰიპოთეზა: შესაძლებელია, ლ-მ ბ-სა და დ-ს შორის ვითარების აღნიშნული დაძაბვით ჩაიდინა მკვლევლობა შუალობითი ამსრულებლობით, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

- ა) „ცოცხალი იარაღის“ მიერ სისხლისსამართლებრივი უმართლობის ჩადენა;
- ბ) „ცოცხალი იარაღის“ დაყოლიება სისხლისსამართლებრივი უმართლობის ჩასადენად.

სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი შედეგი დადგა. გარდა ამისა, სავალდებულოა, რომ მოცემული იყოს პირობები შუალობითი ამსრულებლობისთვის. სსკ-ის 22-ე მუხლის შესაბამისად, „შუალობითი ამსრულებელია ის, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც ასაკის, შეურაცხადობის ან სხვა გარემოებების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.“ დანაშაულის შემადგენლობის განსახორციელებლად შუალობითი ამსრულებელი იყენებს ე. წ. „ცოცხალ იარაღს.“ ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, შუალობით ამსრულებელს გააჩნია მთლიანი ვითარების უპირატესი ცოდნა და ამასთანავე აქვს „ცოცხალი იარაღის“ ნებაზე და ქმედებაზე ბატონობა. ამგვარი ბატონობა შეიძლება გამოიხატოს შემდეგ ფორმებში:

- ნებაზე ბატონობა იძულებით;
- ნებაზე ბატონობა პირის შეცდენით;
- ნებაზე ბატონობა პირის შუალობით ამსრულებელზე დამოკიდებული მდგომარეობის გამო.

შუალობითი ამსრულებლობის ძირითად კრიტერიუმად განსხორციელებულ *ქმედებაზე ბატონობაა*. ამასთან, არსებობს შემთხვევები, როდესაც „ცოცხალი იარაღი“ არ ახორციელებს ქმედების ობიექტურ შემადგენლობას (მაგალითად, თვითმკვლელობის შემთხვევაში).

საკითხავია, მოცემულ შემთხვევაში გააჩნდა თუ არა ლ-ს დ-ს ქმედებაზე და მის ნებაზე ბატონობა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ დ. დამოუკიდებლად მოქმედებდა, ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენად ახორციელებდა ლ. მის ნებაზე ბატონობას. ლ-ს სურდა კონკრეტული სიტუაციის შექმნით დ-ს და ბ-ს შეცდენა და ამ გზით მეუღლის აგრესიული რეაქციის გამონევეა. ბ-ს უნდა ეფიქრა, რომ მის მეუღლეს სექსუალური კონტაქტი ჰქონდა დ-სთან დამყარებული, რაც მას დ-ზე თავდასხმის საბაბს, ხოლო დ-ს კი თავდაცვის საბაბს მისცემდა. ამრიგად, ლ-მ დ. შეაცდინა არა კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის განსახორციელებლად, არამედ თავდასხმისა და თავდაცვის მიზეზების არსებობაში. გასათვალისწინებელია ამასთან ისიც, რომ ლ-ს ძირითადი აქცენტი გადატანილი ჰქონდა არა დ-ს, არამედ ბ.-ს შეცდენაზე. მოცემულ სიტუაციაში ლ-ს არ ჰქონია ასევე დ-ს ქმედებაზე ფაქტობრივი ბატონობა. ამ შემთხვევაში ლ. უნდა გვევლინებოდეს ვითარების ცენტრალურ ფიგურად, რომელიც დ-ს როგორც „მარიონეტს“ ისე მართავდა, რასაც ადგილი არ ჰქონია. შუალობითი ამსრულებლობა გამორიცხებულია, თუ პირი მხოლოდ ფაქტობრივად ქმნის კონკრეტული დანაშაულებრივი შედეგის დასადგომად სიტუაციას და შედეგის დასადგომად არანაირ რეალურ ფსიქიკურ ან ფიზიკურ კონტაქტს პირზე არ ახდენს. ლ-ს დ-ს ქმედების განხორციელებაზე არავითარი რეალური ზეგავლენა არ მოუხდენია. ამრიგად, დ. მოქმედებდა დამოუკიდებლად და ლ-ს არ გააჩნდა მის ნებაზე ბატონობა.

შუალედური დასკვნა

ამრიგად, ლ-ს ბ-სა და დ-ს შორის ვითარების აღნიშნული დაძაბვით არ ჩაუდენია მკვლელობა შუალობითი ამსრულებლობით, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.

მე-2 პიპოთეზა: შესაძლებელია, ლ-მ ბ-სა და დ-ს შორის ვითარების აღნიშნული დაძაბვით ჩაიდინა განზრახ მკვლელობის ნაქეზება, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და სსკ-ის 108-ე მუხლით.

I ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

- ა) განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ჩადენილი ამსრულებლის მიერ – დადგენილია, რომ დ-მ ჩაიდინა მკვლელობის უმართლობა;
- ბ) დაყოლიება ამ ქმედების ჩასადენად – ლ-ს დ. უნდა დაეყოლიებინა აღნიშნული ქმედების ჩასადენად. ლიტერატურაში სადავოა დანაშაულის ჩასადენად დაყოლიების საკითხი. მინიმუმ უნდა არსებობდეს ნამქეზებლის ქმედებასა და ჩადენილ დანაშაულს შორის მიზეზობრივი კავშირი.

სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გამოთქმული უმცირესობის შეხედულების თანახმად, საკმარისია ნამქეზებლის მიერ ისეთი სიტუაციის განზრახ შექმნა, რომლის დროსაც ამსრულებელს დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების გადაწყვეტილება წარმოიშობა. ეს მოსაზრება გაუმართლებლად ზრდის დასჯადობის ფარგლებს. გასაზიარებელია ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, „დაყოლიება“ ყოველთვის ნამქეზებელსა და ამსრულებელს შორის *კომუნიკაციის აქტის არსებობას* მოითხოვს, რა დროსაც ხდება ამსრულებელზე ფსიქიკური ზეგავლენის მოხდენა. ნამქეზებელმა ამსრულებლის ნებაზე მიზანმიმართულად ვერბალური ან სხვა გზით ზემოქმედება უნდა მოახდინოს, რაც ამ უკანასკნელში დანაშაულებრივი კონკრეტული დანაშაულის განხორციელების გადაწყვეტილებას წარმოშობს. ამასთან, ორივეს განზრახვა საერთო დანაშაულებრივი შედეგისკენ უნდა იყოს მიმართული.

მოცემულ კაზუსში კი, ამსრულებლის ნებაზე ზემოქმედებას არ ჰქონია ადგილი, ვინაიდან ლ-მ თავისი ქმედებით შექმნა მხოლოდ და-

ნაშაულის ჩასადენად ხელსაყრელი პირობები, რაც არ წარმოადგენდა დ-ს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩასადენად „დაყოლიებას.“

შუალედური დასკვნა

ამრიგად, ლ-ს ბ-სა და დ-ს შორის ვითარების აღნიშნული დაძაბვით არ ჩაუდენია განზრახ მკვლევლობის ნაქეზება, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და სსკ-ის 108-ე მუხლით.

მე-3 ჰიპოთეზა: შესაძლებელია, ლ-მ ბ-სა და დ-ს შორის ვითარების აღნიშნული დაძაბვით ჩაიდინა განზრახ მკვლევლობაში დახმარება, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და სსკ-ის 108-ე მუხლით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

- ა) ამსრულებლის მიერ ჩადენილი განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება – დადგენილია, რომ დ-მ ჩაიდინა მკვლევლობის უმართლობა;
- ბ) „ა“ პუნქტში მითითებული ქმედების ჩასადენად ხელშეწყობა – სავარაუდოა, რომ ლ-მ დ-ს მკვლევლობის ჩასადენად ხელი შეუწყო. დანაშაულში დახმარება მრავალი საშუალებით შეიძლება. ხელშეწყობა შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე ფსიქიკური ხასიათის. დახმარების ობიექტურ შემადგენლობისთვის აუცილებელია დამხმარეს ქმედება მიზეზობრივ კავშირში იყოს ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულთან, თუმცა დამხმარეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინაც ეკისრება, როდესაც მისი ქმედება, მართალია, არ იყოს დანაშაულებრივი შედეგის დადგომის ერთ-ერთი პირობა *condition-sine-qua-non*-ფორმულის მიხედვით, მაგრამ მისმა ქმედებამ შეაძლებინა ან გაუადვილა ამსრულებელს კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის გან-

ხორციელება. თუკი კონკრეტული სიტუაციის ყველა გარემოებას სათანადოდ შევაფასებთ, დავადგენთ ლ-ს მიერ დანაშაულებრივი ქმედების განხორციელების არსებითი საფრთხის შექმნას, რაც კონკრეტულ შედეგში იქნა რეალიზირებული. ლ-ს მოქმედების გარეშე ბ-ს სიკვდილის არანაირი პირობა არ არსებობდა. შესაბამისად, ლ-ს ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირი უდავოდ არსებობს.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

საეარაუდოა, რომ ლ-ს ჰქონდა დ-ს მიერ ბ-ს მკვლელობაში ხელშეწყობის განზრახვა. სისხლისსამართლებრივ დოგმატიკაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ დამხმარეს უნდა გააჩნდეს ორმაგი განზრახვა, რაც იმას ნიშნავს, რომ დამხმარეს, ერთი მხრივ, შეგნებული უნდა ჰქონდეს და სურდეს, რომ ამსრულებელმა ჩაიდინოს განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება და, მეორე მხრივ, სხვა პირის მიერ კონკრეტული განზრახი და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენილი ქმედებისთვის ხელშეწყობის განზრახვა:

- ა) განზრახვა – ცოდნა და ნება იმისა, რომ ამსრულებელმა ჩაიდინოს განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება – კაზუსიდან ნათლად ირკვევა, რომ ლ შეგნებულად უშვებდა და სურდა, რომ დ-ს ბ. მოეკლა.
- ბ) ამსრულებლის მიერ ჩადენილი ქმედების ხელის შეწყობის განზრახვა – ლ-მ კარგად გაითვალისწინა დ-ს ფიცხი ხასიათი და ქმრის შესაძლო აგრესიული რეაქცია, რომელიც ტიპურად თანახლავს ცოლ-ქმრული ღალატის შესწრებას. ლ-მ ისიც გათვალა, რომ ბ. დ-ზე ფიზიკურად ძლიერი იყო და საჭიროებისას დ. თავის დასაცავად ცეცხლსასროლ იარაღს გამოიყენებდა. სწორედ ამიტომ მოიწვია ლ-მ დ. იარაღთ. ამას ისიც ემატება, რომ ლ-მ დ-ს მოსთხოვა მხოლოდ ტანზემთ გაშიშვლებულიყო, ხოლო შარვალი, რომელზეც ცეცხლსასროლი იარაღი ეკიდა, არ გაეხადა და არც იარაღი მოეშორებინა. შესაბამისად, ლ. დ-ს სოლიდარობას უცხადებს.

ამავდროულად, არ არის სავალდებულო, რომ ამსრულებელმა იცოდეს მისთვის სხვა პირის მიერ დანაშაულის ჩასადენად ფიზიკური დახმარების განევის შესახებ. განსხვავებით ნამქეზებლობისგან, დახმარების დროს არც ამსრულებლის ნებაზე ზემოქმედების განხორციელებაა სავალდებულო. მაშასადამე, ლ.-ს დახმარებისთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად უმნიშვნელოა ის გარემოება, რომ დ-მ არაფერი იცოდა დანაშაულის ჩადენისას და არც დანაშაულის ჩადენამდე ლ-ს ფარული მიზნების შესახებ.

ამრიგად, დ-ს მიერ ბ-ს მკვლელობაში დახმარების სუბიექტური შემადგენლობა შესრულებულია.

II. მართლწინააღმდეგობა

ლ. მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ.

III. ბრალი

ლ. მოქმედებდა ბრალეულად.

შუალედური დასკვნა

ამრიგად, ლ-მ ბ-სა და დ-ს შორის ვითრების აღნიშნული დაძაბვით ჩაიდინა განზრახ მკვლელობაში დახმარება, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 24ე მუხლის მე-3 ნაწილითა და სსკ-ის 108-ე მუხლით.

მე-4 ჰიპოთეზა: ლ-მ ბ-სა და დ-ს შორის ვითარების აღნიშნული დაძაბვით ჩაიდინა ანაგრებით მკვლელობაში დახმარება, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

ობიექტური შემადგენლობის არსებობა არ არის პრობლემატური.

2. სუბიექტური შემადგენლობა

განზრახვის არსებობა არ არის პრობლემატური. აქ მხოლოდ ის უნდა აღინიშნოს, რომ ლ-ს ბ-ს მკვლევლობისას ამოძრავებდა მატერიალური ინტერესი. რაც შეეხება იყო თუ არა მისი ქცევა ანგარებიითი მოტივის საფუძველზე განხორციელებული, ეს უნდა განვიხილოთ ბრალის ეტაპზე, რადგან ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი აღიარებს ბრალის სპეციალურ ნიშნებს.

II. მართლწინააღმდეგობა

ლ. მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ.

III. ბრალი

ლ-ს შერაცხაობა და ბრალის სხვა ნიშნები დადგენილია, ბრალის სპეციალური ნიშნის გარდა.

საკითხავია, ხომ არ შეერაცხება ლ-ს ანგარება, როგორც განზრახ მკვლევლობის დამამძიმებელი გარემოება (სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი). ბრალის სპეციალურ ნიშნებს, როგორც აღინიშნა, სისხლის სამართლის კოდექსიც აღიარებს, რის გამოც ამ ნიშნების განხილვა ბრალის ეტაპზე საკანონმდებლო მოთხოვნებიდანაც გამომდინარეობს (იხ. სსკ-ის 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი). მოცემულ შემთხვევაში ანგარება გვევლინება ბრალის სპეციალურ ნიშნად. ლ-ს მოქმედება ანგარებითი მოტივის საფუძველზე განხორციელდა, რადგან მისი ქვენა ხასიათი განპირობებულია იმით, რომ ბ-ს სიკვდილის შემთხვევაში ლ-ს ბ-ს მთელი ქონება დარჩებოდა. შესაბამისად, ადგილი აქვს მატერიალური ინტერესის დაკმაყოფილებას მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებით, რაც ლ-ს ქცევის ანგარებით მოტივზე მიუთითებს. ამრიგად, სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში მოცემული ანგარება, როგორც დამამძიმებელი გარემოება ლ-ს შეერაცხება.

ნორმათა კონკურენცია

სსკ-ის 109-ე მუხლი სსკ-ის 108-ე მუხლთან, როგორც ზოგად ნორმასთან, მიმართებით სპეციალურია.

სპეციალურობისას ერთი სისხლისსამართლებრივი ნორმა, მოიცავს ზოგადი ნორმის ყველა ნიშანს და ამავედროულად აკონკრეტებს დანაშაულის ზოგიერთ ნიშანს, რომელიც ზოგად ნორმაში აბსტრაქტულად არის წარმოდგენილი. სწორედ ამიტომ არის, რომ სპეციალური ნორმის განხორციელება ზოგადი ნორმის განხორციელებასაც გარდაუვალს ხდის.

სსკ-ის 16-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით.“

შესაბამისად, სპეციალურობიდან გამომდინარე, სსკ-ის 108-ე მუხლი განიდევენება და ლ-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

დასკვნა

ამრიგად, ლ-მ ბ-სა და დ-ს შორის ვითარების აღნიშნული დაძაბვით ჩაიდინა ანგარებით მკვლევლობაში დახმარება, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

საბოლოო დასკვნა

- ამრიგად, დ-ს ცეცხლსასროლი იარაღით ბ-სთვის ჭრილობის მიყენების გამო დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მკვლევლობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით.
- ამრიგად, ლ-მ ბ-სა და დ-ს შორის ვითარების აღნიშნული დაძაბვით ჩაიდინა ანგარებით მკვლევლობაში დახმარება, რაც გათ-

ვალისწინებულია სსკ-ის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

მე-15 კაზუსი: თანამსრულებლობა.

„კრიმინალთა ძალაჯ ერთობაშია“

ა. იყო ერთ-ერთი ბანკის თანამშრომელი. მას ჰქონდა ინფორმაცია ბანკის დაცვის მექანიზმის მწყობრიდან გამოყვანის შესაძლებლობის შესახებ. ა-მ შეადგინა ბანკში შეუმჩნეველად შეღწევისა და ფულის საცავის გახსნის გეგმა. მას არ სურდა, რომ პირადად ჩაედინა ბანკის ქურდობა, ამიტომ ამისთვის დაიქირავა ბ. და ც. ერთ საღამოს, ბანკში სამუშაო დღის დამთავრების შემდეგ, ა-ს მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ც-მ ყველასთვის შეუმჩნეველად გააღო ბანკის კარი და ფულის საცავი. ბ. ც-ს მიერ გახსნილ საცავში შევიდა და ხელჩანთაში ფული ჩაალაგა. ამის შემდეგ, ორივემ ისევ შეუმჩნეველად დატოვეს ბანკი. იმავე საღამოს ა-მ, ბ-მ და ც-მ ბანკიდან გამოტანილი ფული თანაბრად გაინაწილეს.

კითხვა: შეაფასეთ ა-ს, ბ-ს და ც-ს ქმედებები.

ამოხსნა

ი. ბ-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით.

პიპოთეზა: შესაძლებელია, ბ-ს ფარულად ბანკში უკანონო შეღწევისა და ფულის დაუფლებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს, საცავში უკანონო შეღწევით ქურდობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

ი. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

ა) სამართლებრივი სიკეთე – ბანკის საკუთრება;

ა.ა) საგანი – ფული:

ა.ა.ა) მოძრავი;

ა.ა.ბ) ადამიანის შრომაა ჩადებული;

ა.ა.გ) ისეთი მატერიალური ღირებულების მქონე, რომელიც სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანია;

ა.ა.დ) სხვისი.

კაზუსიდან გამომდინარე, ქურდობის საგნისთვის დამახასიათებელი ოთხივე ნიშნის ფულისთვის მიკუთვნების საკითხი არ არის პრობლემატური.

ბ) ქმედება – საკითხავია, დაეუფლა თუ არა ბ. ფულს. დაუფლება ნიშნავს ნივთზე წინანდელი, ძველი ბატონობის შეწყვეტას მფლობელის ნების სანინალმდეგოდ და ახალი დაუბრკოლებელი ბატონობის წარმოშობას, თუნდაც დროებითს (დროებითობა ამ ეტაპზე განისაზღვრება მხოლოდ ობიექტური ნიშნით ანუ არ არის საჭირო განუწყვეტელი ფიზიკური კონტაქტი). ახალი ბატონობისთვის, რომელიც პირსა და ნივთს შორის ფაქტობრივ ურთიერთობას გულისხმობს, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს საკუთრების წარმოშობას. ამასთან, აუცილებელია ნივთზე ბატონობა აუნაზღაურებელი იყოს. დაბოლოს, აუცილებელია ნივთზე ბატონობის ნების განსაზღვრა. ბ-მ ხელჩანთაში ფული ჩაალაგა და ბანკი დატოვა. შესაბამისად, ბ. ფულს დაეუფლა.

გ) ფარულობა – არ არის პრობლემატური.

დ) გასარკვევია, ჰქონდა თუ არა ადგილი საცავში უკანონო შეღწევას. საცავში უკანონო შეღწევას აქვს ადგილი შემდეგი პირობების კუმულაციურად არსებობისას:

- საცავის არსებობა. საცავად მიიჩნევა სივრცე, ტერიტორია, რომელიც განკუთვნილია მატერიალური ფასეულობის შესანახად და სადაც მოხვედრა გარეშე პირისთვის სათანადო ნებართვის გარეშე აკრძალულია;

- საცავის ტერიტორიაზე პირის ფიზიკური ყოფნა ან ბინის ტერიტორიაზე მოქმედების განსახორციელებლად ტექნიკური მოწყობილობის, ცხოველის ან „ცოცხალი იარაღის“ გამოყენება;
- ყოველივე ეს ხდება საცავის მფლობელის ნებართვის გარეშე ან კანონით გათვალისწინებული პირობების დარღვევით.

ბ. ბანკში მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ იმყოფებოდა. შესაბამისად, ბანკი საცავია. ამრიგად, ადგილი აქვს საცავში უკანონო შეღწევას.

2. სუბიექტური შემადგენლობა

ბ. მოქმედებდა განზრახ. მას ჰქონდა ქურდობის ქმედების ძირითადი შემადგენლობის ობიექტური ნიშნების და ქურდობის დამამძიმებელი გარემოებების განხორციელების ცოდნა და სურვილი. გარდა ამისა, მას გააჩნდა ფულის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.

II. მართლწინააღმდეგობა

ბ. მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ.

III. ბრალი

ბ. მოქმედებდა ბრალეულად.

დასკვნა

ამრიგად, ბ-ს ფარულად ბანკში უკანონო შეღწევისა და ფულის დაუფლებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება, საცავში უკანონო შეღწევით ქურდობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

II. ც-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით.

პიპოთეზა: შესაძლებელია, ც-ს ფარულად ბანკის ფულის საცავის კარის უკანონო გაღებისა და იმავდროულად ფულის დასაუფლებლად საცავში ა. შეშვებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს, საცავში უკანონო შეღწევით ქურდობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

ც. თავად არ დაუფლებია სხვის მოძრავ ნივთს, მაგრამ იგი შეიძლება იყოს ბ-ს მიერ განხორციელებული ქმედების შემადგენლობის თანაამსრულებელი. ც-ს უნდა ჰქონოდა ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობა, ანუ იგი ფუნქციონალურად დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ქმედების შემადგენლობის განხორციელების უშუალო პროცესთან. ც-მ ბანკის კარებისა და ფულის საცავის გაღებით შესაძლებელი გახადა, რომ ბ. ფარულად დაუფლებოდა ბანკის ფულს. იგი მოქმედებდა ბ-სთან ერთობლივად და ფუნქციონალურად დაკავშირებული იყო ფულის ფარულ დაუფლებასთან. ც-ს მოქმედების გარეშე ფულის ფარული დაუფლება იმ მომენტში ვერ განხორციელდებოდა. მაშასადამე, ც-ს ქმედებაზე გააჩნდა ფუნქციონალური ბატონობა.

ქურდობის ზემოაღნიშნული დამამძიმებელი გარემოება, კერძოდ, საცავში უკანონო შეღწევა ც-ს მხარეზეც ობიექტურად მოცემულია.

2. სუბიექტური შემადგენლობა

ც-ს ჰქონდა ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების მიმართ განზრახვა. ფულის განაწილების გამო, ც-ს გააჩნდა ასევე სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანი.

რაც შეეხება საცავში უკანონო შეღწევას, ნათელია, რომ იგი მოცული იყო ც-ს განზრახვით.

II. მართლწინააღმდეგობა

ც. მოქმედებდა მართლწინააღმდეგოდ.

III. ბრალი

ც. მოქმედებდა ბრალეულად.

დასკვნა

ამრიგად, ც-ს, ფარულად, ბანკის ფულის საცავის კარის უკანონო გაღებისა და იმავდროულად ფულის დასაუფლებლად საცავში ბ-ს შეშვებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება, საცავში უკანონო შეღწევით ქურდობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

III. ბ-ს და ც-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამძიმება სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილი „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ჰიპოთეზა: გასარკვევია, შეერაცხებათ თუ არა ბ-ს და ც-ს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ჩადენილი ქურდობა (სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი), როგორც მაკვალიფიცირებული გარემოება.

სსკ-ის 27-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.“ აღნიშნული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ ჯგუფურობისთვის აუცილებელია, თანამსრულებლობის არსებობა. დამტკიცდა, რომ ბ. და ც. საცავში უკანონო შეღწევით ქურდობის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, ამსრულებლები არიან. მაშასადამე, თანამსრულებლობის ობიექტური ნიშნები სახეზეა.

გასარკვევია, იყო თუ არა დანაშაულის ერთობლივად განსახორციელებლად წინასწარი შეთანხმება. ბანკიდან ფულის ფარული დაუფლება განხორციელდა ა-ს მიერ შედგენილი, მაგრამ საბოლოოდ ბ-ს და ც-ს მიერ დამუშავებული ერთობლივი გეგმის შესაბამისად. აღნიშნული გეგმის მიხედვით, ბ-ს და ც-ს ერთად უნდა ემოქმედათ საცავში შესაღწევად და ნადავლი ამ პირებს შორის თანაბრად უნდა განაწილებულიყო, რაც ასეც განხორციელდა. მაშასადამე, ორივე მოქმედებდა თანაამსრულებლის ნებით. მაშასადამე, დანაშაულის ერთობლივად განსახორციელებლად ადგილი ჰქონდა წინასწარ შეთანხმებას.

დასკვნა

ამრიგად, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რაც გათვალისწინებულია, სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, როგორც ქურდობის მაკვალიფიცირებელი გარემოება, ბ-ს და ც-ს შეერაცხებათ.

III. ა-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით.

ჰიპოთეზა: შესაძლებელია, ა-ს ბანკში შეღწევის გეგმის შედგენითა და ბ-ს და ც-ს დაქირავებით, რათა ისინი ბანკის საცავში უკანონოდ შეღწევით, ერთობლივად ფარულად დაუფლებოდნენ ფულს, დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა როგორც საცავში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობის ორგანიზატორს, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

ა) ამსრულებლის მიერ ჩადენილი განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება – სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება განხორციელებულია.

ბ) „ა“ პუნქტში მითითებული ქმედების მოწყობა ან მისი განხორციელების ხელმძღვანელობა – ა-მ შეადგინა ბანკში არსებულ ფულის საცავში ფარული შეღწევის გეგმა. გარდა ამისა, ბანკიდან ფულის გამოსატანად მან დაიქირავა ბ. და ც.. კაზუსიდან ნათლად ირკვევა, რომ ა-ს ჰქონდა ინფორმაცია ბანკის დაცვის მექანიზმის მწყობრიდან გამოყვანის შესაძლებლობის შესახებ; ა-მ შეადგინა ბანკში შეუმჩნეველად შეღწევისა და ფულის საცავის გახსნის გეგმა; დაიქირავა ბ. და ც., მაშასადამე, ა-მ მოაწყო ქურდობის განხორციელება.

შესაძლებელია, რომ ქურდობის ზემოხსენებული დამამძიმებელი გარემოებები შეერაცხოს ა-საც. ქურდობა საცავში უკანონო შეღწევით, ისევე, როგორც ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არის ობიექტური ნიშანი და ახასიათებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას. ამრიგად, ჩადენილი ქურდობის ეს მაკვალიფიცირებელი გარემოებები, სსკ-ის 25-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, შეერაცხება აგრეთვე ა-საც.

2. სუბიექტური შემადგენლობა

სუბიექტური შემადგენლობის ეტაპზე უნდა დადგინდეს ა-ს ორმაგი განზრახვა. კერძოდ:

ა) განზრახვა – ცოდნა და ნება იმისა, რომ ამსრულებელმა ჩაიდინოს განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება – ა-ს ჰქონდა იმის ცოდნა და ნება, რომ ბ-ს და ც-ს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, საცავში უკანონო შეღწევით ჩაედინათ ქურდობა;

ბ) განზრახვა – განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ცოდნა და ნება – ვინაიდან, ა-მ დაგეგმა ბანკის საცავიდან

ფულის უკანონოდ გამოტანის გეგმა შეადგინა, ორი პირი დაიქირავა და დაუფლებული ფულის განაწილებაც განახორციელა, ბუნებრივია, რომ მას ჰქონდა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, საცავში უკანონო შელწევით ქურდობის განხორციელების ცოდნა და ნება.

II. მართლწინააღმდეგობა

ა. მოქმედებდა მართლწინააღმდეგოდ.

III. ბრალი

ა. მოქმედებდა ბრალეულად.

დასკვნა

ამრიგად, ა-ს ბანკში შელწევის გეგმის შედგენითა და ბ-ს და ც-ს დაქირავებით, რათა ისინი ბანკის საცავში უკანონოდ შელწევით, ერთობლივად ფარულად დაუფლებოდნენ ფულს, დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა როგორც საცავში უკანონო შელწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობის ორგანიზატორს, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

საბოლოო დასკვნა

- ამრიგად, ბ-ს ფარულად ბანკში უკანონო შელწევისა და ფულის დაუფლებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საცავში უკანონო შელწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.
- ამრიგად, ც-ს ფარულად ბანკის ფულის საცავის კარის უკანონო გაღებისა და იმავდროულად ფულის დასაუფლებლად საცავში

ა. შეშვებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საცავეში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

- ამრიგად, ა-ს ბანკში შეღწევის გეგმის შედგენითა და ბ-ს და ც-ს დაქირავებით, რათა ისინი ბანკის საცავეში უკანონოდ შეღწევით, ერთობლივად ფარულად დაუფლებოდნენ ფულს, დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა როგორც საცავეში უკანონო შეღწევით, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ქურდობის ორგანიზატორს, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

მე-16 კაზუსი: ქურდობა და დანაშაულის პროვოკაცია.

„ქურდი და ქურდის პროვოკატორი ორივე დამნაშავეა“

ერთ-ერთ უბანში იმატა ბინის ქურდობის ფაქტებმა. პოლიციის მხრიდან ბევრი მცდელობის მიუხედავად, ქურდის ვინაობა ვერ დადგინდა. ბოროტმოქმედის აღმოსაჩენად პოლიციამ დახმარება სთხოვა აღნიშნული უბნის მაცხოვრებელს. გიორგიმ, რომელიც ამავე უბანში ცხოვრობს, სრულიად უსაფუძვლოდ ეჭვი მიიტანა მის მეზობელ ლაშაზე. გიორგიმ უამბო ლაშას, რომ ორ დღეში მათი მდიდარი მეზობელი ლევანი საღამოს 8 საათზე წასვლას აპირებდა ოპერაში. მას სახლში ჰქონდა ძვირადღირებული ნახატი (ღირებულება 12 ათასი ლარი), რომლის მოპარვის შემთხვევაშიც ლაშას შეეძლო გამდიდრება. ლაშას ძალიან მოეწონა გიორგის მიერ მიწოდებული იდეა და გადანყვიტა, ფარულად დაუფლებოდა ლევანის ნახატს. როდესაც ლევანმა სახლი დატოვა და ოპერისკენ გაეშურა, ლაშა ფარულად მიუახლოვდა მეზობლის სახლს და ცდილობდა შეუმჩნეველად ფანჯრიდან სახლში გადამძვრალიყო.

გიორგი კი ამასობაში ლაშას უთვალთვალედა. მან უმაღ დაურეკა პოლიციას და ამცნო ლევანის ბინის ქურდობის შესახებ. გიორგი ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ შეიძლება პოლიციის მოსვლამდე ლაშას მოესწრო ლევანის ბინიდან სურათის გამოტანა და მიმალვა, მაგრამ იგი მაინც იმედოვნებდა, რომ პოლიცია დროულად მოვიდოდა და მოასწრებდა ბოროტმოქმედის ბინაშივე დაკავებას. პოლიცია მართლაც დროულად მოვიდა და მეზობლის სახლში შეპარული ლაშა კედლიდან ჩამოხსნილი სურათით ხელში დააკავა.

კითხვა: მიეცით გიორგის და ლაშას ქმედებებს სისხლისსამართლებრივი შეფასება.

ამოხსნა

I. ლაშას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

ჰიპოთეზა: შესაძლებელია, ლაშას ლევანის ნახატის დაუფლების გამო დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით ქურდობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

ა) სამართლებრივი სიკეთე – ლევანის საკუთრება;

ა.ა) საგანი – ნახატი;

ა.ა.ა) მოძრავი;

ა.ა.ბ) ადამიანის შრომაა ჩადებული;

ა.ა.გ) ისეთი მატერიალური ღირებულების მქონე, რომელიც სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანია;

ა.ა.დ) სხვისი.

კაზუსიდან გამომდინარე, ქურდობის საგნისთვის დამახასიათებელი ოთხივე ნიშნის სურათისთვის მიკუთვნების საკითხი არ არის პრობლემატური.

ბ) ქმედება – საკითხავია, დაეუფლა თუ არა ლაშა ლევანის ნახატს. დაუფლება ნიშნავს ნივთზე წინანდელი, ძველი ბატონობის შეწყვეტას მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ და ახალი დაუბრკოლებელი ბატონობის წარმოშობას, თუნდაც დროებითს (დროებითობა ამ ეტაპზე განისაზღვრება მხოლოდ ობიექტური ნიშნით). ახალი ბატონობისთვის, რომელიც პირსა და ნივთს შორის ფაქტობრივ ურთიერთობას გულისხმობს, არანაირი მნიშვნელობა არ აქვს საკუთრების წარმოშობას. ამასთან, აუცილებელია ნივთზე ბატონობა აუნაზღაურებელი იყოს. დაბოლოს, აუცილებელია ნივთზე ბატონობის ნების განსაზღვრა. ლაშას ლევანის ნახატი ხელში ეჭირა და გარეთ გამოდიოდა. შესაბამისად, ლაშა ლევანის ნახატს დაეუფლა.

გ) ფარულობა – არ არის პრობლემატური.

დ) გასარკვევია, ჰქონდა თუ არა ადგილი ბინაში უკანონო შეღწევას. ბინაში უკანონო შეღწევას აქვს ადგილი შემდეგი პირობების კუმულაციურად არსებობისას:

- ბინის ტერიტორიაზე პირის ფიზიკური ყოფნა ან ბინის ტერიტორიაზე მოქმედების განსახორციელებლად ტექნიკური მონყობილობის, ცხოველის ან „ცოცხალი იარაღის“ გამოყენება;
- ყოველივე ეს ხდება ბინის მფლობელის ნებართვის გარეშე ან კანონით გათვალისწინებული პირობების დარღვევით.

ლაშა ლევანის ბინაში მისი ნების საწინააღმდეგოდ იმყოფებოდა. შესაბამისად, ადგილი აქვს ბინაში უკანონო შეღწევას.

დ.ა) გასარკვევია, ბინაში უკანონო შეღწევისას ქურდობა დასრულებულად როდის ითვლება. ამ ეტაპზე საინტერესოა არა მატერიალური, არამედ ფორმალური დასრულება. ბინაში უკანონო შეღწევისას ქურდობა ფორმალურად მაშინ არის დასრულებუ-

ლი, როდესაც პირის განზრახვით მოცული ნივთი მთლიანად პირის ბატონობის ქვეშაა მოქცეული. ბინიდან გამოსვლას განსახილველი დანაშაულის ფორმალური დასრულებისთვის მნიშვნელობა აღარ გააჩნია. ლაშა ლევანის ბინაში შესული იყო და ნახატის ფიზიკურ პყრობას ახორციელებდა. ამრიგად, ბინაში უკანონო შეღწევით ნივთის დაუფლება ფორმალურად დასრულებულია.

ე) გასარკვევია, ხომ არ განხორციელებულა სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის მაკვალიფიცირებელი გარემოება. ამისთვის აუცილებელია სსკ-ის 177-ე მუხლის შენიშვნის პირველი ნაწილით დადგენილი ნივთის ღირებულების მინიმალური ზღვრის არსებობა. აღნიშნული შენიშვნის მიხედვით, დიდ ოდენობად ითვლება ნივთის (ნივთების) ღირებულება 10000 ლარზე ზევით. დაუფლებული თანხა 12000 ლარს შეადგენდა, ამიტომ სახეზეა ქურდობის აღნიშნული მაკვალიფიცირებელი გარემოება.

2. სუბიექტური შემადგენლობა

- ა) ლაშა მოქმედებდა განზრახ, რადგან მას ჰქონდა ლევანის ნახატის ფარულად დაუფლების ცოდნა და სურვილი.
- ბ) კაზუსიდან ნათლად იკვეთება, რომ ლაშას ლევანის ნახატის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზანიც გააჩნდა.
- გ) ლაშას ასევე გაცნობიერებული ჰქონდა და სურდა კიდევ ქურდობის მაკვალიფიცირებელი გარემოებების განხროციელება:
 - ლევანის ნახატს ეუფლებოდა მის ბინაში უკანონო შეღწევით;
 - აღნიშნული ნახატის ღირებულება აღემატებოდა 10000 ლარს.

II. მართლწინააღმდეგობა

ლაშა მოქმედებდა მართლწინააღმდეგოდ.

III. ბრალი

ლაშა მოქმედებდა ბრალეულად.

დასკვნა

ამრიგად, ლაშას ლევანის ნახატის დაუფლების გამო დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით ქურდობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

II. გიორგის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

1-ლი პიპოთეზა: შესაძლებელია, გიორგის ლაშას დანაშაულის ჩასადენად დაყოლებისთვის დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით ქურდობის წაქეზებისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

- ა) განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ჩადენილი ამსრულებლის მიერ – ლაშას მიერ ლევანის ნახატის დაუფლებით ჩადენილია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული (ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით ქურდობის მცდელობა). შესაბამისად, სახეზეა ამსრულებლის მიერ ჩადენილი განზრახი და მართლსაწინააღმდეგო ქმედება.
- ბ) დაყოლება ამ ქმედების ჩასადენად – სავარაუდოა, რომ გიორგიმ ლაშა დაიყოლია აღნიშნული ქმედების ჩასადენად. სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, „წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის ჩასადენად.“

სიტყვა დაყოლიება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ნიშნებს:

1) კონკრეტულ ადამიანზე ფსიქიკური ზემოქმედება. დაყოლიება ნიშნავს ქმედების განხორციელებაზე გადანყვეტილების მიღების გამონვევას. დაყოლიება სხვადასხვა ფორმით შეიძლება განხორციელდეს. კანონი არ განსაზღვრავს, თუ რა ფორმით უნდა განხორციელდეს იგი ცალკეული დეტალების მიხედვით. დაყოლიებისთვის აუცილებელია ფსიქიკური კონტაქტის არსებობა, რომელიც ადამიანში ქმედების განხორციელების სტიმულს აღძრავს, ოღონდ ნებისმიერი რჩევა ან მხოლოდ ინფორმაციის მიწოდება არ შეიძლება ჩაითვალოს დაყოლიებად. „ნამქეზებლობისთვის დამაფუძნებელია ნამქეზებელსა და ნაქეზებულს შორის ინტელექტუალური კონტაქტი (კომუნიკაციის თეორია).“⁷⁸ თუ პირი განუსაზღვრელ პირთა მიმართ მიმართავს საკუთარ განზრახვას, იმისთვის, რომ რომელიმე მათგანმა ჩაიდინოს დანაშაული ან პირი არ აკონკრეტებს დანაშაულს, ნამქეზებლობას ადგილი არ ექნება. სიტყვები „დანაშაულის ჩასადენად დაყოლიება“ არ ნიშნავს იმას, რომ პირს განუსაზღვრელი დანაშაულის ჩასადენად უბიძგებენ, არამედ ეს იმას ნიშნავს, რომ პირს აღუძრავენ კონკრეტული დანაშაულის ჩადენის სურვილს. ამასთან აუცილებელია, რომ იმას, ვისკენაც მიმართულია დაყოლიების განზრახვა არ უნდა ჰქონდეს იმავე დანაშაულის ჩადენის განზრახვა, რომლის ჩასადენადაც მიმართულია შესაძლო ნამქეზებლის განზრახვა; 2) დაყოლიებული პირის მიერ იმ მოქმედების განხორციელების დანყება, რომლისკენაც არის ნაქეზებული.

გიორგიმ ლაშას უამბო, რომ ორ დღეში მათი მდიდარი მეზობელი ლევანი საღამოს 8 საათზე ნასვლას აპირებდა ოპერაში. მას სახლში ჰქონდა ძვირადღირებული ნახატი (ღირებულება 12 ათასი ლარი), რომლის მოპარვის შემთხვევაშიც ლაშას შეეძლო გამდიდრება. ლაშას ძალიან მოეწონა გიორგის მიერ მიწოდებული იდეა და ლევანის ნახატს ფარულადაც დაეუფლა.

⁷⁸ Gropp, AT § 10/Rn. 125; Heinrich, AT II Rn. 1291. ციტირებულია: ქეთევან მჭედლიშვილი-პედრიხი, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები, თბ., 2011, გვ. 219.

მაშასადამე, გიორგიმ ლაშა დაიყოლია ზემოაღნიშნული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩასადენად.

2. სუბიექტური შემადგენლობა

- ა) განზრახვა – ცოდნა და ნება იმისა, რომ ამსრულებელმა ჩაიდინოს განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება – სავარაუდოა, რომ გიორგის ჰქონდა ცოდნა და ნება იმისა, რომ ლევანის ჩაედინა განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედება. ნამქეზებლის განზრახვა გულისხმობს ამსრულებლის მიერ მართლსაწინააღმდეგო განზრახი ქმედების განხორციელების ცოდნას და სურვილს. ლაშას თავდაპირველად არ ჰქონდა გადანყვეტილი ლევანის ბინის ქურდობა. მან აღნიშნული გადანყვეტილება მიიღო მას შემდეგ, რაც იგი გიორგიმ ნააქეზა.
- ბ) განზრახვა – განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ცოდნა და სურვილი – კაზუსიდან ნათლად ჩანს, რომ გიორგის ჰქონდა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ცოდნა და სურვილი.

ამასთან, გიორგის უნდა ჰქონოდა ამსრულებლის მიერ განსახორციელებელი ქმედების დამთავრების განზრახვა. დანაშაულში თანამონაწილეობისას აუცილებელია ნამქეზებელს ჰქონდეს ამსრულებლის მიერ განსახორციელებელი ქმედების მატერიალური დამთავრების განზრახვა. გიორგიმ დაიყოლია ლაშა დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად, მაგრამ მას არ სურდა, რომ ამ უკანასკნელს სურათი ლევანის სახლიდან გამოეტანა და მიმალულიყო, ანუ არ სურდა ამსრულებელს ქმედება მატერიალურად დაემთავრებინა. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს შემთხვევებში ნამქეზებლის განზრახვა ყოველთვის დანაშაულებრივი შედეგის დადგომისკენ უნდა იყოს მიმართული და არა უბრალოდ საფრთხის შექმნისკენ.

გიორგი იმედოვნებდა, რომ პოლიცია დროულად მოვიდოდა, მაგრამ იგი ამავდროულად ლაშას სურათთან ერთად მიმალვის შესაძლებლობასაც უშვებდა. თუკი გიორგის განზრახვის დასადგენად „შესაძლებლობის“ თეორიით ვიხელმძღვანელებთ, რომელიც ეყენ-

ტულური განზრახვისა და თვითიმედოვნების გამოჯენის დროს მხოლოდ ინტელექტუალური მხარით შემოიფარგლება, მაშინ იგი მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით. აღნიშნულ თეორიას ვერ გამოვიყენებთ, ვინაიდან ევენტუალური განზრახვა განზრახვის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს და განზრახვა თავის მხრივ, ობიექტური შემადგენლობის ელემენტების განხორციელების ცოდნას და ნებას გულისხმობს. სწორედ აღნიშნული განასხვავებს მას გაუფრთხილებლობისგან. მოცემულ შემთხვევაში ნებელობის ელემენტი არ არის მოცემული, რადგან გიორგი იმედოვნებდა, რომ პოლიციის მიერ დროულად იქნებოდა ლაშას დანაშაულებრივი ქმედება აღკვეთილი. მართალია, გიორგის არ ჰქონია შედეგის დადგომის სურვილი, მაგრამ იგი ითვალისწინებდა იმას, რომ თავისი ქმედებით საფრთხეს უქმნიდა ლევანის ქონებას. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავს შემთხვევებში წამქეზებლის განზრახვა ყოველთვის დანაშაულებრივი შედეგის დადგომისკენ უნდა იყოს მიმართული და არა უბრალოდ საფრთხის შექმნისკენ.

ცნობილია, რომ თუკი ამსრულებელსა და თანამონაწილეს საერთო განზრახვა არ ექნებათ, მაშინ თანამონაწილეობაზე საუბარი ზედმეტია. ამსრულებლისა და თანამონაწილის საერთო განზრახვა და ერთიანი მიზანი ნიშნავს იმას, რომ მათ შორის გარეგნულად გამოხატული განზრახვა და მიზანი არის არამარტო საერთო, არამედ იურიდიული თვალსაზრისითაც საბოლოო და ამ მიზნის უკან კიდევ არ იმალება სხვა მიზანი. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ პროვოკატორი სამართლებრივი სიკეთის გამოუსწორებელ დაზიანებას ურიგდება, პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიუხედავად, იგი მაინც წამქეზებლად გვევლინება.⁷⁹

მაშასადამე, გიორგის არ ჰქონია განზრახვა ამსრულებლის მიერ განსახორციელებელი ქმედების მატერიალური დამთავრე-

⁷⁹ იხ. ი. დვალაძე, „სულიერი გახრწნის“ პრობლემა სისხლის სამართალში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, შრომები, თბ., 2011. გვ. 26-27.

ბის მიმართ. შესაბამისად, სუბიექტური შემადგენლობა გამოირიცხება.

შუალედური დასკვნა

მაშასადამე, გიორგის არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბინაში უკანონო შეღწევით ქურდობის ნაქეზებისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

მე-2 პიპოთეზა: შესაძლებელია, გიორგის ლაშას დანაშაულის ჩასადენად დაყოლებისთვის დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკაციისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 145-ე მუხლით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

სსკ-ის 145-ე მუხლის მიხედვით, დანაშაულის პროვოკაციის ობიექტური შემადგენლობისთვის აუცილებელია სხვისი დაყოლება დანაშაულის ჩასადენად. როგორც ვხედავთ, აქ კანონმდებელი პროვოკაციული საქმიანობისთვის პასუხისმგებლობის დანესების ერთ-ერთ მომენტად მიიჩნევს პირის დანაშაულის ჩასადენად დაყოლებას. დადგენილია, გიორგიმ ლაშა დაიყოლია დანაშაულის ჩასადენად.⁸⁰

დანაშაულის პროვოკაციისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, თუ რომელი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა ხდება. გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში სადავოა

⁸⁰ დანაშაულის პროვოკაციის შესახებ იხ.: ი. დვალიძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008, გვ. 113-131; ი. დვალიძე, „სულიერი გახრწნის“ პრობლემა სისხლის სამართალში. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, შრომები, თბ., 2011, გვ. 23-46.

წამქეზებლის განზრახვის დასაბუთება აგენტ-პროვოკატორის საქმიანობის კუთხით. პირველ რიგში, ყურადღება მახვილდება შემდეგზე: წამქეზებლის განზრახვისა და პროვოკატორის განზრახვის ურთიერთგამიჯვნა ქმედების შემადგენლობის დასრულების გაცნობიერებაში, დაშვებაში ხომ არ უნდა ვეძებოთ, ე. ი. სამართლებრივი სიკეთის დაზიანება როგორ უნდა იყოს გაგებული. გერმანელი მეცნიერი *ჰაინრიხი* მხარს უჭერს სამართლებრივი სიკეთის გამოუსწორებელი დაზიანების თეორიას (*Die Theorie der Irreparablen Rechtsgutsverletzung*), რომელიც სხვა თეორიებთან შედარებით უფრო დასაბუთებულად გამოიყურება. აღნიშნული თეორიის მიხედვით, წამქეზებლობა გვექნება და არა დანაშაულის პროვოკაცია, თუ ვინმე სამართლებრივი სიკეთის ისეთ დაზიანებას ურიგდება, რომელიც საერთოდ ველარ გამოსწორდება.⁸¹ ძირითადი ქმედების განხორციელებასთან მიმართებითაც განზრახვის არსებობის მოთხოვნიდან გამომდინარეობს ის, რომ წამქეზებლობა სახეზე არ არის მაშინ, როდესაც, მართალია, ქმედების შესრულების შესახებ გადაწყვეტილების მიღება ნებელობით იქნა გამოწვეული, მაგრამ ბიძგის მიმცემს ძირითადი ქმედების აღსრულება არ სურს, ყოველ შემთხვევაში, მისი დასრულების დადგომის დაშვება კი არა, დასრულებისთვის ხელის შეშლა უნდა. ეს იმიტომ, რომ წამქეზებლის განზრახვის არსებობაც ძირითადი ქმედების დასრულებისკენ მიმართული სურვილის პირობას აწესებს. აგენტ-პროვოკატორს, პროვოკატორს, ქმედების დასრულების სურვილი აკლია.⁸²

მოცემულ შემთხვევაში ლაშას ნახატი არ გაუტანია მეზობლის ბინიდან პოლიციის დროული მოქმედების გამო, რამაც გამორიცხა ნახატის დაუბრუნებლობა. შესაბამისად, სამართლებრივი სიკეთის მატერიალური ხელყოფა არ მომხდარა და არც სამართლებრივი სიკეთე დაზიანებულა გამოუსწორებლად.

⁸¹ დანერ. იხ. *Heinrich Bernd, Strafrecht – Allgemeiner Teil II*, Verlag W. Kohlhammer, Stuttgart, 2005, S. 186-189.

⁸² იხ. *Baumann/Weber/Miltch, Strafrecht, Allgemeiner Teil, Lehrbuch, Auflage 11*, Verlag Ernst und Werner Gieseking, Bielefeld, 2003, 725-726.

2. სუბიექტური შემაჯგენლობა

ა) განზრახვა – არ არის პრობლემატური.

ბ) სპეციალური მიზანი – შესაძლებელია, გიორგი მოქმედებდა ლაშას სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით. გიორგიმ დაიყოლია ლაშა ნახატიის გამოსატანად, რაც იმიტომ გააკეთა, რომ დამნაშავე პოლიციას შეეპყრო და მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაკისრებოდა.

ამასთან, გიორგის არ სურდა სამართლებრივი სიკეთის გამოუსწორებელი დაზიანება, რადგან ქურდობის განხორციელებისას გიორგიმ უშალ დაურეკა პოლიციას და ამცნო ლევანის ბინის ქურდობის შესახებ. გიორგი ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ შეიძლება პოლიციის მოსვლამდე ლაშას მოესწრო ლევანის ბინიდან სურათის გამოტანა და მიმალვა, მაგრამ იგი მაინც იმედოვნებდა, რომ პოლიცია დროულად მოვიდოდა და მოასწრებდა ბოროტმოქმედის ბინაშივე დაკავებას. შესაბამისად, გიორგის არ სურდა დაეზარალებინა სამართლებრივი სიკეთის მფლობელი. დასასრულს, გიორგის ჰქონდა ლაშას სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემის მიზანი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გიორგი გვევლინება ე. წ. აგენტ-პროვოკატორად.

II. მართლწინააღმდეგობა

გიორგი მოქმედებდა მართლწინააღმდეგოდ.

III. ბრალი

გიორგი მოქმედებდა ბრალეულად.

დასკვნა

მაშასადამე, გიორგის დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკაციისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 145-ე მუხლით.

საბოლოო დასკვნა

- ამრიგად, ლაშას ლევანის ნახატის დაუფლების გამო დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბინაში უკანონო შეღწევით, დიდი ოდენობით ქურდობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და სსკ-ის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით.
- ამრიგად, გიორგის დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკაციისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 145-ე მუხლით.

დაუმთავრებელი დანაშაული

მე-17 კაზუსი: დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.

„დაზარალებული სიკვდილს გადაურჩა“

ა-ს სურდა ბ-სთვის, რომელმაც იგი მძიმედ შეურაცხყო, სამაგიერო გადაეხადა და „ჭკუა ესწავლებინა“. მან ბ-ს მოკვლის ევენტუალური განზრახვით მოუქნია დანა. დანის მოქნევის დროს ბ-მ გვერდზე გაიწია, რის გამოც მას ჭრილობა მუცლის მარჯვენა მხარეს მიაღდა. ბ-ს მოკვლის ევენტუალური განზრახვის მიუხედავად, ა. ფიქრობდა, რომ მიყენებული ჭრილობით ბ. არ მოკვდებოდა. ა-ს ჰქონდა საშუალება, კიდევ განმეორებით დაერტყა ბ-სთვის დანა, მაგრამ აღარ მოისურვა ამის გაკეთება, ვინაიდან ბ-ზე დანის დარტყმით უკვე შური იძია. ბ-ს თავდაპირველად ტკივილი არ უგვრძნია. მან შეძლო გაეჩერებინა ტაქსი საავადმყოფოში წასასვლელად. საავადმყოფოში ჩატარებული ოპერაციით ბ. სიკვდილს გადაურჩა. ექსპერტიზამ მიყენებული ჭრილობა შეაფასა მძიმე ხარისხის დაზიანებად.

კითხვა: შეაფასეთ ა-ს ქმედება სისხლისსამართლებრივად.

ამოხსნა

1-ლი ჰიპოთეზა: შესაძლებელია, ა-ს ბ-სთვის მუცელში დანით ჭრილობის მიყენებისთვის დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მკვლელობის მცდელობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის მე-19 და სსკ-ის 108-ე მუხლებით.

შესავალი (წინასწარი შემოწმება)

სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შედეგი არ დადგა.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

ა-ს ჰქონდა ბ-ს მკვლელობის ევენტუალური განზრახვა. შესაბამისად, განზრახვის არსებობა არ არის პრობლემატური.

2. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

საზოგადოდ ცნობილია, რომ ადამიანის მიერ დანით მუცელში დაჭრა სახიფათოა ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის. ფაბულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს, რომ ა-ს მიერ ბ-ს დაჭრა სიცოცხლისთვის საშიშია, ე. ი. ა-მ შექმნა სამართლებრივად დასაძრახი რისკი, რომელმაც ბ-ს სიცოცხლეს კონკრეტული საფრთხე შეუქმნა. ამრიგად, ა-ს მოქმედება უშუალოდ მიმართული იყო სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის სრულად განსახორციელებლად.

II. მართლწინააღმდეგობა

არ არის პრობლემატური.

III. ბრალი

არ არის პრობლემატური.

IV. დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება

შესაძლებელია, ა. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, რაც გამომდინარეობს სსკ-ის 21-ე მუხლიდან.

- ა) პირის ქმედება, რომ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებად ჩაითვალოს, სსკ-ის 21-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა:
- 1) არ უნდა დადგეს იმ დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგი, რომლის განხორციელების შეგნება და ნება ჰქონდა პირს.
 - 2) ქმედება ნებაყოფლობით უნდა განხორციელდეს;
 - 3) დანაშაულებრივი შედეგის თავიდან ასაცილებლად მიღებული გადანწყვეტილება უნდა იყოს საბოლოო და არა დროებითი.
- ა.ა) ცალკეული აქტის თეორიის მიხედვით, პირი უნდა დაისაჯოს დანაშაულის მცდელობისთვის, თუკი მან თავისი წარმოდგენით შედეგის გამოსაწვევად ვარგისი ქმედება ჩაიდინა, მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ბ-სთვის ჭრილობის მიყენების დროს ა-ს მისი მოკვლა შესაძლებლად მიაჩნდა. ვინაიდან ა-ს მოქმედებას შედეგი არ მოჰყვა, ამ თეორიის თანახმად, ადგილი აქვს დანაშაულის წარუმატებელ მცდელობას, რაც გამორიცხავს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების არსებობას.
- ა.ბ) ქმედებათა ერთობლიობაში შეფასების თეორიის თანახმად კი, დანაშაულის წარუმატებელ მცდელობას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ჩადენილ თავდაპირველ ქმედებას დანაშაულებრივი შედეგი არ გამოუწვევია და ამავდროულად პირის წარმოდგენით შედეგის მისაღწევად ქმედების გაგრძელების შესაძლებლობა აღარ არსებობს, ვინაიდან მან ყველა ის საშუალება ამოწურა, რასაც შედეგი უნდა მოჰყოლოდა და მის ხელთ არსებული საშუალებებით დანაშაულს ვეღარ დაამთავრებდა.

ცალკეული აქტის თეორიის საწინააღმდეგოდ მოყვანილ უნდა იქნას მსხვერპლის დაცვის კრიმინალურ-პოლიტიკური არგუმენტი. თუკი პირი მსხვერპლის დანდობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არ გათავისუფლდება, მაშინ მას ვუბიძგებთ იმისკენ, რომ ჩადენილი დანაშაულის დასაფარად ბოლომდე დაას-

რულოს თავდაპირველი მკვლევლობის განზრახვა. გარდა ამისა, ამ თეორიის ავტორები არ ითვალისწინებენ კონკრეტული სიტუაციის სპეციფიკას და ამიტომ ზედმეტად უზღუდავენ პირს დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას. ამიტომ ერთობლიობაში უნდა შევაფასოთ ქმედება და დავადგინოთ, რომ ა-ს მიერ ჩადენილი მკვლევლობის მცდელობა არ ყოფილა უვარგისი და ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო სასურველი შედეგის მიღწევა. მაშასადამე, ა-ს ჰქონდა დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა.

ბ) სსკ-ის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ითვალისწინებს ნებაყოფლობით ხელის აღების გამო პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას მცდელობის დროსაც. მოცემულ შემთხვევაში, შესაძლებელია, ადგილი ჰქონოდა დაუმთავრებელ მცდელობას. ასეთი მცდელობა სახეზეა, როდესაც პირს თავისი წარმოდგენით ჯერ ყველაფერი არ გაუკეთებია, რაც სავალდებულოა დანაშაულებრივი შედეგის დასადგომად. ა. ფიქრობდა, რომ ჭრილობა არ იყო სასიკვდილო. მისი წარმოდგენით, ჯერ ყველაფერი არ ჰქონდა გაკეთებული, რასაც ბ-ს სიკვდილი უნდა გამოენჯია. ამგვარად, სახეზეა დაუმთავრებელი მცდელობა.

გ) როგორც უკვე აღინიშნა, სსკ-ის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, პირმა დანაშაულის დამთავრებაზე ნებაყოფლობით და საბოლოოდ უნდა აიღოს ხელი.

გ.ა) დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება სახეზეა, როდესაც პირმა კონკრეტული დელიქტის ბოლომდე შესრულებაზე უარი თქვა. ა-მ აღარ გააგრძელა ბ-ს დანით დაჭრა. მაშასადამე, თავი შეიკავა სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობის ბოლომდე შესრულებისგან. ის გარემოება, რომ ა-მ თავისი ქმედებით თავდაპირველ მიზანს მაინც მიაღწია („ჭკუა ასწავლა“ ბ-ს), ერთ-ერთი გავრცელებული შეხედულების თანახმად, წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის გარეთ მდგომ მიზანს, რაც ხელს არ უშლის პირს, რომ დანაშაულზე ნე-

ბაყოფლობით ხელის აღების გამო გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან.

გ.ბ) განსხვავებით ამ პოზიციისგან, სხვა მოსაზრების თანახმად, პირი არ გათავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების გამო, თუკი მან თავის თავდაპირველ მიზანს (ანუ ქმედების შემადგენლობის გარეთ მდგომი ნიშნის განხორციელებას) ჩადენილი ქმედებით მაინც მიაღწია. აღნიშნული შეხედულების მიხედვით, სსკ-ის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიზანს და არსს ეწინააღმდეგება ისეთი პირის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, რომელმაც ქმედებით თავდაპირველ მიზანს მიაღწია, რადგან ასეთი ქმედება არ წარმოადგენს დანაშაულზე ჰონორირებად ხელის აღებას. მაშასადამე, ამ თეორიის მიხედვით, გამოირიცხება ა-ს მიერ დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება.

გ.გ) პირველად მოხსენიებული შეხედულების სასარგებლოდ, შეიძლება ითქვას, რომ იგი გამოდის სსკ-ის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის სიტყვა-სიტყვითი განმარტებიდან და, ამდენად, კანონმდებლის მიერ ჩამოყალიბებულ ნორმის შინაარსზეა ორიენტირებული. გარდა ამისა, აღნიშნული შეხედულება შეიძლება დასაბუთდეს შემდეგი არგუმენტით: პირი, რომელმაც სხვისი მოკვლა სცადა პირდაპირი განზრახვით, შეიძლება უპრობლემოდ გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღების შემთხვევაში სსკ-ის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად. ამ დროს არ დგება *დანაშაულის შემადგენლობის გარეთ მდგომი მიზნის მიღწევის* საკითხი, ვინაიდან მის პირდაპირ მიზანს ადამიანის სიცოცხლის მოსპობა წარმოადგენს. მაშასადამე, დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღება უნდა გავიგოთ, როგორც მხოლოდ პირის უარი კონკრეტული დელიქტის ბოლომდე შესრულებაზე, დანაშაულის შემადგენლობის გარეთ მდგომი

მიღწეული მიზნის მხედველობაში მიღების გარეშე. რადგან ა-მ აღარ გააგრძელა ბ-სთვის დანით ჭრილობების მიყენება, მან ხელი აიღო დანაშაულზე.

გ.დ) გარდა ამისა, ა-ს დანაშაულზე ხელი უნდა აეღო ნებაყოფლობით. ნებაყოფლობით მოქმედებს ის, ვინც როგორც საკუთარი გადაწყვეტილების ბატონი ავტონომიური და არა გარედან „თავსმოხვეული“ (პეტერონომიული) მოტივის საფუძველზე უარს ამბობს ქმედების განხორციელებაზე, იმის მიუხედავად, რომ მას საკუთარი შეხედულებითვე ჰქონდა დანაშაულის დასრულების შესაძლებლობა. ამასთან, არც სიტუაციის ცვლილებას, კერძოდ, ქმედების განხორციელების გართულებას ჰქონია ადგილი გარეგანი პირობების საფუძველზე. მანვე საკუთარი ავტონომიური გადაწყვეტილების საფუძველზე აღარ განახორციელა შესაბამისი დანაშაულებრივი შედეგის გამომწვევი მოქმედება. ამიტომ, ა.-მ ნებაყოფლობით ხელი აიღო დანაშაულზე სსკ-ის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

შუალედური დასკვნა

ამრიგად, ა-ს ბ-სთვის მუცელში დანით ჭრილობის მიყენებისთვის არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მკვლელობის მცდელობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის მე-19 და სსკ-ის 108-ე მუხლებით.

მე-2 ჰიპოთეზა: შესაძლებელია, ა-ს ბ-სთვის დანით მუცელში ჭრილობის მიყენებისთვის დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

კაზუსიდან ნათლად სჩანს, რომ ბ-ს ჯანმრთელობა მძიმედ დაზიანდა, ამიტომ ამ ქმედების დანაშაულობრიობის დასაბუთება არ არის პრობლემატური.

გასარკვევია, ხომ არ გამოირიცხება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისთვისაც, რადგან ბ-მ მკვლელობაზე ნებაყოფლობით აიღო ხელი.

სსკ-ის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „პირს, რომელმაც ნებაყოფლობით აიღო ხელი დანაშაულის დამთავრებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედება სხვა დანაშაულს წარმოადგენს.“ ამასთან, „ერთიანობის“ თეორიის მიხედვით, მკვლელობის განზრახვა ყოველთვის მოიცავს ჯანმრთელობის ხელყოფის განზრახვასაც. ამრიგად, ბ-ს მოკვლის ევენტუალური განზრახვით დაჭრისას, ა. მოქმედებდა აგრეთვე ჯანმრთელობის დაზიანების განზრახვითაც.

დასკვნა

ამრიგად, ა-ს ბ-სთვის დანით მუცელში ჭრილობის მიყენებისთვის დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

საბოლოო დასკვნა

ამრიგად, ა-ს ბ-სთვის დანით მუცელში ჭრილობის მიყენებისთვის დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 117-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

უმოქმედობა

მე-18 კაზუსი: უმოქმედობით ჩადენილი მკვლელობა.

„აღამიანი უმოქმედობითაც შეიძლება მოკლა“

ა-ს ფარული სასიყვარულო ურთიერთობა ჰქონდა თავის ახლო მეგობარ ბ-ს საცოლე ც-სთან, რის შესახებაც ბ-მ იცოდა, მაგრამ არავისთვის გაუმხელია. ბ. ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაკავებული იყო მთამსვლელობით და არაერთი მწვერვალი ჰქონდა დალაშქრული. ა. აღტაცებული იყო ბ-ს მთამსვლელობაში მიღწეული წარმატებებით და მოინდომა, რომ თავადაც დაეღაშქრა რომელიმე მწვერვალი. ვინაიდან მას არავითარი გამოცდილება არ გააჩნდა მთამსვლელობაში, სთხოვა ბ-ს, რომ მწვერვალის დალაშქვარში დახმარებოდა. ეს უკანასკნელი შეპირდა ა-ს, რომ სიამოვნებით დაეხმარებოდა მას მწვერვალზე ასვლაში და უკან დაბრუნებაში. რამდენიმე დღის შემდეგ ორივენი გაემართნენ მყინვარწვერის დასალაშქრად. უამინდობის მიუხედავად, მათ მაინც მოახერხეს მყინვარწვერზე ასვლა. უკან დაბრუნებისას მოულოდნელად ა-მ იტყინა ფეხი. დახმარების გარეშე მას სიკვდილი ემუქრებოდა. ბ-ს შეეძლო ა-ს დახმარებოდა მყინვარწვერიდან ისე ჩამოსვლაში, რომ საკუთარი თავი საფრთხეში არ ჩაეგდო. მიუხედავად ამისა, მან არაფერი მოიმოქმედა მეგობრის დასახმარებლად და გზა შინისკენ ა-ს გარეშე განაგრძო. ბ. იმედოვნებდა, რომ ა. ვერ მოახერხებდა მარტო ჩამოსვლას და დიდთოვლობის გამო გაიყინებოდა, რაც მართლაც ასე მოხდა.

კითხვა: მიეცით ბ-ს ქმედებას სისხლისსამართლებრივი შეფასება.

ამოხსნა

1-ლი ჰიპოთეზა: შესაძლებელია, ბ-ს ა-სთვის დახმარების აღმოუჩენლობის გამო დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმოქმედობით ჩადენილი მკვლელობისთვის, რაც გათვა-

ლისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით და სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ობიექტური შემადგენლობა

- ა) სუბიექტი – საკითხავია, ჰქონდა თუ არა ბ-ს იმის სამართლებრივი მოვალეობა, რომ თავიდან აიცილოს დამდგარი შედეგი ანუ იგი უნდა იყოს ა-ს სიცოცხლის „სამართლებრივი გარანტი“. შესაბამისად, რადგან მყინვარწვერზე ასევე არსებით სიძნელებთან არის დაკავშირებული, სწორედ ამიტომ, ა-მ სთხოვა პროფესიონალ მთამსვლელ ბ-ს ლაშქრობის მოწყობაში დახმარება. ა-ს რომ მარტოს მოეწყო ლაშქრობა, იგი თავს არსებით საფრთხეში ჩაიგდებდა, ამიტომ ბ-ს, როგორც ლაშქრობის ხელმძღვანელს, ევალებოდა, საჭიროების შემთხვევაში, ა-სთვის დახმარების აღმოჩენა. მაშასადამე, ბ-ს თავის თავზე ჰქონდა აღებული სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია, ამიტომ მას უნდა ეზრუნა იმაზე, რომ არ დამდგარიყო სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. მოცემულ შემთხვევაში ბ-ს ა-ს მიმართ ჰქონდა მზრუნველი გარანტიის ფუნქცია;
- ბ) ობიექტურად შესაძლებელი მოქმედების განუხორციელებლობა – საკითხავია, ჰქონდა თუ არა ბ-ს სავალდებულო ქმედების განხორციელების შესაძლებლობა. ბ-ს მოცემულ გარემოებაში შეეძლო დახმარება აღმოეჩინა ა-სთვის ისე, რომ მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე არ შეექმნოდა. ამრიგად, სავალდებულო მოქმედების განხორციელება ობიექტურად იყო შესაძლებელი.
- გ) შედეგი – სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი დადგა.
- დ) მიზეზობრივი კავშირი – სავარაუდოდ, ა-ს უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის არსებობდა მიზეზობრივი კავშირი. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, უმოქმედობა იმ შემთხვევაში ჩაითვლება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვა-

ლისწინებული მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების ან კონკრეტული საფრთხის შექმნის აუცილებელ პირობად, როდესაც პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული."

აქ აუცილებელია *conditio sine qua non*-ფორმულის მოდიფიცირება და საკითხი ასე უნდა დაისვას: შესაძლებელია თუ არა ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული უმოქმედობის აზრობრივი გამოირიცხვა ისე, რომ ქმედების შემადგენლობის შესაბამისი შედეგი არ გამოირიცხოს.

დადგენილია, რომ ა-ს დასახმარებლად ბ-ს მიერ განსახორციელებელი სავალდებულო მოქმედებით თავიდან იქნებოდა აცილებული ამ უკანასკნელის დალუპვა. მაშასადამე, ბ-ს უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი.

ე) ობიექტური შერაცხვა – არ არის პრობლემატური;

2. სუბიექტური შემადგენლობა

ბ-ს განზრახვა მოიცავდა შედეგის დადგომას. გარდა ამისა, მას ჰქონდა განზრახვა სავალდებულო და ობიექტურად შესაძლებელი ქმედების შეუსრულებლობის და სამართლებრივი გარანტიის ფუნქციასთან მიმართებაში. ასევე, მას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ ბ-ს დამოუკიდებლად თავის გადარჩენის შესაძლებლობა არ ჰქონდა.

II. მართლწინააღმდეგობა

ბ. მოქმედებდა მართლსაწინააღმდეგოდ.

III. ბრალი

ბ. მოქმედებდა ბრალეულად.

შუალედური დასკვნა

ამრიგად, ბ-ს ა-სთვის დახმარების აღმოუჩენლობის გამო და-ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმოქმედო-

ბით ჩადენილი მკვლევლობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით და სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით.

მე-2 ჰიპოთეზა: შესაძლებელია, ბ-ს ა-სთვის დახმარების აღმო-
უჩენლობის გამო დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმ-
გებლობა უმოქმედობით ჩადენილი წინასწარი შეცნობით უმწეო
მდგომარეობაში მყოფის მკვლევლობისთვის, რაც გათვალისწინე-
ბულია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-8
მუხლის მე-3 ნაწილით.

საკითხავია, იყო თუ არა ა. უმწეო მდგომარეობაში. განზრახი
მკვლევლობა, განხორციელებული უმწეო მდგომარეობაში მყოფი
პირის მიმართ, წარმოადგენს მკვლევლობის დამამძიმებელ გარე-
მოებას (სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი). უმ-
წეო მდგომარეობაში პირი იმყოფება მაშინ, როცა მას თავისი ფი-
ზიკური თუ ფსიქიკური მდგომარეობის გამო არ შეუძლია თავი
დაიცვას განსაცდელისგან. მოცემულ კაზუსში უმწეო მდგომარე-
ობას ორი გარემოება განაპირობებს: პირველი, მცინვარწვერზე,
სადაც მოსახლეობა არ არის და ძლიერი ყინვაა, ადამიანის გაყინ-
ვის ალბათობა საკმაოდ მაღალია; 2) ბ-ს ფეხი ჰქონდა დაზიანებუ-
ლი, რაც დამოუკიდებლად გადაადგილებას შეუძლებელს ხდიდა.
მცინვარწვერზე კი, ფეხით გადაადგილებას განსაკუთრებული ფი-
ზიკური ძალისხმევა სჭირდება. ყოველივე ამის გამო, ბ-ს არ შეეძ-
ლო დამოუკიდებლად გადაადგილება. შესაბამისად, ბ. იმყოფებო-
და უმწეო მდგომარეობაში. ამასთან, ბ-ს ეს ყოველივე შეცნობილი
ჰქონდა. შესაბამისად, 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქ-
ტით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობა შესრულებუ-
ლია.

მაშასადამე, სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქ-
ტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება ბ-ს შეერაც-
ხება.

დასკვნა

ამრიგად, ბ-ს ა-სთვის დახმარების აღმოუჩენლობის გამო დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმოქმედობით ჩადენილი წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მკვლელობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით.

ნორმათა კონკურენცია

სსკ-ის 109-ე მუხლი სსკ-ის 108-ე მუხლთან, როგორც ზოგად ნორმასთან, მიმართებით სპეციალურია.

სპეციალურობისას ერთი სისხლისსამართლებრივი ნორმა, მოიცავს ზოგადი ნორმის ყველა ნიშანს და ამავედროულად აკონკრეტებს დანაშაულის ზოგიერთ ნიშანს, რომელიც ზოგად ნორმაში აბსტრაქტულად არის წარმოდგენილი. სწორედ ამიტომ არის, რომ სპეციალური ნორმის განხორციელება ზოგადი ნორმის განხორციელებასაც გარდაუვალს ხდის.

სსკ-ის 16-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „თუ ქმედება გათვალისწინებულია ზოგადი და სპეციალური ნორმებით, დანაშაულთა ერთობლიობა არ არსებობს და პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სპეციალური ნორმით.“

შესაბამისად, სპეციალურობიდან გამომდინარე, სსკ-ის 108-ე მუხლი განიდევენება და ბ-ს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით.

საბოლოო დასკვნა

ამრიგად, ბ-ს ა-სთვის დახმარების აღმოუჩენლობის გამო დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმოქმედობით ჩადენილი წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის მკვლელობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით.

მე-19 კაზუსი: უმოქმედობა და შეცდომა გარანტორულ მოვალეობაში.

„სასიყვარულო ურთიერთობა პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს“

შინ დაბრუნებულ ა-ს თავისი მშობლების სახლი ცეცხლში გახვეული დახვდა. ზედა სართულის ერთ-ერთი ფანჯრის მიღმა მან საკუთარი 8 წლის ძმა ბ. (რომელზეც ა. მზრუნველობს) შეამჩნია. ამავე დროს სახლის იმავე სართულზე, მაგრამ საპირისპირო მხარეს, ა-ს შეყვარებული მ. ხმამაღლა შეელას ითხოვდა. ა-მ მაინც მ-ს გადაარჩენა განიზრახა. ამასთან, ა-ს სწამდა, რომ ამგვარი არჩევანის გაკეთების უფლებას მას სამართალი ანიჭებდა. შიდა ალმა ორივე მათგანს მოუჭრა გარეთ გამოსაქცევი გზა. ა-მ შეიცნო, რომ შენობა უკვე ჩამოქცევას აპირებდა და მას კიბის დახმარებით მხოლოდ ერთი ადამიანის საშველი დრო დარჩა. როგორც კი მან მყისიერად მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ მ. უსაფრთხოდ ადგილამდე მიიყვანა, სახლის ჭერი მაშინვე ჩამოიშალა. აღნიშნულის შედეგად ბ. გარდაიცვალა.⁸³

კითხვა: დასჯადია თუ არა ა-ს ქმედება.

1-ლი პიპოთეზა: შესაძლებელია, ა-ს ბ-ს ცეცხლმოკიდებულ სახლში დატოვებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისროს უმოქმედობით ჩადენილი მკვლელობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით და სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ა) სუბიექტი – საკითხავია, ჰქონდა თუ არა ა-ს ძმის დასახმარებლად სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი წინაპირობაა ის, რომ პირს საფრთხეში მყოფი სა-

⁸³ შეად. ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, დასახ. ნაშრ., გვ. 420.

მართლებრივი სიკეთის მიმართ უნდა ეკისრებოდეს მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა.

სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია ძირითადად შეიძლება გამომდინარეობდეს კანონიდან, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტიდან, ხელშეკრულებიდან, ახლო ნათესაური ურთიერთობიდან, წინარე მოქმედებიდან და სხვა. სსკ-ის 109-ე მუხლის შენიშვნის თანახმად, ძმა ახლო ნათესავია. მაშასადამე, ა-ს ბ-ს მიმართ გარანტიის ფუნქცია გააჩნია.

ბ) ობიექტურად შესაძლებელი მოქმედების განუხორციელებლობა – საკითხავია, ჰქონდა თუ არა ა-ს ბ-ს გადარჩენის ობიექტური შესაძლებლობა, ე. ი. მან ობიექტურად შესაძლებელი მოქმედება განახორციელა თუ არა. სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მეორე წინაპირობაა ის, რომ პირს საფრთხეში მყოფი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. მართალია, კანონი არაფერს მიუთითებს ქმედების განხორციელების ობიექტურ შესაძლებლობაზე, მაგრამ მიზეზობრიობის ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე, აქ იგულისხმება მხოლოდ ქცევის განხორციელების ობიექტური შესაძლებლობა ანუ ფიზიკურ-რეალური შესაძლებლობა. ქმედების განხორციელების ობიექტური შესაძლებლობა ნათლად ჩანს, მისი ნეგატიური თვალსაზრისით დახასიათებისას, ე. ი. თუ როდისაა ქმედების განხორციელება ობიექტურად შეუძლებელი. კერძოდ, პირს მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა არ გააჩნია გარესამყაროში შექმნილი დაბრკოლებების გამო, საკუთარი ფიზიკური თვისებების გამო, სამართლებრივ სიკეთესთან სივრცობრივი სიშორის გამო. აღსანიშნავია, რომ ობიექტურად შესაძლებელია ქმედების განხორციელება მაშინაც, როცა პირს

საფრთხეში მყოფი რამდენიმე სამართლებრივი სიკეთიდან მხოლოდ ერთი სამართლებრივი სიკეთის გადარჩენის შანსი აქვს. შექმნილ სიტუაციაში ა-ს როგორც ბ-ს, ისე მ-ს გადარჩენის თანაბარი ფიზიკურ-რეალური შესაძლებლობა ჰქონდა. კაზუსიდან არ სჩანს რაიმე ისეთი დამაბრკოლებელი გარემოება, რომელიც გამოირიცხავს ბ-ს ან მ-ს გადარჩენის ობიექტურ შესაძლებლობას.

მაშასადამე, ა-მ ბ-ს მიმართ არ განახორციელა ობიექტურად შესაძლებელი მოქმედება.

- გ) შედეგი – ბ-ს გარდაცვალებით დადგა სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი შედეგი.
- დ) მიზეზობრივი კავშირი – სავარაუდოა, რომ ა-ს უმოქმედობასა და დამდგარ შედეგს შორის არსებობდა მიზეზობრივი კავშირი. ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის დადგომისთვის უმოქმედობის მიზეზობრიობის საკითხი *conditio sine qua non*-ფორმულის დახმარებით ვერ გაირკვევა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფორმულის მოდიფიცირება უნდა განხორციელდეს და საკითხი უნდა დაისვას შემდეგნაირად: შესაძლებელია თუ არა სამართლებრივად მოსალოდნელი ქმედების აზრობრივი გამოირიცხვა ისე, რომ ქმედების შემადგენლობის შესაბამისი შედეგი არ გამოირიცხოს.⁸⁴ ამ კუთხით რეალობასთან ახლოს მდგომი ალბათობის დადგენაც საკმარისია. ის გარემოება, რომ მიზეზობრიობა ფიზიკური გაგებით უმოქმედობის შემთხვევებში არ არსებობს, მნიშვნელოვანი არ არის, რადგან სისხლის სამართალში საკითხის ნორმატიული განხილვისას მიზეზობრიობის საბუნებისმეტყველო მეცნიერულ ცნებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს და მისთვის უმოქმედობასა

⁸⁴ იხ. *Wessels/Beulke/Satzger, Strafrecht Allgemeiner Teil*, 43. Auflage, 2013, S. 283.

და შედეგის დადგომას შორის არსებული კანონის შესაბამისი პირობათა კავშირიც საკმარისია.⁸⁵ სწორედ ამიტომ არის, რომ უმოქმედობის მიზეზობრიობისას, აქტიური მოქმედებით ჩასადენი დელიქტებისგან განსხვავებით, მიზეზობრიობა უკავშირდება კანონში აბსტრაქტულად აღწერილ ქმედების შემადგენლობის შესაბამის შედეგს, როგორც ასეთს და არა შედეგს მის კონკრეტულ ფორმაში.⁸⁶ თუმცა უმოქმედობის მიზეზობრიობის დადგენის დროსაც კონკრეტულ ფორმაში განსხვავებული შედეგით უნდა ვიხელმძღვანელოთ.⁸⁷

მოცემულ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის არსებობა ნათლად დასტურდება, რადგან ა-ს ბ. რომ ცეცხლმოკიდებული სახლიდან გამოეყვანა, ბ. გადარჩებოდა.

მაშასადამე, ა-ს უმოქმედობა მიზეზობრივ კავშირშია ბ-ს სიკვდილთან.

ე) ობიექტური შერაცხვა – მოცემულ შემთხვევაში ობიექტური შერაცხვა არ არის პრობლემატური, რის გამოც ა-ს ბ-ს დალუპვა, ანუ სსკ-ის სსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი, ობიექტურად შერაცხება.

2. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა

უმოქმედობით ჩადენილი დანაშაულის დროს განზრახვა, ანუ ქმედების შემადგენლობის განხორციელების ცოდნა და ნება გულისხმობს არჩევანის გაკეთებას სავალდებულო და ობიექტურად შესაძლებელი მოქმედების განუხორციელებლობასა და განხორციელებას შორის. პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მოცემულ სიტუაციაში მას საფრთხეში მყოფი სამართლებრივი სიკეთის მიმართ სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია გააჩნია, შეგნებული აქვს, რომ მისი უმოქმედობით სამართლებრივი სიკეთე დაზიანდება და გააჩნია ამგვარი შედეგის დადგომის ნება. ამასთან, სავალდებულო და შესაძლებელი მოქმედებით სამართლებრივი სიკეთის

⁸⁵ იხ. *Wessels/Beulke/Satzger*, დასახ. ნაშრ., გვ. 283.

⁸⁶ იხ. იქვე, გვ. 283.

⁸⁷ *Wessels/Beulke/Satzger*, დასახ. ნაშრ., გვ. 283.

დაზიანების ანუ ქმედების შემადგენლობით გათვალისწინებული შედეგის ალბათობის მაღალი ხარისხით თავიდან აცილება შეგნებული უნდა ჰქონდეს და ნებადეს კიდევ. განსახილველ კაზუსში ა-ს გაცნობიერებული ჰქონდა და ნებადეს (თუმცა არ სურდა) დამდგარი შედეგის გარდაუვალობა. მაშასადამე, ა. მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვით მოქმედებდა.

II. მართლწინააღმდეგობა

ა) შესაძლებელია, რომ ა-მ ბ-ს უმოქმედობით განზრახ მკვლელობა განახორციელა მოვალეობათა კოლიზიის ვითარებაში. მოვალეობათა კოლიზია, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი დაუნერული გარემოება სსკ-ის 32-ე მუხლის საფუძველზე ანალოგიის წესით გამოიყენება. მოვალეობათა კოლიზია სახეზე გვაქვს მაშინ, როდესაც ნორმის ადრესატს რამდენიმე თანაბარი სამართლებრივი მოვალეობიდან ერთ-ერთის შესრულება მხოლოდ მეორე მათგანის დაღუპვის ხარჯზე შეუძლია.

მაშასადამე, მოვალეობათა კოლიზიას ადგილი აქვს თუ:

პირველი, საფრთხე ერთდროულად ექმნება ორ ან მეტ სამართლებრივ სიკეთეს;

მეორე, შესასრულებელია ორი ან მეტი თანაბარი მნიშვნელობის მოვალეობა;

მესამე, ადამიანს შეუძლია აქედან შეასრულოს მხოლოდ ერთ-ერთი და არ შეუძლია ერთდროულად შეასრულოს ყველა დაკისრებული მოვალეობა.

მოცემულ შეთხვევაში ა-სთვის თანაბარი მნიშვნელობის მოვალეობები არ წარმოშობილა. ა. წარმოადგენდა ბ-ს სიცოცხლის სამართლებრივ გარანტს, ხოლო მ-ს მიმართ მას გარანტის ფუნქცია არ გააჩნდა. ვინაიდან მ-ს სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა, ამიტომ მას მ-ს მიმართ მხოლოდ დახმარების სოლიდარული მოვალეობა ჰქონდა, სსკ-ის 129-ე მუხლის შესაბამისად. ვინაიდან შექმნილ სი-

ტუაციაში თანაბარი მნიშვნელობის მოვალეობებს ადგილი არ ჰქონია, ა-ს ქმედების მართლწინააღმდეგობა არ გამოირიცხება მოვალეობათა კოლიზიის გამო.

ბ) შესაძლებელია, ა. გათავისუფლდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან უკიდურესი აუცილებლობის გამო, სსკ-ის 30-ე მუხლის შესაბამისად.⁸⁸

ობიექტური ნიშნები:

1) უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობა:

- სამართლებრივი სიკეთის საფრთხეში არსებობა (საფრთხის რეალურობა). ბ-ს სიცოცხლეს რეალური საფრთხე შეექმნა;
- სამართლებრივი სიკეთისკენ მიმართული საფრთხის ამნუთიერობა. საფრთხის ამნუთიერობაც ეჭვს არ იწვევს.

2) უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში ჩადენილი ქმედება:

- აუცილებლობა ანუ საფრთხის თავიდან აცილების შეუძლებლობა სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაზიანების გარეშე. შექმნილ სიტუაციაში მ-ს გადარჩენა ბ-ს სიცოცხლის ხარჯზე შეიძლებოდა;
- ინტერესთა ურთიერთშეჯერება.

შექმნილ სიტუაციაში ბ-ს და მ-ს სიცოცხლე თაბარი მნიშვნელობისაა, რადგან სიცოცხლის რელატივაცია და კვანტიფიკაცია აკრძალულია. აქედან გამომდინარე, გადარჩენილი სიცოცხლე უფრო მნიშვნელოვანი არაა ვიდრე დაზიანებული. ამრიგად, ა-ს მოქმედება უკიდურესი აუცილებლობის გამო ვერ გამართლდება.

⁸⁸ შენიშვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ 2007 წელს მეცნიერებაში გამოვთქვი მოსაზრება, რომ მოვალეობათა კოლიზიისგან უნდა გაიმიჯნოს მოვალეობათა კონკურენცია, რომელიც, შესაბამის ვითარებაში გამოირიცხავს ან მართლწინააღმდეგობას ან ბრალს. თუკი მართლწინააღმდეგობის ან ბრალის აღნიშნულ გამომრიცხველ გარემოებებს ვაღიარებთ, როგორც დამოუკიდებლად არსებობის უფლების მქონე გარემოებებად, მაშინ კაზუსის ამოხსნისას მათი ანალიზიც საჭირო გახდება. დაწვრილებით იხ.: ი. დვალიძე, ავტორთა კოლექტივი, რედ.: გ. ნაჭყებია, ი. დვალიძე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, 2007, გვ. 281-289.

კაზუსიდან გამომდინარე, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი სხვა გარემოებებიც არ იკვეთება. მაშასადამე, ა-ს მოქმედება მართლწინააღმდეგოა.

III. ბრალი

ა) ა. შერაცხადია.

ბ) შესაძლებელია, რომ ა-ს მიეტევოს მის მიერ განხორციელებული ქმედება სსკ-ის 38-ე მუხლის შესაბამისად. კერძოდ, მისატყვებელი უკიდურესი აუცილებლობის გამო. მისატყვებელი უკიდურესი აუცილებლობის წინაპირობაა ისეთი საფრთხის არსებობა, რომელიც ემუქრება თვითონ დამზიანებელს ან მისი ახლობლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას.

მოცემულ სიტუაციაში სამართლებრივად ძმა ახლო ნათესავედ მიიჩნევა, ხოლო შეყვარებული არა. კაზუსიდან ირკვევა, რომ ა-ს ძმის მიმართ ჰქონდა სამართლებრივი გარანტიის ფუნქცია, ხოლო შეყვარებულის მიმართ არა. ვინაიდან, ბ. ა-ს ძმაა და მის მიმართ გარანტიორული ვალდებულებები გააჩნია, ხოლო მ-ს მიმართ მხოლოდ დახმარების სოლიდარული მოვალეობა, არ შეიძლება ამ უკანასკნელი მოვალეობის შესრულებამ ბრალი გამორიცხოს.

გ) საკითხავია, ა-ს მოქმედებაში ხომ არ გამოირიცხება მართლწინააღმდეგობის შეგნება ვინრო გაგებით. პასუხის გასაცემად აუცილებელია გავარკვიოთ ა-ს მიერ ბ-ს მიმართ ობიექტურად შესაძლებელი მოქმედების განხორციელებლობა და მ-ს მიმართ სამაშველო ღონისძიების განხორციელება სამართლებრივ მოვალეობებში შეცდომის საფუძველზე, ხომ არ განაპირობებს შეცდომის მისატყვებლობას სსკ-ის 36-ე მუხლზე დაყრდნობით.

სსკ-ის 36-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, „ის ვინც არ იცის, რომ ქმედება, რომელსაც სჩადის, აკრძალულია, არ დაისჯება იმ შემთხვევაში თუ შეცდომა მისატყვებელია.“

„თუ უმოქმედოდ დარჩენილი პირი ყველა იმ გარემოებას შეიცნობს, რომელიც მის გარანტორულ მდგომარეობას აფუძნებს, მაგრამ, ამის მიუხედავად, მას მაინც სჯერა, რომ სამართლებრივად სავალდებულო მოქმედების განუხორციელებლობის უფლება აქვს, მაშინ იგი მოვალეობაში შეცდომის ზეგავლენას განიცდის (გარანტის მოვალეობაში შეცდომა). მაშასადამე, ადგილი აქვს შეცდომას აკრძალვაში ანუ იურიდიულ შეცდომას.“⁸⁹ შესაბამისად, თუკი პირმა დაუშვა შეცდომა აკრძალვაში, მაშინ გამოირიცხება განზრახი ბრალი ვინრო გაგებით მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობის გამო, სსკ-ის 36-ე მუხლის შესაბამისად.

სამართლებრივი მოვალეობისთვის ძლიერი ემოციური სასიყვარულო ურთიერთობები ირელევანტურია, რის გამოც გარანტორული მოვალეობის შესასრულებლად სამაშველო ღონისძიების განუხორციელებლობა მოვალეობის საწინააღმდეგო უმოქმედობად მიიჩნევა. ამასთან, თუკი მიუხედავად იმისა, რომ პირი შეცდომით ფიქრობს, რომ სასიყვარულო ურთიერთობა გარანტორულ ვალდებულებას აღემატება და სამაშველო ღონისძიებას სოლიდარული ვალდებულების შესასრულებლად მიმართავს, მაშინ იგი სამართლებრივ შეცდომას უშვებს, რაც გამოირიცხავს მართლწინააღმდეგობის შეგნებას.

ა-ს შეგნებული ჰქონდა, რომ ძმის მიმართ გარანტორული მდგომარეობა ჰქონდა, თუმცა მტკიცედ სჯეროდა, რომ ძმასთან დაკავშირებული სამართლებრივი მოვალეობების მიუხედავად, მ-ს გადარჩენის უპირატესი უფლება ჰქონდა. შესაბამისად, მის უმოქმედობაში არ იკვეთება სამართლისადმი მტრული დამოკიდებულება, რაც გამოირიცხავს მართლწინააღმდეგობის შეგნებას ვინრო გაგებით, როგორც ბრალის დამოუკიდებელ ნიშანს (და არა განზრახვის ერთ-ერთ კომპონენტს).

მაშასადამე, ვინრო გაგებით მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობის გამო ა-ს მოქმედებაში გამოირიცხება განზრახი ბრალი.

⁸⁹ *Wessels/Beulke/Satzger*, დასახ. ნაშრ., გვ. 297.

შუალედური დასკვნა

ამრიგად, ა-ს ბ-ს ცეცხლმოკიდებულ სახლში დატოვებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება უმოქმედობით ჩადენილი განზრახ მკვლელობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 108-ე მუხლით და სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით.

მე-2 ჰიპოთეზა: შესაძლებელია, ა-ს ბ-ს მიმართ გარანტორული ვალდებულების უცოდინრობისთვის, რამაც განაპირობა ბ-ს ცეცხლმოკიდებულ სახლში დატოვება და მისი სიცოცხლის მოსპობა, დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმოქმედობით ჩადენილი გაუფრთხილებლობით (დაუდევრობით) სიცოცხლის მოსპობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით და სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით.

შესავალი (წინასწარი განსჯა)

სსკ-ის 36-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „როცა შეცდომა მისატყვევებელი არ არის, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა გაუფრთხილებლობისთვის, თუ ამ ქმედების გაუფრთხილებლობით ჩადენა ისჯება კანონით.“

სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისთვის.

I. ქმედების შემადგენლობა

1. ქმედების ობიექტური შემადგენლობა

ობიექტური შემადგენლობის არც ერთი ნიშანი არ არის პრობლემატური, გარდა ობიექტური გაუფრთხილებლობისა.

სავარაუდოა, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებობს ობიექტური გაუფრთხილებლობა. ობიექტური გაუფრთხილებლობისას უნდა დადგინდეს:

– შედეგის დადგომის გათვალისწინების ობიექტური შესაძლებლობა;

– შედეგის თავიდან აცილების ობიექტური შესაძლებლობა.

ობიექტური გაუფრთხილებლობა საზომად იღებს საშუალო შესაძლებლობის (გონებრივი, ფიზიკური) მქონე ადამიანს. მოცემულ სიტუაციაში განხილვის საგანი უნდა გახდეს არა მხოლოდ ის, რომ ადამიანს შეუძლია თუ არა განჭვრიტოს, გააცნობიეროს, დადგებოდა თუ არა ცეცხლმოკიდებულ სახლში ადამიანის დატოვებით სიკვდილი და ჰქონდა თუ არა ამგვარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა, არამედ განსაკუთრებული შეფასების საგანი უნდა გახდეს, თუ რამდენად შეუძლია ადამიანს ნორმით დაწესებული გარანტიორული ვალდებულებისა და სოლიდარული ვალდებულების თაობაზე სათანადო ცოდნის მიღება. შესაბამისად, პირმა უნდა მიიღოს ცოდნა, თუ რომელი კონკრეტული გარემოებების არსებობისას რა მოქმედებას მოითხოვს კანონი და სიცოცხლისთვის საფრთხის შემქმნელ მდგომარეობაში მყოფი ორი ადამიანიდან ვის მიმართ აკისრია უპირატესი სამაშველო მოქმედების განხორციელების მოვალეობა.

კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, არ იკვეთება ისეთი არასტანდარტული გარემოება, რომელიც საშუალო შესაძლებლობის ადამიანს ხელს შეუშლიდა, მისი ცხოვრებისეული გამოცდილების კვალობაზე, განჭვრიტოს, გააცნობიეროს დადგებოდა თუ არა ცეცხლმოკიდებულ სახლში ადამიანის დატოვებით სიკვდილი და ჰქონდა თუ არა ამგვარი შედეგის თავიდან აცილების შესაძლებლობა. ამასთან, არც ის გარემოება იკვეთება, რომელიც ნორმით დაკისრებულ ვალდებულებათა მართებულ ცოდნას, მოვალეობათა რანგირებას და ექსტრემალურ სიტუაციაში ერთ-ერთი სამართლებრივი სიკეთის გადასარჩენად მიმართული ქცევის პრიორიტეტულობის სწორად შეფასებას, ანუ უპირატესი ვალდებულების მიმართ უმოქმედოდ არდარჩენას დააბრკოლებდა.

მაშასადამე, ა-ს უმოქმედობაში ობიექტური გაუფრთხილებლობა სახეზეა.

II. მართლწინააღმდეგობა.

მოცემულ სიტუაციაში უმოქმედობის მართლწინააღმდეგობა არ არის პრობლემატური, რადგან მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი არც ერთი გარემოება არ იკვეთება.

III. ბრალი

საკითხავია, მოქმედებდა თუ არა ა. ინდივიდუალური გაუფრთხილებლობით (დაუდევრობით).

ინდივიდუალური გაუფრთხილებლობა, გამოიხატება წინდახედულობის ნორმის დარღვევის პერსონალურ აცილებადობაში, კერძოდ:

- ა) წინდახედულობის ნორმის დაცვის სუბიექტურ შესაძლებლობაში;
- ბ) შედეგის დადგომის გათვალისწინების სუბიექტურ შესაძლებლობაში.

ამისთვის აუცილებელია, განისაზღვროს, თუ რამდენად შეეძლო ა-ს თავიდან აეცილებინა ნორმით დაწესებულ მოვალეობათა არასწორი რანგირება. გარანტორულ მოვალეობაში შეცდომა კონკრეტულ სიტუაციაში თავიდან აუცდენელი არ იყო, რადგან კაზუსიდან არ იკვეთება ისეთი გარემოება, რომელიც გამოარჩევდა ა-ს საშუალო ცოდნისა და გონებრივი შესაძლებლობის ადამიანისგან. მიღებული ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე, არც თუ ისე რთული დასადგენია ახლობელ პირთა რანგირება სიახლოვის თვალსაზრისით. ა-ს ჰქონდა ცოდნის პოტენციური შესაძლებლობა, რომ სამართლით მისი ძმის მიმართ გადარჩენის უპირატესი მოვალეობა აკისრია, ვიდრე მისი შეყვარებულის მიმართ. ამასთან, ა-ს მოქმედების შეფასებისას, არც ძმის სიცოცხლის მოსპობის თავიდან აცილების სუბიექტური შესაძლებლობის გამომრიცხველი გარემოება იკვეთება.

მაშასადამე, ა. მოქმედებდა გაუფრთხილებლობით (დაუდევრობით).

დასკვნა

ამრიგად, ა-ს ბ-ს მიმართ გარანტორული ვალდებულობის უცოდინრობისთვის, რამაც განაპირობა ბ-ს ცეცხლმოკიდებულ სახლში დატოვება და მისი სიცოცხლის მოსპობა, დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმოქმედობით ჩადენილი გაუფრთხილებლობით (დაუდევრობით) სიცოცხლის მოსპობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით და სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით.

საბოლოო დასკვნა

მაშასადამე, ა-ს ბ-ს მიმართ გარანტორული ვალდებულობის უცოდინრობისთვის, რამაც განაპირობა ბ-ს ცეცხლმოკიდებულ სახლში დატოვება და მისი სიცოცხლის მოსპობა, დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უმოქმედობით ჩადენილი გაუფრთხილებლობით (დაუდევრობით) სიცოცხლის მოსპობისთვის, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილით და სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით.